

მართლმსაჯულება **4**<sup>21</sup>  
კანონი

**Justice and Law** Legal Journal  
#4(72) 2021

N4(72)'21

მართლმსაჯულება



კანონი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

The Scientific-Practical Legal Journal of the Supreme Court of Georgia and the Association of Judges of Georgia

## რედაქტორი ნინო ძიდიგური

რედაქტორის მოადგილე  
ირმა ბექაური

ნომერზე მუშაობდა:  
მარინე ვასაძე  
დიზაინი:  
ბესიკ დანელია



საპარტამენტოს მოსამართლეთა  
ასოციაცია  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

სარედაქციო საბჭო:  
დიანა ბერეკაშვილი  
თამარ ზამბახიძე  
მზია თოდუა  
გიორგი მიქაუტაძე  
ზურაბ ძლიერიშვილი  
ჰონი ხეტურიანი

Editorial Board:  
DIANA BEREKASHVILI  
TAMAR ZAMBAKHIDZE  
MZIA TODUA  
GIORGI MIKAUTADZE  
ZURAB DZLIERISHVILI  
JONI KHETSURIANI

Editor:  
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:  
IRMA BEKAURI

The issue was prepared by  
MARINE VASADZE

Designed by  
BESIK DANELIA

*English version of articles has been provided by Candidates  
of Law faculty of Tbilisi State University*

უბკ (UDC) 340.11+ 340.130.5  
შ-306

ISSN 1512-259X

ლილი მსხილაძე

5

შეპირებებითობის პრინციპი თანამედროვე სამართლებრივ  
ოჯახებში

---

THE PRINCIPLE OF ADVERSARIAL PROCEEDINGS IN MODERN LEGAL  
SYSTEMS

LILI MSKHILADZE

ვალერი ხრუსტალი

22

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა და  
საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა  
სავალდებულო ხასიათი

---

THE GRAND CHAMBER OF THE SUPREME COURT OF GEORGIA AND  
THE MANDATORY NATURE OF LEGAL ASSESSMENTS OF THE COURT  
OF CASSATION

VALERI KHRUSTALI

40

მარინა კვაჩაძე, ნათია ჯუღელი  
სამსჯულსა და შიშის გამოწვევა საჯარო სივრცეში

---

SEXUAL HARASSMENT IN PUBLIC SPACES

PROF. DR. MARINA KVACHADZE, NATIA JUGELI

63

ილონა გაგუა  
მძივების ძვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას

---

THE BURDEN OF PROOF IN COMPENSATING FOR NON-PECUNIARY  
DAMAGE

ILONA GAGUA

110

ხვიჩა ბეგიაშვილი  
ბრალდებაზე უარი ძველი ქართული სამართლის ძეგლების  
მიხედვით

---

DENIAL OF THE ACCUSATION ACCORDING TO OLD GEORGIAN LAW  
MONUMENTS

KHVICHA BEGIASHVILI

122 მალხაზ ლომსაძე  
უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედ საერთაშორისო და  
ეროვნულ კანონმდებლობაში

---

THE PRESUMPTION OF INNOCENCE IN MODERN INTERNATIONAL  
AND DOMESTIC LAW  
MALKHAZ LOMSADZE

139 გიორგი გლაზოვი  
სუროგაციის ხელშეკრულება და მისი დადების წესი

---

SURROGACY AGREEMENT AND THE RULES OF ITS CONCLUSION  
GIORGI GLAZOVI

164 მიხეილ გაბუნია  
სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის  
კრიმინოლოგიური იდეები

---

CRIMINOLOGICAL IDEAS OF THE CLASSICAL SCHOOL OF  
CRIMINAL LAW  
MIKHEIL GABUNIA

171 ლევან ბესელია  
საგანგებო და საომარი მდგომარეობის რეგულირება  
შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო  
კანონმდებლობით

---

REGULATION OF STATE OF EMERGENCY AND WAR BY DOMESTIC  
AND INTERNATIONAL LAW  
LEVAN BESELIA

# შეჯიბრებითობის პრინციპი თანამედროვე სამართლებრივ ოჯახებში

ლილი მსხილაძე

*თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის მოსამართლე,  
სამართლის დოქტორი*

## შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაცია მეცნიერების ყველა დარგს შეეხო. ამ კუთხით, არც სამართალია გამონაკლისი. დღეისათვის, საქართველოში სამართლის სხვადასხვა დარგების განვითარება დამოკიდებულია საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ გარემოზე, მათ გამოცდილებაზე. ეროვნული სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უცხოეთიდან შემოტანილი ნორმის სწორად გაგება და დამკვიდრება.

სისხლის სამართლის მიმართულებით, ეროვნულ სამართალში უცხოური კანონმდებლობის და პრაქტიკის გაზიარებამ ორმაგი სტანდარტი შემოიტანა და გარკვეულ საკითხებზე შეიქმნა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რის გამოც დადგა საკითხი უცხო ნორმების ისტორიულად და ტელეოლოგიურად განმარტების, რადგან სამართლის ნორმას საფუძვლად უდევს მიზანი და ყოველი შემოტანილი ნორმა იმ სახით უნდა დამკვიდრდეს ახალ სამართლებრივ სივრცეში, რა მიზნითაც შეიქმ-

ნა ამა თუ იმ ქვეყანაში. მეცნიერთა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზანი არის მთელი სამართლის შემოქმედი. თუ გავიგებთ სამართლის მიზანს, მაშასადამე გავიგებთ სამართალსაც.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ნოვაციების სწორად დანერგვის მიზნით, მნიშვნელოვანია საკითხი განხილულ იქნას თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში არსებულ მოდელებთან მიმართებაში, რომელიც ძირითადად, ორ ჯგუფად იყოფა: კონტინენტური ევროპის, იგივე რომანულ-გერმანული (Civil Law) და ანგლო-ამერიკული (Common Law) სამართლის ოჯახები. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი მოიცავს სამართლებრივ სისტემებს, რომლებიც დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა, ხოლო ინგლისისა და ინგლისური სამართლის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემა შეადგენს ანგლო-ამერიკულ ოჯახს.

აღსანიშნავია, რომ კონტინენტური ევროპის კერძოდ, გერმანული იურდიული მეცნიერების გავლენის შედეგად ჩამოყალიბდა და განვითარდა ქართული სამართლებრივი სისტემა და საქართველო კონტინენტური სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, მაგრამ 2009 წელს, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით და მასში შეტანილი სიახლეებით, სისხლის სამართლის პროცესის სისტემა ძირეულად შეიცვალა და კონტინენტური ევროპიდან ანგლო-ამერიკულ მოდელისკენ გადაიხარა.

სამართლებრივი ოჯახების ცვლილებამ სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დააყენა ქართული მართლმსაჯულება. მათგან აღსანიშნავია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც არა მარტო საქმისწარმოების პრინციპია, არამედ საქმისწარმოების ფორმაც. აღნიშნული ნოვაციის სწორად დამკვიდრების მიზნით, მნიშვნელოვანია გაკეთდეს მოკლე მიმოხილვა სისხლის სამართალწარმოების თავისებურებებზე, რაც დამახასიათებელია როგორც კონტინენტური, ისე ანგლო-ამერიკული ოჯახებისთვის და მათი ანალიზის შედეგად გაკეთდეს დასკვნა, რეალურად, თუ რა სახით უნდა დამკვიდრდეს საქმისწარმოების თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი და ფორმა ქართულ მართლმსაჯულებაში, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის გზით არ შეიზღუდოს მოსამართლის როლი და ხელი არ შეეშალოს მართლმსაჯულებას – დაადგინოს დანაშაულებრივი ქმედება, დამნაშავე პირი და შეუფარდოს მას სამართლიანი სასჯელი.

### შეჯიბრებითობა ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში

ანგლო-ამერიკული სამართალი საერთო სამართლის ოჯახს განეკუთვნება. მის წარმოშობას საფუძვლად უდევს საბრალდებო ფორმა, რომელიც წმინდა შეჯიბრებითში გადაიზარდა. საერთო სამართლის დომინანტ ქვეყნებს წარმოადგენს ინგლისი და ამერიკა, მაგრამ მნიშვ-

ნელოვანია ინგლისური სამართალი, რადგან საერთო სამართლის განვითარების ისტორია ინგლისური სამართალიდან იწყება.

მეცნიერული კვლევების მიხედვით, ინგლისური სამართალი პროცესუალისტებისა და პრაქტიკოსების სამართალია. მე-19 საუკუნეში, ინგლისში საუნივერსიტეტო განათლების და დიპლომის მქონე არც ერთი მოსამართლე არ იყო. ინგლისური სამართლის კურსი ოქსფორდის უნივერსიტეტში შემოიღეს 1758 წელს. ისტორიულად, ინგლისელი იურისტები არასოდეს იღებდნენ განათლებას უნივერსიტეტებში.<sup>2</sup>

ანგლოსაქსონური სამართლის კლასიკური მოდელი ეფუძნება იმ ამოსავალ დებულებას, რომ სისხლის სამართლის პროცესი – ეს არის სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეს შორის დავა, რომელიც სასამართლოში ხორციელდება.<sup>3</sup> ამგვარ დავაში ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ მინიჭებული მტკიცებულებათა შეკრების, წარმოდგენისა და გამოკვლევისათვის, მათი ანალიზისათვის, კონკრეტულ საქმეზე მისაღები მოსაზრებების გამოთქმისათვის და ა. შ. ითვლება, რომ ასეთი თანაბარი შესაძლებლობები მათ სრულად უნდა გააჩნდეთ როგორც საქმის სასამართლოში განხილვისას, ისე მის წინასასამართლო მომზადებისას.<sup>4</sup>

ინგლისის სისხლის სამართლის პროცესს ხშირად უწოდებენ „შეჯიბრებითს“ (adversarial), ზოგჯერ „ბრალდებითს“ (accusatorial). შეჯიბრებითობა იწყება წინასასამართლო სტადიაზე და მთავრდება სასამართლოში. ინგლისში წინასწარი გამოძიების პროცესი არ არსებობს. ბრალდებისა და დაცვის მხარე განიხილება როგორც თანაბარი იურდიული შესაძლებლობების მქონე. ორივე მხარეს აქვს ერთნაირი უფლებები მტკიცებულებათა გამოვლენასა და შეგროვებაში, მათ გამოკვლევასა და სასამართლოს დარწმუნებაში. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება მხარეთა ფაქტობრივი უთანასწორობა. კერძოდ, ის გარემოება, რომ ბრალდების მხარეს გამოდის შედარებით მაღალი დონის სპეციალისტი, რომელიც მოქმედებს მატერიალურად და ტექნიკურად სათანადოდ აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოს სახელით, ხოლო დაცვის მხარეზე, არც თუ იშვიათად, გამოდის კერძო პირი, ბრალდებული, რომელსაც არც საჭირო ცოდნა და არც დამცველის მოწვევის სახსრები აქვს. ასეთ სასამართლო პროცესზე სასამართლოს როლი გამოიხატება მიუკერძოებელი და გულგრილი დამკვირვებლის, რომელიც მხოლოდ თვალყურს ადევნებს მხარეთა მიერ დავის წესების დაცვას.<sup>5</sup>

ინგლისში საქმისწარმოების პირველი ეტაპია საპოლიციო გამოძიება, რომელსაც მტკიცებულებათა წინასასამართლო შეკრებასაც უწოდებენ. ამ ეტაპზე პოლიცია მიიღებს რა, ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის შესახებ, განახორციელებს მოქმედებებს მისი ჩამდენი პირის დასადგენად, ამ პირის წინააღმდეგ გამამტყუნებელი მტკიცებულებების შესაკრებად და საჭიროების შემთხვევაში, საპროცესო იძულებითი ღონისძიებების გამოსაყენებლად.

მტკიცებულებათა წინასასამართლო შეკრება მიმდინარეობს ორ პარალელურ ეტაპად. ერთი მხრივ, ტარდება საპოლიციო გამოძიება, რა დროსაც პოლიცია ატარებს საგამოძიებო და ოპერატიულ მოქმედებებს ყველა კატეგორიის დანაშაულთა გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით. მეორე მხრივ, დაცვის მხარე ატარებს პარალელურ გამოძიებას. ინგლისის სისხლის სამართალწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, დაცვის პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს ე. წ. პარალელური გამოძიების ორგანიზაცია – გამამართლებელ მტკიცებულებათა უშუალო შეგროვება ანდა თანამშრომლობის დამყარება კერძო დეტექტივებთან, სხვა სპეციალისტებთან, რომლებიც საჭირონი არიან დაცვის მტკიცებულებათა „დასამუშავებლად.“<sup>66</sup> აღნიშნული მოწმობს, რომ საერთო სამართალში წინასასამართლო ეტაპი მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას ემყარება.

ინგლისში საქმისწარმოების შემდეგ ეტაპს სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვა წარმოადგენს, რომელიც ტარდება იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც მომეტებული საშიშროებით გამოირჩევიან და შეიძლება განხილულ იქნას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ამ ეტაპზე ტარდება „მტკიცებულებათა გახსნის“ პროცედურა. თანამედროვე ინგლისური სამართლის მიხედვით, სამართალწარმოების ამოცანაა არა რომელიმე „საპროცესო მოწინააღმდეგის“ გამარჯვება, არამედ სინამდვილეში, დამნაშავე პირთა გამოვლენა და დასჯა, რისთვისაც საჭიროა თითოეულ საქმეზე, შეძლებისდაგვარად, ყველა ფაქტობრივ გარემოებათა სრულად დადგენა. ამისთვის არის მოწოდებული მტკიცებულებათა წინასასამართლო გახსნის წესები. ეს ფაქტი ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში განხილვება, როგორც „ანტიშეჯიბრებითი“ ტენდენციის გამოვლინება.<sup>7</sup> ამ ეტაპზე ბრალდება ვალდებულია დაცვას წარუდგინოს საქმის ის მასალები, რომლებზეც დაცვას ხელი არ მიუწვდება და ბრალდებლის აზრით, შეუძლიათ „შეარყიონ“ ბრალდების პოზიციები (ე. წ. გამამართლებელი ინფორმაცია) სასამართლოში. თუ ბრალდებას ხელთ არა აქვს ასეთი მტკიცებულებანი, მაშინ მტკიცებულებათა თავდაპირველი გახსნისას, მან დაცვას უნდა წარუდგინოს ოფიციალური წერილობითი განცხადება.

მომდევნო სტადია არის სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა (trial). იგი იწყება ბრალდებულისათვის საბრალდებო აქტის გაცნობით, რომლის მიზანია გამოარკვიოს განსასჯელის პოზიცია ბრალდების არსთან დაკავშირებით. აღნიშნული ემსახურება პროცესის შეჯიბრებით კონსტრუქციას. საქმის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეთა შორის არსებობს დავა პირის დამნაშავეობის შესახებ. თუ დავა არ არსებობს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩაატაროს საქმის არსებითი განხილვა; თუ ბრალდებული არ აღიარებს ბრალს, ეს მხარეთა შორის დავის არსებობის და საქმეზე წარმოების გაგრძელების აუცილებლობის მაჩვენებელია.

ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება გამორიცხავს სასამართლო განხილვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია ცნოს დამნაშავედ ბრალდებული შეკრებილი გამამტყუნებელი მტკიცებულებების შემოწმების გარეშე (გამონაკლისია მოსამართლის ეჭვი აღიარების შეგნებულობასა და ნებაყოფლობაში).

თავისი სტრუქტურის მიხედვით, ინგლისში სასამართლო განხილვას არ ახასიათებს კონტინენტური ევროპისთვის დამახასიათებელი სასამართლო გამოძიება, სასამართლო კამათი და სხვა. ინგლისში ერთდროულად ხდება ჯერ ბრალდების, შემდეგ დაცვის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენა და მათ მიერ სიტყვით გამოსვლა. მტკიცების პროცედურის დასრულების შემდეგ, მხარეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ბრალდებულის დამნაშავეობისა და უდანაშაულობის შესახებ. შემდეგ მოსამართლე წარმოთქვამს ნაფიც მსაჯულთა სადამრიგებლო სიტყვას, რა დროსაც მას არ ეკრძალება გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვება ნაფიც მსაჯულთა სათათბიროდ გასვლა და ვერდიქტის გამოტანა.

საერთო სამართალში აღიარებულია მოსაზრება მოსამართლის პასიური როლისა და „მიუკერძოებელი არბიტრის“ შესახებ, რომელიც მხოლოდ აკვირდება თუ როგორ იცავენ დაცვის წესებს მოპაექრე მხარეები და განსაზღვრავს მათ შორის მოგებულს. მიუხედავად ამისა, საერთო სამართლის მოსამართლეებს ფართო უფლებამოსილებანი აქვს, რაც დაკავშირებულია სასამართლო სხდომის ხელმძღვანელობასთან, მისი შედეგების შეჯამებასთან, მტკიცებასთან, განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფასთან, რაც საშუალებას აძლევთ მათ აქტიური გავლენა მოახდინონ სასამართლო განხილვაზე.

ამერიკელ და ინგლისელ მოსამართლეებს შეუძლიათ გააუქმონ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და დანიშნონ საქმის ხელახალი განხილვა, მკაცრი პასუხისმგებლობა დააკისრონ მნიშვნელოვან მტკიცებულებათა წარუდგენლობისა ან არადროულად წარდგენისას და ა. შ. ამასთან, უმთავრესი როლი საერთო სამართლის ქვეყნების მოსამართლეებისა გამოიხატება სამართლიანობის უზრუნველსაყოფად სამოსამართლეო სამართალშემოქმედებასა და სასამართლო პრეცედენტის შექმნაში.

საერთო სამართლის მოსამართლეები ერთმანეთს უპირისპირებენ სამხილის წარმოდგენის მოვალეობას და სამხილის დაჯერების მოვალეობას. ამ ქვეყნებში სასამართლო სხდომაზე ბრალდებამ უნდა დაადასტუროს დანაშაულის ყველა ელემენტი და დანაშაულის შემსრულებლის ვინაობა ყოველგვარი სამართლიანი ეჭვის დატოვების გარეშე. ინგლისელი მოსამართლე ლორდ დინინგი წერდა: „არ არის აუცილებელი უტყუარობის მიღწევა. მაგრამ საჭიროა ალბათობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. კანონი ვერ დაიცავს საზოგადო-

ებას თუ შენიშნავს, რომ წარმოსახვით შესაძლებლობებს შეუძლიათ მართლმსაჯულების აღსრულებისთვის დაბრკოლების შექმნა.<sup>48</sup>

ინგლისში სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის როლი მართალია, პასიურია და არ შეუძლია თავად აწარმოოს დაკითხვა, ვინაიდან არ წარმოადგენს მტკიცების სუბიექტს, მაგრამ პასიურობა არ ნიშნავს, რომ მას ეკრძალება დამოუკიდებლად დაუსვას კითხვები მოწმეს.

ჩვეულებრივ, მოსამართლეს აქვს არა მოკვლევის დოსიე, არამედ მხოლოდ საბრალდებო აქტის და ბრალდებულის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოსიეები. აღნიშნულის მიუხედავად, მოსამართლის საგამოძიებო როლი უარყოფილი არ არის. იგი უცვლელია და სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი. ნაფიც მსაჯულთა დასწრებით მიმდინარე პროცესებზე სხდომის დამთავრების შემდეგ, მოსამართლეს შეუძლია მტკიცებულებათა რეზიუმე და ანალიზი მოახდინოს თუმცა, მიუთითებს მსაჯულებს, რომ მათ შეუძლიათ მხედველობაში არ მიიღონ მისი კომენტარები. ნაფიცი მსაჯულის გარეშე მიმდინარე პროცესის დროს მოსამართლეს აქვს კონტინენტურ ევროპაში გავრცელებულ ფართო უფლებამოსილების მსგავსი უფლებები: მიუმხრობელი შუამავლის მიერ პროცესის წარმართვის შესაბამისად, მან შეიძლება აკრძალოს მოწმეებისათვის ფაქტებისგან ძალზედ დაშორებული კითხვების დასმა ან აკრძალული მტკიცებულებების (მაგ., ნასამართლობის ცნობა) ელემენტების გამომჟღავნება. მას აგრეთვე, შეუძლია დაკითხოს მოწმე მისი განმარტებების შესავსებად, უზრუნველყოს მოწმის მიერ განცხადების გაკეთება.<sup>49</sup>

ისტორიულად, საერთო სამართლის ქვეყნებში სამართალს ქმნიდა მოსამართლე, იგი იყო სამართალწარმოების ცენტრალური ფიგურა და მისი საქმიანობა არ იყო მოქცეული კანონის მკაცრ ჩარჩოებში. შესაბამისად, ამ ქვეყნებში სამართალწარმოების შეჯიბრებითობის ფორმის განვითარებისთვის საკმარისი პირობა არსებობდა (განსხვავებით საქართველოსაგან, რომელიც პოზიტივიზმით არის შებოჭილი).

საერთო სამართალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მტკიცებულებით სამართალს (Law of evidence), რომელიც არსებობს როგორც სამართლის ცალკე დარგი. ინგლისის მტკიცებულებითი სამართლის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების დასაშვებად ცნობის ძირითად კრიტერიუმს მისი მოპოვებისას, კანონის ან სხვა სამართლებრივი დანაწესთა დაცვა კი არ წარმოადგენს, არამედ თვითონ მტკიცებულების შინაგანი ხარისხი, მისი უნარი დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებიც სასამართლო განხილვის დროს უნდა დამტკიცდეს. მტკიცებულებათა საკვანძო თვისებებს წარმოადგენს არა დასაშვებობა, არამედ შესახეობა და უტყუარობა. ამ პოზიციას ამტკიცებს ინგლისელ მოსამართლეთა ორი ფრაზა, მოსამართლე კრომპტონის სიტყვებით, „როგორც არ უნდა მოიპოვოთ იგი (მტკიცებულება) თქვენ, თუნდაც მოიპაროთ, მტკიცებულება დასაშვებად იქნება ცნობილი.“

მოსამართლე მელორის აზრით, „მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების საშიში დაბრკოლება იქნებოდა, თუ ჩვენ გადაწყვეტდით, რომ მტკიცებულება ვერ იქნებოდა გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არაკანონიერი გზით იქნა მოპოვებული.“ იგივეს ადასტურებს ლორდთა პალატის მიერ დაშვებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე არ არის ვალდებული ავტომატურად ამორიცხოს პროცესიდან პროცედურის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებანი, მას აქვს უფლება გააკეთოს ეს თავისი შეხედულებისამებრ.<sup>10</sup>

საერთო სამართლის მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ამ სისტემის ძირითადი მახასიათებლები: ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთო სამართლის არსებობა, სასამართლოს სამართალშემოქმედებითი როლისა და სასამართლო პრეცედენტის სამართლის წყაროდ აღიარება; სასამართლო პროცესუალური ფორმების შემუშავება სასამართლო პრაქტიკის გზით და არა კანონმდებლის მიერ; სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ძირითად ფორმად სააპელაციო სარჩელის არსებობა; პროცესის შეჯიბრებითი ხასიათი, რა დროსაც თავად სასამართლო პასიურია და თვალყურს ადევნებს მხარეთა მიერ პროცესუალური ნორმების დაცვას; სისხლის სამართლის პროცესში ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით გარიგების დადების შესაძლებლობა; ნაფიცი მსაჯულებისა და მომრიგებელი მოსამართლეების შედარებით ფართოდ გამოყენება.<sup>11</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საერთო სამართლის მოდელის მკვლევარების აზრით, შეჯიბრებითი პროცესისთვის დამახასიათებელია მისწრაფება „დამტკიცებისკენ“ და არა „ჭეშმარიტებისკენ“, ამ სამართლის ოჯახის ბევრი ქვეყანა თავის დანაწესებში სავალდებულოდ მიიჩნევს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას: ოჰაიოს შტატის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ წესში ნათქვამია, რომ „ამ წესების მიზანი მდგომარეობს საქმის განხილვის პროცედურების განსაზღვრაში, რომლებიც უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას და განსახილველი საკითხების სამართლიანად გადაწყვეტას.“<sup>12</sup> XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მანძილზე გამოცემულ ამერიკულ კანონებსა და სხვა ავტორიტეტულ სამართლებრივ აქტებში ხშირად ვხვდებით დანაწესებს, რომლებიც ეფუძნება დებულებას, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე უნდა დადგინდეს ჭეშმარიტება.<sup>13</sup> მტკიცებულებათა სამართლის არსიც ნათელი მაგალითია, რომ საერთო სამართლის ქვეყნების სამართალწარმოება მიმართულია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაზე.

საერთო სამართლის ქვეყნების სამართალწარმოების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის როლი პასიურია, მას განსაკუთრებული საპროცესო ფუნქციები აქვს მინიჭებული. ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) დელეგატთა პალატამ 1999 წლის თებერვალში, დაამტკიცა მოსამართლის განსაკუთრებული ფუნქციების სტანდარტები, რომელიც

წარმოდგენს საერთო სასამართლოს ქვეყნების მოსამართლეთა ერთ-ერთ სახელმძღვანელო დოკუმენტს. სტანდარტის 6-1.1(a) პუნქტში აღნიშნულია, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას, მოსამართლე ვალდებულია დაიცვას როგორც ბრალდებულის უფლებები, ისე საზოგადოების ინტერესები. პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე ჩატარება არ ათავისუფლებს მოსამართლეს ვალდებულებისაგან, საკუთარი ინიციატივით და ნებისმიერ დროს დააყენოს საკითხები, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნია საქმის სამართლიანად გადასაწყვეტად და სამართლიანი სასამართლოს უზურუნველსაყოფად. სასამართლო განხილვის მიზანია განისაზღვროს, დაამტკიცა თუ არა ბრალდების მხარემ ბრალდებულის ბრალი კანონის მოთხოვნების ფარგლებში, ხოლო მოსამართლემ არ უნდა დაუშვას სასამართლოს ნებისმიერი სხვა მიზნებისთვის გამოყენება.

სტანდარტის 6.2.2.-2.3 ნაწილების შესაბამისად, რომელიც ეხება მოწმის დაკითხვის ხანგრძლივობას და მოცულობის გაკონტროლების ვალდებულებას, მოსამართლემ უნდა დაუშვას მოწმეთა სრულყოფილი და სათანადო დაკითხვა და ჯვარედინი დაკითხვა, მაგრამ უნდა მოითხოვოს დაკითხვის სამართლიანად და ობიექტურად ჩატარება მოწმის ღირსებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვით; მოსამართლე ვალდებულია მისცეს მხარეებს საკმარისი დრო პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვისთვის; ამავე დროს, არ უნდა დაუშვას გაუმართლებელი განმეორებები ან აშკარად არარელევანტური და დაუშვებელი/არასათანადო კითხვების დასმა.

სტანდარტის 2.4. ნაწილი ეხება მოსამართლის ვალდებულებას მხარეთა მიერ გამოთქმული პროტესტის ან შუამდგომლობის თაობაზე, რომლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გააკონტროლოს არგუმენტაციის ხანგრძლივობა, ფორმა და დროულობა.

შეიძლება ითქვას, საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პროცესი არ მიიჩნევა მხოლოდ „დამტკიცების“ პროცესად, რადგან თანამედროვე საერთო სამართალში მნიშვნელოვანი გახდა ჭეშმარიტების დადგენა. მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები არიან ნეიტრალური, მიუკერძოებელი პირები, რომელებიც იმყოფებიან პასიურ მდგომარეობაში; სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის საფუძველზე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით; საქმეზე დასაშვებია ყველა მტკიცებულება, რომელიც არის შესახები და უტყუარი; საჭიროების შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოს უზურუნველყოფის მიზნით, მოსამართლე ერევა მტკიცებულებათა გამოკვლევაში; მოსამართლის როლი აქტიურია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში; მოსამართლის უმთავრესი ფუნქცია გამოიხატება სამართლიანობის უზურუნველსაყოფად სამოსამართლეო სამართალშემოქმედებაში და სასამართლო პრეცედენტის შექმნაში.

## შეჯიბრებითობა რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემაში

რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა ევროპაში წარმოიშვა მე-13 საუკუნეში, ევროპული უნივერსიტეტების ძალისხმევით. მას საფუძვლად დაედო მე-12 საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს კოდიფიკაციის ბაზაზე შემუშავებული იურიდიული მეცნიერება. ეს სისტემა მოიცავს იმ ქვეყნებს, სადაც იურიდიული მეცნიერება რომანული სამართლის საფუძველზე ჩამოყალიბდა და წინა პლანზე წამოწეულია სამართლიანობისა და მორალის მოთხოვნის შესაბამისი სამართლის ნორმები.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა წარმოიშვა და არსებობას განაგრძობდა პოლიტიკური მიზნებისგან დამოუკიდებლად. ეს ქვეყნები „წერილობითი სამართლის“ ქვეყნებია, სადაც მე-19 საუკუნიდან გაბატონებული ადგილი უჭირავს კანონს, ხოლო ამ ოჯახში შემავალი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედებს კოდექსები.

რომანულ-გერმანული სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანია საფრანგეთის როლი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგად, სასამართლო ხელისუფლება გამოეყო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, მოსამართლეები ემორჩილებოდნენ მხოლოდ კანონს, დანაშაულის აღიარება აღარ იყო მტკიცების ძირითადი წყარო, სასამართლო გახდა საჯარო და პაექრობითი, დაკანონდა დაცვის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, გაჩნდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სხვა.<sup>14</sup>

ამ პერიოდში საფრანგეთში შეიქმნა ანგლოსაქსური ტიპის შეჯიბრებითი მოდელი, რამაც ძალზე ცოტა ხანს იარსება. ნაპოლეონისეული კოდიფიკაციის შედეგად, საფრანგეთში ჩამოყალიბდა ე. წ. სისხლის სამართლის პროცესის შერეული ფორმა: საიდუმლო, წერილობითი და არაშეჯიბრებითი წინასასამართლო წარმოება და საჯარო, ზეპირი, შეჯიბრებითი სასამართლო. ამ ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესს დღემდე „შერეულად“ მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის ხშირმა რეფორმებმა გააძლიერა შეჯიბრებითობის საწყისები, პროცესის წინასასამართლო სტადიაზე.

საფრანგეთში გამოძიების ორგანოა სასამართლო პოლიცია, რომელიც არის ინკვიზიციური, მას აკისრია ვალდებულება შეკრიბოს მტკიცებულებები და დაადგინოს დანაშაულის ჩამდენი პირი. შემდეგ საქმე გადაეცემა გამოძიების მოსამართლეს, რომელიც აღჭურვილია გამოძიების უფლებამოსილებით და კანონით დაწესებულ ფარგლებში შეუძლია ჩაატაროს ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც თვლის საჭიროდ სიმართლის დასადგენად. იგი დაკითხავს ეჭვმიტანილს, მოწმეს, ატარებს ჩხრეკას, ამოღებას, ნიშნავს ექსპერტს. გამოძიების მოსამართლემ შეიძლება მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, საგამოძიებო მოქმედების

ჩატარება დაავალოს სასამართლო პოლიციას. გამოძიების დასრულების შემდეგ, გამოძიების მოსამართლე წყვეტს საქმის შემდგომ ბედს. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საქმის მასალებს გადასცემს გენერალურ პროკურორს, რომელიც დევნის უმაღლესი ორგანოა.

საფრანგეთში სასამართლო განხილვა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რადგან სასამართლო განხილვის სტადიაზე სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობენ ბრალდების და დაცვის მხარე, რომლებიც იცავენ თავიანთ საპროცესო პოზიციებს. მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საფრანგეთის სასამართლო არ განიხილება როგორც არბიტრი, რომელიც მიუკერძოებლად ადევნებს თვალს მხარეთა შეჯიბრს. მას სრულიად განსხვავებული როლი აქვს. იგი ვალდებულია ყველა ღონეს მიმართოს, რათა სასამართლო განხილვისას დადგინდეს საქმეზე ჭეშმარიტება (მიუხედავად საქმეზე მხარეთა აქტიურობის ხარისხისა). ამ დებულებიდან გამომდინარე, სწორედ სასამართლო ასრულებს ძირითად როლს მოწმეთა და სხვა პირთა დაკითხვისას და სხვა მტკიცებულებათა გამოკვლევისას. მაგ., მიუხედავად იმისა, თუ ვისი ინიციატივით არის გამოძახებული მოწმე, მას პირველი სასამართლო დაკითხავს. სასამართლოს უფლება აქვს თავად შეკრიბოს მტკიცებულებანი (გამოიძახოს მოწმეები, დანიშნოს ექსპერტიზა და სხვა).

საფრანგეთის კანონმდებლობით, მტკიცების ტვირთი არა მარტო ბრალდებას აწევს, არამედ დაცვის მხარესაც. მტკიცების ტვირთის დაცვისთვის დაკისრება ხდება, პირველ ყოვლისა, საქმეთა გარკვეულ კატეგორიებზე, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულთა ცალკეულ სახეებთან (მტკიცების ტვირთის სპეციალური წესები). მაგალითად, შემოსავლების ლეგალურობის მტკიცების ტვირთი ევალება ბრალდებულს. მეორე, დაცვა ხდება ვალდებული დაამტკიცოს გარემოებები ყველა სისხლის სამართლის საქმეზე, როდესაც საუბარია ზოგიერთი გარემოებების დამტკიცებაზე (დაცვის მტკიცების ტვირთის დაკისრების საერთო წესები).<sup>15</sup> ამ უკანასკნელის მიხედვით, სწორედ დაცვა ხდება ვალდებული დაამტკიცოს ქმედების დანაშაულებრიობის გამომრიცხავი გარემოებები. ასევე, დაცვამ უნდა დაამტკიცოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. 1993 წლამდე, საფრანგეთში ბრალდებულის უფლებები დაცვასთან მიმართებაში მკვეთრად შეზღუდული იყო. მას დაკავებისას არ შეეძლო ესარგებლა დამცველის დახმარებით.

სამხილთა შეფასებაში მოსამართლე თავისუფალია. ფრანგული საპროცესო კოდექსის თანახმად, კანონი მოსამართლისაგან არ მოითხოვს იმ საშუალებათა ანგარიშს, რომლებმაც განსაზღვრეს მისი შეფასება. იგი მათგან მოითხოვს მშვიდად დაეკითხონ საკუთარ თავს, მშვიდი გონებით გაარკვიონ შთაბეჭდილება, რომელიც მათზე დატოვა ბრალდებულის საწინააღმდეგოდ მოტანილმა სამხილებმა და დაცვის არგუმენტებმა. კანონი მთელ მის მოღვაწეობას ამ ერთადერთი კითხვით განსაზღვრავს: გაქვთ თუ არა შინაგანი რწმენა?

შინაგანი რწმენა არ ნიშნავს თვითნებობას. საჭიროა სამხილთა განმარტება დებატების გზით, სასამართლოს სხდომაზე, ხოლო მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს – რატომ იღებს ან არა ამა თუ იმ სამხილს.<sup>16</sup>

აღსანიშნავია, რომ ფრანგი კანონმდებელი ცდილობდა უარი ეთქვა შეჯიბრებითობის კონტინენტურ მოდელზე და გადასულიყო ანგლოსაქსურზე. 1993 წლის 4 იანვრის საკანონმდებლო ცვლილებებით, შეიცვალა მოწმის დაკითხვის წესი ანგლო-ამერიკული მოდელით (ერთი მხარის მიერ გამოძახებულ მოწმეს ჯერ კითხავდა გამომძახებელი მხარე, შემდეგ მოწინააღმდეგე, დაბოლოს, სასამართლო), რამაც საფრანგეთში ფეხი ვერ მოიკიდა და იმავე წელს, 1993 წლის 24 აგვისტოს გაუქმდა. დღეს საფრანგეთში შენარჩუნებულია სასამართლო განხილვის კონტინენტური მოდელი, სადაც სასამართლო აქტიურ როლს ასრულებს.

ამ ოჯახის სამართლის გაცნობისას, ფრანგულ სამართალთან ერთად მნიშვნელოვანია გერმანული სამართლის მახასიათებლები. გერმანიაში გამოძიების მიზანია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა ყოველგვარი საშუალებებით არ შეიძლება. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში არ გამოიყენება მხარეთა ცნება, ვინაიდან პროკურორი არ შეიძლება ბრალდებულთან თანაბარ მდგომარეობაში განიხილებოდეს. გერმანიაში მოქმედებს გამოძიების პრინციპი, რომელიც პროცესის მწარმოებელ ყოველ ორგანოს აკისრებს სამართლის ძიების მოვალეობას. სასამართლოებიც კი, არ არიან შებოჭილი მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

რომანულ-გერმანულ სამართალში მართლმსაჯულება ხორციელდება პროფესიონალი მოსამართლეების მიერ. პირველი ინსტანციის სასამართლოებში წევრებს შეიძლება წარმოადგენდნენ მსაჯულები. სასამართლოს მოვალეობაა ჭეშმარიტების ძიება შესაძლებლობის ფარგლებში. სასამართლო ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ვალდებულია გამოიკვლიოს საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი და მტკიცებულება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო გარკვეულად შებოჭილია მისი მოქალაქის უფლებებში ჩარევისას, თუნდაც ეს უკანასკნელი დანაშაულის ჩადენაში იყოს ეჭვმიტანილი. შესაბამისად, უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულებები არ დაიშვება.

მოსამართლე ძალიან აქტიურია. იგი ხელმძღვანელობს სასამართლო სხდომებს, კითხავს განსასჯელს და ახორციელებს სასამართლო გამოძიებას. სასამართლო ვალდებულია თავად მოიძიოს მტკიცებულებები. პროკურორი და უფრო ხშირად, დაცვის ადვოკატი დაინტერესებულნი არიან თავიანთი ინიციატივით შეკრიბონ მტკიცებულებები, რისთვისაც შუამდგომლობით მიმართავენ სასამართლოს. მოწმეს პირველად დაკითხავს სასამართლო, ხოლო შემდეგ სასამართლოს ნებართვით მას კითხვებს უსვამს პროკურორი და ადვოკატი. სასამართლო განხილვა არ მიმდინარეობს როგორც მოწინააღმდეგე მხარეთა პაექრობა,

არამედ სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიერ მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარდგენისაგან დამოუკიდებლად უნდა დადგინდეს ჭეშმარიტება, ამიტომ სასამართლო წარმოება არ შეიცავს შეჯიბრებითობის ელემენტებს.

სასამართლო სხდომაზე მოსამართლე წარმართავს გამოძიებას, შეუძლია დაკითხოს მოწმე, მოიწვიოს ექსპერტი, მოითხოვოს დანაშაულის ადგილზე გასვლა, დამატებითი ინფორმაცია. ამიტომ, მოსამართლე ეცნობა უზარმაზარი მოცულობის პირად საქმეს და საგამოძიებო დოსიეს. მტკიცებულება ეყრდნობა ფაქტებს იმგვარად, რომ მოსამართლე იკვლევს მტკიცებულებას მხარეების მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად.<sup>17</sup>

რომანულ-გერმანულ სამართალში პროკურატურას აკისრია ბრალდების ფუნქცია. გერმანიაში პროკურატურა შედის იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში. პროკურორის მოვალეობა დანაშაულის გამოძიებაა, რაც გულისხმობს როგორც გამამართლებელ, ისე გამამტყუნებელი გარემოებების დადგენას. პროკურორს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ძალაუფლებრივი უფლებამოსილებანი, მის განკარგულებაშია პოლიციისა და უშიშროების სამსახურის მძლავრი აპარატი. პროკურორს უფლება აქვს გამოიყენოს საპროცესო იძულების ღონისძიებანი, შეჯიბრებითობის კუთხით, იგი ბრალდებასთან შედარებით გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაშია.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ადვოკატურაში მოიაზრება პროფესიონალი იურისტები და მათი ნებაყოფლობითი გაერთიანებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოებთან და მოწოდებულნი არიან იურიდიული დახმარება გაუწიონ კერძო პირებსა და ორგანიზაციებს. ძირითადად, ისინი არსებობენ ადვოკატთა კოლეგიების სახით.

გერმანიის სისხლის სამართალწარმოების ზოგად კონცეფციებში ნათლად შეიმჩნევა არსებითი თავისებურებები დამცველის პროცესუალურ მდგომარეობაში. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურა არ ანიჭებს დამცველს იმ ცენტრალურ ადგილს, რასაც იგი იკავებს ანგლოსაქსურ სისხლის სამართლის პროცესში. თავმჯდომარის თანხმობით, დამცველს შეუძლია დაუსვას კითხვები განსასჯელებს, მოწმეებსა და ექსპერტებს, მაგრამ მას შეუძლია მხოლოდ კითხვების დასმა და არა დაკითხვის ჩატარება. სასამართლოს თავმჯდომარის დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნა როგორც წესი, განაპირობებს პროკურორისა და დამცველის პასიურ მონაწილეობას.

1974 წლის გერმანიის კანონის შესაბამისად, შემოღებულ იქნა დამცველის დათხოვნის ინსტიტუტი. დამცველი ექვემდებარება სასამართლო განხილვიდან დათხოვნას, თუ იგი ეჭვმიტანილია იმ დანაშაულის თანამონაწილეობაში, რომელიც წარმოადგენს საქმის განხილვის საგანს სასამართლოში; მოქმედებაში, რომელიც გამოიხატება განსასჯელისათვის სასჯელის თავიდან აცილების ხელშეწყობაში; დაკავებულ დასაცავ პირთან თავისი ურთიერთობის

ბოროტად გამოყენებაში; სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებზე დამცველის დათხოვნა პროცესიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისმა მონაწილეობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს უსაფრთხოებას. პროცესში მონაწილე დამცველის დათხოვნის შემთხვევაში, განსასჯელს უნდა დაენიშნოს დამცველი საერთო წესით.<sup>18</sup>

გერმანელი პროცესუალისტი როქსინი თავის სისხლის სამართლის პროცესს მიაკუთვნებს განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც განსხვავდება ინკვიზიციური და შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესისგან. იგი განსაზღვრავს მას, როგორც „ბრალდებით-საგამოძიებოს.“ „ბრალდებით“ ნიშნავს, რომ მხოლოდ პროკურატურის მიერ აღძრული საჯარო ბრალდების არსებობისას დაიშვება სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა, ხოლო „საგამოძიებოს“ უწოდებენ იმდენად, რამდენადაც თვითონ სასამართლო გამოიკვლევს საქმის ყველა გარემოებას და არ იზღუდება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობებით.<sup>19</sup>

ამდენად, რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნები „წერილობითი სამართლის“ ქვეყნებია. კანონი ერთადერთი პირველხარისხიანი წყაროა ამ ქვეყნების სამართლებრივი ოჯახისთვის. აქ წინა პლანზე წამოწეულია სამართლის ნორმები, რომლებიც განიხილება, როგორც სამართლიანობისა და მორალის მოთხოვნის შესაბამისი ქცევის ნორმები. გერმანულ-რომანული სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის პროცესის მიზანია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, ამ მიზნით როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის პროცესში იგი არის როგორც ინკვიზიციური, ასევე შეჯიბრებითი. ძირითადად, მტკიცებულების მოპოვება ხდება საქმის მოსამზადებელ ეტაპზე. პროკურორის მოვალეობაა დანაშაულის გამოძიება, რაც გულისხმობს როგორც გამამართლებელ, ისე გამამტყუნებელი გარემოებების დადგენას. პროცესში დაცვის მხარე არ არის ბრალდების თანაბარი და მისი უფლებები შეზღუდულია. სასამართლო არ არის პასიურ მდგომარეობაში, პირიქით, იგი ძალიან აქტიურია. ვალდებულია ყველა ღონეს მიმართოს, რათა სასამართლო განხილვისას დადგინდეს საქმეზე ჭეშმარიტება. შესაბამისად, ამ ოჯახის სამართლის ქვეყნებისთვის მხარეთა შეჯიბრებითობა იმგვარად, რაც საერთო სამართლის ოჯახისთვის არის დამახასიათებელი, არ არსებობს და შერეულ საპროცესო ფორმას მიეკუთვნება.

## დასკვნა


ანგლო-ამერიკული და რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახების ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არის ერთ-ერთი (არა ერთადერთი) საშუალება სამართლიანი საპროცესო მართლმსაჯულების განხორციელების, რაც ანგლო-

ამერიკული სამართლის ოჯახებში მიიღწევა მხარეთა შეჯიბრებითობის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახებში.

ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახში შეჯიბრებითობის არსი გამოიხატება მასში, რომ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე ბრალდების და დაცვის მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობებით მტკიცებულებათა მოპოვებისას; მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები არიან ნეიტრალური, მიუკერძოებელი პირები, რომელებიც იმყოფებიან პასიურ მდგომარეობაში; სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის საფუძველზე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. საჭიროების შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლე ერევა მტკიცებულებათა გამოკვლევაში; მოსამართლის როლი აქტიურია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში; ნაფიცი მსაჯულის გარეშე მიმდინარე პროცესის დროს, მოსამართლეს შეუძლია აკრძალოს მოწმეებისათვის ფაქტებისგან ძალზედ დაშორებული კითხვების დასმა ან აკრძალული მტკიცებულებების ელემენტების გამომჟღავნება; მოსამართლეს შეუძლია დაკითხოს მოწმე მისი განმარტებების შესავსებად, უზრუნველყოს მოწმის მიერ განცხადების გაკეთება. ზოგადად, საერთო სამართლის მოსამართლეებს ფართო უფლებამოსილებანი გააჩნია, რაც დაკავშირებულია სასამართლო სხდომის ხელმძღვანელობასთან, მისი შედეგების შეჯამებასთან, მტკიცებასთან, განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფასთან, რაც საშუალებას აძლევთ მათ აქტიური გავლენა მოახდინონ სასამართლო განხილვაზე.

რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი შეზღუდულია მოსამართლის უფლებების პრიორიტეტულობით. აღნიშნულ სამართლებრივ ოჯახებში სისხლის სამართლის პროცესის მიზანია, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა (წინა კოდექსებისგან განსხვავებით, ტერმინი – „ობიექტური ჭეშმარიტება“ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არსებობს). ამ მიზნით, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის პროცესში სამართალწარმოება არის როგორც ინკვიზიციური, ასევე შეჯიბრებითი. სასამართლო არ არის პასიურ მდგომარეობაში, პირიქით, იგი ძალიან აქტიურია. სასამართლო ასრულებს ძირითად როლს მოწმეთა დაკითხვისას და სხვა მტკიცებულებათა გამოკვლევისას, სასამართლოს უფლება აქვს თავად შეკრიბოს მტკიცებულებები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სხვადასხვა მეთოდებისა, სამართლის ორივე ოჯახისთვის და ქართული სამართალწარმოებისთვისაც სხვადასხვა ხარისხით დამახასიათებელია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც სისხლის სამართალში ემსახურება ერთ მიზანს – დანაშაულებრივი ქმედების დადგენას, დამნაშავის გამოვლენას და




დასჯას. მაგრამ ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული წესები მხარეებს აძლევთ მანიპულირების საშუალებას, ფორმალობებზე აქცენტის გაკეთებით, მათთვის სასარგებლო ინტერპრეტირება მოახდინონ ამ საკითხზე არსებული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების და მხარეთა აქტიურობით და მოსამართლის პასიურობით ხელი შეუშალონ მართლმსაჯულებას, გონივრულ ვადაში სისხლის სამართლის მიზნების მიღწევაში. ამგვარ მოცემულობაში, როდესაც ქართული მართლმსაჯულება პოზიტივიზმის ჩარჩოებითაა შებო-  
ჭილი და ამ მხრივ, შორსაა ანგლო-ამერიკული ოჯახიდან, ხოლო პოზიტივიზმით მოსამართ-  
ლეებისათვის გარანტირებული უფლებებით, შორსაა კონტინენტური სამართლის ოჯახიდან, ქართულ სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორობისა და შეკიბრებითობის მოდელის იმგვარად დანერგვა, რომ მიღწეულ იქნას სისხლის სამართლის მიზანი, შესაძლებელია ნორმის სწორი განმარტებით, სამოსამართლეო სამართალშემოქმედების განვითარებით და სასამართლო პრეცედენტის შექმნის გზით.

შენიშვნები:

---

- <sup>1</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. მერიდიანი, 2004, გვ.156.
- <sup>2</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2010, გვ. 187, 207.
- <sup>3</sup> შენიშვნა: ანგლოსაქსური სამართალი არსებობდა მხოლოდ ინგლისში.
- <sup>4</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 13.
- <sup>5</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 64.
- <sup>6</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 110.
- <sup>7</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 162.
- <sup>8</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბ., 2007, გვ. 351.
- <sup>9</sup> პრადელი ჟან., შედარებითი სისხლის სამართალი, მოკლე კურსი, 1995, გვ. 293.
- <sup>10</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 114, 115, 117.
- <sup>11</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2000, გვ. 68.
- <sup>12</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2000, გვ. 233.
- <sup>13</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 266.
- <sup>14</sup> აბაშიძე გ., შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, უურნ. „ინტელექტუალი“, №13, 2010. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>
- <sup>15</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 388.
- <sup>16</sup> პრადელი ჟან., შედარებითი სისხლის სამართალი, მოკლე კურსი, 1995, გვ. 349.
- <sup>17</sup> პრადელი ჟან., შედარებითი სისხლის სამართალი, მოკლე კურსი, 1995, გვ. 293.
- <sup>18</sup> გურცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ. 560.
- <sup>19</sup> Roxin c., Strafverfahrensrecht, 1991, p. 89.



# THE PRINCIPLE OF ADVERSARIAL PROCEEDINGS IN MODERN LEGAL SYSTEMS

LILI MSKHILADZE

*Doctor of Law,  
Judge of Tbilisi City Court*

The implementation of innovations introduced by the Criminal Procedure Code of Georgia has led to some problems. One of them is the principle of equality and adversarial proceedings. In order to properly establish the issue, it is necessary to make a comparative analysis of the specifics of criminal proceedings in Continental and Anglo-American law for drawing the appropriate conclusions and defining the appropriate form of the principle of equality and competitiveness in Georgian justice.

The Paper discusses English model from the common law, which is similar to the American model, while from the continental law - the French and German legal models. The data are based on the information contained in the works of various theoretical lawyers.

The aim of the paper is that practicing lawyers should interpret correctly the norms related to adversarial proceedings and the role of the judge, so that during criminal proceedings the main purpose to be maintained, in particular, defining a criminal act, a guilty person and imposing an objective sentence.

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი კალაძა და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი

თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

ვალერი ხრუსტალი

*სამართლის დოქტორი,*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი*

## შესავალი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა ახლებურად განსაზღვრა საქართველოს სასამართლო სისტემა, რომელშიც საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი უკავია.<sup>1</sup> თანამედროვე ქართული კასაციის დახასიათებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კასაციის მიზნებს: კასაციის მიზანი არ არის მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა ინტერესების დაცვა. მის წინაშე დასახულია აგრეთვე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი, როგორცაა სამართლის განვითარება, მართლმსაჯულების ერთიანობის უზრუნველყოფა, კანონების ერთგვაროვნად გაგება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ანუ საჯარო ინტერესების დაცვა.<sup>2</sup>

მოცემულ ნაშრომში განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებში გადაეცემა საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, ამასთან, რაში მდგომარეობს საკასაციო სასამართლოს, მათ შორის, დიდი პალატის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასების (ნორმის განმარტების), როგორც სავალდებულო ხასიათი, ისე სავალდებულობის ფარგლები.

## I. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა და დიდ პალატაზე საქმეთა გადაცემის საფუძვლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ არის ახალი და ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულებისათვის სრულიად უპრეცედენტო მოვლენა. მას ჰყავდა წინამორბედი – საქართველოს სენატის, იგივე საქართველოს უზენაესი სასამართლოს „საკასაციო დეპარტამენტთა“ შეერთებული საკრებულოს სახით,<sup>43</sup> რომელიც შეიქმნა საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 29 ივლისის კანონით შემოღებული დებულებით – საქართველოს სენატის შესახებ.<sup>4</sup>

დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სხვა პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან ორი წლის ვადით არჩეული არანაკლებ, 12 მოსამართლისაგან. დიდი პალატა საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით. საქმის განხილველ შემადგენლობაში შედიან ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი დიდი პალატის წევრები. დიდ პალატაში საქმის განხილვას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მესამე პუნქტით და მე-17 მუხლის მეხუთე პუნქტით განსაზღვრულ განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ მოკლედ შევხებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის ისტორიას. 1999 წლის 12 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ.“ ამ კანონით

განისაზღვრა დიდ პალატაზე საქმეთა გადაცემის საფუძვლები და მათი განხილვის წესი. მითითებული კანონის მეცხრე მუხლის მესამე პუნქტის დანაწესით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეეძლო მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა დიდი პალატისათვის, თუ:

- „ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას;
- გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.“<sup>45</sup>

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის, მათ შორის, საკასაციო და სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის, აგრეთვე, საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, 2004 წელს გამოითქვა მოსაზრება, საქართველოში საკასაციო წარმოების განვითარების პერსპექტივის შესახებ. ამ მიმართებით მიზანშეწონილად ჩაითვალა დაზუსტებულიყო დიდ პალატაში საქმეთა განხილვის საფუძვლები. კერძოდ, კანონით გათვალისწინებულის გარდა, დიდ პალატას უნდა განეხილა საკასაციო წესით საქმეები იმ შემთხვევაშიც: „ა) თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ნორმის განმარტებას, მის მიერ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას; ბ) თუ საკასაციო პალატებს შორის არ არის ერთსულოვნება სამართლის ნორმის აზრისა და შინაარსის გაგებაში და აქედან გამომდინარე, სამართლებრივ შეფასებაში.“<sup>46</sup>

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს 2006 წლის 13 ივლისის ორგანული კანონით, მეცხრე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ: ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2006 წლის 13 ივლისის კანონით, სამოქალაქო საპროცესო

კოდექსს დაემატა 391-ე პრიმა მუხლი (საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის).

ცალ-ცალკე განვიხილოთ საქმის დიდ პალატაზე გადაცემის საფუძვლები:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

„იშვიათობა“ განეკუთვნება სამართლებრივ პრობლემას, მაგრამ ეს სამართლებრივი პრობლემა არ შეიძლება განვიხილოთ სასამართლოში აღძრული საქმისაგან განყენებულად, როგორც ამას შეიძლება ჰქონდეს ადგილი სამეცნიერო კვლევის დროს. სამართლებრივი პრობლემა უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს საქმეს, ანუ საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს სამართლებრივ პრობლემას. ცხადია, ეს არაა საკმარისი ამ საქმის დიდი პალატისათვის გადასაცემად. ნებისმიერი სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია ამა თუ იმ სამართლებრივ პრობლემასთან. იმისათვის, რომ არსებობდეს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის საფუძველი, ეს პრობლემა უნდა გამომდინარეობდეს საქმის შინაარსიდან, იყოს იშვიათი და საჭიროებდეს სერიოზულ ანალიზს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ფაქტების დადგენა და ამ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასება ერთობლიობაში უნდა ქმნიდნენ ისეთ პრობლემას, რომელიც ხასიათდება იშვიათობით, სირთულით, რომლის პრაქტიკული გადაჭრის პრეცედენტი ან არ არსებობს, ან უკიდურესად მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა საქმეზე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (განჩინებას), სავალდებულოა სხვა საკასაციო პალატებისათვის (ამ პალატების სხვა შემადგენლობებისათვის). მათ უფლება არა აქვთ გადაუხვიონ ამ შეფასებებს, უფრო მეტიც, სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა იმ საკასაციო პალატისთვისაც, რომელმაც ეს შეფასება ჩამოაყალიბა (თვითშეზღუდვის პრინციპი). ერთადერთი, რაც საკასაციო პალატას შეუძლია, როცა იგი არ ეთანხმება ადრე მიღებულ სამართლებრივ შეფასებას – ესაა გადასცეს საქმე განსახილველად დიდ პალატას, რომლის მიერ ამ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება სავალდებულო იქნება ყველა საკასაციო პალატისათვის (შემადგენლობისათვის). მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამართლის ნორმების ერთგვაროვანი გაგების მიღწევა, ერთიანი მართლმსაჯულების დამკვიდრება და სამართლის უნიფიკაციის ინტერესების დაცვა.

თავისთავად ცხადია, რომ დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება მოტივირებული უნდა იყოს იმ სამართლებრივ შეფასებაზე მითითებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საკასაციო პალატის მიერ ადრე სხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, აგრეთვე საკასაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ არ ეთანხმება და არ იზიარებს ამ სამართლებრივ შეფასებას.

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ წარმოადგენს სხვა საკასაციო პალატებზე ზემდგომ საკასაციო სასამართლოს. იგი არის საკასაციო სასამართლო, რომელსაც სხვა საკასაციო პალატებმა შეიძლება გადასცენ საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. ამასთან, როგორც საკასაციო პალატა, მისი სამართლებრივი შეხედულებები, ჩამოყალიბებული კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში (განჩინებებში), სავალდებულოა სხვა საკასაციო პალატებისათვის. ეს ნიშნავს, რომ სხვა საკასაციო პალატებმა უნდა იხელმძღვანელონ ამ სამართლებრივი შეფასებებით, მათ მიერ სხვა საქმეების გადაწყვეტისას. მაგრამ, თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს (არ ეთანხმება) დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას, მას შეუძლია თავისი მოტივირებული განჩინებით საქმე გადასცეს განსახილველად დიდ პალატას.<sup>7</sup>

## II. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი იმ სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება ხელახალი განხილვისათვის

საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ მითითებათა სავალდებულოობას იმ სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება ხელახლა განსახილველად. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ სავალდებულოობის ფარგლებში.

მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, მითითებები, რომლებიც ეხება საპროცესო მოქმედებათა შესრულების აუცილებლობას და ჩამოყალიბებულია საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებაში, სავალდებულოა ამ საქმის ხელახლა განხილველი სასამართლოსათვის. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არ აქვს წინასწარ გადაწყვიტოს ამა თუ იმ მტკიცებულების უტყუარობის ან საეჭ-

ვობის, ერთი მტკიცებულების მეორე მტკიცებულების მიმართ უპირატესობის საკითხი, ან როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საქმის ხელახლა განხილვის შედეგად.<sup>8</sup>

ამ მუხლის ანალიზის საფუძველზე, ზოგიერთი პროცესუალისტი აკეთებს დასკვნას, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ იმ კანონის განმარტება, რომელსაც ემყარება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, არაა სავალდებულო ამ საქმის ხელმეორედ განმხილველი სასამართლოსათვის, რადგან ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტას შეუძლია გამოიწვიოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის დარღვევა.<sup>9</sup> საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება სავალდებულოა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც უთითებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების აუცილებლობაზე. მაგალითად, დაიკითხოს მოწმეები, დაინიშნოს ექსპერტიზა, ჩატარდეს ადგილზე დათვალიერება და ა. შ.<sup>10</sup>

განსხვავებულად რეგულირდება ეს საკითხი ავსტრიისა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 511-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც მან საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ – სავალდებულოა ამ საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის.<sup>11</sup>

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 563-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნებას უნდა გაითვალისწინოს სააპელაციო სასამართლო.<sup>12</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმაა აღიარებული საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულობა საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის. ამასთან ერთად, ასეთი სავალდებულობისათვის წამოყენებულია სრულიად გარკვეული პირობები. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო ხასიათი აქვს სააპელაციო სასამართლოსათვის თუ:

1. გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად უდევს ეს სამართლებრივი შეფასება, ანუ სამართლებრივი შეფასება გადაწყვეტილების გაუქმების უშუალო მიზეზს წარმოადგენს. ასეთი მიზეზობრივი კავშირი არსებობს ყოველთვის, როდესაც საკასაციო სასამართლო

- სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას შეცდომად მიიჩნევს და სწორედ ამის გამო აუქმებს მის გადაწყვეტილებას;
2. უცვლელად დარჩა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას;
  3. სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე არ შეცვლილა სამართლებრივი მდგომარეობა (მაგალითად, არ ყოფილა მიღებული ახალი კანონი) ან კიდევ, საკასაციო სასამართლოს თვითონ არ შეუცვლია სამართალშეფასება.<sup>13</sup>

რადგან, მხოლოდ სამართლებრივი შეფასების სავალდებულოობით, – აღნიშნავს გერმანელი პროცესუალისტი ართურ მეი – განისაზღვრება კასაციის არსი და თავისებურება, მოსაზრებები, რომლებიც მისი გადაწყვეტილების მოტივაციაშია მოცემული, როგორც წესი, მხოლოდ სამართლის ნორმებისაგან უნდა შედგებოდეს. თუ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასამართლებრივ ნორმებს (წინადადებებს) მოიცავს, მაშინ მას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი.<sup>14</sup>

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების იმ სასამართლოსათვის სავალდებულოობის შესახებ, რომელსაც საქმე დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად. მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ ასეთი სავალდებულობა არ არსებობდა. თვით საკასაციო სასამართლოს არსებობა, მისი მიზნები და ამოცანები, თავისთავად მიუთითებდა იმაზე, რომ საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რის გამოც მან გააუქმა წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სავალდებულო იყო საქმის ხელახლა განხილველი სასამართლოსათვის.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, 2004 წელს გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის პრაქტიკა მთლიანად შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ჭეშმარიტ აზრს. მიუხედავად ამისა, გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მაშინდელ რედაქციას დამატებოდა შემდეგი შინაარსის ნაწილი: „საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნებას, აგრეთვე, მითითებას ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესახებ, სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელსაც ეს საქმე უბრუნდება ხელახლა განსახილველად.“<sup>15</sup>

საქართველოს 2006 წლის 13 ივლისის კანონით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, 412-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, სადაც გათვალისწინებული იქნა საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი. კერძოდ:

1. საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

მითითებული მუხლის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას საფუძველად უნდა დაედოს სამართლებრივი შეფასება. ცხადია, სამართლებრივი შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალურსამართლებრივი ნორმების საფუძველზე გაკეთებულ შეფასებას. სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას, შეიძლება ემყარებოდეს საპროცესოსამართლებრივი ნორმების აზრსა და შინაარსს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი, რომელიც სამართლის ნორმის დარღვევის ლეგალურ განმარტებას შეიცავს, ერთნაირად გულისხმობს, როგორც მატერიალურ, ისე საპროცესოსამართლებრივ ნორმებს. მხედველობაშია მისაღები მხოლოდ ერთი გარემოება, რომელსაც ამ მუხლის მესამე ნაწილი შეიცავს იმის შესახებ, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თავისებურება გერმანულ და ავსტრიულ საპროცესო კანონმდებლობასთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს შეუძლია მისცეს საქმის ხელახლა განმხილველ

სასამართლოს სავალდებულო მითითებები იმის შესახებ, საქმეში არსებული რომელი მტკიცებულებები საჭიროებს დამატებით გამოკვლევას. ამიტომ, თუ საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს უკან, ხელახლა განსახილველად, მან თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს, არ იქნა დადგენილი სააპელაციო სასამართლოს მიერ (შეცდომა ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის შეფასებაში), ან კიდევ, ფაქტის დადგენისას რომელი საპროცესო წესები იქნა დარღვეული, ან კონკრეტულად, რაში გამოიხატება საპროცესოსამართლებრივი ნორმის დარღვევა, რომელმაც გავლენა იქონია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორებზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს კანონის მეტად მნიშვნელოვანი დანაწესია, რასაც დღეს, ფართოდ იყენებს საკასაციო სასამართლო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე მუხლის „ე“ პრიმა ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.<sup>16</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მართალია, შეუძლია ჩამოაყალიბოს თავის გადაწყვეტილებაში სამართლებრივი შეფასება, მაგრამ ასეთი შეფასება არ შეიძლება სავალდებულო იყოს საქმის ხელახლა განმხილველი სასამართლოსათვის, რადგან ეს დაარღვევდა პრინციპს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების შესახებ.

ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ არამართო იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს შექმნისა და არსებობის მიზნებს, არამედ იმიტომაც, რომ მისი გაზიარება პრაქტიკულად გამოიწვევდა საქმეთა დაუსრულებლად მოძრაობას ქვემდგომი ინსტანციებიდან ზემდგომ ინსტანციებში და პირიქით. თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს უფლება ექნება არ გაიზიაროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და აქედან გამომდინარე სხვა მითითებები, თუ მას ექნება უფლება არ შეცვალოს თავისი თავდაპირველი საკასაციო სასამართლოს თვალსაზრისით, მცდარი სამართლებრივი შეფასება, მაშინ მით უფრო, იგივე უფლებებით შეუძლია ისარგებლოს ზემდგომმა სასამართლომ, რომელიც ცხადია კვლავ გააუქმებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც ხელახალი განხილვის შემდეგ განმეორებით ექნება გასაჩივრებული საკასაციო სასამართლოში და ა. შ. დაუსრულებლად. ასეთ პირობებში, მართლმსაჯულების ერთიანობაზე და სამართლის განვითარების ინტერესებზე საუბარიც კი, ზედმეტი იქნება.

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი სინამდვილეში არ არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპს. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება სრულებითაც არ ნიშნავს სასამართლოს (მოსამართლის) უფლებას გაიგოს კანონის აზრი ისე, როგორც მას სურს ან როგორც მას ეს მიაჩნია ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიზანშეწონილად. თვითნებობა კანონის ინტერპრეტაციის დროს დაუშვებელია. სასამართლომ კანონის განმარტების დროს უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისი მეთოდებით და ხერხებით, მათ შორის, მხედველობაში მიიღოს თუ რა მიზნით და რა კონკრეტული შედეგის მისაღწევად, რომელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად (დასარეგულირებლად) იქნა იგი მიღებული, რომელ კონკრეტულ ცხოვრებისეულ ფაქტებს უკავშირებს იგი იურიდიული შედეგის დადგომას და ა. შ.<sup>17</sup>

ემორჩილება მხოლოდ კანონს – უნდა გავიგოთ ისე, რომ სასამართლო ემორჩილება ამ კანონის ნამდვილ აზრსა და შინაარსს. მცდარად გაგებული კანონისადმი დამორჩილება იქნება არა კანონისადმი დამორჩილება, არამედ ამ კანონის აზრის დამახინჯება, რაც ამ კანონის დარღვევას იწვევს. კანონის დამახინჯება–დარღვევის გამოსწორებისათვის კი, არსებობს საკასაციო ინსტანციის სასამართლო. მთლიანად ვიზიარებთ შეხედულებას, რომლის თანახმად, „საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულო ხასიათი არ არღვევს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დამოუკიდებლობას.“ სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ სამართლის ფარგლებში, რასაც

განეკუთვნება საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სავალდებულობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმები.<sup>18</sup>

### III. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი თვით საკასაციო სასამართლოსათვის

სავალდებულოა თუ არა საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება თვით საკასაციო სასამართლოსათვის? ეს საკითხი წამოიჭრება მაშინ, როდესაც საკასაციო სასამართლოში კვლავ შემოვა საკასაციო საჩივარი გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილია საკასაციო სასამართლოს მიერ ხელახლა განსახილველად ადრე დაბრუნებულ საქმეზე. ყველაფერი რაც ითქვა ქვედა ინსტანციის სასამართლოსათვის საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულობის შესახებ, თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნას ასევე, საკასაციო სასამართლოსათვის. საკასაციო სასამართლო, სულერთია იგივე პალატა თუ შემადგენლობა იხილავს განმეორებით შემოსულ საკასაციო საჩივარს თუ სხვა შემადგენლობა (პალატა), ვალდებულია დაემორჩილოს იმ სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში), რაც საფუძვლად დაედო ადრე ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას (თვითშეზღუდვის პრინციპი). წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საქმე განსახილველად გადაეცემა უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ გამონაკლისებზე ამ პრინციპიდან, როცა საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ „დაადგინა საქმის ახალი გარემოებები ან როცა ამ პერიოდში შეიცვალა კანონი. საკუთარი სამართლებრივი შეფასება საკასაციო სასამართლოსათვის მაშინაც არ არის სავალდებულო, როდესაც გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, ის სამართლებრივი შეფასება, რომელიც მას საფუძვლად დაედო – შეიცვალა.“<sup>19</sup>

### IV. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მეხუთე პუნქტის პირველი წინადადების დანაწესით, უზენაესი სასამართლოს დიდი პალა-

ტის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის.<sup>20</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენებაზე დაქმნის არარსებობა კანონის ხარვეზს არ წარმოადგენს და ამით კანონმდებელმა სწორად და საფუძვლიანად გააანალიზა სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის სპეციფიკა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ კვალიფიკაციას ე. ი. წარსულში უკვე შედავებულ და გამოკვლეულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები, ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ ტიპის შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს და არა სამართალს. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მესამე ნაწილის ფართო განმარტება, ამ ნორმის გავრცელება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უცხოა სააპელაციო სამართალწარმოებისათვის, დაუშვებელია.

დიდი პალატის ამ გადაწყვეტილებით შეიცვალა საქართველოში დამკვიდრებული არასწორი სასამართლო პრაქტიკა და დაუშვებლად იქნა მიჩნეული სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

ამავე გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილდა აღიარებითი სარჩელის სამართლებრივ ბუნებაზე. დიდმა პალატამ განმარტა, რომ იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დიდმა პალატამ სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.<sup>21</sup>

კანონის ერთგვაროვანი გამოყენება აუცილებელია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დასაცავად. გარდა ამისა, სამართლებრივი სიცხადე და განჭვრეტადობა კანონის უზენაესობის განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპს აღიარებს, მოქალაქეები მოელიან, რომ მათ მიმართ მოპყრობა ისეთივე იქნება, როგორც სხვების მიმართ და მსგავს შემთხვევებში შეუძლიათ დაეყრდნონ წინა გადაწყვეტილებებს, რათა უკეთ გაიაზრონ თავიანთი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგები. ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი გაურკვევლობა, რაც დიდი ალბათობით, შეამცირებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.<sup>22</sup> კანონის ერთგვაროვანი გამოყენება ხელს უწყობს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და აძლიერებს საზოგადოების მხრიდან სამართლიანობისა და მართლმსაჯულების აღქმას.<sup>23</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემსახურება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. იმ პირობებში, როდესაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მეხუთე პუნქტის პირველი წინადადების დანაწესი იმპერატიულად ადგენს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასების (ნორმის განმარტების) სავალდებულოებას ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის, ირღვევა თუ არა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული მოსამართლის დამოუკიდებლობის ფუნდამენტური პრინციპი?

ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2017 წლის 20 ნოემბრის #20 (2017) დასკვნაში წარმოდგე-

ნილი რეკომენდაციები – სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინტერპრეტაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე, გულისხმობს კანონის ერთგვაროვან გამოყენებას. განსხვავებული ინტერპრეტაცია, როგორც სასამართლო სისტემის დამახასიათებელი თავისებურება – დასაშვებია.<sup>24</sup>

მოსამართლეებმა თანმიმდევრულად და ერთგვაროვნად უნდა გამოიყენონ კანონი, მაგრამ როდესაც სასამართლო გადაწყვეტს არსებული პრეცედენტული სამართლიდან (საქართველოს შემთხვევაში – უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასებიდან, ხაზგასმა ჩემია – ვ. ხ.) გადახვევას, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ მიუთითოს აღნიშნულის შესახებ.<sup>25</sup> დასაბუთებიდან ნათლად უნდა იკვეთებოდეს, რომ მოსამართლემ იცოდა როგორ ადგენს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლისგან განსხვავებულ მიდგომას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, საფუძვლიანად უნდა განიმარტოს, თუ რატომ ვერ დარჩება ძალაში კონკრეტულ საკითხზე მანამდე არსებული მიდგომა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი იმის დადგენა, რამდენად გააზრებულად არჩია მოსამართლემ პრეცედენტიდან გადახვევა (ანუ, რამდენად მიზანდასახულად გადაუხვია მოსამართლემ პრეცედენტული სამართლიდან, რათა გადასინჯულიყო დამკვიდრებული მიდგომა), თუ სასამართლომ არ გაითვალისწინა არსებული პრეცედენტი ან უბრალოდ არ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. პრეცედენტული სამართლიდან ასეთი გადახვევა არ შეიძლება იწვევდეს დისციპლინურ სანქციას ან გავლენას ახდენდეს მოსამართლის შეფასებაზე. მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი სამართლის ნამდვილი განვითარების მიღწევა. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება მივიჩნიოთ მიკერძოებულ დამოკიდებულებად და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევად. კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მისი ხისტი გამოყენება და სამართლის სწორად განვითარების არაჯეროვანი შეზღუდვა, მან ასევე არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი.<sup>26</sup>

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75-ე პრიმა მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

## დასკვნა

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ასრულებენ განუსაზღვრელად დიდ როლს კანონების ერთგვაროვნად გაგების, სამართლის განვითარებისა და ერთიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებაში. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის, მათი მაღალი იურიდიული ღირსებისა და დასაბუთებულობის გამო, რაც უქმნის მათ მაღალ ავტორიტეტსა და დამაჯერებლობას. სწორედ ამ მაღალი იურიდიული ღირსების გამო, ფართოდ გამოიყენება არამართო მოსამართლეების, არამედ საქმეში მონაწილე პირებისა და მათი წარმომადგენლების მიერ სარჩელის, შესაგებლისა თუ საჩივრების დასაბუთების დროს.


თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე მიზანშეწონილად მიიჩნევს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასებიდან (ნორმის განმარტებიდან) გადახვევას, ეს ნათლად უნდა იყოს მითითებული გადაწყვეტილებაში. დასაბუთებიდან მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, რომ მოსამართლემ იცოდა აღნიშნულ საკითხზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განსხვავებული მიდგომის შესახებ და საფუძვლიანად უნდა იყოს განმარტებული, თუ რატომ არ გამოდგა არსებული პოზიცია წინამდებარე საქმეში.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასებიდან (ნორმის განმარტებიდან) გადახვევა არ შეიძლება იწვევდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას ან გავლენას ახდენდეს მოსამართლის საქმიანობის შეფასებაზე, არამედ უნდა მოიზარებოდეს როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის ელემენტი.

## შენიშვნები:

- <sup>1</sup> დაწვრილებით კასაციის ისტორიის შესახებ იხ.: ხრუსტალი ვ., საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2009, #1, გვ. 38.
- <sup>2</sup> კასაციის მიზნის შესახებ იხ.: ხრუსტალი ვ., კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები, თენგიზ ლილუაშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., გამომც. ჯისიაი, 2003, გვ. 183.
- <sup>3</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომც. ჯისიაი, თბ., 2005, გვ. 509-510.
- <sup>4</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921წ.წ., გამომც. ივერთა მხარე, თბ., 1990, გვ. 291-307.
- <sup>5</sup> „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონი (ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2009 წლის 8 დეკემბრიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედების დღიდან).
- <sup>6</sup> ხრუსტალი ვ., კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, 2004, გვ. 149-150.
- <sup>7</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც. სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ. 684-686.
- <sup>8</sup> Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу Российской Федерации, М., Изд. Проспект, 2009, стр. 689-691.
- <sup>9</sup> Чечина Н. А., Гражданский процесс, Изд. Юриздат, М., 1968, стр. 318-319.
- <sup>10</sup> იქვე, გვ. 318.
- <sup>11</sup> Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung, Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl, 15.,völlig neu bearbeitete Auflage, Manzsche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2002, S.1451.
- <sup>12</sup> Гражданское процессуальное уложение Германии, перевод с немецкого, изд. Wolters Kluwer, 2006, стр. 175.
- <sup>13</sup> Zivilprozessordnung, Kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr.Klaus Reichold, Prof.Dr.Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2002, S.910.
- <sup>14</sup> Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchrichterlichen Rechtsprechung von Artur May, 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München. 1997, S.20-22.
- <sup>15</sup> ხრუსტალი ვ., კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, 2004, გვ. 134-139.
- <sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება, საქმეზე №ას-502-476-2015. ასევე, უზენაესი სასამართლოს განჩინებები საქმეებზე: №ას-636-594-2017, 20.12.2017; №ას-1218-1138-2017, 28.06.2018; №ას-1044-2018, 22.04.2019; №ას-780-780-2018, 22.10.2019.
- <sup>17</sup> დაწვრილებით „კანონის ინტერპრეტაციის შესახებ“ იხ.: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. სამართალი, 1997, გვ. 104-124; ასევე, Барак А., Судейское усмотрение, перевод с английского, изд. Норма, 1999, стр. 27-62. ასევე, ხრუსტალი ვ., სამოსამართლო სამართლის გავლენა სამართლის განვითარებაზე

- საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, #4, გვ. 49-55.
- <sup>18</sup> Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchrichterlichen Rechtsprechung von Artur May, 2., überarbeitete und erweiterte Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, Berlin, Bonn, München. 1997, S. 556.
- <sup>19</sup> Luke W. 7. Zivilprozessrecht, Auflage, Verlag C.H. Beck, München, 1999, S. 320.
- <sup>20</sup> საქართველოს 2010 წლის 10 დეკემბრის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.
- <sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-121-117-2016. ასევე, დიდი პალატის გადაწყვეტილებები საქმეებზე: №ას-1161-1106-2014, 30.12.2014; №ას-81-779-03, 21.07.2003; №3კ/932-02, 09.12.2002; №3კ/624-02, 09.09.2002; № 3კ/35-02, 03.01.2002.
- <sup>22</sup> CASE OF VINČIĆ and OTHERS v. SERBIA, 44698/06, December 1, 2009. <https://hudoc.echr.coe.int>.
- <sup>23</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJ) დასკვნა #20 (2017) სასამართლოების როლზე კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაში, სტრასბურგი, 2017 წლის 20 ნოემბერი.
- <sup>24</sup> CASE OF TOMIĆ AND OTHERS v. MONTENEGRO, 18650/09, April 17, 2012. <https://hudoc.echr.coe.int>.
- <sup>25</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJ) დასკვნა #11 (2008) სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის თაობაზე, სტრასბურგი, 2008 წლის 18 დეკემბერი.
- <sup>26</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJ) დასკვნა #20 (2017), სტრასბურგი, 2017 წლის 20 ნოემბერი.



# THE GRAND CHAMBER OF THE SUPREME COURT OF GEORGIA AND THE MANDATORY NATURE OF LEGAL ASSESSMENTS OF THE COURT OF CASSATION

THEORETICAL AND PRACTICAL ASPECTS

VALERI KHRUSTALI

*Doctor of Law,*

*Profesor at Grigol Robakidze University*

The Presented paper discusses the cases in which the case is transferred to the Grand Chamber of the Supreme Court of Georgia, explains the grounds for transfer; what is the mandatory nature of the legal assessments of the Court of Cassation for the court to which the case is returned for reconsideration; what is the mandatory nature of the legal assessments of the Court of Cassation. The paper presents a comparative legal analysis regarding the obligation of legal assessments of the Court of Cassation. The procedural legislation of Russia, Austria and Germany is reviewed as a case study.

While the provision the fifth paragraph of Article 17 of the Law of Georgia on Common Courts imperatively establishes the obligation of legal assessment (interpretation of the norm) of the Supreme Court for common courts of all instances, is the independence of a judge as a fundamental principle is violated? Author rejects this opinion and presents the relevant justification. The issue discussed in this paper is important from both a theoretical and a practical point of view.

# სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

## მარინე ჰვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების  
უფროსი

## ნათია ჯუღელი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი,  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების  
კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობა 2019 წლამდე არ ითვალისწინებდა სექსუალური შევიწროების დეფინიციას, საკანონმდებლო რეგლამენტაციის გზით, სამართლებრივი ვაკუუმის შევსებას ხელი შეუწყო 2017 წლის მაისში, საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირებამ. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის მე-40 მუხლი ავალდებულებს მხარეებს მიიღონ ყველა საკანონმდებლო ან საჭირო ზომა, რომ სექსუალური შევიწროება დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს.

სექსუალური შევიწროება აკრძალულია არა ერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით, მათ შორის, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა

ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი (CEDAW) თავის რეკომენდაციებში საქართველოს მიმართ, ხშირად მიუთითებდა სექსუალური შევიწროების შესახებ კანონმდებლობის იმპლემენტაციის სიმწირეზე და საქართველოს მოუწოდებდა შეემუშავებინა და გაეძლიერებინა სექსუალური შევიწროების პრევენციისა და აღმოფხვრის ეფექტიანი ზომები. ასვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სექსუალური შევიწროება, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა, გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის პირველი ნიშნულია, რომელიც მოითხოვს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას საჯარო და კერძო სფეროებში.<sup>1</sup>

2019 წლის მაისში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება განისაზღვრა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და მისი ჩადენისათვის შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელეები დაწესდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. პირის პასუხისმგებლობას ამძიმებს, თუ სამართალდარღვევა ჩადენილი იქნება განმეორებით – ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა სამართალდარღვევის ჩადენა ორი ან მეტი პირის მიმართ. დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას იზრდება ჯარიმის ოდენობა და სახდელის ზომა და ყველაზე მძიმე გარემოების არსებობისას, ჯარიმასთან ერთად, ალტერნატივის სახით, გათვალისწინებულია გამასწორებელი სამუშაოები 1 თვემდე ვადით ან ადმინისტრაციული პატიმრობა – 10 დღემდე ვადით.<sup>2</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განმარტება მოიცავს იმას, რომ საზოგადოებრივ სივრცეში ერთჯერადად გამოვლენილი ქმედება, მისი სიმძიმის მიუხედავად, შეიძლება სექსუალურ შევიწროებად დაკვალიფიცირდეს. თუმცა, სექსუალური შევიწროების სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ სივრცეში ცალკეული ფაქტების გამოვლენა, შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში სირთულეებს უკავშირდებოდეს, მაგალითად, როდესაც შემავიწროებლის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება ან რეაგირება დაგვიანებულია.<sup>3</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3<sup>2</sup> პუნქტის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული დეფინიცია ზუსტად იმეორებს სექსუალური შევიწროებისათვის დამახასიათებელ ყველა იმ ძირითად ელემენტს, რაც სტამბოლის კონვენციასა და ევროკავშირის დირექტივებშია ასახული. პირობითად, დეფინიცია შეგვიძლია სამ ძირითად ნაწილად დავყოთ, რომელთა კუმულატიური არსებობაც გვაძლევს სექსუალური შევიწროების მოცემულობას:<sup>4</sup>

1. ქცევის ფორმა – აუცილებელია, რომ ქმედება იყოს სექსუალური ხასიათის. სწორედ სექსუალური კონტაქტია განასხვავებს სექსუალურ შევიწროებას რომელიმე ნიშნით შევიწროებისაგან.
2. არასასურველობა – ქცევა მიუღებელი უნდა იყოს სავარაუდო მსხვერპლისათვის. არასასურველობა სხვადასხვანაირად შეიძლება გამოიხატოს და არ არის აუცილებელი, რომ სავარაუდო მსხვერპლმა ღიად მიუთითოს თავის უარყოფით დამოკიდებულებაზე სექსუალური ქცევის მიმართ.
3. შედეგი – სექსუალურ შევიწროებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც განზრახ, ისე განზრახვის გარეშე. ამაზე მეტყველებს დეფინიციის ჩანაწერი „მიზნად ისახავს ან იწვევს,“ რაც ყურადღებას ამახვილებს სექსუალური შევიწროების შემთხვევებში დამდგარი შედეგის მნიშვნელობაზე, კერძოდ, ადამიანის ღირსება შეილახა და შეექმნა დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი გარემო. ამდენად, ყურადღება მახვილდება არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.<sup>5</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და ქმედებაზე ვრცელდება სამართლებრივი დაცვის ის სტანდარტი, რაც დისკრიმინაციის სხვა საქმეებზე, სამართლებრივი თვალსაზრისით, სექსუალური შევიწროების დადგენის ტესტი განსხვავდება დისკრიმინაციის დადგენის ტესტისაგან. კერძოდ, თუ პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის საქმეებში, საჭიროა შესაძარებელი სუბიექტი ე.წ. კომპარატორი და დაცული ნიშანი, სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს კომპარატორი არ ჰყავს, ამასთანავე, დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის არსებობა არ არის წინაპირობა. ამასთან, სექსუალურ შევიწროებას არ აქვს გამართლება, თავისთავად არის არასწორი ქმედება თავისი პოტენციური შედეგებიდან გამომდინარე, რაც თავის თავში მოიცავს შევიწროების მსხვერპლის ღირსების შელახვას. ამდენად, სექსუალური შევიწროების ტერმინის შემოტანა საქართველოს კანონმდებლობაში, ამ ფენომენთან ბრძოლის წინააღმდეგ, მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია.<sup>6</sup>

სამართლებრივ დოქტრინაში სექსუალური შევიწროების სამი ძირითადი ფორმა გამოიყოფა: ვერბალური, არავერბალური და ფიზიკური. კერძოდ:

- **ვერბალური სექსუალური შევიწროება** შეიძლება გამოიხატოს: სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი სიტყვები/ტერმინებით; ფამილიარული, ცხოველის/ფრინველის სახელით მიმართვით; გარეგნობის, სხეულის ან/და ჩაცმულობის შესახებ არასასურველი კომენტარების, კომპლიმენტებისა ან/და ხუმრობების თქმით; სექსუალური ურთიერთობის შეთავაზებით და სხვ.
- **არავერბალური სექსუალური შევიწროება** შეიძლება გამოიხატოს: სექსუალური მხერით და ყურადღებით; სტვენა/ხვნეშით; გენიტალიების ჩვენებით და სხვ.
- **ფიზიკური სექსუალური შევიწროება** შეიძლება გამოიხატოს: ჩქმებით; ხელის წამორტყმით; კუთხეში მიმწყვდევით; ხახუნით; სხეულის ინტიმური ნაწილებით ან/და ინტიმურ ნაწილებზე შეხებით და სხვ.

თუმცა, თითოეული ეს ზემოაღნიშნული ფორმა პრაქტიკაში ქცევათა და ქმედებათა მრავალფეროვნებით ხასიათდება და მათი ამომწურავი ჩამონათვალი არც არსებობს. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუ რამდენად არის ქმედება არასასურველი სექსუალური კონოტაციის მატარებელი.<sup>7</sup>

საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებამ სექსუალური შევიწროების საქმეებზე შექმნა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი მექანიზმები, რითაც გაიზარდა სავარაუდო მსხვერპლისთვის სამართლებრივი დაცულობის ხარისხი. სწორედ ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია სასამართლოს როლი, გენდერულად მგრძობიარე პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული იქნება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ძირითადი ასპექტები სასამართლო პრაქტიკის ჭრილში. ნაშრომში სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებული იქნება ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც იკვეთება პრაქტიკაში ამ კატეგორიის სამართალდარღვევის განხილვასთან დაკავშირებით.

**საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სექსუალური შევიწროების საქმეების განხილვის სტატისტიკური მონაცემები**

წელი	განხილულ საქმეთა რაოდენობა
2019 წელი (მაისის თვიდან)	10
2020	31
2021 წლის 6 თვის მონაცემები	11

საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებს 2019 წლის მაისიდან 2021 წლის ივნისის ჩათვლით განხილული აქვს სულ 52 საქმე, რომელიც ეხებოდა საჯარო სივრცეში სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტს. რაც შეეხება, მეორე ინსტანციის სასამართლოების მონაცემებს, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესახებ საქმეები (2 საქმე) განხილული აქვს მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. ორივე საქმეზე განხილვა ჩატარდა ზეპირი მოსმენის გამართვის გარეშე.

**სექსუალური შევიწროების შესახებ საქმეთა განხილვის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით**

სასამართლო	განხილულ საქმეთა რაოდენობა
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	2
თბილისის საქალაქო სასამართლო	24
ბათუმის საქალაქო სასამართლო	12
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	5
ახალციხის რაიონული სასამართლო	4
გორის რაიონული სასამართლო	2
წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლო	1
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	2
რუსთავის საქალაქო სასამართლო	2

საანგარიშო პერიოდში შესწავლილ საქმეთა მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, საჯარო სივრცეში სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოში (24 საქმე), რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, შემდგომ ადგილზე მოდის ბათუმის საქალაქო სასამართლო (12 საქმე) და ქუთაისის საქალაქო სასამართლო (5 საქმე).

აღსანიშნავია, რომ სულ შესწავლილი 53 საქმიდან,<sup>8</sup> 40 საქმეში სასამართლომ იმსჯელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტის დადგენაზე, 2 საქმეში – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტის დადგენა-

ზე, ხოლო 10 შემთხვევაში – ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სავარაუდო სამართალდარღვევის შესახებ.

რაც შეეხება, სავარაუდო სამართალდამრღვევთა/შემავიწროებელთა შესახებ ინფორმაციას, დადგენილებებიდან ირკვევა, რომ საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ყველა შემთხვევაში იდენტიფიცირებული სავარაუდო სამართალდამრღვევი 53 პირიდან ყველა იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი, აქედან მხოლოდ ერთი პირი იყო უცხო ქვეყნის (ინდოეთის) მოქალაქე. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პირთაგან მხოლოდ ერთი იმყოფებოდა საქმის განხილვის პერიოდში ადმინისტრაციული პატიმრობის ქვეშ. ამასთან, 2 საქმეში სავარაუდო შემავიწროებლის ქმედება მოიცავდა გარდა სექსუალური შევიწროებისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს ( სასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლები).

შესწავლილი საქმეების მიხედვით, სექსუალური შევიწროების სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტი ჩადენილია დაახლოებით, 57 პირის მიმართ (აღსანიშნავია, რომ 4 დადგენილებაში არ იკითხებოდა პირთა/სავარაუდო შევიწროებულთა შესახებ ინფორმაცია). რაც შეეხება, მათ სქესს, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში (52 პირი) სავარაუდო შევიწროებული იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, მათგან 5 არასრულწლოვანი, აგრეთვე, 7 პირი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე<sup>9</sup>, ხოლო 2 პირი იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი. მოცემული სტატისტიკური მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სექსუალური შევიწროება ეს არის ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა.

კვლევამ აჩვენა, რომ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (91%) სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი ჩადენილია უცნობ პირთა (48 სავარაუდო სამართალდამრღვევი) მხრიდან, 3 შემთხვევაში მეზობლის, ხოლო 2 საქმეში იკვეთებოდა ახლობლის მიერ.

სექსუალური შევიწროების ადგილი	შემთხვევათა რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	8
მიწისქვეშა გადასასვლელი	1
რესტორანი	1
ლიფტი	2
სადარბაზო	3
ქუჩა	34
სხვა ადგილი	4

გარემო და დრო ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საჯარო სივრცეებში ჩადენილი სექსუალური შევიწროების ფაქტების თვალსაზრისით. სავარაუდო მსხვერპლი განსაკუთრებით

მოწყვლადია გადატვირთულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ჩაბნელებულ პარკებში/სკვერებში; ხალხმრავალ და ხმაურიან ბარებში/კლუბებში, სადაც ალკოჰოლის მოხმარებაც მაღალია. მსგავსი სიტუაციები ახალისებს შემავიწროებელს, რომ მიუღებელი სექსუალური ქცევა განახორციელოს.<sup>10</sup>

სტატისტიკური მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ ყველაზე ხშირად საჯარო სივრცეში სექსუალურ შევიწროებას ადგილი აქვს ქუჩაში, შემთხვევათა სიმრავლით, შემდგომ ადგილზე მოდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული დადგენილებებიდან 10 შემთხვევაში, არ იკითხებოდა სექსუალური ხასიათის კონკრეტული რა ქმედება განახორციელა სავარაუდო სამართალდამრღვევმა, დანარჩენ შემთხვევაში ირკვეოდა, რომ სახეზე იყო სექსუალური შევიწროების შემდეგი ფორმები:<sup>11</sup>

- კოცნა – 6 საქმეში;
- კოცნის გაგზავნა – 1 საქმეში;
- ხელის შეხება სხეულის სხვადასხვა მიდამოებში – 23 საქმეში;
- გენიტალიების ჩვენება – 8 საქმეში;
- სექსუალური კავშირის დამყარების შეთავაზება – 4 საქმეში;
- სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა – 9 საქმეში;
- არასასურველი ხასიათის ფოტო-სურათებისა და შეტყობინებების გაგზავნა – 1 საქმეში;
- სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაცია – 1 საქმეში.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტეს შემთხვევაში, სექსუალური შევიწროების ყველაზე ხშირ ფორმას წარმოადგენს სხეულის სხვადასხვა მიდამოებში ხელით შეხება.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებით განსაზღვრული  
პასუხისმგებლობის სახეები**

ჯარიმა	39
ადმინისტრაციული პატიმრობა	1
გამასწორებელი სამუშაო	1
გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა	7
შეწყდა წარმოება	5

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასამართლო ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს აკისრებს ჯარიმას. პრაქტიკაში შეგხვდა ისეთი დადგენილებებიც, რომლითაც პირი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახეებიდან ყველაზე ნაკლებად გვხვდება გამასწორებელი სამუშაოს ან ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ 5 საქმეზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება (4 საქმეში პირის ფსიქიკური მდგომარეობის, ხოლო 1 შემთხვევაში – ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო).

### ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლები და მიზნების განხორციელება სტანდარტით

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანაა საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა და მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით. იმისათვის, რომ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის დაედოს სახდელი, აუცილებელია დადგინდეს, რომ მან დაუშვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. ასკ-ის მე-10 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნებას, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სახდელის დაკისრებისათვის აუცილებელია პირის ქმედება შეიცავდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ, ბრალეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემადგენლობას.<sup>12</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სექსუალურ შევიწროებად შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს საზოგადოებრივ სივრცეში ერთჯერადად გამოვლენილი ქმედება (მისი სიმძიმის მიუხედავად), ასევე სექსუ-

ალური შევიწროება შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის ქცევათა კასკადს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების სექსუალურ შევიწროებად დაკვალიფიცირებისათვის ერთ-ერთ არსებით საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა იყო თუ არა მსხვერპლის მხრიდან აღნიშნული ქმედება აღქმული როგორც არასასურველი. ამასთან, მნიშვნელოვანია დადგინდეს, ხსენებული ქმედება ობიექტურად იყო თუ არა განჭვრეტადი, როგორც არასასურველი. ამასთან, სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით გამოყოფენ სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კრიტერიუმი გამოიხატება შემავიწროებლის დამოკიდებულებაში მისი ქცევის მიმღებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული მესამე პირის მიერ გონივრულობის ფარგლებში.<sup>13</sup>

სექსუალურ შევიწროებად ქმედების დაკვალიფიცირებისათვის ასევე, უნდა იქნას შესწავლილი და შეფასებული ქცევის ფორმა, მისი ხანგრძლივობა (იყო ის თუ არა ერთჯერადი, განმეორებადი თუ განგრძობადი); მსხვერპლსა და შემავიწროებელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი; მსხვერპლის პიროვნული თუ სხვა სოციალური მახასიათებელი (ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილება და სხვ). ამასთან, სექსუალური შევიწროების ფაქტების შეფასებისას, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ინდივიდუალურ თუ ორგანიზაციულ/გარემო პირობებსაც, რაც მსხვერპლისათვის დაუცველ სივრცეს ქმნიდა და ახალისებდა შემავიწროებელს.<sup>14</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნებისათვის, სექსუალური შევიწროების დასადგენად, მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების ერთობლივად არსებობა:

1. ადგილი უნდა ჰქონდეს სექსუალური ხასიათის ქცევას;
2. სექსუალური ხასიათის ქცევა ჩადენილი უნდა იქნეს საჯარო სივრცეში (საზოგადოებრივ ადგილებში);
3. სექსუალური ხასიათის ქცევა არასასურველი უნდა იყოს იმ პირისთვის ვისკენაც არის მიმართული;
4. სექსუალური ხასიათის ქცევა მიზნად უნდა ისახავდეს ან/და იწვევდეს იმ პირის ღირსების შელახვას, ვისკენაც არის მიმართული;
5. სექსუალური ხასიათის ქცევა უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს იმ პირისათვის, რომელსაც მიემართება.<sup>15</sup>

ძირითად შემთხვევაში, სექსუალური შევიწროება მისი ბუნებით და შინაარსით წარმოადგენს ფარულ ქმედებას, რომელიც ხილულია მხოლოდ სავარაუდო მსხვერპლისა და

შემაჯიწროებლისათვის, შესაბამისად, სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის მიზნით, გართულებულია მოწმეების ან/და მატერიალური მტკიცებულებების მოპოვება. სექსუალური შევიწროების ფაქტის დასადაგენად ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებათა სახეს წარმოადგენს როგორც პირდაპირი (რომლებიც გახდნენ სექსუალური შევიწროების ფაქტის/ფაქტების თვითმხილველი), ისე ირიბი (რომელთათვისაც ცნობილი გახდა სექსუალური შევიწროების შესახებ სავარაუდო მსხვერპლის ან მესამე პირის მხრიდან) მოწმეთა არსებობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არაპირდაპირ მოწმეს იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლის პირველი რეაქციაა არასასურველი სექსუალური გამოცდილების ისეთი ადამიანისათვის გაზიარება, ვისაც ენდობა და არა სამართლებრივი დაცვის გზების ძიება. ამასთან, არაპირდაპირი მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებისთვის სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რამდენად თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოსცემს მსხვერპლის მონათხრობს მოწმე.<sup>16</sup>

აღსანიშნავია, რომ მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის შესამოწმებლად, კანადის ადამიანის უფლებათა ტრიბუნალები იყენებენ სანდოობის ტესტს, რომელიც რამდენიმე სტადიას მოიცავს. უპირველეს ყოვლისა, მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია განიხილება, როგორც ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი მტკიცებულება და ისეთ ფაქტორებს ექცევა ყურადღება, როგორიცაა მოწმის მეხსიერება, სიზუსტე/ზუსტობა და რამდენად არის მისი მონათხრობი სარწმუნო. ამ ეტაპის გავლის შემდეგ, მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეფასება და შედარება ხდება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიები, საქმის შემსწავლელი ორგანო/პირი სარწმუნოდ იღებს იმ ვერსიას, რომელიც თანმიმდევრულია ალბათობათა უპირატესობის (preponderance of probabilities) თვალსაზრისით, რომელიც გონივრულად იქნებოდა მიჩნეული პრაქტიკულად მოაზროვე, ინფორმირებული ადამიანისათვის, ადგილისა და გარემოების გათვალისწინებით. შესაბამისად, სხვადასხვა მოწმეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ უნდა განვიხილოთ იზოლირებულად, არამედ მტკიცებულებათა ერთობლიობის გათვალისწინებით.<sup>17</sup>

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მტკიცების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ თვითმხილველი მოწმეები, რომელთა ჩვენებები, ახსნა-განმარტებები მომეტებული ინფორმაციულობით გამოირჩევა და წარმოადგენს საქმის მტკიცებულების უმნიშვნელოვანეს წყაროს. თუმცა, როგორც სასამართლო მიუთითებს, მოწმეთა ეს ჯგუფი შედარებით მცირეა და მას ძირითადად, პოლიციის ოპერატიული მუშაკები შეადგენენ. მოსამართლის შეფასებით, თვითმხილველთა ამ ჯგუფს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებთ, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, თავისი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი

ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. შესაბამისად, თვითმხილველ მოწმეთა ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება უკავშირდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.<sup>18</sup>

გემოაღნიშულიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, რათა ადეკვატურად შეაფასოს მოვლენა, მისი ახსნა-განმარტება თვით სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის ხილვით, თანდასწრებით არის შექმნილი და შესაბამისად, მტკიცებულების ეს წყარო არის შეუცვლელი. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, საჯარო მოსამსახურის ახსნა-განმარტება შეიცავს სანდოობის ნიშანს, რასაც მნიშვნელობა აქვს მოსამართლის შინაგანი რწმენის ფორმირებისათვის, ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც განაპირობებს კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზიუმირებას.<sup>19</sup>

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საქმეზე შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ინფორმაცია/მტკიცებულება:

- სავარაუდო მსხვერპლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია;
- შემთხვევის შემსწრე პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია;
- იმ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლებსაც შემთხვევიდან მალევე ჰქონდათ მსხვერპლთან კომუნიკაცია და ამ უკანასკნელმა მას მოუყვა ფაქტობრივი გარემოებები;
- მსხვერპლის ან/და მესამე პირების მიერ გაკეთებული ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი;
- სათვალთვალო ვიდეო-კამერის ჩანაწერები;
- სავარაუდო სამართალდამრღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ეს მტკიცებულები არ არის ამომწურავი და შესაძლებელია, პოლიციელმა მოიპოვოს და სასამართლოში წარადგინოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს სექსუალური შევიწროების ჩადენის ფაქტს.<sup>20</sup>

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესახებ დადგენილებების შესწავლამ აჩვენა, რომ სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ხალხმრავლობის მიუხედავად, ამგვარი საქმეები არ გამოირჩევა მოწმეთა სიუხვით, ამასთან, პრაქტიკაში ნაკლებად გვხვდება სათვალთვალო ვიდეოკამერის ან სხვაგვარი ვიდეო ან აუდიო ჩანაწერების მტკიცებულებად წარმოდგენის და შემდგომში სასამართლოს მიერ გამოყენების შემთხვევები.

## მთავრების ძვირთი

სექსუალური შევიწროების საქმეებზე ვრცელდება დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისათვის არსებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup>ე მუხლის მიხედვით, პირმა სახალხო დამცველს/სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, სავარაუდო შემავიწროებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან არასასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას ადგილი არ ჰქონია. სავარაუდო შემავიწროებლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის მხოლოდ ზოგადი უარყოფა არ იქნება წონადი არგუმენტი, თუ მას უპირისპირდება მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება.<sup>21</sup>

სექსუალური შევიწროების შემთხვევებში, ხშირად „სიტყვა სიტყვის წინააღმდეგ“ არის და არ არსებობს მტკიცებულებათა ფართო სპექტრი, მხარეთა სანდოობის შეფასება კრიტიკულად არსებითია. მხარეების სანდოობის (credibility) განმსაზღვრელი ცალკეული ფაქტორებია:

- **ქცევა:** შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ადამიანის ნაამბობი სიმართლედ ან სიცრუედ;
- **ფაქტის გაყალბების მოტივი:** აქვს თუ არა პირს სიცრუის მიზეზი;
- **დამაჯერებლობა:** არის თუ არა მტკიცებულება ერთი შეხედვით, დამაჯერებელი და აქვს თუ არა არსებითი მნიშვნელობა;
- **დადასტურება:** არსებობენ თუ არა მოწმეები ან/და სხვა მტკიცებულება, რომელიც მხარის ჩვენებას გაამყარებდა;
- **წარსული ქცევა:** აქვს თუ არა სავარაუდო შემავიწროებელს მსგავსი არასასურველი სექსუალური ქცევის ისტორია.<sup>22</sup>

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,<sup>23</sup> ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი უარყოფდა სამართალდარღვევის ფაქტს. მისი განმარტებით, ის მხოლოდ დაეხმარა მეზობელს თხილის დაბერტყვაში, რადგან თვითონ მეზობელმა სთხოვა და მისი მხრიდან სექსუალური ხასიათის რაიმე ქცევას არასრულწლოვნის მიმართ ადგილი არ ჰქონია. მისი მტკიცებით, ბავშვმა მეზობლური კონფლიქტის გამო განაწყენებულ დედასთან ერთად გადაწყვიტა პრობლემები შეექმნა ადამიანისთვის, რომელიც ხშირად დახმარებია მის ოჯახს.

მოცემულ საქმეში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ წარსულში ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არაერთხელ იჩინდა მსხვერპლის მიმართ სიახლოვის სურვილს. მოცემულ დღეს კი, როდესაც მან განახორციელა არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური შევიწროება, ისინი იმყოფებოდნენ თხილნარში, რომელიც იყო იმგვარად შემოღობილი, რომ უცხო პირებსაც შეეძლოთ მასში მოხვედრა. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა თხილის დაბერტყვის პირობის შესრულების შემდეგ, მსხვერპლს ჩამოუგდო საუბარი მის შეყვარებულზე და სთხოვა მისთვის ერგებინა შეყვარებულის ფოტოები ტელეფონში. ნ. დათანხმდა, რა დროსაც თ. ზედმეტად ახლოს მივიდა მასთან – სხეულით მიეყრდნო და ნიკაპი მარჯვენა მკლავზე დაადო, თუმცა, მსხვერპლმა მას ტელეფონი დაუტოვა და მოშორებით გაიწია. მათ გააგრძელეს საუბარი თხილნარის შესახებ, თ. აჩვენებდა ხეებს (ძირებს), რომელიც უნდა მოეჭრათ ზამთრისთვის და გამოეყენებინათ შეშად. ამ საუბარში ის კვლავ მიუახლოვდა მსხვერპლს და უკნიდან, წელზე შემოხვია ხელები, შემდეგ კვლავ წელიდან ხელები შეუცურა მაისურის ზემოდან და ჯერ მუცელზე, შემდეგ მკერდთან დაადო. ნ. შეეშინდა და ვითომ არაფერი მომხდარა, ნელ-ნელა სახლის მიმართულებით წავიდა. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმაც შეწყვიტა მოქმედება და შინ წავიდა. ეს ქმედებები ორივემ დააიგნორეს და აღნიშნულის შესახებ ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ.

სახლში მისული ნ. ნერვიულობდა, ტიროდა, შეურაცხყოფილი შინ გარკვეული პერიოდი მართო იყო, რა დროსაც ესაუბრა ფსიქოლოგს ტელეფონით. დედის თხოვნით, მსხვერპლი მის მეგობარ ფსიქოლოგთან ვიზიტზე მივიდა და მასაც მოუყვა იგივე. ისინი შეთანხმდნენ პოლიციაში განცხადების გაკეთებაზე.

მოცემულ საქმეში, სასამართლომ მტკიცებულებებზე (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ახსნა-განმარტებები, დაზარალებულის ჩვენების, სისხლის სამართლის საქმეზე არსებული გამოკითხვის ოქმები, დადგენილება სს საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ინფორმაცია პიროვნების საიდენტიფიკაციო მონაცემების, ნასამართლობის და ადმინისტრაციული შემოწმების შესახებ, აგრეთვე ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით) დაყრდნობით დაადგინა, რომ სახეზე იყო სექსუალური შევიწროების ფაქტი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს სახდელის სახედ და ზომად განუსაზღვრა სასკ-ის 166<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჯარიმის გადახდა 600 ლარის ოდენობით.

ზემოთ განხილული სასამართლო პრაქტიკის მაგალითიდან ნათლად იკვეთება, რომ მსხვერპლმა სამართალდამრღვევს აშკარა წინააღმდეგობა არ გაუწია – „შეეშინდა და ვითომ არაფერი მომხდარა ნელ-ნელა სახლის მიმართულებით წავიდა.“ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ სექსუალური ქმედების არასასურველობა ობიექტურად და მტკიცებულებებზე დაყრდნობით მართებულად შეაფასა. კერძოდ, სექსუალური შევიწროების მსხვერპლი არ არის ვალდებული, რომ ამტკიცოს მის მიერ აგრესიულად გამოხატული წინააღმდეგობა ან ის, რომ აშკარად გამოხატა ქმედების არასასურველობა. საკმარისია მსხვერპლმა მიუთითოს, რომ კონკრეტული სექსუალური შინაარსის კომენტარები ან ქმედება არასასურველი იყო; ან შემა-ვიწროებელს გონივრულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა, რომ ის მიუღებელი იქნებოდა.<sup>24</sup>

ანალოგიურად, არასასურველობაზე მიუთითებლობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გადამწყვეტი, თუ გონივრულობის ფარგლებში კონკრეტული ქცევა შეურაცხმყოფელი არ არის. ამდენად, პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ ქმედება, გონივრულობის ფარგლებში ცალსახად, შეურაცხმყოფელი არ არის და ვიდრე სავარაუდო მსხვერპლი არასასურველობაზე არ მიუთითებს.<sup>25</sup>

სექსუალური შევიწროებით დამდგარი შედეგი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და ფაქტის დადგენის არსებით ინდიკატორად მიიჩნევა. კონკრეტული არასასურველი სექსუალური ქცევის აღქმა, მსხვერპლში სხვადასხვა გრძნობებსა და განცდებს უკავშირდება და უმრავლეს შემთხვევაში, ღირსების შელახვის, შეურაცხყოფის, დამცირების ან/და შიშის ემოციებს აღძრავს.<sup>26</sup>

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობა

თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით ან დამრღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა.<sup>27</sup>

სასამართლო განმარტავს, რომ დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების და მისთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს მის მიერ ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, რომელიც საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მხრიდან მიჩნეული იქნება მცირე მნიშვნელოვად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ განმარტავს მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნებას და არც სხვა უფრო მნიშვნელოვანი სამართალდარღვევებიდან გამიჯვნის კრიტერიუმებს ადგენს. კანონმდებელი ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართალდარღვევის ხასიათის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და მისთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებასთან დაკავშირებით, დისკრეციულ უფლებამოსილებას საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) ანიჭებს.

სასამართლოს შეფასებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მცირე მნიშვნელოვან სამართალდარღვევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აკრძალული ისეთი ქმედება, რომელიც მართალია, შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო, არ გამოუწვევია ისეთი ზიანი ან/და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ისეთი დარღვევა, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენი პირისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

**მაგალითად, მოცემულ საქმეში,<sup>28</sup> სავარაუდო სამართალდამრღვევი ახლო მანძილზე მიყვებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს (ქალს), სიარულისას საუბრობდა ტელეფონზე, ეხებოდა საკუთარ გენიტალიებს და უყურებდა ქალბატონს, რომელიც რამდენჯერმე შეჩერდა, მიმართა უცხო ენაზე თუმცა, ვერ გაიგო რა უთხრა, უცხო ენა თვითონ არ იცის და ვერ უპასუხა. ამ საქმეში, სახდელის დადებისას სასამართლომ მიუთითა, რომ გაითვალისწინა საქმის ყველა გარემოება, სამართალდარღვევის ხასიათი, ქმედების მართლწინააღმდეგობრიობის ხარისხი, დამრღვევის პიროვნება, ასაკი, ასევე, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა სამართალდამრღვევის მხრიდან, რის შედეგადაც გადაცდომა მიიჩნია, როგორც მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევად, პირი გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით.**

#### საჯარო სივრცის ბანმართება

საჯაროდ სივრცედ, ანუ საზოგადოებრივ ადგილად უნდა ჩაითვალოს ისეთი სივრცე (ტერიტორია ან ადგილი), სადაც ნებისმიერ პირს აქვს ყოფნის უფლება ან ამ უფლების მოპო-

ვების შესაძლებლობა, ანუ სივრცე ღია და ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისთვის. ეს არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, როგორებიცაა: პლაჟები, სკვერები და პარკები, დამაკავშირებელი სივრცეები – ტროტუარები და ქუჩები. კონკრეტული ტერიტორია შესაძლოა არსებობდეს კერძო საკუთრებაში, თუმცა, ის მაინც იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. საჯარო სივრცე შეიძლება იყოს როგორც ღია, ისე დახურული.

მაგალითად:

– ღია საჯარო სივრცეა ქუჩა, ეზო, სკვერი, პარკი, დაწესებულების გარე ტერიტორია და ა. შ.

– დახურული საჯარო სივრცეა კაფე, რესტორანი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კინო-თეატრი, საკონცერტო დარბაზი, გასართობი ობიექტები, მაღაზია და ა. შ.<sup>29</sup>

საინტერესოა პრაქტიკაში თუ როგორ განმარტავს სასამართლო საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილს, რამდენადაც იგი მნიშვნელოვანია სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე სახალხო დამცველისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის თვალსაზრისითაც.<sup>30</sup> მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში<sup>31</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ მსხვერპლის კუთვნილი თხილნარი, სადაც მისი მტკიცებით განხორციელდა სექსუალური შევიწროების ფაქტი, წარმოადგენდა საჯარო სივრცეს, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილს, ვინაიდან იგი [თხილნარი] არ იყო იმგვარად შემოღობილი, რომ შეუძლებელი ყოფილიყო უცხო პირთა, განსაკუთრებით მეზობლების და მათ მიერ დაქირავებული პირების მოხვედრა. ამდენად, სასამართლოს შეფასებით თხილის მოსავლის აღების პერიოდში თხილნარი მთელი დღის მანძილზე იყო ხალხმრავალი ადგილი, შესაბამისად, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი ჩადენილი იყო საჯარო სივრცეში.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილმა დადგენილებებმა ნათლად გამოკვეთა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტები ჩადენილია ქუჩაში ან ისეთ ხალხმრავალ ადგილას, რომელიც ზოგადად, მიიჩნევა, როგორც საჯარო სივრცე, შესაბამისად, სასამართლოს დადგენილებებში დამატებითი განმარტებები ამ მხრივ, ნაკლებად გვხვდება. თუმცა, სოციალური ქსელების მზარდი პოპულარობის გათვალისწინებით, პრაქტიკაში უკვე დაფიქსირდა ერთი შემთხვევა,<sup>32</sup> რომელიც შეეხებოდა სოციალური ქსელის – „ფეისბუქის“ მეშვეობით პირადი შეტყობინებების გაგზავნის გზით, სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტს. ამ საქმეში, სასამართლომ დაადგინა სექსუალური შევიწროება და მიიჩნია, რომ შემავიწოვრებელსა და მსხვერპლს შორის ვირტუალურ სივრცეში არსებული პირადი კომუნიკაცია წარმოადგენდა საზოგადოებრივ სივრცეს, თუმცა, მსჯელობა თუ რამ განაპირობა ამგვარი ფართო განმარტების გაკეთება, დადგენილებაში სათანადოდ არ არის გავრცობილი.

## ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევისათვის სახდელის დადებისას, ზოგადი წესების მიხედვით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი), მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,<sup>33</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული სამართალდამრღვევის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოხატული ზომიერად კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი ქცევისადმი და ინკრიმინირებულ სამართალდარღვევის აღიარება.

სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად სამართალდამრღვევის მიმართ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულ იქნა შემავიწროებლის ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი 52 საქმიდან 8 საქმეში სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა სამართალდამრღვევის მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ან/და არასრულწლოვნის თანდასწრებით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,<sup>34</sup> რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ არასასურველ სექსუალური ხასიათის ქცევას, რაც გამოიხატა საჯარო სივრცეში არასრულწლოვნის უკანაღზე ხელის შეხებითა და მისი სექსუალური ხასიათის ფრაზებით მოხსენიებით, სასამართლომ ვრცლად მოიხმო „ბავშვის უფლებათა კოდექსიდან“ შესაბამისი განმარტებები. კერძოდ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების საკითხზე. ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებისას კი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების არარსებობის პირობებში (ასკ-ს 34-35 მუხლები), სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სახდელის მიზანი მიიღწეოდა სამართალდამრღვევის დაჯარიმებით. შესაბამისად, შემავიწროებელს ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით (რაც წარმოადგენს ასკ-ს 166<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის მინიმალურ ოდენობას).

კვლევის ფარგლებში შესწავლილი 53 დადგენილებიდან, მხოლოდ ერთ საქმეში შეგხვდვა, რომ სამართალდარღვევა ჩადენილი იყო განმეორებით. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში,<sup>35</sup> სამართალდამრღვევმა საზოგადოებრივ ტრანსპორტში განახორციელა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლის ღირსების

შელახვა. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის მიხედვით, სამართალდამრღვევის პიროვნების, ბრალის ხარისხის, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ გამასწორებელი სამუშაოს გამოყენება 1 თვემდე ვადით უზრუნველყოფდა ადმინისტრაციული სახდელის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მიზნების მიღწევას.

## შეჯამება

საქართველოს კანონმდებლობა დემოკრატიული მართლწესრიგის მქონე სხვა ქვეყნების მსგავსად, სექსუალურ შევიწროებას დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად აღიარებს. 2019 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, სექსუალური შევიწროების დეფინიციის შესახებ ჩანაწერის შემოღებით სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლებისთვის შექმნა უფლების დაცვის მყარი სამართლებრივი გარანტიები. იმის გათვალისწინებით, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლს უმეტესად, წარმოადგენს ქალები. ამ მხრივ, სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრა შეგვიძლია მივიჩნიოთ ქვეყანაში ქალთა თანასწორუფლებიანობის დაცვის მიმართულებით გადადგმულ ქმედით ნაბიჯად. როგორც სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წლის ანგარიშში<sup>36</sup> აღნიშნა, საქართველოში გამოწვევად რჩება სექსუალური შევიწროების პრობლემა, რომელიც ძირითადად, დასაქმების ადგილას და სამედიცინო მომსახურების მიღებისას ვლინდება. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, არცთუ იშვიათია საჯარო სივრცეში განხორციელებული სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევებიც, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მკაფიო საკანონმდებლო რეგლამენტაციამ ხელი შეუწყოს ამგვარი ფაქტების ეფექტიანად გამოვლენასა და აღკვეთას.


საანგარიშო პერიოდში საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საქმეებზე არსებულმა სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გამოავლინა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების მსხვერპლებს უმეტესად წარმოადგენენ ქალები და სექსუალური შევიწროება განხორციელებულია უცნობ პირთა მხრიდან;
- საჯარო სექსუალური შევიწროების შესახებ ყველაზე მეტი საქმე განხილულია აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, რაოდენობრივი მონაცემებით ყველაზე ხშირად ამ კატეგორიის დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო;
- უმეტესად სექსუალური შევიწროება განხორციელებულია ქუჩაში და იგი მოიცავდა სექ-

სუალური შევიწროების რამდენიმე ფორმას; ზოგიერთ დადგენილებაში არ იკითხებოდა კონკრეტულად რა სახის სექსუალურ ქმედებას ჰქონდა ადგილი მსხვერპლის მიმართ;

- ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებისას, სასამართლოები მხედველობაში იღებენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, პრაქტიკაში ყველაზე ხშირად, სამართალდამრღვევებს განესაზღვრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახედ – ჯარიმა;
- სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც პირი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო. თუმცა, რატომ იქნა მიჩნეული კონკრეტული სახის სექსუალური ხასიათის ქცევა მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევად, ამ მხრივ, დადგენილებაში ფართო შეფასებას ნაკლებად ვხვდებით;
- შესწავლილ დადგენილებებში იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომელიც ეხებოდა სოციალური მედიის ერთ-ერთი პოპულარული პლატფორმის – „ფეისბუქის“ მეშვეობით პირადი კომუნიკაციის გზით, სექსუალური შევიწროების ჩადენის ფაქტს;
- სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გამოავლინა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოები აქტიურად მოიხმობენ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს როლი ქვეყანაში ქალთა თანასწორუფლებიანობის ეფექტიანი დაცვის მიმართულებით, განუზომელია. შესაბამისად, სამართალდამრღვევთა მიმართ ადეკვატური სანქციების დაკისრებით, სასამართლო არსებითად უწყობს ხელს გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად საჭირო, სწორი და კომპლექსური პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და იმპლემენტაციას. როგორც კვლევამ წარმოაჩინა, 2019 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები პრაქტიკაში უკვე არცთუ იშვიათად გამოიყენება, რაც ქმნის იმის მყარ მოლოდინს, რომ ქალთა უფლებების შესახებ აქტიური საინფორმაციო კამპანიების პარალელურად, სექსუალური შევიწროების შესახებ საქმეთა განხილვის სტატისტიკა სასამართლოებში უფრო მოიმატებს და ამ მიმართულებით უფრო გაუმჯობესდება და განვითარდება სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, მიზანშეწონილი იქნება ამ კატეგორიის დავებზე ისეთი საკვანძო საკითხების შესახებ სასამართლოს მხრიდან უფრო ფართო განმარტებების გაკეთება, როგორებიცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირემნიშვნელობა და საჯარო სივრცის ცნება. აღნიშნულის საჭიროება განპირობებულია იმითაც, რომ აღნიშნულ ტერმინთა განმარტებებს ვერ ვხვდებით ადმინისტრაციულ სამარ-



თაღდარღვევათა კოდექსში. შესაბამისად, სოციალური მედიის მზარდი პოპულარიზაციის გათვალისწინებით, აუცილებელია გაიმიჯნოს თუ რომელ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას იგი საჯარო სივრცედ. ამასთან, ადმინისტრაციული სამართაღდარღვევის მცირე მნიშვნელობის უფრო კონკრეტული განმარტება ხელს შეუწყობს სასამართლოს მხრიდან, ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას, რადგან პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე სახის სექსუალური ხასიათის ქმედებისთვის ერთ შემთხვევაში გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახედ – ჯარიმა, ხოლო სხვა საქმეში კი, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქმედება იყო მცირე მნიშვნელობის და პირი გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

შენიშვნები:

- <sup>1</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
- <sup>2</sup> სახელმძღვანელო ქალთა და ბავშთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, გოგა ხატიაშვილი, გვ.176.
- <sup>3</sup> პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის შესახებ, სახალხო დამცველი, 2020, გვ.15.
- <sup>4</sup> პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის შესახებ, სახალხო დამცველი, 2020, გვ.12.
- <sup>5</sup> იქვე.
- <sup>6</sup> იქვე.
- <sup>7</sup> პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის შესახებ, სახალხო დამცველი, 2020, გვ.17.
- <sup>8</sup> კვლევის ფარგლებში შესწავლილია საერთო სასამართლოების მიერ მიღებული 54 დადგენილება, აქედან ორი დადგენილება (შემდგომში გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში) ერთი და იმავე საქმეს ეხებოდა.
- <sup>9</sup> აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, შვედეთის, უკრაინის, ინდოეთისა და სირიის.
- <sup>10</sup> პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის შესახებ, სახალხო დამცველი, 2020, გვ. 19.
- <sup>11</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, სექსუალური შევიწროება მოიცავდა რამდენიმე ფორმას.
- <sup>12</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 9 მარტის დადგენილება № 4-232/2021
- <sup>13</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 8 თებერვლის დადგენილება № 4/152-21
- <sup>14</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 8 თებერვლის დადგენილება № 4/152-21.
- <sup>15</sup> სახელმძღვანელო ქალთა და ბავშთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, გოგა ხატიაშვილი, გვ. 176.
- <sup>16</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 8 თებერვლის დადგენილება № 4/152-21
- <sup>17</sup> Panucci v. Seller's Choice Stockdale Realty Ltd., 2015 HRTO 1579 (CanLII), § 42;
- <sup>18</sup> სახელმძღვანელო ქალთა და ბავშთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, გოგა ხატიაშვილი, გვ. 186.
- <sup>19</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 აპრილის დადგენილება № 4/2530-20.
- <sup>20</sup> სახელმძღვანელო ქალთა და ბავშთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, გოგა ხატიაშვილი, გვ. 187.
- <sup>21</sup> პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის შესახებ, სახალხო დამცველი, 2020, გვ. 39.
- <sup>22</sup> იქვე.
- <sup>23</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 14 დეკემბრის დადგენილება საქმეზე № 4/ა-1026-20

- <sup>24</sup> პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის შესახებ, სახალხო დამცველი, 2020, გვ. 39.
- <sup>25</sup> იქვე.
- <sup>26</sup> პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური ძალადობის შესახებ, სახალხო დამცველი, 2020, გვ. 28.
- <sup>27</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი.
- <sup>28</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება № 4/ა-1249-19.
- <sup>29</sup> სახელმძღვანელო ქალთა და ბავშთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, გოგა ხატიაშვილი, გვ. 177.
- <sup>30</sup> სახელმძღვანელო ქალთა და ბავშთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, გოგა ხატიაშვილი, გვ. 181.
- <sup>31</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 14 დეკემბრის დადგენილება საქმეზე № 4/ა-1026-20.
- <sup>32</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს დადგენილება საქმეზე № 4/1670-19.
- <sup>33</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის დადგენილება საქმეზე № 4/788-19.
- <sup>34</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის დადგენილება საქმეზე № 4/255-2021
- <sup>35</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის დადგენილება საქმეზე № 4/14469-19
- <sup>36</sup> იხ.: 2021040110573948397.pdf (ombudsman.ge)

# SEXUAL HARASSMENT IN PUBLIC SPACES

REVIEW OF NATIONAL JUDICIAL PRACTICE

PROF. DR. MARINA KVACHADZE

*The Head of the Analytical Department of the Supreme Court*

NATIA JUGELI

*Chief Consultant of Research and Analysis Center  
of the Analytical Department*

Sexual harassment is one of the most prevalent latent forms of widespread discrimination, largely feed by the existence of gender stereotypical attitudes towards women in society. Until 2019, Georgian Legislation did not provide for the concept of sexual harassment in public spaces, therefore, such facts remained unpunished and the perpetrator of sexual harassment was not held accountable for the crime. The ratification of Istanbul Convention by Georgia fostered the process of harmonization of national law with international standards. In this regard, one of the most important legislative innovation was the amendment in the Code of Administrative Offenses of Georgia, which defined the concept of the sexual harassment in public spaces and imposed the administrative liability for the violators.

Sexual harassment, along with a variety of actions, is characterized by latency, which means that despite the scale of the crime, it is difficult to identify such facts. Accordingly, the purpose of this article is to review the relevant case law on the implementation of existing legislation on sexual harassment in public spaces.

The article presents a statistical analysis of national court practice, as well as reviews taking into account the practical guidelines, the main aspects and trends of sexual harassment in public space.

# მედიცინის ძვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას

ილინა ბაბუა

*სამართლის დოქტორი, პროფესორი,*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს*

*მთავარი კონსულტანტი, მოსამართლის თანაშემწე*

## შესავალი

საქართველოს კანონმდებლობა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს პირს სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებისას<sup>1</sup> ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში,<sup>2</sup> როგორცაა პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა,<sup>3</sup> დისკრიმინაციული მოპყრობა და სხვა.

არაქონებრივი ზიანის მოთხოვნით აღძრული სარჩელის წარმატებით ცხადია, დაინტერესებულია მოსარჩელე; მოპასუხე კი, მისი საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, სარგებლობს დისპოზიციური უფლებით: ცნოს ან არ ცნოს სარჩელი. სამოქალაქო საპროცესო სამართლის დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გათვალისწინებით, ამ კატეგორიის დავაში, სასამართლოს როლი ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებისა და დამტკიცების კუთხით, შეზღუდულია. სასამართლო, მხოლოდ მოდავე მხარეთა შორის მიმდინარე მტკიცებით საქმიანობას ხელმძღვანელობს. სასამართლოს მთავარი ამოცანა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორ განაწილებასა და შეკრებილ მტკიცებულებათა შეფასებაშია. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმ-

დებლობა არ შეიცავს მტკიცების ტვირთის განაწილების დასრულებულ/ამომწურავ სისტემას, წინამდებარე კვლევაში წარმოჩენილია არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის განხილვასთან დაკავშირებული მტკიცების პროცედურული საკითხები.

მნიშვნელოვანია სამართალში განისაზღვროს და სასამართლო პრაქტიკაში დადგინდეს დაზარალებულის ახლო ნათესავისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ. სწორედ ამ საკითხზეა დამოკიდებული სარჩელის წარმატება. შესაბამისად, მიმოვიხილავთ ზოგადად, დელიქტით ასევე, სამედიცინო დელიქტით განპირობებული მორალური ზიანის ანაზღაურების მტკიცების პროცედურულ საკითხებს, როგორც უშუალოდ დაზარალებულის, ასევე უშუალო დაზარალებულის ახლო ნათესავის მიმართ. ამ მხრივ, განხილულია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის და ევროპული სამართლის მიდგომები.

მნიშვნელოვანია მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის შემთხვევაშიც და მტკიცების არც თუ მარტივი პროცედურა, რომლის წარმატებით დაძლევაზეა დამოკიდებული დიფამაციური სარჩელის წარმატების პერსპექტივა. ამ მხრივ, მიმოვიხილავთ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული დიფამაციური სარჩელის განხილვისას მტკიცების ტვირთის საკითხს, რომელიც უფრო მეტად, საერთო სამართლის ქვეყნებში არსებულ მიდგომებს იმეორებს.

ასევე, განხილულია პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისას, მტკიცების საპროცესო საშუალების (მტკიცებულებები) დასაშვებობის საკითხი.

## თავი 1. არაქონებრივი ზიანი და მის მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტები

### 1.1. არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის საფუძვლები

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, „ზიანი“ ესაა, უფლების ან კეთილდღეობის განადგურება,<sup>4</sup> შემცირება, რომელიც შეიძლება განიცადოს ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. რაც შეეხება მორალურ ზიანს, მას საპირწონე ქონებრივი საბოძო არ გააჩნია.<sup>5</sup>

სსკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მხოლოდ კანონით ბუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები. მაგალითად, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10(ა) მუხლი ადგენს კომპენსაციის მიღების უფლებას არაქონებრივი ზიანის მიყენებისათვის, თუ იგი მცდარი საექიმო ქმედების შედეგს წარმოადგენს.<sup>6</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.1 მუხლის მიხედვით კი, დისკრიმინაციის მსხვერპლს უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს

სარჩელი და მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.<sup>7</sup>

სსკ-ის 413.2 მუხლის მიხედვით კი, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოშოს აგრეთვე, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებამ.

არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურების უპირველესი ფუნქციაა დაზარალებული პირისთვის განცდილი არამატერიალური ზიანის კომპენსირება.<sup>8</sup> სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებას შეიძლება მოჰყვეს რეალური ზარალი (გაწეული მკურნალობის ხარჯი, რეაბილიტაციის ხარჯი), ასევე, ანაცდური მოგების სახით დამდგარი ზარალი (მიუღებელი ხელფასი),<sup>9</sup> ხოლო თუ დადასტურებულია ჯანმრთელობის დაზიანების ანდა მისთვის ვნების მიყენების ფაქტობრივი გარემოება, რასაც შედეგად მოჰყვა მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა, როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო, ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს, გადასაწყვეტია არაქონებრივი (მორალური) ზიანის მოთხოვნის საკითხი.<sup>10</sup>

ანალოგიურ მოწესრიგებას გერმანულ სამართალში BGB §253, 823 შეიცავს. BGB §823 მუხლი წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის სამართლის ძირითად ნორმას, რომელშიც ცალ-ცალკეა გათვალისწინებული კანონით დასაცავი უფლებები და სამართლებრივი სიკეთე.<sup>11</sup> ნორმით გათვალისწინებული სიკეთე, როგორც პირველადი მოთხოვნის საფუძველი დამოუკიდებელი ქმედების შემადგენლობაა. მაგალითად, სიცოცხლის ხელყოფა (ადამიანის მოკვლა), რა დროსაც, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები ეკუთვნის მესამე პირებს, სხეულის დაზიანება (ფიზიკური ან ფსიქიკური) და ა. შ. სამართლებრივი შედეგი კი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაა, რომლის კვლევა BGB §253 გათვალისწინებული წინაპირობებით ხორციელდება. მითითებული ნორმა ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, აქვს დაზარალებულ პირს, მათ შორის, ანაზღაურდება სხეულისათვის, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი.<sup>12</sup> BGB §253.2 ქმნის არა ცალკე მდგომ მოთხოვნის საფუძველს, არამედ წინაპირობად ითვალისწინებს მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების კანონისმიერ ვალდებულებას, როგორცაა მაგალითად, დელიქტი (BGB §823).

ამასთან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირი მითითებით, არ ითვალისწინებს მორალურ კომპენსაციას ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში, რამდენადაც დელიქტის შემადგენლობა ამ უკანასკნელთა სამართლებრივ სიკეთეს არ მოიცავს.<sup>13</sup> გერმანული სამართლით კი, პრინციპში, შესაძლებელია ოჯახის წევრის მორალური ზიანის ანაზღაურება,

თუ ახლობელი ადამიანის სიკვდილმა გამოიწვია ოჯახის წევრის კანონიერი უფლების იმგვარი ხელყოფა, რომელიც თავისი ხარისხით აღწევს და შეფასდება თვით ახლო ნათესავის ჯანმრთელობის დაზიანებად. ასეთ შემთხვევაში, კომპენსაციის წინაპირობა არის ის, რომ მესამე პირმა (უშუალოდ დაზარალებულის ახლო ნათესავმა) განიცადა სამედიცინო თვალსაზრისით, იდენტიფიცირებადი ჯანმრთელობის დაზიანება.<sup>14</sup>

არაქონებრივი ზიანის მიყენების განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევა პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევაც, კერძოდ, სახელის გამტეხი, ღირსების შემლახველი, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება.<sup>15</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი კი, სპეციალურ მოწესრიგებას შეიცავს ცილისწამებისათვის და განსაზღვრავს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში „მორალური ზიანი“ გულისხმობს როგორც თვით „მორალურ ზიანს“, მიყენებულს ზნეობრივი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში, ასევე სხვა ზიანს (ფსიქიკური ტრავმები, დასახიჩრება, რომელმაც დაზარალებულის ცხოვრების რიტმი შეცვალა; სამკურნალო ღონისძიება დაკავშირებული პაციენტის სულიერ-ფსიქიკურ ტანჯვასთან), რაც თუმცა, მორალის ფარგლებს სცდება, მაგრამ არ არის ქონებრივი. „მორალური ზიანი“, „ქონებრივი ზიანის“ ანალოგიურად, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ უფლების შელახვას.<sup>16</sup>

არაქონებრივი ზიანი არის მეორეული მოთხოვნა, რომლის უპირველესი წინაპირობა სხვა ძირითადი უფლების დარღვევაა, როგორცაა, სხეულის დაზიანება, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება<sup>17</sup> ან პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა.<sup>18</sup>

ამასთან, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კანონმდებლობით შეზღუდულია. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ განმარტებას თუ მოვიხმობთ, სამართლით მოწესრიგებულ და დაცულ სფეროში ჩარევა ყოველთვის იწვევს დისკომფორტს, სულიერ განცდებს, სტრესს, ცხოვრების რიტმის დარღვევას და ცხადია, სამართლებრივი სიკეთის მქონეს ყოველთვის აქვს ამგვარი ჩარევის აღკვეთის უფლება. ამ ინტერესის ფარგლებში ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა მკაცარადაა რეგლამენტირებული. მოქმედი კანონებით პირდაპირ გაკონტროლებულია, თუ კონკრეტულად რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილი იქნას ხელმყოფისაგან არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს პირის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს.<sup>19</sup>

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით გაუქმდა იმავე საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება **იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც მოსარჩელეს მიაღდა მორალური ზიანი.** დადგენილ ფაქტს წარმოადგენდა, რომ მოსარჩელის საცხოვრებელი სახლში გაჩნდა ხანძარი, რომლის შედეგად დაზიანდა (დაიწვა) მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. გაჩენილი ხანძარი კი, გამოიწვია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ბრალეულმა ქმედებამ. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახლში გაჩენილმა ხანძარმა, მასთან დაკავშირებულმა ფსიქოემოციურმა სტრესმა და ხანძრით გამოწვეულმა უარყოფითმა ფაქტორებმა – უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები, **გაუარესა და დაამძიმა მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა.** უზენაესი სასამართლოს მითითებების შესაბამისად კი, საქმის ხელახალა განხილვისას დადგინდა, რომ **მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით ხელყოფილ იქნა არა ჯანმრთელობა, არამედ ქონება, რაც საკმარის წინაპირობას არ ქმნიდა მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.**

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება,<sup>21</sup> რომ ზემოთ განხილულ განჩინებაში სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა, რომ დაზარალებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდა არა უბინაობით, გაუთვალისწინებელი ვალეებითა და ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით, **არამედ აღნიშნული გარემოებების გამო, საკუთარი (ფიზიკური და ფსიქიკური) ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეულ სულიერ ტანჯვაზე, რაც საკმარის საფუძველს ქმნიდა მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.**

სხვა საქმეში<sup>22</sup> დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელის ბინაში, გაზის მრიცხველის გარეთ გატანის სამუშაოების წარმოებისას გამოჟონილი და დაგროვებული ბუნებრივი აირი აფეთქდა. აფეთქების შედეგად დაზიანდა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი, თავად მოსარჩელემ კი, მიიღო სხეულის დამწვრობა. აფეთქების შედეგად მოსარჩელეს ასევე, დაუქვეითდა სმენა, რის გამოც, მუდმივად იყენებს სმენის აპარატს. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე არის პიანისტი, მუშაობს ხელოვნების სკოლაში. იგი კვლავ განაგრძობს მოსწავლეებთან მუშაობას, თუმცა, ამას ახერხებს მხოლოდ სმენის აპარატის დახმარებით. **ეს ყოველივე, მუდმივ სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას იწვევდა მოსარჩელეში, რისი ატანაც მას მთელი სიცოცხლე მოუწევდა, რაც საკმარისი საფუძველია 413.11 მუხლის მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.**

## 1.2 სარჩელი, როგორც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საპროცესო ინსტრუმენტი

ყოველი პირი, რომლის უფლებაც დარღვეულია, უფლებამოსილია, თავისი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.<sup>23</sup> სარჩელის აღძვრის თავისებურება იმაშია, რომ

მოსარჩელემ სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული საპროცესო მოქმედებები განახორციელოს: წარმოადგინოს უპირობო მოთხოვნა,<sup>24</sup> მიუთითოს სულ მცირე, იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ მოთხოვნას. რაც შეეხება მტკიცებულებების წარმოდგენის ნაწილში მხარეთა საპროცესო ვალდებულებას, აღნიშნული დამოკიდებულია, სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმები რომელი მხარის სასარგებლოდ ადგენს პრეზუმფციას და პროცედურული კუთხით, რა ტიპის შესაგებელს წარმოადგენს მოპასუხე.

სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ სარჩელის პროცესუალურსამართლებრივ და მატერიალურსამართლებრივ მხარეს. დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა სარჩელის პროცესუალურსამართლებრივი მხარეა, ხოლო მოპასუხისადმი მოსარჩელის მოთხოვნა – სარჩელის მატერიალურსამართლებრივი მხარე.<sup>25</sup>

სარჩელი, მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არ იქნება წარმატებული, თუ მოსარჩელის უფლებას არ ექნება საკანონმდებლო საფუძველი. ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს, ვის ენიჭება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

### 1.3 სასარჩელო წარმოების სუბიექტები

სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება იმ პირის მოთხოვნით,<sup>26</sup> ვინც მიმართვს მას თავისი უფლების დასაცავად...<sup>27</sup> სარჩელის აღძვრის უფლებით სარგებლობენ ფიზიკური და იურიდიული პირები.<sup>28</sup>

არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტს არასრულწლოვნებიც წარმოადგენენ, რომელთა საპროცესო ქმედუნარიანობისა და კანონიერი წარმომადგენლობის საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის 81.3, 81.5, 101.1, 101.2 მუხლებით.

კანონიერი წარმომადგენლობის მეშვეობით, არასრულწლოვანის უფლების დაცვის საპროცესო გარანტიასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მათ სასარგებლოდ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის მატერიალურსამართლებრივი პერსპექტივაც. ამ თვალსაზრისით, ლოგიკურია სასამართლო პრაქტიკაში არსებული მიდგომა, რომლის მიხედვით, „...ტკივილისა და სულიერი ტანჯვის აღქმა და გაცნობიერება არ უკავშირდება პირის ქმედუნარიანობას და იგი ასაკობრივი თავისებურებების გამო (პრესტიჟის, პიროვნების თვითდამკვიდრების გამახვილებული გრძნობა და სხვ), შესაძლოა, უფრო მეტი სიმწვავეით განიცადოს მოზარდმა, რომლის ჯანმრთელობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა.“<sup>29</sup> შესაბამისად, ასაკობრივ შეზღუდვას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი

არ გააჩნია და არასრულწლოვნებიც თავიანთი მატერიალური უფლების საპროცესო დაცვას წარმომადგენლების მეშვეობით შეუფერხებლად განახორციელებენ.

უმეტესად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის წარმატების პერსპექტივა აქვთ იმ პირებს, რომლებსაც სამართალდარღვევის შედეგად ზიანი უშუალოდ მიადგათ, რადგან არსებული მოსაზრებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით თავად ამ უფლების მქონე სუბიექტები სარგებლობენ, მისი პირადი ხასიათის გამო; სხვა პირისათვის, ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა საკამათოა. სარჩელი კი, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ დაკმაყოფილდება.<sup>30</sup> აღნიშნულთან მიმართებით, კვლევაში მიმოვიხილავთ ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოთა პრაქტიკაში ბოლო წლებში, არსებულ მიდგომებსაც.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევათა რეგულირებას, როდესაც დაზარალებული გარდაიცვალა, პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დაწყებული სასამართლო დავის მიმდინარეობისას, წარმოიშობა საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი (სსკ-ის 19 მუხლი; სსსკ-ის 272 „ე“ მუხლი).<sup>31</sup> განსხვავებით ისეთი შემთხვევისაგან, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და კრედიტორი გადაწყვეტილების აღსრულებისას გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილებით დადგენილი უფლება უნდა განვიხილოთ სამკვიდრო მასაში, რომელიც დაიკავებს სამკვიდრო აქტივის ადგილს.<sup>32</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ქონებრივი ღირებულების მქონე იდეალური შემადგენელი ნაწილები განუყოფლად არის დაკავშირებული მამკვიდრებლის პიროვნებასთან. შესაბამისად, პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისას, მატერიალური ფულადი კომპენსაციის დაკმაყოფილების ფუნქცია პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ვერ შესრულდება.<sup>33</sup> სხვა საკითხია, როდესაც გარდაცვლილი პირის პირადი უფლების დარღვევა ერთდროულად შეეხო ნათესავის პირადი უფლებების სფეროს; ასეთ შემთხვევაში, ამ უკანასკნელს შეუძლია თავისი უფლებიდან გამომდინარე, მოითხოვოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.<sup>34</sup>

**რაც შეეხება დელიქტით განპირობებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარმატებას, თუ სარჩელი არაა აღძრული უშუალოდ მსხვერპლის (დაზარალებული) მიერ, არამედ აღძრულია მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავი) მიერ, საკამათო საკითხია, აქვს თუ არა ოჯახის წევრს (ახლობელს) მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება.**

მრავალთა შორის ერთ-ერთ საქმეში,<sup>35</sup> სადაც დადასტურდა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის ხელყოფა და არა უშუალოდ მოსარჩელის ჯანმრთელობა. უდავო გარემოებად იქნა

მიჩნეული, რომ მოსარჩელე მძიმე ფსიქოემოციურ განცდებში იყო შვილის გარდაცვალების გამო, თუმცა, სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შეფასების კონტექსტში მოსარჩელის (გარდაცვლილის დედის) პრეტენზია მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უარყოფილი იქნა.

არსებობს მოსაზრება, რომ „თუ ახლობელი, დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ესწრებოდა, რამაც გამოიწვია მის მიმართ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, მას დაზარალებულისაგან დამოუკიდებლად უნდა წარმოეშვას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება. ხშირად ახლობელთა მხრიდან სულიერი ტანჯვის განცდის ხარისხი დაზარალებულთან შედარებით, შეიძლება გაცილებით დიდი იყოს“<sup>36</sup> და შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ზიანის ანაზღაურება კანონით განსაზღვრული სუბიექტებისათვის მხოლოდ სარჩოს გადახდის ვალდებულებით არ უნდა შემოიფარგლოს.<sup>37</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ სამართალში შოკის მიმღებად და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების მქონედ მიიჩნევა ის პირი, რომელმაც უშუალოდ იხილა შოკისმომგვრელი მოვლენა და არა ის, ვინც მედიის საშუალებით გაიგო ტრაგიკული შემთხვევის შესახებ, მაგ., ტელევიზიით. თუმცა, ეს პირები არ შეიძლება იყვნენ ჩვეულებრივი გამვლელები და მხილველები. კომპენსაციის გასამართლებლად უნდა არსებობდეს მსხვერპლთან სიახლოვე.<sup>38</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვლებით, როდესაც დარღვეულია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლი (ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა) და აღნიშნულისათვის სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მორალური კომპენსაციის შესაძლებლობას, ამგვარი გაუთვალისწინებლობა არღვევს ევროპული კონვენციის მე-13 მუხლს – ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლებას. არაერთ საქმეშია ყურადღება გამახვილებული ადამიანის ფუნდამენტური უფლების დაცვის საჭიროებაზე სახელმწიფოების მხრიდან, რომლის დარღვევის შემთხვევაში, პრინციპში, სამართლიანი მისაგებლის ქმედით საშუალებად უშუალოდ დაზარალებულის ან მისი ოჯახის წევრებისათვის მორალური ზიანის კომპენსაცია გამორიცხული არ უნდა იყოს. საქმეში *Keenan v. United Kingdom*,<sup>39</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მოსარჩელისათვის მორალური ზიანის მიკუთვნება მისი გარდაცვლილი ვაჟიშვილის ტანჯვით განცდილი ტკივილის, სტრესის, ფრუსტრაციისა და მღელვარების გამო. უშუალოდ დაზარალებულის ოჯახის წევრისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სხვა საქმეებშიც.<sup>40</sup>

**მეუღლის, შვილის ან ოჯახის სხვა წევრის სიცოცხლის ხელყოფით განცდილი არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლების საკითხზე ჩამოყალიბებული მკაცრი მიდგომა, უკანასკნელ წლებში, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შეიცვალა. საქართველოს**

უზენაესმა სასამართლომ ოჯახის წევრის მიერ განცდილი მორალური ზიანი წარმოშობილად მიიჩნია რამდენიმე საქმეში.<sup>41</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებებს წინ უსწრებდა საქართველოს წინააღმდეგ საქართველოს მოქალაქე სარიშვილი-ბოლქვაძის საჩივარი<sup>42</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც დარღვევა დაადგინა. მითითებულ საქმეში უდავოდ დადგენილი იქნა, რომ მომჩივანს მიაღდა მორალური ზიანი. **თუმცა, ამ ტიპის საქმეებზე საქართველოს კანონმდებლობა მორალურ ზიანთან მიმართებით არ ითვალისწინებდა კომპენსაციის მიკუთვნებას, რის გამოც, მოსარჩელეს უარი ეთქვა კომპენსაციაზე.** მოგვიანებით, მოცემულ საქმეზე განახლდა საქმისწარმოება (მოპასუხეთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ<sup>43</sup> იმსჯელა მორალური ზიანის ანაზღაურების მართლზომიერებაზე და აღნიშნა, რომ დავის არსებითი განხილვის დროისათვის **მომჩივანს ვერ მიეკუთვნა სათანადო ანაზღაურება კანონმდებლობაში შესაბამისი მოწესრიგების არარსებობისა და იმ დროს მოქმედი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით.**<sup>44</sup>

სხვა საქმეში<sup>45</sup> დაკმაყოფილდა შვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანი სსკ-ის 992-ე და 413-ე მუხლების სამართლებრივი საფუძვლით იმ დასაბუთებით, რომ მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც მატერიალურად არაფერი შეესაბამება (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა). შვილის სიცოცხლის მოსპობა ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც შესაძლოა არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს.

ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელეებს მიეკუთვნათ დედის გარდაცვალებით დამდგარი მორალური ზიანი.<sup>46</sup> დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელეთა დედამ 53 წლის ასაკში კლინიკას მიმართა გეგმური ოპერაციისათვის, მის სოცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. კლინიკის მედპერსონალის მიერ დაშვებული საექიმო შეცდომების შედეგად, შეცდომებით გამოწვეული გართულების შედეგების აღმოფხვრის მიზნით ჩატარებული ორი უშედეგო ოპერაციის შემდეგ, მესამე ოპერაციის მიმდინარეობისას, მოსარჩელეთა დედა გარდაიცვალა. ამ ფაქტით, გარდაცვლილის შვილებმა განიცადეს მნიშვნელოვანი მორალური ტკივილი, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან.

სხვა საქმეზე<sup>47</sup> სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილი იყო შვილის წამებისა და მკვლელობის გამო, მორალური ზიანის – 200 000 ლარის მოპასუხეთათვის დაკისრება, იმ საფუძვლით, რომ განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს მოსარჩელის შვილი, ხოლო მოპასუხეთა მხრიდან დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით, დაკმაყოფილდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დაზარალებულის ახლობლისთვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურება ზოგადად ხდება, თუმცა, ასეთი ანაზღაურების მისაღებად დადგენილი წინაპირობები საკმაოდ განსხვავებულია.

ევროპის ქვეყნებშიც მნიშვნელოვნად განსხვავდება შეხედულებები იმის თაობაზე დაზარალებულის ახლო ნათესავს აქვს თუ არა უფლება და როდის შეუძლია მიიღოს ანაზღაურება მორალური ზიანისთვის.<sup>48</sup> უმრავლესი ევროპული სამართლებრივი სისტემა უშვებს ზიანის ამგვარ ანაზღაურებას პირდაპირ მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში. მიჩნეულია, რომ ზიანი უნდა აუნაზღაურდეთ დაზარალებულთან განსაკუთრებულ ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებს, მათი ფსიქიკური ტანჯვისთვის, თუნდაც, აღნიშნული არ იწვევდეს მათში კლინიკურ მდგომარეობას.<sup>49</sup>

უშუალოდ დაზარალებულის გარდაცვალების ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, უნდა შეიზღუდოს იმ პირთა წრე, რომლებსაც არამატერიალური ზიანისთვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ენიჭებათ.<sup>50</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრის განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები, რომ არცთუ იშვიათად, დაზარალებულის ახლობელი ნათესავისათვის „ფიზიკური“ ან „ზნეობრივი ტანჯვის“ სიძლიერე აღემატება თვით დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის სიძლიერეს... მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას უფლება მიეცეს დააყენოს განცდილი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი. ასე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრე იმდენად გაფართოვდება, რომ პრინციპული მნიშვნელობა მორალური ზიანის კომპენსაციის დანიშნულებისა, აბრს დაკარგავს. ამიტომ, მორალური ზიანი აუნაზღაურდება მხოლოდ იმ პირს, ვინც მიყენებული ზიანის ფაქტის გამო უშუალოდ განიცადა ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა.“<sup>51</sup> ასეთი პირი კი, შესაძლოა იყოს გარდაცვლილის მეუღლე, მშობელი, შვილი და დედამამიშვილი, რომლებსაც ექნებათ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის წარმატების პერპექტივა.<sup>52</sup>

## თავი 2. მთავრების ტვირთი

### 2.1. დელიქტიდან გამომდინარე მორალური ზიანის მტკიცების ტვირთი

მოსარჩელეს დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მაშინ, როდესაც მის სამართლებრივ სიკეთეს უკანონო (არამართლზომიერი) ხელყოფის შედეგად ზიანი მიადგება.<sup>53</sup> დელიქტური ვალდებულება ემსახურება დამაბალანსებელი და კომპენსატორული ფუნქციის მიღწევას.<sup>54</sup>

დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივი ზიანის, არამედ ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურება. იმის მიხედვით, თუ რა არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განმაპირობებელი, შეიძლება ვისაუბროთ სხვადასხვა საკანონმდებლო საფუძვლებზე, როგორცაა სამედიცინო დელიქტი და სხვა.<sup>55</sup> მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის კი, მხოლოდ დელიქტური სამართლის ნორმებით გათვალისწინებული შემადგენლობა საკმარისი არ არის. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება.

მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამოქალაქო სამართალში შეზღუდულია. ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს. შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძვლად უნდა დაედოს კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული წანამძღვრების განხორციელება.

სსკ-ის 102-ე მუხლი ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად დებულებას და ყოველ მხარეს იმის მტკიცების ვალდებულებას აკისრებს, რასაც ისინი მოითხოვენ. სპეციალური საკანონმდებლო რეგულაცია კი, დადგენილია თავად მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებით, რომლებიც უმეტესად, პირდაპირ არ შეიცავენ მითითებას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე. თუმცა, მტკიცების ტვირთის სტანდარტი გამომდინარეობს მათი დისპოზიციური დანაწესიდან, მაგ., სსკ-ის 429.1, 624-ე მუხლის ბოლო წინადადება, 1007-ე მუხლის ბოლო წინადადება და სხვ. მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური წესები თავმოყრილია მატერიალურ სამართალში, შესაბამისად, ზოგიერთი მატერიალურსამართლებრივი ნორმა, მატერიალურსამართლებრივ ქცევის წესებთან ერთად, შეიცავს პროცესუალურსამართლებრივ კომპონენტებსაც.

**რადგანაც ვსაუბრობთ დელიქტიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხზე, უნდა შემოწმდეს შემდეგი წინაპირობები:** ა) პირისათვის ზიანის მიყენება; ბ) სამართალდამრღვევის მართლსაწინააღმდეგო<sup>56</sup> და ბრალეული ქმედების არსებობა; გ) დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი და იქედან გამომდინარე, რომ ჯანმრთელობა, ეს ის სამართლებრივი სიკეთეა, რომლის ხელყოფაც დაუშვებელია, დასახელებულ წინაპირობებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის ემატება სსკ-ის 413 მუხლის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოება.<sup>57</sup> კერძოდ, სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის მისაღწევად აუცილებელი პირობაა ადამიანის ჯანმრთელობის იმგვარი ხელყოფა, რამაც იმავდროულად განაპირობა დაზარალებულის სულიერი ტანჯვა და ფსიქიკური სტრესი. დელიქტურ სამართალში მოქმედებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფცია. ასეთი პრეზუმფციის დაშვებისას, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ ის თავისი ბრალეულობის არარსებობას ვერ დაამტ-

კიცებს. იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო სამართალში პრეზუმფციის დანიშნულება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაა, მოსარჩელის მიერ მტკიცების საპროცესო ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა მოპასუხის ბრალეულობის დასაბუთების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელე, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს, ვალდებულია, დაამტკიცოს მისთვის ზიანის ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. თავის მხრივ, ზიანის მიმყენებელმა, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში ბრალის არარსებობა.<sup>58</sup>

როგორც აღვნიშნეთ, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანება არაა საკმარისი წინაპირობა, სარჩელის დაკმაყოფილებისათვის იმავდროულად, უნდა დასტურდებოდეს დაზარალებულის (მოსარჩელე) ფსიქიკური პროცესი გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, მოსარჩელე მხოლოდ ფიზიკური ტკივილის დადასტურებით არ უნდა შემოიფარგლოს.

**ერთ-ერთ საქმეში<sup>59</sup> მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას,** მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი **შესაბამისი იურიდიული პირის მიერ გაცემული ცნობით დადასტურდა, რომ** პაციენტს ესაჭიროებოდა ოპერაციული ჩარევა. იგი დადიოდა კოჭლობით, ხელჯობის დახმარებით, უჩიოდა ტკივილებს, რეკომენდებული ოპერაციის შემდგომ პერიოდში მას ესაჭიროებოდა: ელასტიური ბანდების ტარება თვენახევარი; ამ დროის მანძილზე ყავარჯნებით სიარული; სპეციალური რეაბილიტაციის კურსის ჩატარება ოპერაციიდან სამ კვირაში. ჩამოთვლილი სამკურნალო ღონისძიება კი, სასამართლოს შეფასებით, დაკავშირებული იყო მოსარჩელის სულიერ-ფსიქიკურ ტანჯვასთან, რომელიც უშუალოდ განაპირობა მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ და მისი შედეგების აღმოფხვრის არასწორმა მეთოდებმა, რაშიც ბრალი მიუძღოდა მოპასუხეს. მაშასადამე, ამ საქმეში, მოსარჩელემ შეძლო და ის ე. წ. ჯაჭვი წარუდგინა სასამართლოს, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს შორის არსებობდა. კერძოდ, სხეულის დაზიანებამ (პირველადი ზიანი, პირდაპირი ზიანი) განაპირობა ის სულიერი დისკომფორტი, რომელიც თავისი ხასიათით და ხანგრძლივობით მოსარჩელეში მორალურ განცდებს აჩენდა და მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარის წინაპირობებს წარმოშობდა.

**კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს განცდილი ზიანის ოდენობის დადასტურება/დადგენა. კანონმდებელი არ ადგენს იმ კრიტერიუმს, რომლითაც უნდა განისაზღვროს მორალური ზიანის ანაზღაურება.**

მოსარჩელე უფლებამოსილია, სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტკივილის საკომპენსაციოდ. სარჩელით მოთხოვნილი ზიანის ოდენობა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და საბოლოოდ, ეს

საკითხი სასამართლოს შესაფასებელია. „შეფასების დროს გასათვალისწინებელია: მძიმე დაზიანებები და მათგან გამოწვეული ტანჯვა, მათი განგრძობადობა და დაზიანებულის მიერ მათი აღქმა, აგრეთვე, ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის ხარისხი.“<sup>60</sup>

კომპენსაციის დადგენისას, გასათვალისწინებელია კომპენსირების მიზანი, რაც მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევაა.<sup>61</sup> ცხადია, კომპენსაცია ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. მისი მიზანი არ არის დაზარალებულის ახლო ნათესავეების გამდიდრება, არამედ განპირობებული იმის გაცნობიერებით, რომ პირის joie de Vivre-ს<sup>62</sup> მნიშვნელოვანი შემცირება (მათთვის ახლო ადამიანის დაზიანების ან დაკარგვის გამო) იმსახურებს ანაზღაურებას.<sup>63</sup>

**სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უშუალოდ შემთხვევის ინდივიდუალობის და თავისებურების გათვალისწინებით განსაზღვრავს ანაზღაურების მოცულობას, გონივრული და სამართლიანი ოდენობით.**<sup>64</sup>

## 2.2. სამედიცინო დელიქტით მიყენებული მორალური ზიანის მტკიცების ტვირთი

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს როგორც სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო ხასიათის, შესაბამისად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლოა ვისაუბროთ ე. წ. „სამედიცინო“ დელიქტზე,<sup>65</sup> რომელიც მდგომარეობს სხეულის დაზიანებას ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში და იმავდროულად, წარმოშობს მეორეული მოთხოვნის უფლებას მორალურ ზიანზე.<sup>66</sup> შესაბამისად, წინამდებარე პარაგრაფში მიმოვხილავთ სამედიცინო დაწესებულების მიერ მცდარი სამედიცინო ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მტკიცების ტვირთს.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლით დადგენილია, რომ ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისთვის ან სიკვდილისთვის, ან პაციენტისთვის მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა არაქონებრივი (მორალური) ზიანის მიყენებისთვის.

სამედიცინო ჩარევამ ან ჩაურევლობამ (მაგალითად, ოპერაციამ ან სხვა) შეიძლება დააზიანოს პაციენტის სხეული და ჯანმრთელობა, რაც საკმარისი წინაპირობა არაა პასუხისმგებლობის დადგომისათვის, პასუხისმგებლობა შესაძლებელია განაპირობოს არასწორმა მკურნალობამ და არა მკურნალობის შედეგმა; სამედიცინო დაწესებულება პასუხს

აგებს არასწორ მკურნალობაზე და ასეთი მკურნალობის თანმდევ უარყოფით შედეგზე. თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც, მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება მორალურ ზიანს, მისი ანაზღაურების საფუძვლად მიჩნეულია დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მოქმედებით (უმოქმედობით) და ხელყოფს სამედიცინო მომსახურების მიღების კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს.

სამედიცინო დაწესებულების მიერ სსკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა სხვა დელიქტურ ვალდებულებებში. ეს ნიშნავს, რომ ერთდროულად უნდა დასტურდებოდეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ზიანი მიყენებული უნდა იყოს პაციენტის ჯანმრთელობისათვის; ბ) უნდა დასტურდებოდეს პირდაპირი ან ირიბი მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის; გ) უნდა დასტურდებოდეს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; დ) ექიმის ან/და სამკურნალო დაწესებულების ბრალი.

ზემოთ დასახელებულ წინაპირობათაგან **ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დადასტურება**, პასუხისმგებლობის დადგომის აუცილებელი წინაპირობაა. ეს კი, გულისხმობს, რომ ქმედება უნდა არღვევდეს, არ უნდა შეესაბამებოდეს სამართლის ნორმებს.<sup>67</sup> სამედიცინო დელიქტის შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.<sup>68</sup>

რაც შეეხება **ბრალს**, დელიქტურ სამართალში აღიარებულია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი.<sup>69</sup> პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში, საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას (გულისხმიერებასა და ყურადღებიანობაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება).<sup>70</sup>

ჩამოთვლილი წინაპირობებიდან სწორედ ზიანი – ხელყოფის შედეგად დაცული სიკეთე, ხელყოფის უშუალო რეზულტატი წარმოშობს მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობას.<sup>71</sup>

მიზეზშედეგობრიობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ

შედეგს შორის. ამასთან, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს ზიანის დადგომა სამედიცინო პერსონალის ქმედებით. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას.<sup>72</sup>

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელემ 100 000 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნა მისთვის გაწეულ არაკვალიფიციურ, არაკომპეტენტურ მკურნალობას და ამით გამოწვეულ ტანჯვას დაუკავშირა. კერძოდ, განმარტა, რომ განიცდიდა გაუსაძლის ტკივილებს, რაც გამოწვეული იყო კლინიკაში ჩატარებული მკურნალობით (შარდსაწვეთი სტენტის ჩადგმის ხანგრძლივობით). საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, პაციენტს აღენიშნებოდა სხვადასხვაგვარი ჩივილები, მხოლოდ პაციენტის განმარტება, რომ ის გაუსაძლისი ტკივილები, რომლითაც იგი იტანჯებოდა გამოწვეული იყო მის სხეულში სტენტის ჩადგმით, საკმარის გარემოებად არ იქნა მიჩნეული.<sup>73</sup>

ზემოაღნიშნული საქმისაგან განსხვავებით სხვა საქმეში,<sup>74</sup> კლინიკამ ვერ დაადასტურა ზიანის დადგომაში მისი ბრალის არარსებობა. დადგენილი იქნა, რომ პაციენტმა კლინიკას მიმართა გეგმური ოპერაციისათვის, მის სოცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. პაციენტის მკურნალობის პროცესში (ინტუბაციის, რეანიმაციის ნაწილში) დაშვებული იყო საექიმო შეცდომები. კერძოდ: ანამნეზის არასრულად შეკრება (შესაძლებელი იყო ინფორმაციის მოძიება ოპერაციამდე, ისევე როგორც ეს მოხდა ოპერაციის შემდეგ წარმოქმნილი გართულებების შედეგად); რეკომენდაციების დაუცველად წარმართული ინტუბაცია (ინტუბირების მრავალი უშედეგო ცდის შემდგომ არ მოხდა პაციენტის გამოღვიძება და გეგმიური ოპერაციის გადადება); დარღვევები რეანიმაციაში მოთავსების შემდგომ (არ ხდებოდა პაციენტისთვის ჩადგმული ინტუბაციის მილის კონტროლი). დაზიანებულმა ტრაქეამ გამოიწვია პაციენტის გარდაცვალება. ტრაქეის დაზიანება რომ არ მომხდარიყო, პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნებოდა, რადგან ის გეგმიური ოპერაცია, რისთვისაც პაციენტმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, ჩატარდა გართულების გარეშე და პაციენტის დამძიმება გამოწვეული იყო უშუალოდ ტრაქეის მემბრანოზული კედლის დაზიანებით, რასაც საბოლოოდ, მოჰყვა ტრაქეის მემბრანის ნაკერის უბნის ნეკროზი, არტერიიდან სისხლდენა და გულის გაჩერება.

**სამედიცინო დელიქტის, როგორც მორალური ზიანის დადგომის აუცილებელი წინაპირობის არსებობის მტკიცების ტვირთის შესახებ სპეციალურ მოწესრიგებას შეიცავს სსკ-ის 1007-ე მუხლი. ნორმის მეორე წინადადების შინაარსი პირდაპირ მიემართება მტკიცების პროცესს და განსაზღვრავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს. ნორმის პირდაპირი მითითებით „ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის,“ სამართლებრივ ურთიერთობაში ამოქმედებულია სამედიცინო მომსახურების გამწვევის (ექიმის, ექთნის, სამედიცინო**

დაწესებულების და ა. შ.) მოქმედების ბრალეულობის პრეზუმფცია. პრეზუმფციის დანიშნულება სამართალში იმის წინასწარ განსაზღვრას ემსახურება, თუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელი მხარისათვის უფრო ადვილი იქნება ობიექტურად დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი. პრეზუმფციის დაშვებით, კანონმდებელი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს იცავს მტკიცების გადაუღაბავი ტვირთის დაკისრებისაგან და ამ მიზნით, აწესებს მტკიცების სტანდარტს.<sup>75</sup> შესაბამისად, პრეზუმირდება, რომ პაციენტის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულების მტკიცების ტვირთია.<sup>76</sup> მტკიცების ტვირთის განაწილების ეს წესი არ ეწინააღმდეგება სსსკ-ის 102.1 მუხლით დადგენილ ქცევის წესს, რამდენადაც სსსკ-ით მოწესრიგებული მტკიცების ტვირთის განაწილების წესი უფრო პროცესუალური მნიშვნელობისაა.

ამდენად, მოპასუხის ბრალი ივარაუდება, ვიდრე მოპასუხე საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს.<sup>77</sup> ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა. თუ ექიმი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ის არ არღვევს არც ერთ ვალდებულებას და ბრალი არ მიუძღვის.

ექიმი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდევ უარყოფით შედეგზე. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა.<sup>78</sup>

სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთია **ზიანის დადგომა**.<sup>79</sup> მან აგრეთვე, **უნდა ამტკიცოს დამდგარი ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მოპასუხე** (ზიანის პრეზუმირებული მიმყენებელი) **ამტკიცებს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობას**.<sup>80</sup>

ერთ-ერთ საქმეში,<sup>81</sup> პაციენტის შვილმა, სარჩელი აღძრა სასამართლოში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიმართ არაჯეროვანი სამედიცინო დახმარების გაწევის გამო, დედის გარდაცვალებით მისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის დაკისრების მოთხოვნით. სარჩელის თანახმად, პაციენტის გარდაცვალება გამოიწვია ექიმების მიერ თავიანთი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებამ, რაც დადასტურებულია საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ. თუმცა, აღნიშნული საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ექიმებისათვის გადაცდომების გამო, სიტყვიერი გაფრთხილებისა და სახელმწიფო სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ერთი თვით შეჩერების შესახებ დედის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილი მოსარჩელეს უფრო გაუძაფრა. პაციენტის მეუღლის მოთხოვნის მიუხედავად, ექიმებმა მას სისხლი არ გადაუსხეს, რამაც ლეტალური შედეგი გამოიწვია. დადასტურდა, რომ ექიმების გადაცდომა გამოიხატა შემდეგში: კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში არ იყო

ნაწარმოები „პაციენტის მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების რუკა;“ გაუტკივარების ოქმის მიხედვით, პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია რელაპარატომია – არ იყო ნაწარმოები „პაციენტის ინფორმირებული თანხმობა გაუტკივარებაზე;“ სტაციონარში პაციენტთა მიღების და გაწერის რეგისტრაციის ჟურნალში არ ფიქსირდებოდა პაციენტის გაწერის/გარდაცვალების თარიღი; პაციენტს არ მიეწოდა ინფორმაცია პალიატიური მკურნალობის თაობაზე. ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ ექიმების მიერ არ შესრულდა/არ იქნა გათვალისწინებული მოქმედი რეგულაციები, თუმცა, კონკრეტულად ექიმის რომელი მოქმედებით გამოიხატა დარღვევა ან/და რა მოქმედებები უნდა შესრულებულიყო და არ შესრულდა ან/და რა შედეგის მომცემი იქნებოდა ეს მოქმედებები, დასახელებულ დოკუმენტში არ იყო მითითებული. აღნიშნული გადაცდომები (პაციენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა გაუტკივარებაზე, პალიატიურ მკურნალობაზე, ასევე, სტაციონარში პაციენტთა მიღების და გაწერის რეგისტრაციის ჟურნალში ინფორმაციის აუსახველობა) **არ შეფასდა იმგვარ საექიმო გადაცდომებად, რაც წარმოუშობდა მოსარჩელეს, მოპასუხის ბრალეულობის გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.** ამდენად, განხილულ საქმეში, არ გამოიკვეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი წინაპირობები: ვნების მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ვინაიდან, სამედიცინო დელიქტის შემთხვევაში, დაზიანებული სიკეთეა პაციენტის სხეული ან ჯანმრთელობა, **დაზარალებულს წარმოეშობა მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება**<sup>82</sup> სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობების არსებობისას, როგორცაა, ვთქვათ დაზარალებულის ხანგრძლივი დისკომფორტის, ფსიქიკური ტანჯვის არსებობა და სხვა.

უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ევროპული მიდგომითაც. კერძოდ, პრეცედენტული სამართალი ითვალისწინებს ტკივილს, სტრესს, მწუხარებასა და ფრუსტრაციას, როდესაც მიზანშეწონილად მიიჩნევა მორალური ზიანისთვის კომპენსაციის მინიჭებას.<sup>83</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმე Reynolds v. The United Kingdom,<sup>84</sup> შეეხება მომჩივანის ვაჟიშვილის, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ ფსიქიატრიული ტიპის დაწესებულებაში გარდაცვალების გამო, მისი ოჯახის წევრებისათვის მორალური ზიანის დაკისრებას. მომჩივანის ვაჟიშვილს დაუდგინდა შიზოფრენია. მის მკურნალობას უძღვებოდა ფსიქიატრთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმართებოდა ეროვნული ჯანდაცვის სისტემის მიერ. მას დანიშნული ჰყავდა მზრუნველიც. მომჩივანის ვაჟიშვილი უჩიოდა, რომ მას ყურში ჩაესმოდა ბრძანება „თავი მოეკლა,“ რაც იმდენად სტრესული იყო

მისთვის, რომ თავის მოკვლაზე ფიქრობდა და ამ ხმების შიშით იტანჯებოდა. თუმცა, მისი ავადმყოფობის ისტორიაში, სუიციდის მცდელობას ან თვითდაზიანებას ადგილი არასოდეს ჰქონია. მომჩივანის მდგომარეობის ამგვარი გაურესების გამო, მისი ოჯახი დაუკავშირდა შესაბამის სამსახურს და სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში, რომელიც აღჭურვილი იყო კამერებით, ექიმების მაღალი მეთვალყურეობით, მათ შორის, მკაცრად კონტროლდებოდა ყველა მედიკამენტის დროული მიღება, ვაჟიშვილის ჰოსპიტალიზაცია მოსთხოვა. მომჩივანმა უარი მიიღო სპეციალურ დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაციაზე საწოლების არასაკმარისობის გამო. მომჩივანის ვაჟიშვილი მძიმე კლინიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა საავადმყოფოში იქნა მიყვანილი ოჯახის მიერ. მკურნალობის პროცესში მას მეთვალყურეობდა მეურვედ დანიშნული ქალბატონი და მედდა. მომჩივანის ვაჟიშვილის მკურნალობა ითვალისწინებდა სუციდის რისკების შემცირებას. მომჩივანის ვაჟიშვილმა ერთხანს შეამცირა მედიკამენტის მიღება და სუციდის რისკი გაიზარდა, თუმცა, ეს შემჩნეული იქნა და იგი მალევე დაუბრუნდა მედიკამენტოზურ მკურნალობას, მისი მდგომარეობაც მალე დასტაბილურდა. მას ისე აღარ ჩაესმოდა ხმები, თუმცა შიში იმისა, რომ კვლავ არ განმეორებულყო ასეთი ხმები, მას ძალზედ სტანჯავდა. მას შემდეგ, რაც შეთანხმდა, რომ მომჩივანის ვაჟიშვილს ესაჭიროებოდა უსაფრთხო და დაცული გარემო, იგი გადაყვანილი იქნა კრიზისის მართვის ოთახში, რომელიც მდებარეობდა მე-6 სართულზე, მედპესონალის ოთახის პარალელურად. ერთ დღეს, სადილობისას შემჩნეული იქნა რომ იგი თავს უგუნებოდ გრძნობდა. იმავე დღეს კი, საღამოს ინტერესით ათვალთვრებდა გარშემო განლაგებულ შენობებს. მოგვიანებით, მოვიდა საუბრის გუნებაზეც და მშვიდად დაბრუნდა ოთახში. ღამით, მედიკამენტის მიღებამდე 15 წუთით ადრე მომჩივანის ვაჟიშვილმა გაანგრია ფანჯარა, მე-6 სართულიდან გადმოხტა და ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიების შედეგად შესაბამის სამკურნალო დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა კრიზის ოთახებში ფანჯრები მყარი კონსტრუქციით შეცვლილიყო. შემთხვევის დღეს წარმოებულ სამედიცინო ჩანაწერეში ავადმყოფის მდგომარეობის გაურესების შესახებ ჩანაწერი გაკეთებული არ ყოფილა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მომჩივანის პოზიცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას ტანჯავდა მძიმე დანაკლისი, იგი განიცდიდა სტრესსა და იმედგაცრუებას, რაც მისი ვაჟიშვილის სიკვდილმა და სახელმწიფოში არაეფექტიანმა სამოქალაქო მისაგებელმა განაპირობა.

**დაზარალებულის ახლო ნათესავისათვის მორალური ზიანის მიღების შესაძლებლობა, მიუხედავად დაზარალებულის მძიმე ხარისხით დაზიანებისა (სიკვდილი, ტვინის მძიმე დაზიანება და სხვა), მრავალმხრივი და საკამათოა.**

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის პირდაპირი დანაწესით, ზუსტი არ იქნება ვისაუბროთ დაზარალებულის ახლობლისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რადგან

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უპირველესი ფუნქცია დაზარალებული პირისთვის განცდილი არამატერიალური ზიანის კომპენსირებაა.<sup>85</sup> ხოლო გერმანული სამართლის მიხედვით, შესაბამისი მოთხოვნის რეალიზაციისათვის უნდა დასტურდებოდეს, რომ პირდაპირი დაზარალებულის ახლობლის ჯანმრთელობის ხელყოფამ იმავდროულად გამოიწვია მომჩივანის ჯანმრთელობის ხელყოფა.<sup>86</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომისთვის საინტერესოა საქმეზე *Zavoloka v Latvia*<sup>87</sup> გადაწყვეტილება, რომელიც ყურადღებას იპყრობს იმ თვალსაზრისით, რომ მომჩივანის არგუმენტით, **კერძო პირის უბედური შემთხვევის გარდაცვალებისათვის, მორალური ზიანისათვის კანონიერი სამართლებრივი დაცვის საშუალება სახელმწიფოში არ არსებობდა.** იგი უთითებდა, რომ 12 წლის შვილს ქუჩაში გადაუარა და მოკლა მანაქანამ, რომელსაც მართავდა კერძო პირი. მძღოლმა, ბრალის წაყენების შემდეგ, მომჩივანს თვითნებურად გადაუხადა 2600 ევრო, დაკრძალვის ხარჯების დასაფარად. ეროვნულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო მძღოლი და თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მომჩივანმა მძღოლის წინააღმდეგ შეიტანა სამოქალაქო სარჩელი მისი ქალიშვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის, რაც უარყოფილი იქნა, ვინაიდან იმ დროს, სამოქალაქო კოდექსში არ არსებობდა დებულება, რომელიც ახლო ნათესავის გარდაცვალებისთვის პირს ანიჭებდა მორალური ზიანის ანაზღაურებას. ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლების დარღვევა იმის გამო, რომ სახელმწიფოებში გარდაცვლილის ახლობლის კომპენსაციასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოწესრიგება მრავალფეროვანია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, რომ მომჩივნის მსგავს საქმეებში, უნდა მოხდეს ანაზღაურება მორალური ზიანისათვის. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა სისხლის სამართალწარმოებაში ჩართულიყო სამოქალაქო მხარედ და მოეთხოვა სამედიცინო და დაკრძალვის ხარჯების დაფარვა, თუმცა, ამის ნაცვლად მან მძღოლის მიერ შეთავაზებული თანხა მიიღო. ეს გადაწყვეტილება საინტერესოა იმიტომაც, რომ საბოლოოდ, მომჩივანის სახელმწიფოში **კანონის ახლებური მოწესრიგებით შესწორდა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რომელმაც უკვე პირდაპირ გაითვალისწინა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, როგორც კომპენსაციის ზოგადი უფლების ნაწილი.** გარდა ამისა, იგი უშვებდა მორალური ზიანის არსებობას სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისას. **ევროპულმა სასამართლომ დადებითად შეაფასა კანონში შესული ეს ცვლილება.**<sup>88</sup>

სიკვდილი ან სხეულის სერიოზული დაზიანება არ იქნება გონივრული პირდაპირ მივიჩნიოთ ისეთ გარემოებად, რომელიც წარმოშობს მორალური ზიანის ფულადი ფორმით

ანაზღაურების უფლებას. ასეთი უფლების წარმოსაშობად, მტკიცების პროცესის წარმატებით დაძლევისთვის, უშუალო დაზარალებულის მძიმე ხარისხით დაზიანებასთან ერთად,<sup>89</sup> აგრეთვე უნდა დასტურდებოდეს ისეთი გარემოებები, რომლებიც თავისი ხასიათით სცილდება ახლო ნათესავის გარდაცვალებით გამოწვეულ გლოვას, დარდს, მწუხარებას. მსგავს შემთხვევებში, უნდა დასტურდებოდეს განცდილი (მიმდინარე/განგრძობადი) ტანჯვის ისეთი ხარისხი, რომელიც აღწევს ისეთ დონეს, რომ წარმოქმნის დაზარალებულის ახლო ნათესავის ჯანმრთელობის, მისი ფსიქო-ნერვული მდგომარეობის დაზიანების წინაპირობას. **ამის გამო, ახლო ნათესავის ეს მდგომარეობა შეიძლება, გაიგივდეს მისივე სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან სსკ-ის 413-ე მუხლის კონტექსტში.** ასეთ შემთხვევაში, დაიშვება პრეზუმფცია (ვარაუდი) ახლო ნათესავის (ახლობლის) გარდაცვალების გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე.<sup>90</sup>

სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით სხვა პირისთვის გამოწვეული მორალური ზიანი შესაძლოა განვიხილოთ იმ სამართლებრივად დასაშვებ ზიანად, რომელიც უშუალოდ დაზარალებულსა და მასთან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაში მყოფი პირისთვის წარმოშობს დაცვის უფლებას. ასეთი სარჩელის წარმატება, როგორც არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემამსუბუქებელი, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირების საშუალება, ყოველი კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისა და შეფასების საკითხია.<sup>91</sup>

განსაზღვრულობის მიზნით, კარგი იქნება დადგენა, თუ როდის არის პირდაპირი მსხვერპლის დაზიანება საკმარისად მძიმე, რომ გაამართლოს მისი ამ მდგომარეობით განპირობებული მისი ახლო ნათესავის – დაზარალებულის მიერ, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. განიხილება მხოლოდ სიკვდილის შედეგები თუ მხედველობაში მიიღება სხვა მძიმე დაზიანებები, მაგ., თუ პირდაპირი მსხვერპლი დიდი ხნის განმავლობაში კომაშია.<sup>92</sup>

იმავედროულად, დასაფიქრებელია დაზარალებულის ჯანმრთელობისათვის მძიმე ხარისხით ვნების მიყენების შემთხვევაში (როდესაც სიცოცხლე ხელყოფილი არ არის), ერთდროულად თუ წარმოეშობათ მოთხოვნის უფლება, როგორც დელიქტით უშუალოდ დაზარალებულს და მასთან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაში მყოფ პირს.

ახლო ნათესავის სიკვდილით განცდილი შოკით მიყენებული მორალური ზიანის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მისი დადასტურების პრობლემა გამოწვევად რჩება. ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი ამკვიდრებს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლებას, რაც არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, თუმცა, არც გამორიცხავს ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგების არსებობას, რომელიც გარდაცვლილის ახლობლებს მიანიჭებდათ განცდილი სულიერი ტანჯვისთვის კომპენსაციას.

### თავი 3. მძიმების ძვირთი პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისას

#### 3.1. სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი სუბიექტები

პირადი არაქონებრივი უფლებები განსხვავდება ქონებრივი უფლებებისაგან პირველ ყოვლისა, მათი ბრუნვაუნარიანობის ხასიათიდან გამომდინარე. მაგალითად, ქონებრივი უფლებისაგან განსხვავებით, პირადი არაქონებრივი უფლება ვერ იქცევა სახელშეკრულებო სამართლის ობიექტად. არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია როგორც სამართლებრივი, ისე მორალური (ზნეობრივი) ნორმების დარღვევისას.<sup>93</sup> ამ უფლებათა გამიჯვნის საფუძველს ზიანის ანაზღაურების საკითხიც განსაზღვრავს.<sup>94</sup>

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შიდა სამართლებრივი მისაგებლის ინსტრუმენტი მოცემულია სსკ-ის 18.2 მუხლსა (პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან) და „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>95</sup> 6.1 მუხლში (პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით). აღნიშნულმა ნორმებმა, სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა, როგორც უფლების დაცვის ეფექტიანი ინსტრუმენტები, ასევე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები.

დიფამაციური სარჩელის აღძვრისას, მოსარჩელის ინტერესი მისი არაქონებრივი უფლების ხელყოფის აღკვეთაა. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული განხორციელებადა: სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებით სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ; გავრცელებული ცნობების უარყოფით; ცილისწამებისას, ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება.<sup>96</sup> ბოდიშის მოხდის მოთხოვნის დაყენება კი, სპეციალური კანონით იმპერატიულად დაუშვებელია.<sup>97</sup>

გერმანული სამართალი პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისას, სხვადასხვაგვარ შესაძლებლობებს ჰყოფს სამ ჯგუფად: ა) სხვა პირის პირად ცხოვრებაში შეჭრა; ბ) პატივის შემლახველი ფაქტები; გ) პირის კომერციალიზება მისი თანხმობის გარეშე.<sup>98</sup> დასახელებულ უფლებათა დარღვევისას კი, განიხილავს სხვადასხვა სამართლებრივ მისაგებელს: **1. საპირისპირო წარმოდგენის უფლებები**, რაც გულისხმობს არასწორი ფაქტის (არა შეხედულების) გავრცელების შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა მოითხოვოს, რომ გამოქვეყნდეს მისი

პოზიცია. მას შეუძლია ეს უფლება განახორციელოს სწრაფად, თანაც არასწორი ფაქტის სა-  
წინააღმდეგო მტკიცება (ან დასაბუთება) არ მოითხოვება; **2. მოქმედებისაგან თავის შეკავება**,  
მაშინ როდესაც ფაქტების მტკიცება ან შეხედულებათა გაცვლა პიროვნების შეურაცხყოფელ  
ზღვარს არღვევს; **3. დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებები**, რომლებიც  
არსებობს მხოლოდ ფაქტების მტკიცების შემთხვევაში: თუ დაინტერესებული პირი ამტკიცებს  
მათ უსწორობას, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს, რომ დამრღვევი გაემიჯნოს თავის ფაქტებს  
და თავის მხრივ, გამოაქვეყნოს დამატებითი ინფორმაცა, ფაქტების შესწორება ან უარყოფა;  
**4. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებები**, რომლისთვისაც BGB §823 მუხლის  
თანახმად, ბრალის არსებობა მოითხოვება; **5. იდეალური ინტერესების დარღვევისათვის  
ფულადი კომპენსირება**, რომელიც დაინტერესებულ პირს ეკუთვნის მიუხედავად BGB §253.1  
მუხლისა (რაც სსსკ-ის 413.1 მუხლის ანალოგია), როდესაც პირის უფლებები მნიშვნელოვნად  
ირღვევა ან დამრღვევს მიუძღვის მნიშვნელოვანი ბრალი. მიჩნეულია, რომ თავისი ში-  
ნაარსით, ფულადი თანხით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მაინც სუბსიდიურია.  
შესაბამისად, იგი არ არსებობს, როდესაც დარღვევა საკმარისად იყო კომპენსირებული სხვა  
საშუალებით (მაგ., უარყოფით). **6. გარდაცვალების შემდგომი პირადი უფლებების დაცვიდან  
გამომდინარე მოთხოვნები.**<sup>99</sup>

დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში საკამათოა იურიდიული პირისათვის მორალური  
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობა.<sup>100</sup> არსებობს მოსაზრება, რომ „საქმიანი  
რეპუტაციის შელახვა იწვევს იურიდიული პირისათვის არა მორალური, არამედ არაქონებრივი  
ზიანის მიყენებას.“<sup>101</sup> ასეთ შემთხვევაში, არსებობს საქმიანი რეპუტაციის შელახვის იმგვარი ფაქ-  
ტი, რაც ეწინააღმდეგება იურიდიული პირის „საბაზრო სახეს“, მის კომერციულ შეხედულებებს  
და ხელს უშლის ამ უკანასკნელს თავისი საქმიანობის განხორციელებაში.<sup>102</sup>

დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ  
პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისობრივად არ უკავშირდება ადამიანს. თუმცა,  
ნაწილი პიროვნული უფლებებისა, იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული  
ფორმით ჰქონდეს.<sup>103</sup> მით უმეტეს, არაქონებრივი ზიანისა და მორალური ზიანის ცნებები ერთ-  
გვაროვანი არ არის. არაქონებრივი ზიანი – სამართალდარღვევის (დელიქტის) არამატერი-  
ალური შედეგია, ხოლო მორალური ზიანი – დელიქტის უარყოფითი შედეგი, რაც ზნეობრივ  
ტანჯვაში გამოიხატება და იძლევა კანონით საკმარის საფუძველს მისი ანაზღაურებისათვის.<sup>104</sup>

დოქტრინაში არსებული მოსაზრებით, „მორალური“ ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის  
უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირებს აქვთ, ვინაიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ განიცადონ  
ფიზიკური და სულიერი ტანჯვა, ხოლო რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების  
მოთხოვნა შეუძლია როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.<sup>105</sup>

„ნებისმიერი იურიდიული პირი სარგებლობს სახელის დაცვის საყოველთაო წესებით, რომლის შესახებაც დათქმას აკეთებს სსკ-ის მე-18 მუხლი და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში, გამოიყენება მე-18 მუხლით დადგენილი წესები.“<sup>106</sup> შესაბამისად, იურიდიული პირის სამართლებრივი მისაგებლის უფლება ვრცელდება არა მორალურ ზიანზე, არამედ საქმიანი რეპუტაციის ხელყოფაზე. საქმე იმაშია, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.<sup>107</sup>

მაშასადამე, მორალური ზიანის კატეგორიაში შეზღუდულია პირთა წრე და იგი ფიზიკური პირებით შემოიფარგლება, ხოლო სსკ-ის 27.5. და 18.6. მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, სსკ-ის 18.6. მუხლით დადგენილი წესი ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ მიესადაგება იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ დავებს.

იურიდიული პირისათვის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებით სარგებლობის კონტექსტში, საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც აღინიშნა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი მიემართება არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებსაც.<sup>108</sup> ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იურიდიულ პირებს შესაძლებლობას აძლევს აგრეთვე, საკამათოდ გახადონ იმ განცხადებების სიმართლე, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მათ რეპუტაციას და შეამცირონ ზიანი, **მხოლოდ ეს არ შეეხება მორალური ზიანის მოთხოვნის უფლებას.**<sup>109</sup> ამიტომაც, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიული პირის სარჩელი პროცესუალური დასაშვებობის კუთხითაც უნდა გადაიხედოს.<sup>110</sup>

ფიზიკურ პირთან მიმართებით, ცალკე აღნიშვნის ღირსია გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დაცვის ფარგლები (სსკ-ის 19 მუხლი).<sup>111</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი კი, გარდაცვლილის სასარგებლოდ არ დგას, დაუშვებელია.<sup>112</sup> მაგ., პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევის შემთხვევაში, სსკ-ის მე-19 მუხლი, ნორმის პირდაპირი მითითებით კრძალავს სიკვდილის შემდეგ, არაქონებრივი უფლებების (სახელის, პატივის, ღირსების შელახვისთვის) მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნას.<sup>113</sup> იგივეს იმეორებს სპეციალური კანონის ნ.4<sup>1</sup> მუხლი – „...სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.“<sup>114</sup> შესაბამისად, გარდაცვლილის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნას უფლების კერძოსამართლებრივი დაცვის სხვა ფორმები, მაგალითად, უარყოფა, მოქმედების შეწყვეტა და სხვა.<sup>115</sup>

ამასთან, გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ახლებურ საკანონმდებლო მოწესრიგებასთან დაკავშირებით საინტერესოა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>116</sup> კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელიც წარდგენილი იქნა გარდაცვლილის ოჯახის მიერ: საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას, საქმის უშუალოდ განხილვის დროს მოქმედებდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგი რედაქცია: „ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.“ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილება გარდაცვლილი პირის შემთხვევაში, შეუძლებელია. განცხადება არის თუ არა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, იმავდროულად, აყენებს თუ არა პირს ზიანს და უტეხს თუ არა მას სახელს, ეს უპირველესად, სწორედაც რომ იმ პირის შეფასების საგანს წარმოადგენს, რომლის თაობაზეც გაკეთდა განცხადება. მას ობიექტურად აქვს ყველაზე სწორი ინფორმაცია, სიმართლეა თუ სიცრუე მის შესახებ განცხადებაში მოტანილი ფაქტი. ამასთან, უშუალოდ მას შეუძლია იმის შეგრძნება, განცდა, ზიანს აყენებს თუ არა მას ეს განცხადება და რა ტიპის ზიანია ეს. გარდაცვლილ პირს ამის შესაძლებლობა ობიექტურად არა აქვს.“ კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<sup>117</sup>

2014 წლის 2 ოქტომბერს კი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>118</sup> მე-6 მუხლს მე-4 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> პუნქტი (მოქმედი რედაქცია): „გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად ცილისწამების თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია პირს, რომელსაც საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც...“<sup>119</sup>

### 3.2. მტკიცების ტვირთი პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისას

არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად, კანონმდებლის მიერ **დაცულ სიკეთედ აღიარებულია მორალური ზიანი**, ხოლო მისი ანაზღაურებისათვის საჭიროა მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობების ზუსტად განსაზღვრა. პროცესუალური თვალსაზრისით, **ეს წინაპირობები წარმოადგენენ მტკიცების საგანში შემავალ ფაქტობრივ გარემოებებს.**

მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადგენად, მხარეთა მტკიცებითი საქმიანობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: თავდაპირველად, უნდა განისაზღვროს მტკიცების საგანი,<sup>120</sup> შემდგომ განა-

წილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და ამის შესაბამისად, წარმოადგინონ მხარეებმა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად მტკიცების საპროცესო საშუალებები.<sup>121</sup>

პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისას, სასამართლოში მტკიცებითი პროცედურა პრობლემურ და აქტუალურ საკითხად რჩება.

„გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ და ფუნქციურ კომპონენტს წარმოადგენს, ის ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის. ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს.<sup>122</sup>

„უფლება, ის ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც ამართლებს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირის თავისუფლების შეზღუდვას.“<sup>123</sup> მიუხედავად გამოხატვის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობისა, ცალკეულ შემთხვევაში, სახელმწიფო უფლებამოსილია და ვალდებულიც, ჩაერიოს გამოხატვის თავისუფლებაში, რათა უზრუნველყოს სხვათა ავტონომიის პატივისცემა, ცალკეული ინდივიდებისა თუ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების დაცვა.<sup>124</sup> ზოგადად, კონფლიქტი ისეთ კონსტიტუციურ ღირებულებებს შორის, როგორებიცაა ადამიანის სახელის, რეპუტაციის, პატივის უფლება და გამოხატვის თავისუფლება, ობიექტურად გარდაუვალია. ასეთ დროს, კონსტიტუციის მიზანი არის მათი გონივრული დაბალანსება, ორივე სიკეთის უზრუნველყოფა, ხოლო სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულება ასეთი ბალანსის დაცვა.<sup>125</sup>

გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის სახელის, პატივის, რეპუტაციის დაცვის მიზნით, მათ შორის, სასამართლოში დავის გზით. ყველას, ვინც მიიჩნევს, რომ მისი უფლება დარღვეულია, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებაზე უფლება.<sup>126</sup>

**მნიშვნელოვანია მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა, კერძო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოსაშობად სპეციალური კანონის მე-13 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დამტკიცებას ექვემდებარება:**<sup>127</sup> ა) მოპასუხემ მოსარჩელის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს<sup>128</sup> ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს<sup>129</sup> აყენებს მოსარჩელის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. შესაბამისად, დიფამაციური სარჩელის განხილვისას მტკიცების საგანი ამ სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს.<sup>130</sup> ხოლო, თუ საქმე ეხება ბრალეულ ხელყოფას, მტკიცების საგანი ფართოვდება და აგრეთვე, მოიცავს ცნობების გამავრცელებლის ბრალეულობას ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების<sup>131</sup> გავრცელებაში.<sup>132</sup> ბრალი კი, სამოქალაქო სამართალში პირის მიერ კონკრეტული ქმედებისა და მისი შედეგებისადმი დამოკიდებულებას გულისხმობს.<sup>133</sup> ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობა

და მისი სუბიექტური კომპონენტი. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება არაა დამოკიდებული ბრალის ფორმაზე (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა).<sup>134</sup>

შესაბამისად, **მტკიცების საგნის ფორმირებისთვის უნდა მივმართოთ სსკ-ის მე-18 და 993-ე მუხლებს.** პირადი უფლებების სადავობისას, ბრალის მიუხედავად ვხელმძღვანელობთ სსკ-ის მე-18 მუხლის დანაწესით, ხოლო ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების ბრალეული გახმაურებისათვის – სსკ-ის 993-ე მუხლის დანაწესით. სსკ-ის 993-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება უკავშირდება ქონებრივი ზიანის მიყენებას, ხოლო პატივისა და ღირსების შელახვა საზოგადოების თვალში კონკრეტული პირის დამცირებისკენაა მიმართული და ასეთ ქმედებას, ქონებრივი ზიანის გამოწვევა არ უდევს საფუძვლად.<sup>135</sup>

**განსხვავებულია საჯარო პირის ცილისწამებისთვის მტკიცების საგნის ფორმირების წესი.** ასეთ შემთხვევაში, უნდა მივმართოთ სპეციალური კანონის მე-14 მუხლს, რომლის მიხედვით, მტკიცების საგანში შედის შემდეგი: ა) მოპასუხემ გაავრცელა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ცნობა; ბ) მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობით მოსარჩელეს მიადგა ზიანი; გ) გავრცელებული ცნობის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა ან უხეში დაუდევრობა. **მაშასადამე, კერძო პირის ცილისწამებისათვის კუთვნილი მტკიცების საგნისაგან განსხვავებით, საჯარო პირის ცილისწამების მტკიცებს საგანი დამატებით მოიცავს იმ გარემოებას, რომ მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ ბრალეულად გაავრცელა მცდარი ინფორმაცია.**<sup>136</sup>

საჯარო პირის ცილისწამების შესახებ მნიშვნელოვან განმარტებას შეიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე – ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ.<sup>137</sup> მომჩივანი გახლდათ ფსიქიატრი და ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორი. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობდა წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე. 2003 წელს, მომჩივანმა შექმნა რეაბილიტაციის პროექტი თბილისის ციხის პატიმრებისთვის. მოგვიანებით, ის გახდა იუსტიციის მინისტრის მიერ დაარსებული ციხის მონიტორინგის საბჭოს წევრი. 2005 წელს, იუსტიციის მინისტრმა იგი დაადანაშაულა თანხის სანაცვლოდ პატიმრებისთვის სამედიცინო დასკვნების შედგენაში, რომლის მეშვეობით ჯანმრთელი პატიმრები ციხის საავადმყოფოებში გადაყავდათ. მინისტრმა აღნიშნული განცხადებები გააკეთა ტელევიზიითა და ბეჭდური მედიის საშუალებით. ქ-მა ჯიშკარიანმა ცილისწამებისთვის მინისტრის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღძრა. ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სახელმწიფო ორგანოებს გამოძიება არასდროს უწარმოებიათ და მინისტრის ბრალდებები „შესაძლოა მცდარ ფაქტებს შეიცავდეს.“ მიუხედავად ამისა, 2006 წელს, სასამართლოებმა მომჩივნის სარჩელი არ დააკ-

მაყოფილეს და დაადგინეს, რომ მინისტრის მიერ გამოთქმული ბრალდებები წარმოადგენდა პირად მოსაზრებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეზე ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. **მომჩივანმა შეძლო დამტკიცებინა, რომ მინისტრმა მას საჯაროდ დასდო ბრალი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებაში, მიუხედავად იმისა, რომ არც განცხადების გაკეთების დროს და არც შემდეგ ეტაპზე, მინისტრს არ ჰქონდა ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი საფუძველი.**

**მტკიცების საგნის განსაზღვრის შემდეგ, დასაძლევია შემდეგი ამოცანა, როგორ უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი.**

მტკიცების ტვირთის განაწილება სასამართლოს ვალდებულებაა. ამ მიზნით, **უნდა მივმართოთ პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფისას მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დამფუძნებელ მატერიალურსამართლებრივ ნორმებს. სწორედ მათშია იმპლიმენტირებული მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური წესი, რომელიც ფორმირებულია მატერიალურ სამართალში, მაგრამ განკუთვნილია პროცესისთვის.**

სპეციალურმა კანონმა სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისაგან განსხვავებულად მოაწესრიგა მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი. აღნიშნულთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილიც,<sup>138</sup> რომლის ძველი რედაქცია დღევანდელისაგან განსხვავებულ მტკიცების ტვირთის გადანაწილებას ადგენდა – **მტკიცების ტვირთს ინფორმაციის გამავრცელებელს აკისრებდა შემდეგი დანაწესით: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება...**<sup>139</sup> ახალი კანონით პრაქტიკულად „შემოღებულ იქნა „დიფამაციის დეკრიმინალიზაცია“ (პირისთვის განზრახ დანაშაულის დაბრალება). ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგებით, საქართველომ გაიზიარა საერთო სამართალში (აშშ) სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი გარანტიის“<sup>40</sup> შექმნის იდეა.

სსკ-ის მე-18 მუხლის მოქმედი საკანონმდებლო დანაწესით, მტკიცების ტვირთი შებრუნებულია. მოსარჩელეა ვალდებულია ამტკიცოს მის მიმართ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. **მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს ადგენს სპეციალური კანონის მოქმედი რედაქციის 7.6 მუხლი. ნორმა განსაზღვრავს, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას, მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. ამავე კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა**

კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

ამდენად, მოსარჩელემ უნდა ადასტუროს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები. მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დასძლევს თავისი მტკიცების ეტაპს, მოსარჩელის პოზიციის შერყევის საპროცესო საშუალება (კვალიფიციური შესაგებლის წარდგენის უფლება) სადავო განცხადების ავტორს (მოპასუხეს) ეძლევა.<sup>141</sup>

მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება და მისი დაკისრება შეზღუდვის ინიციატორისათვის (მოსარჩელე), მიგვითითებს, რომ გამოსატვის თავისუფლებას ხშირად უპირატესობა ენიჭება რეპუტაციის უფლებასთან მიმართებაში. მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის (შეზღუდვის ინიციატორი) ართულებს დიფამაციის საქმეებზე სარჩელის დაკმაყოფილებას. ვინაიდან, ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება (პუბლიკაციის გამოქვეყნება, საჯაროდ ტელევიზიით გამოსვლა და ა.შ.), მოსარჩელემ სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ მის შესახებ გავრცელა ფაქტები, ეს ფაქტები არსებითად მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება.<sup>142</sup> დიფამაციური სარჩელების განხილვისას, მხარეთა (ინფორმაციის გამავრცელებელი და შეზღუდვის ინიციატორი) შორის მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება, მძიმე ტვირთად აწევს მოსარჩელეს (შეზღუდვის ინიციატორი). თუმცა, კანონი უფრო მეტადაა ორიენტირებული სიტყვის თავისუფლების უფლების დაცვაზე, ვიდრე მის შეზღუდვაზე.<sup>143</sup> მტკიცების ტვირთის ასეთი გადანაწილება შესაძლოა გადაჭარბებული იყოს.<sup>144</sup>

რაც შეეხება საჯარო პირის ცილისწამების საქმეებს, სპეციალური კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარეობს მტკიცების ტვირთის სპეციალური წესი, რომლის მიხედვით, პირს ეკისრება სა-მოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და გაცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება ე.ი. მოსარჩელემ დამატებით უნდა ადასტუროს, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მცდარი იყო ინფორმაცია, რომელსაც იგი ავრცელებდა.

საინტერესოა, ევროპულ სამართალსა და საერთო სამართალში დიფამაციის საქმეებზე დადგენილი მტკიცების ტვირთის სტანდარტი.

1960-იან წლებამდე, საერთო სამართალში, დიფამაციური სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რომ გამოქვეყნდა პუბლიკაცია მის შესახებ. მას არ უნდა

ემტკიცებინა ბრალი. ასევე, ზიანთან დაკავშირებით არსებობდა მისი ანაზღაურების ზოგადი პრეზუმფცია. სიმართლე განიხილებოდა, როგორც მხოლოდ პოზიტიური და არა აბსოლუტური დაცვა. ამგვარად, პირის რეპუტაციის დაცვა სახელმწიფო პოლიტიკისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო და ცილისწამებისას განცხადების სიმცდარე თავისთავად იგულისხმებოდა. **საერთო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე New York Times Co. v. Sullivan.**<sup>145</sup>

საერთო სამართალში დამკვიდრებული მტკიცების სტანდარტით დიფამაციური სარჩელის კომპონენტები სადავო ცნობის გამოქვეყნების ფაქტი და გავრცელებული ცნობის მცდარობა უნდა ამტკიცოს მოსარჩელემ (შებლუდვის ინიციატორმა).

საქმეში New York Times Co. v. Sullivan<sup>146</sup> უზენაესმა სასამართლომ ბრალის სხვადასხვა სტანდარტი შემოიღო. იმის მიხედვით, ვინ არის შებლუდვის ინიციატორი, კერძო პირი თუ საჯარო პირი – მტკიცების განსხვავებული სტანდარტი მოქმედებს.

სარჩელში, სადაც შებლუდვის ინიციატორი საჯარო მოხელე/საჯარო ფიგურაა, ბრალის მტკიცების სტანდარტი საკმაოდ მაღალია. საჯარო პირებმა ინფორმაციის სიმცდარის მტკიცებასთან ერთად, უნდა ამტკიცონ მოპასუხის ბოროტი განზრახვა (რომლის კონსტიტუციური განმარტებაც შემდეგნაირია: სიმართლის ან ტყუილის განზრახ ან გაუფრთხილებელი იგნორირება).

თუ მოსარჩელე კერძო პირია, მაშინ მტკიცების სტანდარტი შედარებით მსუბუქია და კერძო პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ გამომცემელი ან მაუწყებელი სულ მცირე, გაუფრთხილებლად მოქმედებდა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კერძო პირების შემთხვევაში, „სალი-ვანის სტანდარტის“ გავრცელება შეუსაბამოა.

საქმეში Philadelphia Newspaper Inc. v. Hepps<sup>147</sup> სასამართლომ დადგინდა, რომ მოსარჩელე კერძო პირებმაც უნდა ამტკიცონ გამოქვეყნებული განცხადებების მცდარობა, თუ განცხადება საჯარო საკითხებს ეხება.

ცილისწამების სარჩელის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ზიანის საკითხი. შეერთებული შტატების უმეტეს შტატში, სარჩელში დასაბუთებული უნდა იყოს, რომ პირის რეპუტაციას ზიანი მიაღდა. თუმცა, არ არის საჭირო ზიანის დამტკიცება, თუ საქმე ეხება ისეთ საკითხებს როგორცაა: სისხლის სამართლის დანაშაულის დაბრალება, გადამდები დანაშაულის დაბრალება, ქალისათვის მსუბუქი ყოფაქცევის დაბრალება, პირის რეპუტაციის, ბიზნესის, პროფესიისა და სამსახურებრივი საქმიანობისთვის ზიანის მიყენება. ამ შემთხვევაში, არსებობს ზიანის ანაზღაურების პრეზუმფცია. სხვა შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებულია, რომ დაამტკიცოს ფინანსური დანაკარგის არსებობა, რათა ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.<sup>148</sup>

ევროპული მიდგომა უფრო მეტად იცავს რეპუტაციას... „ევროპული სასამართლო იქითკენ იხრება, რომ შესაბამისი „გამოხატვა“ „შეფასებით მსჯელობად“ მიიჩნიოს და საკითხი გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ<sup>149</sup> და რეპუტაციის უფლების საზიანოდ გადაწყვიტოს.<sup>150</sup>

დიფამაციის საქმეზე მტკიცების ტვირთის დისპროპორციული განაწილება იყო საქმეში *Steel and Morris v. the United Kingdom*,<sup>151</sup> სადაც მომჩივანები აცხადებდნენ, რომ ეროვნულ დონეზე სასამართლო განხილვები დისპროპორციული იყო, მათ შორის, იმის გამოც, რომ მათ დაეკისრათ პროკლამაციაში (კომპანია „მაკდონალდსის“ საწინააღმდეგოდ გამოშვებული და გავრცელებული იქნა ექვსფურცლიანი პროკლამაცია სახელწოდებით „რა არის ცუდი მაკდონალდსში?“) მითითებული განცხადებების სიმართლის დამტკიცების ტვირთი. პროკლამაციაში დაყენებული თითოეული ბრალდების ზედმიწევნით დამტკიცების მოთხოვნა კი, საქმის კომპლექსურობის გათვალისწინებით, არ შეესაბამებოდა დემოკრატიის ინტერესებს, რამდენადაც ეს ნიშნავდა საშუალებების არმქონე პირების იძულებით ჩაბმას სასამართლო პროცესებში და ამ გზით, საჯარო დებატებისაგან მათ ჩამოცილებას. მომჩივანების სამდურავთან, რომელიც შეეხებოდა მტკიცების ტვირთის დისპროპორციულ განაწილებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან, პრინციპში, შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხისათვის დიფამაციური განცხადებების სიმართლის პასუხისმგებლობის დაკისრება მტკიცების სამოქალაქოსამართლებრივი სტანდარტით. ამასთან, ინგლისსა და უელსში არსებული კანონის მიხედვით, ეროვნულ დონეზე ინფორმაციის გამავრცელებლებს ჰქონდათ არჩევანი ან უკან წაეღოთ თავიანთი პროკლამაცია და ბოდიში მოეხადათ მაკდონალდსისათვის (შეზღუდვის ინიციატორისათვის), ანდა საკუთარ თავზე ეწვნიათ პროკლამაციაში მითითებული ინფორმაციის სისწორის დამტკიცების ტვირთი. ასეთი ვალდებულების ზღვარსგადასულობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით კი, სასამართლომ არ გაიზიარა აზრი, რომ მოსარჩელეთა გამოხატვის თავისუფლებასა და მაკდონალდსის რეპუტაციის დაცვის საჭიროებას შორის სამართლიანი ბალანსი იქნა მიღწეული. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ საქმე ძალზე კომპლექსური იყო. იგი მოიცავდა დოკუმენტურ მტკიცებულებებსა და 130 მოწმის ბეპირი ჩვენებების 40 000 გვერდს, ასევე, მრავალ საექსპერტო განმარტებას მთელ რიგ სამეცნიერო თემებზე, მათ შორის, კვების, დიეტის, დეგენერაციული დაავადებებისა და საკვების უსაფრთხოების საკითხებზე. შესაბამისად, მტკიცების პროცედურული უსამართლობა და უთანასწორობა წინამდებარე საქმეში თვალსაჩინო იყო.

საქმეებში *Bozhkov v. Bulgaria*<sup>152</sup> და *Kasabova v. Bulgaria*<sup>153</sup> (სადაც ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს სტატია ქვეყნის განათლების სისტემის მაღალჩინოსნების კორუფციული გარიგებების საკითხზე), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ფაქტის სისწორის მტკიცების შესახებ პირდაპირი მტკიცებულების წარმოდგენა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საკმარისი იყო იმის დადასტურება, რომ ჟურნალისტმა დაიცვა ეთიკის წესები და ინფორმაციის გავრცელებისას მოქმედებდა

კეთისინდისიერად, უშუალოდ გავრცელებული ინფორმაცია მაღალი საჯარო ინტერესის იყო (ეხებოდა საშუალო სკოლების განათლების პრობლემებს).<sup>154</sup>

საქმეში Pedersen and Baadsgaard v. Denmark,<sup>155</sup> ცხრა ხმით რვის წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ არ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა მომჩივანი სატელევიზიო ჟურნალისტების ცილისწამებისათვის მსჯავრდებას პოლიციის მიერ მკვლელობის საქმის გამოძიებაზე გამოთქმული კრიტიკის გამო. უმრავლესობამ გაამახვილა ყურადღება შემდეგ ფაქტორებზე: კონკრეტული პოლიციის ოფიცრის წინააღმდეგ გაკეთებული ბრალდება (მნიშვნელოვანი მტკიცებულების დაფარვის შესახებ) წარმოადგენდა სავარაუდო ფაქტს, რომელიც უნდა დამტკიცებულიყო; ბრალდება იყო მძიმე და დამტკიცების შემთხვევაში, ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მომჩივნებს არ უცდიათ წარმოდგინათ რაიმე მტკიცებულება ბრალდების დასამტკიცებლად; მომჩივნები თვითონ იყვნენ აღნიშნული ბრალდების ავტორები. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ჟურნალისტები მართალია, ახორციელებენ „საზოგადოების მეთვალყურის“ ფუნქციას, თუმცა, ამის ისე განხორციელება, რომ სხვათა უფლებები იყოს დარღვეული,<sup>156</sup> დაუშვებელია. მათ დაადანაშაულეს პირი სისხლის სამართლის დანაშაულში მაშინ, როდესაც მის მიმართ მოქმედებდა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

საქართველოს კანონმდებლობა უფრო მეტად იხრება საერთო სამართალში (აშშ) არსებული მოდელისკენ. აშშ-ის სტანდარტის თანახმად, „მოსაზრება“ დაცულია პირველი შესწორებით. ამასთან, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ Milkovich v. Lorain Journal<sup>157</sup> საქმეში, შეიზღუდა შეფასებითი მსჯელობის ფორმალურად ფართო გაგება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ცილისწამების საქმეში ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტე წარმოადგენს დაცვის საფუძველს.

იმის გამო, რომ გამოხატვის თავისუფლებას ხშირად, უპირატესობა ენიჭება რეპუტაციასთან შედარებით (იმის მიუხედავად, ვის მხარესაა მტკიცების ტვირთი), ცილისწამების საქმეებზე სარჩელების დაკმაყოფილება გართულებულია.<sup>158</sup>

აქტუალურ საკითხად რჩება გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობის მტკიცების გადალახვა სტანდარტის არსებობა.<sup>159</sup> ამას არსებულ გადაწყვეტილებათა ანალიზიც წარმოაჩენს. დიფამაციური სარჩელების წარუმატებლობა უმეტესად, მტკიცების საგანში შემავალი სამი კომპონენტიდან პირველის – მოპასუხემ მოსარჩელის შესახებ გაავრცელა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება – დაუმტკიცებლობას უკავშირდება.<sup>160</sup> მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის დაკისრებით ერთგვარი პრეზუმფციაა დაშვებული გავრცელებული ცნობების სინამდვილის შესახებ, ვიდრე მოსარჩელე არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. კანონის ამგვარი მოწესრიგება ნათელყოფს, რომ იგი მეტადაა ორიენტირებული სიტყვის თავისუფლების უფლების დაცვაზე, ვიდრე მის შეზღუდვაზე.

რაც შეეხება საჯარო პირის ცილისწამებას, განხილულ საქმეთა ანალიზი მტკიცების ტვირთის მომჩივანზე გადანაწილების თვალსაზრისით, გვიჩვენებს, რომ მითითებულ საქმეებში, მომჩივანებმა არაერთ შემთხვევაში,<sup>161</sup> ეროვნულ დონეზე შეძლეს მათთვის ხელმისაწვდომი იმ მინიმალური მტკიცებულების წარდგენა, რაც სასამართლოს დაარწმუნებდა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ცრუ ბრალდებებს. სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურებაც ხომ სწორედ იმაშია, რომ სამართალურთიერთობის მონაწილე ყოველ მხარეს ის ტვირთი შეიძლება დაეკისროს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როდესაც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირი უძლურია მასზე დაკისრებული ტვირთი ზიდოს, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება და პროცედურულ ნაწილში მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას ვაწყდებით.<sup>162</sup>

**რაც შეეხება ხანდაზმულობაზე მითითებას, ხანდაზმულობა მოპასუხის კუთვნილი შესაგებელია და ამდენად, მისივე მტკიცების ტვირთი.** ეს ნიშნავს, რომ სპეციალური კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ 100-დღიანი ვადის დარღვევით სარჩელის აღძვრაზე მოპასუხემ უნდა მიუთითოს.<sup>163</sup> ამ ვადის დენა იწყება იმ დროიდან, როდესაც მოსარჩელე გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა სადავო განცხადებას. მაგალითად, სადავო განცხადების გაზეთში გამოქვეყნებისას, ხანდაზმულობის ვადა შეიძლება აითვალოს სადავო სტატიის გამოქვეყნებიდან.<sup>164</sup> თუ მოპასუხე შეძლებს დაამტკიცოს, რომ სარჩელის აღძვრიდან გასულია 100-დღიანი ხანდაზმულობის ვადა, სარჩელი ამის საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და სასამართლომ აღარ უნდა იმსჯელოს სარჩელის საფუძვლიანობაზე.<sup>165</sup>

### 3.2. მტკიცებულებათა დასაშვებობა

სასამართლო მტკიცებით საქმიანიანობაში ხშირად აქვს ადგილი იმაზე მითითებას, რომ საქმის კონკრეტული გარემოების დადასტურებისთვის რელევანტურია მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრული მტკიცებულება. ამას საპროცესოსამართლებრივ თეორიაში „მტკიცების სტანდარტს“ ვუწოდებთ.<sup>166</sup> სსსკ-ის 102.3 მუხლის მიხედვით, სასამართლოს უპირველესი ამოცანაა გამორიცხოს კანონით გათვალისწინებული სპეციალური მტკიცებულების საჭიროება.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ მკაცრ და თავისუფალ მტკიცებულებებს. მკაცრ მტკიცებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც გარემოება არ შეიძლება დადასტურდეს იმისგან განსხვავებული მტკიცებულებით, ვიდრე ეს საპროცესო კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. რაც შეეხება თავისუფალ მტკიცებას, იგი კანონით დადგენილი მტკიცებულებების რიცხვით არ არის შემოფარგლული.<sup>167</sup> როდესაც მაგალითად, მტკიცებულება წარმოდგენილია ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით და ძირითადი

უფლების დაცვის ინტერესი მტკიცებულებათა გამოყენების ინტერესს აღემატება. ასეთ შემთხვევაში, მტკიცებულებათა შეფასება მიმდინარეობს თავისუფალი მტკიცების პირობებში და დასაშვებია ნებისმიერი სახის მტკიცებულება. სხვა შემთხვევებში, მტკიცებულებათა შეფასება ხდება ჩვეულებრივი მტკიცების პროცესის მიხედვით.

ქართული საკანონმდებლო მოწესრიგებითაც პატივის, ღირსების, რეპუტაციის შელახვის ფაქტების სადავობისას, სპეციალური მტკიცების სტანდარტი არ მოითხოვება. ამ მხრივ, ქართული კანონმდებლობა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ დავებში გერმანული საპროცესო კანონმდებლობის მსგავსია და მტკიცებულებათა წინასწარ დადგენილი წრით არ არის შემოფარგლული. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია სასამართლოში წარდგენილი იყოს სსსკ-ის 102.2 მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ნებისმიერი საპროცესო საშუალება.<sup>168</sup>

## დასკვნა

არაქონებრივი (მორალური) ზიანის წარმოშობის მტკიცება მრავალმხრივი და კომპლექსურია. ეს არის მეორეული მოთხოვნა, რომლის უპირველესი წინაპირობა სხვა ძირითადი უფლების დარღვევაა, როგორცაა სხეულის დაზიანება, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ან პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა.

დელიქტის, მათ შორის, სამედიცინო დელიქტის შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს პირის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს.

დელიქტით განპირობებული მორალური ზიანის მოთხოვნისას მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის არსებობა გარეგნულად ერთმნიშვნელოვნად გამოხატული არ არის, შესაბამისად, მისი კონკრეტული მტკიცებულებით დადასტურება რთულია და ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიც. ამიტომაც, დაზარალებულის მტკიცების ტვირთი არ უნდა დამძიმდეს. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიწვევდა თუ არა დაზარალებულის ფსიქიკაში ნეგატიურ ცვლილებებს.

პირდაპირი დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფის ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი წინაპირობების შესრულების პირობით, მორალური ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის ახლობლებისთვის პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს.

ევროპის ქვეყნებშიც მნიშვნელოვნად განსხვავდება შეხედულებები იმის თაობაზე, დაზარალებულის ახლო ნათესავს აქვს თუ არა უფლება და როდის მიიღოს ანაზღაურება მორალ-

ლური ზიანისთვის. უმრავლესი ევროპული სამართლებრივი სისტემა უშვებს ზიანის ამგვარ ანაზღაურებას პირდაპირ მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში. მიჩნეულია, რომ ზიანი უნდა აუნაზღაურდეთ დაზარალებულთა განსაკუთრებულ ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებს, მათი ფსიქიკური ტანჯვისთვის, თუნდაც, აღნიშნული არ იწვევდეს მათში კლინიკურ მდგომარეობას. ეს საკითხი მოითხოვს **case-by-case** მიდგომას, რომლითაც სასამართლოს ყოველ ინდივიდუალურ საქმეში შეეძლება შეაფასოს დაზარალებულის ახლობლების პერსონალური ზიანის სიმძიმე და განგრძობადობა. სამართლებრივი განსაზღვრულობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ სამართლის სუბიექტებმა იცოდნენ სასამართლოს მიდგომების შესახებ. ამ თვალსაზრისით, მოქნილი კანონმდებლობის არსებობა მეტ სიცხადეს შეიტანდა დაზარალებულის ახლობლებისთვის კომპენსაციის მინიჭების საკითხში. **მეუღლის, შვილის ან სხვა ოჯახის წევრის სიცოცხლის ხელყოფით განცდილი არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლების საკითხზე ჩამოყალიბებული მკაცრი მიდგომა, უკანასკნელ წლებში, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შეიცვალა.** პირდაპირი დაზარალებულის გარდაცვალების ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, უნდა შეიზღუდოს იმ პირთა წრე, რომლებსაც არამატერიალური ზიანისთვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ენიჭებათ. ასეთი პირი კი, შესაძლოა იყოს გარდაცვლილის მეუღლე, მშობელი, შვილი და დედმამიშვილი, რომლებსაც ექნებათ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის წარმატების პერპექტივა.

მნიშვნელოვანია, პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის მტკიცების ტვირთის სირთულე. მოქმედი კანონმდებლობით, **მოსარჩელემ უნდა ადასტუროს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები.** მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დასძლევს თავისი მტკიცების ეტაპს, მოსარჩელის პოზიციის შერყევის საპროცესო საშუალება (კვალიფიციური შესაგებლის წარდგენის უფლება) სადავო განცხადების ავტორს (მოპასუხე) ეძლევა. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

**მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება და მისი დაკისრება შეზღუდვის ინიციატორისათვის (მოსარჩელე) მიგვიითითებს, რომ გამოხატვის თავისუფლებას ხშირად უპირატესობა ენიჭება რეპუტაციის უფლებასთან მიმართებაში.** მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის (შეზღუდვის ინიციატორი) **ართულებს დიფამაციის საქმეებზე სარჩელის დაკმაყოფილებას.**

დიფამაციური სარჩელის აღძვრისას, მოსარჩელის ინტერესი მისი არაქონებრივი უფლების ხელყოფის აღკვეთაა. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული განხორციელება: სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებით სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ; გავრცელებული ცნობების უარყოფით; ცილისწამებისას ბრალე-

ული ხელყოფის შემთხვევაში, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ზიანის (ზარალი) ანაზღაურებაც. ბოდიშის მოხდის მოთხოვნის დაყენება კი, სპეციალური კანონით იმპერატიულად დაუშვებელია.

ამასთან, კანონით არ არის დადგენილი, რომ პატივის, ღირსების, რეპუტაციის შელახვის ფაქტები უნდა დადასტურდეს კონკრეტული მტკიცებულებებით (სპეციალური მტკიცებულება). ამ მხრივ, კანონმდებლობა მტკიცებულებათა წინასწარ დადგენილი წრით არ არის შემოფარგლული, რაც მეტ მოქნილობას ანიჭებს მტკიცებით პროცესს.

#### შენიშვნები:

- <sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში - სსკ) 413.2 მუხლი (26.06.1997, №786-III).
- <sup>2</sup> სპეციალური კანონები, როგორცაა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი (24.06.2004; №220-რს); „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10(ა) მუხლი (5.05.2000; №283 - III); „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.1 მუხლი (2.05. 2014; N2391-III), <https://matsne.gov.ge>
- <sup>3</sup> სსკ-ის 18.6 მუხლი.
- <sup>4</sup> შდრ: ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 378.
- <sup>5</sup> იხ.: Kozioł H., Basic questions of Tort law from a germanic perspective, Jan Sramek Verlag, Wien, 2012, 113; არაქონებრივი (მორალური) ზიანი ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში განიმარტება, როგორც „ფსიქიკური (ფსიქოლოგიური) ტანჯვა ან სხეულის დაზიანება, რომელსაც მოსდევს მნიშვნელოვანი უარყოფითი (ფსიქიკური) შედეგი ან ორივე ერთდროულად.“ ციტ: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, თბ., 2012, გვ. 147. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/disertaciebi\\_samartali/mixeil\\_bichia.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/mixeil_bichia.pdf) (27.11.2021); „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც განიცადა პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად,“ ციტ: დოლონაძე ლ., არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, ჟურნ. “თეუსუ“, №2 (10), 2010, 142; „არაქონებრივ ზიანად უნდა ჩაითვალოს ფსიქიკური ან/და ისეთი ფიზიკური ტრავმა, რომელმაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია პირის ფსიქიკაზე და განაპირობა პირის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მოშლა.“ ციტ: პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, თბ., 2016, გვ. 216, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/samartali/nino\\_pepanashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/samartali/nino_pepanashvili.pdf) (27.11.2021); ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანი ითვლება ეკონომიკური ზიანის კონცეპტუალურ ანტიპოდად, ანუ იგი წარმოადგენს ეკონომიკურად განუზომელ ზიანს. იხ.: Moral Harm in Anglo-American Law:

- concept, classification and compensation (2011), (თარგმანი - შოთაძე თ.), 2015, გვ. 30, 31.
- <sup>6</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10(ა) მუხლი (5.05.2000; №283 - III), <https://matsne.gov.ge>
- <sup>7</sup> „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.1 მუხლი (2.05.2014; №2391-III), <https://matsne.gov.ge>
- <sup>8</sup> კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, გვ. 136. §253.
- <sup>9</sup> არსებობს მოსაზრება, რომ ბარალი უფრო ვიწრო მნიშვნელობის ცნებაა, ვიდრე ზიანი. სსკ-ის 408-ე, 409-ე და 413-ე მუხლები წარმოადგენენ უშუალო საფუძველს ზიანის ანაზღაურებისათვის და განსაზღვრავენ მისი ანაზღაურების ხერხს. სსკ-ის 411-ე, 412-ე და 414-ე მუხლები შეიცავენ ანაზღაურებადი ზიანის არაანაზღაურებადისაგან გამიჯვნის კრიტერიუმებს. ზიანი შესაძლებელია, არსებობდეს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი სახით მაშინ, როდესაც ბარალს ყოველთვის ქონებრივი, ღირებულებითი ეკვივალენტი აქვს (შდრ: რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (სსკ-ის 408-ე მუხლი), ბოლო დამუშავება 2017, <http://www.gccc.ge>; ჩხაიძე ს., ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41), 2014, ნ.
- <sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) (შემდეგში – სუსგ(ებ)ი) №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018 წელი; №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი; შდრ: Keenan v. United Kingdom (№27229/95), 3.04.2001. §130-133; Bubbins v. United Kingdom (№50196/99), 17.03.2005, §171; Reynolds v. United Kingdom (№2694/08) 13.03.2012, §66-68; Paul and Audrey Edwards v. United Kingdom (№46477/99) 14.03.2002, §97-102; Z and others v. United Kingdom (№29392/95), §109;
- <sup>11</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB §§253; 823.
- <sup>12</sup> კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 623-626; 135, 136. §§253; 823.
- <sup>13</sup> გერმანული სამართლის მიხედვით კი, მხოლოდ Schockschaden (შოკით გამოწვეული ზიანი) ექვემდებარება კომპენსაციას. იხ.: Oetker H. Münchener Kommentar zum BGB. 2012, 6. Auflage. §253, Rn 154, <https://beck-online.beck.de/> (27.11.2021)
- <sup>14</sup> იხ.: Mäsch G. Schuldrecht BT: Ersatz sog. Schockschäden JuS, 2015, pp. 747-750; Oetker H. Münchener Kommentar zum BGB. 2012, 6. Auflage. §253, Rn 149-150, <https://beck-online.beck.de/> (27.11.2021)
- <sup>15</sup> სსკ-ის 18.6 მუხლი; სუსგ-ები №ას-1332-1258-2012, 23 აპრილი, 2014 წელი; №ას-1011-972-2016, 26 ივლისი, 2017 წელი.
- <sup>16</sup> შდრ: ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 19; სუსგ №ას-1323-1249-2012, 19 ნოემბერი, 2012 წელი.
- <sup>17</sup> სსკ-ის 413-ე მუხლი.
- <sup>18</sup> სსკ-ის 18.6 მუხლი.
- <sup>19</sup> შდრ: სუსგ №ბს-327-309(2კ-07), 16 მაისი, 2019 წელი.
- <sup>20</sup> შდრ: სუსგ-ები №ას-665-626-2012, 7 ივნისი, 2012 წელი და იგივე საქმეზე სუსგ №ას-1156-1176-2011, 20 იანვარი, 2012 წელი. მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების შესახებ მითითებული განჩინებების ანალიზისათვის იხ.: რუსიაშ-

- ვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის კომენტარი, სქოლიო 12, ბოლო დამუშავება: 2017, <http://www.gccc.ge>
- <sup>21</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებასთან მიმართებით, სუსგ №ას-1156-1176-2011, 20 იანვარი, 2012 წელი, განჩინებების ანალიზისათვის იხ.: რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის კომენტარი, სქოლიო 12, ბოლო დამუშავება: 2017 წელი, <http://www.gccc.ge>
- <sup>22</sup> სუსგ №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018 წელი.
- <sup>23</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლი (შემდეგში – სსსკ) (14.11.1997, N1106 –ლ); საქართველოს კონსტიტუციის 31.1 მუხლი (1995); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდეგში – ევროპული კონვენცია) (4.11.1950), [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); Guide on Article 13 of the European Convention on Human Rights, Right to an effective remedy, 2021 წელი, 43, 44. [https://www.echr.coe.int/Documents/Guide\\_Art\\_13\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_13_ENG.pdf) (28.11.2021).
- <sup>24</sup> შდრ: ჰაგენლოხი უ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), (ავტორთა კოლექტივი), 2020, გვ. 29. [lawlibrary.info/ge](http://lawlibrary.info/ge) (27.11.2021).
- <sup>25</sup> ციტ: თოდუა მ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), (ავტორთა კოლექტივი), 2020, გვ. 609, [lawlibrary.info/ge](http://lawlibrary.info/ge) (27.11.2021).
- <sup>26</sup> ძლიერიშვილი ზ., სარჩელის ცნება, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2004, გვ. 76.
- <sup>27</sup> სსსკ-ის 2.1. მუხლი.
- <sup>28</sup> სსსკ-ის 79-ე მუხლი.
- <sup>29</sup> იხ.: სუსგ №ბს-972-936 (3კ-08). აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ დელიქტგაღებული პირის (მოპასუხე) ქმედებას (უმოქმედობას) უდავოდ მოჰყვა არასრულწლოვანის მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი. ამასთან, დაზარალებულს (მსხვერპლი) შენარჩუნებული აქვს ალქმის და კომუნიკაციის უნარი, მისი ცნობიერება და ინტელექტი ჩვეულებრივი განვითარებისაა. იგი ყოველდღიურად და რეგულარულად საჭიროებს სხვა პირის მზრუნველობას. შესაბამისად, დელიქტს მოჰყვა არა მხოლოდ მატერიალური, არამედ მორალური ზიანი (413-ე მუხლი, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 (ა) (ა.დ) მუხლი); შდრ: რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის კომენტარი, ველი 12, ბოლო დამუშავება 2017 წელი, <http://www.gccc.ge> (26.11.2021).
- <sup>30</sup> შდრ: ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო, №4, მაისი, 2016, გვ. 52; რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის კომენტარი, ველი 6, ბოლო დამუშავება 2017 წელი, ; სუსგ-ები №ას-593-568-2016, 14 ივლისი, 2017 წელი; №ას-105-545-06, 27 სექტემბერი, 2006 წელი; შდრ: „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 (ა) (ა.ა) (ა.ბ) დანაწესი.
- <sup>31</sup> საკამათოა საკითხი იმის შესახებ, წარმოიშობა თუ არა საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფისას, სარჩელის მოთხოვნაა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა, ხოლო საქმის განხილვის დროს მოსარჩელე გარდაიცვლება. მაგ., „აშშ-ში, შესაძლებელია გარდაცვლილი

ადამიანის სახელის დაცვა, თუ შტატის კანონმდებლობა ამას პირდაპირ ითვალისწინებს, ასევე, თუ სარჩელი შეტანილია პირის სიცოცხლეში და გადაწყვეტილების გამოტანამდე იგი გარდაიცვალა. ციტ: Moral Harm in Anglo-American Law: concept, classification and compensation (2011), (თარგ-მანი – შოთაძე თ.), 2015, 72. სასამართლო პრაქტიკაში, ერთ-ერთ საქმეზე შეწყდა წარმოება მოსარჩელის გარდაცვალების გამო (სსსკ-ის 272 „ე“). სასამართლომ განმარტა, რომ ვისთვისაც გარდაცვლილის პიროვნება მნიშვნელოვანია, უფლება აქვთ მოითხოვონ გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვა და სარჩელით მიმართონ სასამართლოს სსკ-ის მე-19 მუხლის საფუძველზე (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 14 აპრილის განჩინება საქმეზე №1401-1526-04). საქმისწარმოების შეწყვეტისას, ისეთ მოცემულობაში, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში ცნობების უარყოფის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვისას მოსარჩელე გარდაიცვალა, მხედველობაში იყო მისაღები საკასაციო წარმოების თავისებურება, რაც დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენისას, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული მტკიცების პროცესი, მაგრამ იგი უშუალოდ არ აფასებს მტკიცებულებებს და არ ადგენს ფაქტებს. ამავე საკითხზე დამატებით იხ.: ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2020, გვ. 487. საკასაციო წარმოების თავისებურებაზე კი, დამატებით იხ.: თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, თბ., 2010, გვ. 44.

<sup>32</sup> სსკ-ის 1328-ე მუხლი.

<sup>33</sup> კროპოპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 636. §823, ველი18.

<sup>34</sup> იქვე, 636, §823, ველი 18.

<sup>35</sup> სუსგ №ას-1268-2018, 25 იანვარი, 2019 წელი. პ.22.

<sup>36</sup> „მიზანშეწონილია, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არარსებობის პირობებში, სსკ-ში კანონმდებელმა მიუთითოს ახლო ნათესავის (ახლობლის) გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე. კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს პირთა წრე, რომელსაც მიენიჭება პირის გარდაცვალებით მათთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (იხ: პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, თბ., 2016, 216-217, [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/samartal/nino\\_pepanashvili.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/samartal/nino_pepanashvili.pdf) (27.11.2021); დამატებით იხ., ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2006, გვ. 101.

<sup>37</sup> შდრ.: კროპოპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 627, §§ 823, 844, 845;

<sup>38</sup> Wuensch S. Non-pecuniary damages in the age of personality rights: a search for a fair and reasonable framework comparing the German and Italian legal system, 2009, 21. ვუთითებ: Lahe J., Kull I. Compensation of non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person,

- International Comparative Jurisprudence, Volume 2, Issue 1, 2016, 1-7, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351667416300014#bib24> (27.11.2021).
- <sup>39</sup> Keenan v. United Kingdom (№27229/95), 3.04.2001. §130-133.
- <sup>40</sup> Keenan v. United Kingdom (№27229/95), 3.04.2001. §130-133; Bubbins v. United Kingdom (№50196/99), 17.03.2005, §171; Reynolds v. United Kingdom (№2694/08) 13.03.2012, §66-68; Paul and Audrey Edwards v. United Kingdom (№46477/99) 14.03.2002, §97-102; Z and others v. United Kingdom (№29392/95), §109.
- <sup>41</sup> შდრ: სუსგ-ები №ას-38-2021, 18 მაისი, 2021 წელი; №ას-1800-2019, 20 თებერვალი, 2020 წელი.
- <sup>42</sup> Sarishvili-Bolkvadze v. Georgia (№58240/08) 19.07.2018.
- <sup>43</sup> სუსგ №ბს-327-309(2კ-07), 16 მაისი, 2019 წელი.
- <sup>44</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 24.04.02წ. №3კ-1218-01; 06.04.01წ. №3კ/242; 29.01.03წ. №3კ-1443-02; 09.11.06წ. №ას-14-1466-05წ; 27.09.06წ. №ას-105-545-06 გადაწყვეტილებები.
- <sup>45</sup> სუსგ №ას-1800-2019, 20 თებერვალი, 2020 წელი.
- <sup>46</sup> სუსგ №ას-38-2021, 18 მაისი, 2021 წელი, პპ:11.11; 11.12; 27.
- <sup>47</sup> სუსგ №ას-868-817-2010, 22 ნოემბერი, 2010 წელი.
- <sup>48</sup> Zimmermann R. Comparative report. Winiger B., Koziol H., Koch B.A. Zimmermann R (Eds.), Digest of European Tort law. Volume 2: essential cases on damage, De Gruyter&Co, Berlin, 2011, 712.
- <sup>49</sup> Lahe J., Kull I. Compensation of non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person, International Comparative Jurisprudence, Volume 2, Issue 1, 2016, 1-7 <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351667416300014#bib24> (27.11.2021).
- <sup>50</sup> შდრ: ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, გვ. 29.
- <sup>51</sup> იქვე, 28.
- <sup>52</sup> ინგლისში, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, უბედური შემთხვევების აქტის (Fatal Accidents Act (1976), section 1A8(2)) მიხედვით, კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს მეუღლეს, რეგისტრირებულ პარტნიორს და არასრულწლოვნის მშობლებს, თუ არასრულწლოვანი სიკვდილის დროს დაქორწინებული არ იყო. კომპენსაცია გაიცემა ფიქსირებული თანხის სახით, რაც გაიყოფა, თუ რამდენიმე ადამიანს აქვს კომპენსაციის უფლება. იხ.: Lahe J., Kull I. Compensation of non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person, International Comparative Jurisprudence, Volume 2, Issue 1, 2016, 1-7, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351667416300014#bib24> (27.11.2021).
- <sup>53</sup> „დელიქტი არის არა ზიანი (არასახელმწიფო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი ზიანი), არამედ სამართალდარღვევა, ხოლო ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ კომპონენტს. ციტ: პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, 2016, გვ. 20.
- <sup>54</sup> Staake M., 2014. Gesetzliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag, Berlin, Heidelberg, S.5, იხ.: ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო, №4, მაისი, 2016, გვ. 47.

- <sup>55</sup> სსკ-ის 992, 993.1, 994.2, 994.3, 995.1, 996, 997, 999.1, 1000.1, 1000.2, 1000.4, 1001, 1003, 1004, 1005.1, 1005.3, 1006 და 1007 მუხლები.
- <sup>56</sup> „ქმედება მაშინაა მართლსაწინააღმდეგო, როცა ერთი მხრივ, პირი ხელყოფს სხვის უფლებებს და არა აქვს ამის უფლებამოსილება, მეორე მხრივ კი, არღვევს სამართლის ნორმებს.“ იხ.: Hampel M., 2009. Das private Bauvertragsrecht im russischen Recht, Ein bewertender Vergleich zum deutschen Recht, Frankfurt am Main, S. 411, 412.
- <sup>57</sup> რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სსკ-ის 408-ე მუხლი, ველი 4, ბოლო დამუშავება: 3 ოქტომბერი, 2017 წელი, <http://www.gccc.ge> (27.11.2021).
- <sup>58</sup> სუსგ №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018 წელი.
- <sup>59</sup> სუსგ №ას-1323-1249-2012, 19 ნოემბერი, 2012 წელი.
- <sup>60</sup> კროპოლოერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, §253, გვ.136.
- <sup>61</sup> ციტ: დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, თსუ, 2009, №1, 53.
- <sup>62</sup> joie de Vivre – ფრანგული წარმოშობისა და ცხოვრების ხალისის დაკარგვას ნიშნავს.
- <sup>63</sup> C. von Bar, Principles of European law: non-contractual liability arising out of damage caused to another, Stämpfli Publishers Ltd., Bern, 2009, 391.
- <sup>64</sup> იხ.: სუსგ-ები №ას-868-817-2010, 22 ნოემბერი, 2010 წელი; №ბს-327-309(2კ-07),16 მაისი, 2019 წელი; №ბს-364(4კ-20), 16 სექტემბერი, 2021 წელი.
- <sup>65</sup> იხ.: კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, გვ. 126.
- <sup>66</sup> სსკ-ის 18.6 მუხლი.
- <sup>67</sup> ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, გვ. 83.
- <sup>68</sup> კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, გვ. 163.
- <sup>69</sup> ქოჩიაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, თსუ, №1, 2009, გვ. 83.
- <sup>70</sup> სუსგ №ას-1124-1044-2017, 30 ივლისი, 2018 წელი.
- <sup>71</sup> შდრ: ცერცვაძე, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ. 689.
- <sup>72</sup> კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 158; სუსგ №260-244-11, 27 ივნისი, 2011 წელი.
- <sup>73</sup> სუსგ №ას-111-111-2018, 11 მაისი, 2018 წელი, პპ:110, 111.
- <sup>74</sup> სუსგ №ას-38-2021,18 მაისი, 2021 წელი.
- <sup>75</sup> გაგუა ი., მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, (რედაქტორები: ძლიერიშვილი ზ., კვანტალიანი ნ.) გამომც. ბონა-კაუზა, თბ., 2020, გვ. 234.
- <sup>76</sup> კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, გვ. 176.

- <sup>77</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები., გამომც. ბონა-კაუზა, თბ., 2020, გვ. 494.
- <sup>78</sup> სუსგ №ას-1268-1526-09, 25 მაისი, 2010 წელი.
- <sup>79</sup> სუსგ №ას-1124-1044-2017, 30 ივლისი, 2018 წელი.
- <sup>80</sup> კვანტალიანი ნ, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, გვ. 104.
- <sup>81</sup> სუსგ №ას-1124-1044-2017, 30 ივლისი, 2018 წელი.
- <sup>82</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები., თბ., 2020, გვ. 496, 497.
- <sup>83</sup> Keenan v. United Kingdom (№27229/95), 3.04.2001. §130-133; Bubbins v. United Kingdom (№50196/99), 17.03.2005, §171; Paul and Audrey Edwards v. United Kingdom (№46477/99) 14.03.2002, §97-102; Z and others v. United Kingdom (№29392/95), §109.
- <sup>84</sup> Reynolds v. The United Kingdom (№2694/08), 13.03.2012.
- <sup>85</sup> კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 136. §253, ველი 3. BGB §844 მსგავსად სსკ-ის 1006-ე მუხლისა, რომელიც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, მესამე პირებს წარმოუშობს სარჩოს ან ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.
- <sup>86</sup> Oetker H. Münchener Kommentar zum BGB. 2012, 6. Auflage. §253, Rn 149, 150, <https://beck-online.beck.de/> (27.11.2021).
- <sup>87</sup> Zavoloka v. Latvia (№58447/00) 7.07.2009.
- <sup>88</sup> დამატებით იხ.: Sarishvili-Bolkvadze v. Georgia (№58240/08) 19.07.2018.
- <sup>89</sup> Rogers W.V.H. Principles of European tort law: text and commentary Springer-Verlag, Wien, New York, 2005, 173-174.
- <sup>90</sup> იხ.: სუსგ №ას-38-2021, 18 მაისი, 2021, პპ: 11.11; 11.12; 27; დამატებით იხ.: სუსგ №ას-593-568-2016, 14 ივლისი, 2017 წელი, რომელშიც ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება საკასაციო პალატამ გამონაკლისის სახით, შეუძლებლად არ მიიჩნია, თუმცა, კონკრეტულ საქმეში შესაბამისი მტკიცებულების არარსებობაზე გაამახვილა ყურადღება (პ.22).
- <sup>91</sup> შდრ: გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა (რედაქტორი - თოდუა მ.) თბ., 2017, გვ. 82; სუსგ №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი.
- <sup>92</sup> Lahe J., Kull I. Compensation of non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person, International Comparative Jurisprudence, Volume 2, Issue 1, 2016, 1-7, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351667416300014#bib24> (27.11.2020).
- <sup>93</sup> Handyside v. The United Kingdom (№5493/72) 07.12.1976.
- <sup>94</sup> ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 2017, 107, ველი 6, 7.
- <sup>95</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი (№220-რს) 2004 წლის 24 ივნისი (შემდეგში - სპეციალური კანონი), <https://matsne.gov.ge/>
- <sup>96</sup> ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 2017, 134, ველი 91, 92.

- <sup>97</sup> სპეციალური კანონის 17.2 მუხლი.
- <sup>98</sup> კროპოპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 634, 635. §823.
- <sup>99</sup> იქვე, 635, 636.
- <sup>100</sup> შდრ: Moral Harm in Anglo-American Law: concept, classification and compensation (2011), (თარგმანი – შოთაძე თ), 2015, 33, 34, სადაც ავტორი განიხილავს მორალური ზიანის ცნებას, ახდენს მის კატეგორიებად დაყოფას და შესაძლებლად მიიჩნევს იურიდიული პირი ვაქციით მორალური ზიანის დაცვის ობიექტად, მორალური ზიანის ფართო ცნებიდან გამომდინარე.
- <sup>101</sup> თავაძე მ., იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, თბ., 2020 წელი, გვ. 122. [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Mariana\\_Tavadze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Mariana_Tavadze.pdf) (17.11.2021).
- <sup>102</sup> ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 2017, 108, 109, გელი 10.
- <sup>103</sup> შდრ სუსგ №ას-1084-1034-2014, 11 მაისი, 2015 წელი.
- <sup>104</sup> ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2011, გვ. 20, 142.
- <sup>105</sup> თავაძე მ., იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქო სამართლებრივი დაცვა (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, თბ., 2020 წელი, გვ. 124. [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Mariana\\_Tavadze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Mariana_Tavadze.pdf) (17.11.2021).
- <sup>106</sup> ბურდული ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, მუხლი 27, გელი 22, 2017, 217.
- <sup>107</sup> იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვისას, შესაძლოა განხილულ იქნას ვალდებულ პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი და მაშასადამე, სასარჩელო წარმოება პერსპექტიულია (სსკ-ის მე-18 მუხლი). შდრ.: სუსგ-ები №3კ/924-01, 26.12.2001, №ას-1052-1007-2014; 30.09.2015; №ას-1011-972-2016, 2 ივლისი, 2017 წელი.
- <sup>108</sup> საქმეში Autronic AG v Switzerland (Autronic AG v Switzerland (№12726/87), 22.05.1990, §47, მომჩივანი დავობდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული ინფორმაციის მიღების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანის იურიდიული სტატუსი, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და არც ის გარემოება, რომ მისი საქმიანობა კომერციულია, არ გამორიცხავდა მის დაცვას ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში. ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების იურიდიული პირებისათვის სარგებლობის უფლების შესახებ იხ.: Sunday Times v. The United Kingdom (№6538/74), 26.04.1979; the Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany (№10572/83) 20.11.1989.
- <sup>109</sup> „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს

ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიემართება პირის მიერ განხორციელებულ (ან განსახორციელებელ) საქმიან ოპერაციებს, მის პროფესიულ თვისებებს დისკრედიტაციას. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც ე. ი. ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა.“ იხ.: სუსგ №3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი.

<sup>110</sup> სსსკ-ის მუხლი 178.1. „თ.“

<sup>111</sup> სუსგ №ას-113-108-2014; 01 მაისი, 05.2015 წელი.

<sup>112</sup> ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 250.

<sup>113</sup> შდრ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 14 აპრილის განჩინებას №ას-1401-1526-04.

<sup>114</sup> ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა“, ჟურ. „სამართალი და მსოფლიო“ №4, 2016 წელი, 52.

<sup>115</sup> ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 254, 255.

<sup>116</sup> საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 30 სექტემბერი, 2016, №1/6/561,568. პპ. 12; 17-18; 30-32; 35; 59, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1053> (27.11.2021).

<sup>117</sup> შდრ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 14 აპრილის განჩინება (№1401-1526-04).

<sup>118</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №19, 15.07.2004, მუხ. 84.

<sup>119</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ზოგიერთი უფლების დარღვევის შემთხვევაში (მაგ., სიცოცხლის უფლება), ოჯახის წევრებს აქვთ უფლება ისარგებლონ სამართლიანი სასამართლოს უფლებით (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი). იხ.: საქმე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (2011 წლის 26 აპრილი; №25091/07), სადაც განმცხადებლები აცხადებენ, რომ მათი ვაჟიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ იყო მოკლული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია სიცოცხლის უფლება უზრუნველყოს ეფექტიანი საკანონმდებლო რეგულაციების მიღებით, რომლის მიზანიც ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აღმოფხვრაა.

<sup>120</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში (რედაქტორი – ძლიერიშვილი ზ.), თბ., 2013, გვ. 63-67, 69-71.


<sup>121</sup> იქვე, გვ. 115-121.

<sup>122</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლა-

- მენტის წინააღმდეგ,“ II-25. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1053> (17.11.2021).
- <sup>123</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II-1. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1053> (17.11.2021).
- <sup>124</sup> შედრ: გოცირიძე ე., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გადაწყვეტილებები (თარგმანი), თბ., 2016, 505.
- <sup>125</sup> სიმონიშვილი ნ., მტკიცების სტანდარტი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონკურენციისას (მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები – სტატიათა კრებული) (რედაქტორი – კვანტალიანი ნ.), თბ., 2016, გვ. 97, 98.
- <sup>126</sup> ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი.
- <sup>127</sup> სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი.
- <sup>128</sup> Schaub R., Reichel M, Übungsfall: Ein umstrittenness Fernsehinterview, ZIS, 1/2008, 51.
- <sup>129</sup> ზიანი ეფუძნება სუბიექტურ აღქმას, იგი არღვევს ადამიანის სიმშვიდეს და ხელს უშლის, იცხოვროს კომფორტულ გარემოში. შესაბამისად, ცილისწამების შედეგად შელახული სახელის, პატივის დაცვის მიზეზი, მიზანი არის ემოციური და მორალური ზიანის კომპენსირება გავრცელებული ცილისწამებლური ინფორმაციის სიმცდარის მტკიცების გზით. შდრ: Moral Harm in Anglo-American Law: concept, classification and compensation (2011), (თარგმანი – შოთაძე თ.), 2015, 30 და მომდევნო
- <sup>130</sup> სიმონიშვილი ნ., მტკიცების სტანდარტი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონკურენციისას (მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები – სტატიათა კრებული) (რედაქტორი – კვანტალიანი ნ.), თბ., 2016, გვ. 102-105; გამოხატვის თავისუფლება v. პატივისა და ღირსების დაცვა, გზამკვლევი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2018, გვ. 7.
- <sup>131</sup> ლუტრინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, თბ., 2011, გვ. 24.
- <sup>132</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები., თბ., 2020, გვ. 337.
- <sup>133</sup> ცერცვაძე გ., სახელმწიკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, ავტორთა ჯგუფი: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე ლ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ჯანაშია ლ., გამომც. მერიდიანი, თბ., 2014, გვ. 678.
- <sup>134</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2020, გვ. 343.
- <sup>135</sup> სტურუა ნ., ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სამართლის ჟურნალი თსუ №1, თბ., 2012, გვ. 153.
- <sup>136</sup> მესხიშვილი ქ., დიფამაცია (ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით) ჟურნ. „ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა“, VI გამოცემა, 2017, გვ. 2.
- <sup>137</sup> Jishkariani v. Georgia (საჩივარი №18925/09), 20.09.2018; იხ.: სუსგ №ას-928-868-2017, 17 იანვარი, 2018.
- <sup>138</sup> სსკ-ში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, 2004 წლის 24 ივნისი (№222-რს).
- <sup>139</sup> სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის 2004 წლის 26 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული რედაქცია.

- <sup>140</sup> გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თბ., 2005, თავისუფლების ინსტიტუტი, ტ. 2, გვ. 19-22.
- <sup>141</sup> საქმეში *McVicar v. UK* (N46311/99) 07.05.2002, პპ: 86-87, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლთან, პრინციპში, შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხისათვის დიფამაციური განცხადებების ნამდვილობის ტვირთის დაკისრება. საქმეზე *Bladet Tromso and Stensaas v. Norway* (№21980/93), 20.05.1999, მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ გაზეთის გავრცელებამდე ფაქტების შესახებ განცხადებების გადამოწმება წარმოადგენდა ინფორმაციის გამავრცელებლის ვალდებულებას.
- <sup>142</sup> სუსგ №ას-1332-1258-2012, 23.04.2014.
- <sup>143</sup> მტკიცების საპროცესო საშუალებების შესახებ იხ.: გაგუა ი., მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე (რედაქტორები: ძლიერიშვილი ზ., კვანტალიანი ნ.), თბ., 2020, გვ. 247.
- <sup>144</sup> შდრ: გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, 2007, გვ. 418. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/gociridze.pdf](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/gociridze.pdf) (17.11.2021).
- <sup>145</sup> *New York Times Co. v. Sullivan*, 376 U.S. Supreme Court, 254 (1964) <https://www.lexisnexis.com/community/casebrief/p/casebrief-new-york-times-co-v-sullivan> (27.11.2021).
- <sup>146</sup> იქვე.
- <sup>147</sup> *Phila. Newspapers v. Hepps* – 475 U.S. Supreme Court, 767, 106 S. Ct. 1558 (1986), <https://www.lexisnexis.com/community/casebrief/p/casebrief-phila-newspapers-v-hepps> (27.11.2021).
- <sup>148</sup> გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თბ., 2005, თავისუფლების ინსტიტუტი, ტ.1, გვ. 58-60.
- <sup>149</sup> *Morice v. France* (№29369/10), 23.04.2015; *Müller and Others v. Switzerland* (№10737/84), 24.05.1988; *Barfod v. Denmark* (№11508/85), 22.02.1989; *Observer and Guardian v. the United Kingdom* (№13585/88), 26.11.1991; *News Verlags GmbH & CoKG v. Austria (NV)* (№31457/96), 11.04.2000.
- <sup>150</sup> გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, 2007, გვ. 307, 308. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/gociridze.pdf](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/gociridze.pdf) (17.11.2021).
- <sup>151</sup> *Steel and Morris v. the United Kingdom* (№68416/01) 15.05.2005.
- <sup>152</sup> *Bozhkov v. Bulgaria* (№3316/04), 19.07.2011, პ. 50, 51.
- <sup>153</sup> *Kasabova v. Bulgaria* (№22385/03), 19.04.2011. შდრ: *Bladet Tromso and Stensaas v. Norway* [GC], no. 21980/93, §65, ECHR 1999-III).
- <sup>154</sup> შდრ: *Von Hannover v. Germany* (№59320/00) §§57-60, ECHR 2004-VI; *Pfeifer v. Austria* (№12556/03) §§35 and 38, ECHR 2007-XII; *Petrina v. Romania* (№78060/01) §36, 14.10.2008. შდრ: სუსგ ას-1332-1258-2012, 23/04/2014, სადაც, სასამართლომ დაადგინა, რომ საგაზეთო სტატიაში გავრცელებული სადავო გამონათქვამები (ცნობილი ქართველი მსახიობის შესახებ) არ ასახავდა ინფორმაციის გამავრცელებლის სუბიექტურ დამოკიდებულებას, სუბიექტურ ამრს მსახიობის მიმართ. გაზეთის ჟურნალისტს არ დაუდასტურებია სტატიაში მოთხრობილი ფაქტები. ამავე საქმეში დადგენილი იქნა, რომ ჟურნალისტმა გამოიჩინა უხეში დაუდევრობა.

- <sup>155</sup> Pedersen and Baadsgaard v. Denmark (№49017/99) 17.12.04.
- <sup>156</sup> Goodwin v. The United Kingdom (№17488/90), 12.03.1996.
- <sup>157</sup> Milkovich v. Lorain Journal, U.S. Supreme Court (№89-645) 21.06.1990, <https://supreme.justia.com/cases/federal/us/497/1/> (27.11.2021).
- <sup>158</sup> გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (სადისერტაციო ნაშრომი) თსუ, 2007, გვ. 308. [https://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/gociridze.pdf](https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/gociridze.pdf) (17.11.2021)
- <sup>159</sup> სუსგ-ები №ას-1857-2018, 7.05.2019; №ას-438-410-2017, 30.03.2018; №ას-790-739-2017, 17.01.2018; №ას-1052-1007-2014, 30.09.2015; №ას-1857-2018, 7.05.2019, პ. 29.
- <sup>160</sup> სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი; აგრეთვე იხ.: სუსგ №ას-496-496-2018, 12 აპრილი, 2019.
- <sup>161</sup> Jishkariani v. Georgia (საჩივარი №18925/09), 20.09.2018. სუსგ №ას-1332-1258-2012, 23 აპრილი, 2014 წელი.
- <sup>161</sup> Steel and Morris v. the United Kingdom (№68416/01), 15.05.2005.
- <sup>162</sup> იხ.: სუსგ №ას-960-2020, 13 ოქტომბერი, 2021 წელი.
- <sup>163</sup> იხ.: სუსგ №ას-431-403-2010, 18 ოქტომბერი, 2010 წელი.
- <sup>164</sup> იხ.: სუსგ №ას-1544-1464-2017, 3 ივლისი, 2019 წელი.
- <sup>165</sup> გაგუა ი., მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, რედაქტორები: ძლიერიშვილი ზ., კვანტალიანი ნ., თბ., 2020, გვ. 135 და მომდევნო.
- <sup>166</sup> Lüke W., Zivilprozessrecht, 10. Aufl., München, 2011, 259 ff; BVerfG NJW 2002, 3619; Münch-Komm/Prütting §284Rn, 64 ff.
- <sup>167</sup> მტკიცების საპროცესო საშუალებების შესახებ იხ.: გაგუა ი., მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, რედაქტორები: ძლიერიშვილი ზ., კვანტალიანი ნ., თბ., 2020, გვ. 18-122.



# THE BURDEN OF PROOF IN COMPENSATING FOR NON-PECUNIARY DAMAGE

ILONA GAGUA

*Doctor of Law, Professor*

*Chief Consultant at Supreme Court of Georgia, Assistant of Judge*

Georgian legislation entitles a person to claim compensation for non-pecuniary damage in cases of body or health damage or in cases provided by law, such as violation of personal non-pecuniary rights, discriminatory treatment, etc.

Considering that the Georgian legislation does not contain a complete/exhaustive system of distribution of the burden of proof, the paper presents the procedural issues of the evidence related to the consideration of the claim for non-pecuniary (moral) damages. The possibility of compensation for moral damages in case of violation of personal non-property rights and the complicated procedure of assertion are problematic and needs to be studied.

The paper discusses the problems that have been identified based on modern case law. Based on the study and analysis of existing materials, the paper presents authors' conclusions and recommendations for identifying problems and improving the procedures.

# ბრალდებაზე უარი ძველი ქართული სამართლის ძებლების მიხედვით

ხვირა ბეზიაშვილი

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი*

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს და ამავდროულად, პატარა ქვეყნად ითვლება. საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ადამიანი (ლათ. Homo georgicus) 1800 000 წლის წინათ დასახლდა, რასაც ადასტურებს დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ადამიანების ნაშთები და წარმოადგენს გარდამავალ ფორმას მარჯვე ადამიანსა (Homo habilis) და გამართულ ადამიანს (Homo erectus) შორის. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულმა სახელმწიფომ, რომელმაც გაუძლო ათასწლეულების ისტორიულ ქარტეხილს და თავისი თვითმყოფადობაც შეინარჩუნა, გაიარა პირველყოფილი თემური წყობილებიდან დაწყებული, დღემდე არსებული და ცნობილი ყველა სახის სახელმწიფოებრივი წყობილება. ამასთან, სახელმწიფო და სამართალი ყოველთვის არ არსებობდა, პირველყოფილი თემური წყობილებისთვის, სრულიად უცხოა სახელმწიფოცა და სამართალიც. ისინი მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში ჩნდებიან, როდესაც კერძო საკუთრების წარმოშობასთან ერთად იქმნება შესაძლებლობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა.<sup>1</sup>

საქართველოში პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები დიაოხი და კოლხა, სათავეს იღებს ძვ.წ.აღ. II ათას-

წლებში, შესაბამისად, სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დროიდან, საქართველოში წარმოიქმნა სამართლის ჩანასახიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში არ არსებობდა დანაშაული, რადგან დანაშაული და ადამიანი განუყოფელი ნაწილებია. „როცა დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. მისცა თავის კაცს და კაცმაც შეჭამა.“<sup>2</sup>

წერილობითი ფორმით გადმოცემული ამ საყოველთაოდ ცნობილი პირველი დანაშაულის მოსამართლედ თავად ღმერთი გვევლინება, რომელმაც აგრეთვე, დააწესა პირველი საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიური სასჯელი.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან ერთად, განისაზღვრა დანაშაულის დეფინიცია და სასჯელი. ჩვენი საკვლევი თემა სისხლხორცეულად არის დაკავშირებული დანაშაულთან და სისხლისსამართლებრივ დევნასთან, ვინაიდან დანაშაულისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე, არ დგება ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, კერძოდ ბრალდებაზე უარის თქმა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, მოცემული კლასიკური ფორმით, ადრეულ ისტორიულ ხანაში ვერ იარსებებდა და მან რთული და მრავალფეროვანი ევოლუცია განვილო. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, მოცემულ კარში წარმოგიდგენთ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ისტორიულ ასპექტებს, საქართველოს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, რაც დაგვეხმარება არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების უკეთ მოძიებაში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენი საკვლევი თემის ირგვლივ, ქართული სამართლის ძეგლებში ვაწყდებით ფაქტობრივი წყაროების ნაკლებობას, რის გამოც მოგვიწევს ისტორიული კვლევის რეტროსპექტული მეთოდის გამოყენება. მით უმეტეს, ასეთი მოვალეობა ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარს აწევს, რადგან დაწესებულებათა და უხვი ტერმინოლოგიის ანალიზის შედეგის გარდა, მას ზოგადი მოძღვრების აღმბეჭდელი ძეგლებიც მოეპოვება,<sup>3</sup> შემოქმედმა პირველ ადამიანსა და საერთოდ ადამიანთა მოდგმას მათი ყოფა ცხოვრებასა და მოქმედებას „სჯული“ დაუწესა. ეს სჯული თვით ადამიანთა ბუნებასაც ჰქონდა თანდაყოლილი და ბუნებითაც შთაგონებული იქნა. ამიტომ ეს „ბუნებითი სჯული“ იყო.<sup>4</sup> შესაბამისად სამეცნიერო კვლევის ჩატარების დროს, იმ პირობებში, როდესაც არ მოგვეპოვება ადრეული საქართველოს სამართლის ძეგლები, საუბარია ქრისტიანობამდე პერიოდზე, შეგვიძლია აღნიშნულ პერიოდს, პირობითად ვუწოდოთ „ბუნებითი სამართლის“ ნორმების მოქმედების პერიოდი.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ბრალდების და მასზე უარის თქმის თანამედროვე სამართლებრივი რეგულაციები, ძველ ქართულ სამართალში ვერ იარსებებდა. შესაბამისად, ისტორიული კვლევის დროს, ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იქნება იმ პირებსა და ინსტიტუტებზე, აგრეთვე ტერმინებზე და კანონებში გაწერილ მათ ქცევის წესებზე, ვისაც ხელეწიფებოდა ბრალდებაზე უარის თქმა, აგრეთვე, დამნაშავის მიმართ განაჩენის გამოტანა ან/და მისი გამართლება. ძველი ქართული მართლმსაჯულების ისტორიული სურათის აღდგენის გზით, შეგვეცდებით საკვლევი თემის პრობლემატიკას უკეთ ჩავუღრმავდეთ, რაც თავისთავად პრობლემის გადაჭრის გზების სწორად მოძიებაში დაგვეხმარება.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო უმდიდრესი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ისტორიის ქვეყანაა. საუკუნეების მანძილზე ქართულ სახელმწიფოზე გავლენას ახდენდა გარე ფაქტორები, კერძოდ, მეზობელი თუ დომინანტი სახელმწიფოების დაპყრობითი ომები საქართველოს წინააღმდეგ და მათი ინტერესების, კულტურისა და წეს-ჩვეულებების დანერგვა მათ შორის, ქართულ სამართალში. მიუხედავად ამისა, ქართული სამართლის ისტორიისა და წყაროების შესწავლა ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენს ხალხს დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად თავის ისტორიულ წარსულში არსებული საზოგადოებრივი წყობილების შესაბამისი სამართლის სისტემა შეუქმნია, რომელიც იურიდიული ამოცანების განვითარების მხრივ, მაშინდელი მოწინავე ქვეყნების სჯულმდებლობას არ ჩამორჩებოდა, ხოლო სამართლის მეცნიერების ზოგიერთ საკითხში, როგორცაა ბრალი, მცდელობა, სასჯელთა სისტემა და სხვა, ჩვენს წინაპრებს გაცილებით უფრო პროგრესული და ჰუმანური იდეები შეუმუშავებიათ<sup>5</sup> და როგორც სისხლის სამართლის, ასევე სისხლის სამართლის წარმოებისა და სასჯელთა სისტემის შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართული სისხლის სამართალი, სხვა ერთა იმ დროინდელი სისხლის სამართალთან შედარებით უფრო ლმობიერებით იყო კიდევ გამსჭვალული.<sup>6</sup>

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ X საუკუნემდე არსებულ ქართული სამართლის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ხოლო სისხლის და სამოქალაქო სამართლის წიგნები, ერთი პატარა ნაწყვეტის გარდა, XIII საუკუნემდე დაცული არ არის.<sup>7</sup> მოცემული საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის უდიდესი ღირებულება აქვს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს და საკუთრივ სამართლის წიგნს, რომელიც შესულია აღნიშნულ კრებულში, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სამართლის წიგნთა კრებული, რომელიც ქართულ სახელმწიფოში შეიქმნა 1705-1708 წწ. წარმოადგენს მსოფლიო ისტორიისათვის უნიკალურ კრებულს, სადაც ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი და თავმოყრილია მანამდე არსებული და მსოფლიოში აღიარებული უძველესი სამართლის ძეგლები, როგორცაა სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული, სამართალი სომხური, სამართალი კათალიკოსთა, სამარ-

თალი მეფის გიორგისა, სამართალი აღბუღასი და საკუთრივ სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, რომელიც წარმოადგენს წინარე სამართლის ძეგლების ანალიზზე შემუშავებულ, იმდროინდელი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს სამართლის ნორმათა განმარტებებს.

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების მთელ მანძილზე აღსანიშნავია სისხლის სამართლის პროცესის ორი ძირითადი ფორმა: 1. საბრალდებო ანუ შეჯიბრებითობის პროცესი; 2. ინკვიზიციური ანუ სამძებრო პროცესი. XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა მესამე საპროცესო ფორმა ე. წ. შერეული პროცესი, რომელიც წარმოადგენს ორი სხვადასხვა საწყისის სამძებრო და შეჯიბრებითობის შეერთებას,<sup>8</sup> უნდა დავასკვნათ, რომ საბრალდებო პროცესი თუ წარმართებოდა ე. წ. „ბუნებითი სამართლის“ ნორმების მიხედვით, ინკვიზიციური სამართლის დამკვიდრებას წინ უძღვოდა რიგი ისტორიული, რელიგიური და პოლიტიკური პროცესები. საერთოდ მიღებული აზრით, ინკვიზიციური პროცესი საერო სამართალმა საეკლესიო სამართლიდან შეითვისა.<sup>9</sup> კერძოდ, როდესაც ფეოდალურ სახელმწიფოში იწყება ბრძოლა ფეოდალური დაქსაქსულობის გადასალახად და მეფის ხელისუფლების გასაძლიერებლად, არსებული საპროცესო ფორმები უკვე ნაკლებად შეესაბამებიან ცენტრალური სახელმწიფოს შექმნის ამოცანებს. ამიტომ ფეოდალურ სახელმწიფოებში საბრალდებო პროცესი თანდათანობით ადგილს უთმობს ე. წ. სამძებრო, ინკვიზიციურ პროცესს, რომელიც მალე პროცესის გაბატონებულ ფორმად იქცევა.<sup>10</sup> პროცესის აღნიშნული კუთხით განვითარება, არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან გაბატონებული კლასი, თავისი ინტერესების დასაცავად, ხალხის ფართო მასებს ვერ მოახვევდა ისეთი ქცევის წესებს, რომელსაც არ ექნებოდა მყარი და დამაჯერებელი ფუნდამენტი და ასეთ ფუნდამენტად რელიგიისა და რწმენის გამოყენება, სამართლის სისტემას უფრო მისაღებს და სასურველს გახდიდა ექსპლუატირებული ფენისთვის.

როგორც დგინდება, ქართული სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ბიზანტიურმა სამართლის სისტემამ, რომელიც თავის მხრივ, წარმოშობილია ძველი საბერძნეთისა და რომის სამართლის ნორმებზე დაყრდნობით, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ იყო სამართლის უბრალოდ გადმოწერის მაგალითი, ქართულმა სამართალმა უძველესი ისტორიული წყაროებიდან შეისისხლხორცა პროგრესული და სამართლიანი დებულებები, რასაც დაურთო საკუთარი მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულებების ანალიზი, — „ამ შემთხვევაში პირდაპირი წამბაძველობა არა ყოფილა, არამედ ქართული სამართლის თანდათან წარმატების ნაყოფთანა გვაქვს ჩვენ საქმე“<sup>11</sup> და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქრისტიანული რელიგიის გამარჯვებას საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სამართლის ნორმების განახლება-ჩამოყალიბების თვალსაზრისით.<sup>12</sup> მიუხედავად ბიზანტიური, სპარსული, არაბთა სახალიფოს, მონღოლეთის იმპერიისა და ევროპული მკაცრი და უღმობელი სამართლის სისტემების გავლენისა, ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ ქართული

სამართლის სისტემის ორიგინალურობაზე, თავისი თანამედროვე პერიოდის სხვა სამართლის ძეგლებთან შედარებით ჰუმანურ და პროგრესულ მიდგომებზე, რადგან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებში არსებობდნენ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები.<sup>13</sup>

ქართულ ისტორიულ წყაროებში დეტალურად არის გაწერილი სასამართლო პროცესი და მისი მიმდინარეობა, რაც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საკვლევი თემის ირგვლივ, სადაც ნათლად ჩანს, რომ ძველი ქართული მართლმსაჯულების ამოსავალი პრინციპები სამართლიანობა, მხარეთა შეჯიბრებითობა, მოსამართლის მიუკერძოებლობა და საქმის ობიექტური გამოკვლევა იყო, – „სიმართლით სამართალსა შეუდექით, რათა სცხოვნდეთ, შეხვიდეთ და დაიმკვიდროთ ქვეყანა იგი, რომელ უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ.“<sup>14</sup> ქმნა მართლისა სამართლისა, ძველ ქართულ ყოფაში, პირდაპირ იყო დაკავშირებული რელიგიურ ასპექტებთან, რაც ისეთი სეკულარული სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა, უზრუნველყოფდა თუნდაც ფორმალურად კეთილსინდისიერი და ობიექტური სასამართლოს წინაპირობას, რამაც ადრეული და შემდგომი საერო ტიპის სამართლის ძეგლებშიც ჰპოვა თავისი გაგრძელება, – „სიმართლე არს მარადის ყუავილოვანი კეთილითა განზრახვითა, რომელიცა ყოველსა კაცსა მარადის მისცემს სიმართლესა.“<sup>15</sup> საქმის განმხილველი პირი თუ ორგანო გულდასმით უნდა მოკიდებოდა დანაშაულებრივი ფაქტის შესწავლას, სიღრმისეულად უნდა გამოეკვლია მტკიცებულებები და მხოლოდ მას შემდეგ უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება. „უკეთუ სიტყვა რაიმე საეჭვო მოახსენოს მოსამართლესა, სიტყუასა მას შეიწყნარებს მოსამართლე იგი და ჩაფიქრდების, და სინჯვას დაუწყებს საქმესა მას, უნდა გასინჯოს.“<sup>16</sup>

საბრალდებო პროცესისთვის, სადაც მთავარ ბრალმდებლად დაზარალებული გამოდიოდა, მტკიცებულებების შეკრებისა და სასამართლოში წარდგენის ტვირთი ეკისრებოდა ამ უკანასკნელს, „მოსამართლეს რომ საეჭვო მოხსენდეს სიტყუით, მოწამე თავად მომხსენსა სთხოვონ. თუ იმან დასაჯერი მოწმეები იშოვოს, კარგი არის. თუ არადა, ვისაც ედავების, იმას სთხოვოს მოწამე, და ამისი უფრო დაიჯერება, ამისთვის რომე იმაში ეჭვი აქუს. თუ არადა, ფიცით გარდასწყუიტონ,<sup>17</sup> – ეს ისტორიული ჩანაწერი ნათლად მიუთითებს ქართულ სამართალში ადრეულ პერიოდში დამკვიდრებულ შეჯიბრებითობის პრინციპზე, სამართლის ქართული ისტორიული ძეგლების მიხედვით, იკრძალებოდა აღიარების მიღების სანაცვლოდ ბრალდებულის წამება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რაც თავის მხრივ, სამართლიანი და მაქსიმალურად ობიექტური ბრალდების და შესაბამისად, ბრალდებაზე უარის თქმის საწინდარი უნდა ყოფილიყო.

გარდა შეჯიბრებითობის პრინციპისა, ძველი ქართული სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელი იყო საქვეყნოობა, უშუალობა და ზეპირობა. სასამართლო

პროცესები ტარდებოდა ღიად და მასზე დასწრება ნებისმიერ პირს შეეძლო, საბრალდებო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი პროცესის საქვეყნოობა გვიანფეოდალურ ქართულ სამართალშიც დაცული იყო.<sup>18</sup> რაც შეეხება უშუალობას, პროცესი მიმდინარეობდა დაზარალებულის და მისი მოპასუხის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების განხილვისა და შეფასების ფონზე.

ძველი ქართული მართლმსაჯულება ზეპირი ფორმით მიმდინარეობდა, თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ დიდ და რთულ საქმეებზე შესაბამისი წერილობითი, პროცესუალური აქტებიც გაფორმებულიყო. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოწმის ინსტიტუტს, არა მხოლოდ დანაშაულებრივი ფაქტის ირგვლივ თხრობაში, არამედ სასამართლოს მიერ გამოკვლეული წერილობითი დოკუმენტების ავთენტურობის დასადასტურებლად, „უკეთუ სიგელში ეწეროს სიტყუები ბევრი და მოსამართლე იგი სიტყუასა მისსა ვერ მიუხვდეს კარ-გადა, და თავ-კარგი მოწმე არა ყავს მას კაცსა, მოსამართლე იგი სიტყვასა მას წიგნისასა არ დაიჯერებს.“<sup>19</sup> ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში გარკვეული ადგილი უკავია მოწმის ინსტიტუტს, რაც სამართლის ძეგლში მოიხსენიება, როგორც „მთხრობელი.“ მთხრობელის შერჩევისათვის დადგენილი იყო განსაკუთრებული წესი, კერძოდ, იგი უნდა ყოფილიყო დადებითი რეპუტაციის მქონე კაცი და არანაირი დაინტერესება არ უნდა ჰქონოდა იმ საქმეში, რომელზეც მთხრობელის რანგში გამოდიოდა.<sup>20</sup> „მთხრობელზე“ დიდწილად იყო დამოკიდებული საქმის და ბრალდებულის დასჯის საკითხის გადაწყვეტა, შესაბამისად მისი გამართლება, ანუ თანამედროვე გაგებით, გარკვეულწილად, პირის გამართლების ერთ-ერთ სახედ უნდა მივიჩნიოთ მის ბრალდებაზე უარის თქმა.

აღნიშნული პერიოდისათვის მიუხედავად იმისა, რომ სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოება არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული, მოსამართლე ვალდებული იყო რთული საქმის განხილვის პირობებში, გამოეჩინა გამჭრიახობა, არ აჩქარებულიყო გადაწყვეტილების მიღების დროს. კანონმდებელი ამ მხრივ, გარკვეულ ვადასაც უწესებდა მოსამართლეს, ისე გამოეტანა სამართლიანი განაჩენი, „რაოდენიცა სამართალი იქნების იმ ალაგთა თავადებისა რაც ფერის სასამართლოსი, თუ დიდი რამე საქმე არის, ის სასამართლო სიტყუა, რომელი მოეხსენა მოსამართლესა იმ დღეს აქეთ შუაზე 20 დღე უნდა აცალონ და მისი სამართალი კარგა გასინჯონ,“<sup>21</sup> – აღნიშნული ოცდღიანი ვადის უგულებელყოფის შემთხვევაში, მოსამართლის გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა სამართლიანი და ვერც კანონიერი და ის უნდა გაუქმებულიყო.

ამრიგად, ქართული სამართლის ძეგლების, განსახილველ თემასთან დაკავშირებული ას-პექტების მიმოხილვით ნათელი ხდება, რომ საქართველოს მდიდარ სამართლის ისტორიაში გამოყოფილია სისხლის სამართლის პროცესის სამი ძირითადი ეტაპი: კერძოდ, ყველაზე ძველი, ქრისტიანობამდე პერიოდიდან მომდინარე და „ბუნებითი სამართლის“ ნორმებზე

დამყარებული საბრალდებო პროცესი, რომელიც ძირითადად, ზეპირ ხასიათს ატარებდა, იყო ღია და შეკიბრებითი; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ფეოდალიზმის გამყარების პერიოდიდან გვიანფეოდალურ პერიოდამდე მოქმედი სამძებრო ანუ ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესი, როდესაც საჭირო გახდა სამართლებრივი ხასიათის იძულებითი მექანიზმების ამოქმედება და მმართველი კლასის ინტერესების დაცვა, სადაც ბრალმდებლისა და მოსამართლის ტვირთს უკვე სახელმწიფო ლეგალიზაცია საკუთარ თავზე და შერეული ტიპის პროცესი, რომელიც სათავეს XIX საუკუნის საფრანგეთში იღებს და აღნიშნული ტიპის სისხლის სამართლის პროცესის დახვეწილი ელემენტებით დღემდე მოქმედებს თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში.

საბრალდებო პროცესისათვის დამახასიათებელი იყო გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის ფორმები, ხოლო რაც შეეხება სამძებრო პროცესს, მისთვის დამახასიათებელი იყო სამი სახის განაჩენი: 1. გამამტყუნებელი, რომელიც გამოიყენებოდა სამართალში მიცემული ბრალეულობის სრული დამტკიცების დროს; 2. გამამართლებელი, სამართალში მიცემულის უდანაშაულობის დადგენისას; 3. ბრალდებულის ეჭვის ქვეშ დატოვება, როდესაც სასამართლოს მიერ შეკრებილი მტკიცების საშუალებანი საკმარისი არ იყო სამართალში მიცემულის არც გასამართლებლად და არც გასამტყუნებლად. განაჩენის ამ უკანასკნელი სახით სასამართლო საქმე გადაუწყვეტელი რჩებოდა ან განსაზღვრული ვადით ან მძიმე დანაშაულის ბრალდებისას – უვადოდ, საქმეზე ახალ გარემოებათა აღმოჩენამდე.<sup>22</sup>

ერთობ საინტერესოა ქართული სამართლის ძეგლებში იმ მოხელეთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც უფლებამოსილი იყვნენ განეხორციელებინათ სისხლისსამართლებრივი დევნა და შესაბამისად აგრეთვე, ვხვდებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის თქმის სპეციფიკურ საკანონმდებლო რეგლამენტაციებს.

საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის და მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირები და ორგანოები იყო მეფე, ერისთავი, თავადი, ხევისბერი, სამსჯავრო, სამსჯავრო კარი, სჯის კარი, სახალხო კრება, სამსაჯულო, მსაჯული, ბჭე, მდივანი, სამდივნო, მდივანბეგი, იმისდა მიხედვით, მართლმსაჯულების ორგანო კოლექტიური იყო თუ ინდივიდუალური. ბრალდებაზე უარის თქმაც ხორციელდებოდა ხმათა ერთობლიობით ან ერთპიროვნულად, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება შეეძლო, როგორც მბრალდებელს, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო თავის მხრივ, დაზარალებულიც, აგრეთვე ინკვიზიციური პროცესის დამკვიდრების შემდეგ, მოხელეს. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ადრეულ პერიოდში, როდესაც არ იყო ჩამოყალიბებული სახელმწიფო ბრალმდებლის ინსტიტუტი, აღნიშნული უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო, გარდა მომჩივნისა, იყო მოსამართლის

ან სასამართლოს უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი თუ კოლექტიური ორგანო. ამასთან, ვხვდებით ხელისუფალთა გარკვეულ იერარქიას, როდესაც უმაღლესი უფლებამოსილების მქონე პირის გადაწყვეტილება სავალდებულო იყო სხვა იერარქების მიმართაც, კერძოდ „უკეთუ მეფესთან დამნაშავე კაცი ვინმე მივიდეს და მისის დანაშაულის პასუხი და სამართალი არ უყოს და შეუნდოს, რადგან მეფემ შეუნდო. ერისთავისცა ჯერ არს, რათა მათცა ბრძანება მათი დაამტკიცონ.“<sup>23</sup> მოცემული ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ მეფეს შეეძლო დამნაშავისათვის ჩადენილი ქმედება ეპატიებინა, რაც თანამედროვე გაგებით შესაძლოა ბრალდებაზე უარის თქმად შევაფასოთ. ამასთან, მეფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დადასტურება უპირობოდ მოეთხოვებოდათ ერისთავებს და სხვა მოხელეებს.

საბრალდებო პროცესში ბრალმდებლის ფუნქციებს ძირითადად, ითავსებდა დაზარალებული და ყოველი სასამართლო დავა წარმოდგენდა საჯარო დავას დაზარალებულსა და ბრალდებულს, თუ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის.<sup>24</sup> საბრალდებო პროცესს ჰქონდა ერთი დამახასიათებელი ნიშანი, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალმდებელი ვერ დაადასტურებდა თავის ბრალდებას, ბრალდებულის გამართლებისას სასჯელი ედებოდა ბრალმდებელს, რომელმაც ბრალდების დამტკიცება ვერ შეძლო.<sup>25</sup>

„დიდ სჯულის კანონში“ ვხვდებით ტერმინს „შემასმენელი“, რომელიც პროფესორ გიორგი ნადირაშვილის განმარტებით, ბრალმდებელს ნიშნავს. „უპატივო“ პირებს ეკრძალებოდათ ბრალმდებლის როლში გამოსვლა, ხოლო უპატიო პირებად მოიაზრებოდნენ მწვალებელნი, წარმართნი და სხვა. რა თქმა უნდა, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ადამიანი ვერ წარმოდგინდებოდა წოდებრივი კუთვნილების გარეშე და რაც უფრო მაღალი წოდების იქნებოდა ადამიანი, მით უფრო მაღალი პატივი და ღირსება ჰქონდა საზოგადოებისა და სახელმწიფოსგან მინიჭებული.<sup>26</sup> ამასთან, გვიანფეოდალურ საქართველოს სასამართლო პროცესზე მიღებული იყო თითოეული მხარეს რამდენიმე ბრალდებულისა და მომჩივნის, თუ დაზარალებულისა და მოპასუხის არსებობა.<sup>27</sup> ვისაც ბრალი ედებოდა ან მიუძღვოდა, იმას „ბრალეული“ ერქვა. გიორგი მერჩულეს სიტყვებით, გრიგოლ ხანძთელი „ბრალეულთა სინანულად მოაქცევდა და ურჩთა სიმართლისათა სრულად განასხმოდა.“<sup>28</sup> ბრალდებულის ინსტიტუტის პარალელურად, ქართულ სამართლის ძეგლებში ვხვდებით „შეხვეწილის“ ინსტიტუტს, ქართული სამართლის ძეგლს ბექასა და აღბულას სამართლის წიგნს აგრეთვე, დართული აქვს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი, ნ1-ე მუხლი, სადაც განიხილება „შეხვეწილის“ საკითხი. კერძოდ, „შეხვეწილს“ მრავალი მნიშვნელობით ხმარობდნენ, მაგრამ მისი უმთავრესი მნიშვნელობა მონანიებას, ბოდიშის მოხდას უკავშირდებოდა. „შეხვეწილი“ იყო პირი, რომელმაც რაიმე ცოდვა (დანაშაული) ჩაიდინა, შეიგრძნო თავისი საქციელის უზნეობა და არამართლმომიერება და მოინანია იგი. მონანიება, სავარაუდოდ,

საჯაროდ ხდებოდა.<sup>29</sup> ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ კანონმდებელი ითვალისწინებდა დანაშაულის ჩამდენი პირის ქცევას, დანაშაულის ჩადენის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, თუ იგი მონაწილეობდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას, საჯაროდ განაცხადებდა ამის შესახებ, მის მიმართ შესაძლებელია განხორციელებულიყო კანონით გათვალისწინებული შეღავათები ან სულაც გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია მივიჩნიოთ ბრალდებაზე უარის თქმის ერთ-ერთ მაგალითად.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლები ერთმანეთისაგან ასხვავებდა „შეხვეწილის“ და „უბრალოს“ ცნებებს. კერძოდ, როგორც ზემოთ ითქვა, „შეხვეწილი“ იყო პირი, ვის მიმართაც გამოიყენებოდა კანონით გათვალისწინებული შეღავათები, იმ პირობებშიც კი, როდესაც დგინდებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ხოლო ის ვისაც არავითარი ბრალი არ ედებოდა, ის იყო „უბრალო“, ამისდა მიხედვით, უდანაშაულობას „უბრალოება“ ეწოდება.<sup>30</sup>

ქართული სამართლის ძეგლებში ვხვდებით გარემოებას ან გარემოებებს, რომლებიც დამნაშავის ბრალეულობასა და პასუხისმგებლობას ამცირებდნენ. ასეთ გარემოებებს „აღმსუბუქებელი გარემოებანი“ ეწოდება, ვისაც „უმეცრებაი გონებისაი,“ ან იქმნებ „ფრიად უძლურებაი გონებისაი“ აქვს, ის „უსუმბუქესად“ უნდა ყოფილიყო განსჯილი, ან და იქნებ უბრალოდაც კი, ყოფილიყო ცნობილი.<sup>31</sup> გარდა აღნიშნულისა, ქართული სამართლის ძეგლები აღიარებდნენ ასაკის გამო პირის შეურაცხაობის საკითხსაც, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „ათს წლამდის ყმაწვილის ნაქნარსა საქმესა, რასაც ფერსა, ავის კაცის ავს საქმესთან არ ჩაიგდებს, თავის ტოლს უბამს თუ უფროსს: ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია, საფათერაკოსავით არს.“ მამასადამე, მცირეწლოვანების გამო შეურაცხადობის ასაკს ვახტანგი 10 წლამდე სთვლიდა და ასეთ წლოვანებაში, რასაკვირველია, გონების უმეცრებაზე მსჯელობა მართებულია, თავისთავად ცხადია, რომ თუ დამნაშავეს გონების „ფრიადი უძლურებაი“ ჰქონდა, წლოვანებას მაშინ შეურაცხველობისათვის უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ ექმნებოდა.<sup>32</sup>

დანაშაულის აღმსუბუქებლად თუ ბრალეულობის სრულად განმქარველ გარემოებად „იძულება“ ან „იძულებითი შთავარდნილება“ ითვლებოდა, როდესაც დანაშაული ჩადენილი იყო „პატრონისა ბრძანებითა,“ ხელმწიფებითა და შიშითა მისითა შეემთხვია“ ან და როდესაც ვინმე „ლაშქრობათა შინა და მგზავრობათა იძულებით, ანუ შიშისგან, შთავარდნილ იყვნენ ცოდვათა.“ „იძულებით შთავარდნილი ცოდვათა“ იგულისხმება ისეთი დანაშაულობა, რომლის ჩადენის მას არც განზრახვა ჰქონია, არც ჰნებებია, მაგრამ იძულებული ყოფილა თავისი უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფალის ბრძანება აესრულებინა და თავისდა უნებურად, მბრძანებლის შიშით, ჩაიდინა დანაშაულობა ან ომიანობაში, თუ მგზავრობის დროს თავდასხმის მოგერიების დროს იძულებული იყო თავის დასაცავად თავდასხმელი დაეჭირა

ან მოეკლა ე. ი. ჩაედინა ის, რაც ვახტანგ VI-ის კანონების „დასწრებას“ უდრის. ასეთ შემთხვევაში იყო მაიძულებელი გარემოება, რომელსაც ბრალეულობის მობოდიშება ან შემსუბუქება ან მოსპობა-გაქარწყლება შეეძლო და რომელსაც იმდროინდელი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიით, „ჯეროვანი მიზეზი“ ან და „საჭირო მიზეზი“ ეწოდება.<sup>33</sup> მოცემული საკითხი ნათლად მიუთითებს ბრალდებაზე უარის თქმის რამდენიმე საფუძველზე, რაც თანამედროვე ტერმინოლოგიით, რომ განვსაზღვროთ ტოლფასოვანია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ისეთ გარემოებებთან, როგორც არის: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა, აგრეთვე ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ ისეთ გარემოებებთან, როგორც არის: შეურაცხაობა ასაკის გამო, შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო, შეზღუდული შერაცხადობა და ბრძანების ან განკარგულების შესრულება.

ქართული სამართლის ისტორიული ძეგლების ანალიზის დროს, ჩვენ ვხვდებით ბრალდებაზე უარის თქმის გარკვეულ თავისებურებებსაც, კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული უშვებს დანაშაულის ჩამდენ პირთა პირობით შეწყალებას „რომელიცა შეგვიძლოსთ სინანულად მოუწოდოთ დამნაშავეთა კაცთა,“ რაც აგრეთვე, შეგვიძლია ჩავთვალოთ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ადრეული ხანის მაგალითად. ამავდროულად, ასეთი პირები თუ მომავალში გააგრძელებდნენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას, „მოსამართლემა მოქალაქეობის სჯულითა მისცეს სატანჯველად.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ ქართულ სამართალში მოიაზრებოდა სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის პირობადადებული ფორმაც, რასაც თანამედროვე კანონმდებლობა არ იცნობს, თუ არ ჩავთვლით საპროცესო შეთანხმების და განრიდების ან მედიაციის პირობებს. პირველ შემთხვევაში პირი ითვლება ნასამართლევად, ანუ მის მიმართ საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი პირობით დგება გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო რაც შეეხება განრიდებას და მედიაციას, ამ შემთხვევაში, პირის მსჯავრდება არ ხდება, ამასთან მას უწესდება გარკვეული მოქმედების ან მოქმედების ჩადენისაგან თავის შეკავების ვალდებულება. მაგალითად, ჯარიმის გადახდის ვალდებულება და მართვის მოწმობის ჩამორთმევის პირობებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ბრალდებაზე უარის თქმის ფორმები გვხვდებოდა, როგორც საბრალდებო, აგრეთვე ინკვიზიციურ (სამძებრო) და შერეული ტიპის პროცესში, ისტორიული წყაროები ნათლად ადასტურებენ ქართული სამართალწარმოებისა და სისხლის სამართლის ადრეული პროცესის დებულებებს, რომელთა გამოყენებითაც ბრალმდებელს, იქნებოდა ეს კოლექტიური თუ ინდივიდუალური მართლმსაჯულების ინსტიტუტი, შეეძლოთ უარი ეთქვათ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე, რაც გამოიხატებოდა პირისთვის დანაშაულის პატიებაში, გარკვეული პირობით სასჯელის არდაკისრებაში თუ საქმის გადაუწყვეტლად დარჩენაში განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით, ახალ გარემოებათა აღმოჩენამდე.

შენიშვნები:

- <sup>1</sup> ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003, გვ. 24.
- <sup>2</sup> ბიბლია, ძველი აღთქმა, დაბადება, თავი მესამე, ნ.
- <sup>3</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტ. VII., გვ. 188.
- <sup>4</sup> იხ.: დასახ. სამ. ნაშრ., გვ. 188.
- <sup>5</sup> დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 1.
- <sup>6</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტომი VII, გვ. 382.
- <sup>7</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტომი VI, ქართული სამართლის ისტორია ნაწილი I, გვ. 85-94.
- <sup>8</sup> ვაჩიშვილი ალ., სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბ., 1955, გვ. 30.
- <sup>9</sup> Чельцов М. А., Уголовный процесс., М. 1948 с. 59-60.
- <sup>10</sup> ქართული სამართლის კლასიკა, ზ. კორძაძის გამომცემლობა, წიგნი I, ლექ-ვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-მე-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 508.
- <sup>11</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტომი VII, გვ. 384.
- <sup>12</sup> დასახ. ნაშ., ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, თბ., 2017, გვ. 420.
- <sup>13</sup> Строгович М.С.: Уголовный процесс, Учебник, М., 1948 с. 33.
- <sup>14</sup> დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, იხ.: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი მოსესი, მუხ. 7, თბ. 1963, გვ. 109.
- <sup>15</sup> დასახ. ნაშ., სამართალი ბერძნული, მუხ. 129, თბ., 1963, გვ. 163.
- <sup>16</sup> იხ.: დასახ. სამ. ძეგ., მუხ. 26, თბ., 1963, გვ. 139.
- <sup>17</sup> დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, იხ.: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, მუხ. 212, თბ., 1963, გვ. 537.
- <sup>18</sup> ქართული სამართლის კლასიკა, ზ. კორძაძის გამომცემლობა, წიგნი I, ლექ-ვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-მე-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 519.
- <sup>19</sup> დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, იხ.: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბერძნული., მუხ. 27, თბ., 1963, გვ. 139.
- <sup>20</sup> გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., მამნიაშვილი მ., მონიავა. პ.(თ), საგამოძიებო სამართალი, წიგნი პირველი, თბ., 2018, გვ. 54.
- <sup>21</sup> დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, იხ.: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, სამართალი ბერძნული., მუხ. 193, თბ., 1963, გვ. 174.
- <sup>22</sup> ქართული სამართლის კლასიკა, ზ. კორძაძის გამომცემლობა, წიგნი I, ლექ-ვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-მე-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 510.
- <sup>23</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტომი VII, გვ. 214.
- <sup>24</sup> ქართული სამართლის კლასიკა, ზ. კორძაძის გამომცემლობა, წიგნი I, ლექ-ვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-მე-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 505.
- <sup>25</sup> იხ.: დასახ. ნაშრომი., გვ. 506.

- <sup>26</sup> იხ.: ქართული სამართლის კლასიკა, ზ. კორძაძის გამომცემლობა, წიგნი I, ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, თბ., 2017, გვ. 421.
- <sup>27</sup> იხ.: ქართული სამართლის კლასიკა, ზ. კორძაძის გამომცემლობა, წიგნი I, ლეკვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი მე-17-მე-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 516.
- <sup>28</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტომი VII, გვ. 192.
- <sup>29</sup> ქართული სამართლის კლასიკა, ზ. კორძაძის გამომცემლობა, წიგნი I, ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, თბ., 2017, გვ. 427.
- <sup>30</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზ. 12 ტომად, ტომი VII, გვ. 193.
- <sup>31</sup> იხ.: დასახ. ნაშრომი, გვ. 200.
- <sup>32</sup> იხ.: იქვე, გვ. 201.
- <sup>33</sup> იხ.: იქვე, გვ. 201-202.

# DENIAL OF THE ACCUSATION ACCORDING TO OLD GEORGIAN LAW MONUMENTS

KHVICHA BEGIASHVILI

*PhD Student of Law School*

*Davit Aghmashenebeli University of Georgia*

Presented article discusses the legal regulations of the Prosecutors and authorized Institutions according to the monuments of the old Georgian law, as well as the grounds and peculiarities of the denial of the accusation.

The theoretical and practical significance of the paper is due to the fact that the analysis of this issue will allow us to draw some parallels with modern legislative approaches related to mentioned issue and to identify existing problems. The concluding part of the paper presents the author's reasoned opinions based on the logical analysis of the studied material.

# უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედ საერთაშორისო და ეროვნულ კანონ- მდებლობაში

მალხაზ ლომსაძე

*სამართლის დოქტორი,*

*პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო*

*უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი,*

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი*

უდანაშაულობის პრეზუმფცია ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერ-იურისტების ინტერესის საგანს. ამ საკითხზე მრავალი ათეული სტატია თუ მონოგრაფიაა შექმნილი, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. უდანაშაულობის პრეზუმფცია დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ადამიანის უფლებების დაცვას. თითქმის არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, რომლის კონსტიტუციაშიც არაა ეს მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი ჩადებული. ნაშრომში შევეცდებით მეცნიერულად ჩამოვაცალიბოთ უდანაშაულობის პრეზუმფციის ნამდვილი შინაარსი, როგორ უნდა გატარდეს ამ პრინციპის მოთხოვნები საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

პრეზუმფცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდზე დამყარებულ მოსაზრებას, რაიმე ფაქტის აღიარებას სარწმუნოდ, ვიდრე არ დამტკიცდება მისი მცდარობა.<sup>1</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფცია პირველად 1789 წელს გამოცხადდა, საფრანგეთის რევოლუციის მიერ ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებათა დეკლარაციაში.<sup>2</sup> იგი აგრეთვე, აისახა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1948 წლის 10 დეკემ-

ბერს მიღებულ ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში.<sup>3</sup> შემდგომში 1966 წლის 19 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის XXI სესიამ მიიღო საერთაშორისო პაქტი მოქალაქეთა და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, რომლის მე-14 მუხლში ჩამოყალიბდა უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი, რომლის შინაარსი გადმოცემულია შემდეგნაირად: „ყოველ ბრალდებულს, რომელსაც ერაყება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ჩათვალოს თავი უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად.“<sup>4</sup>

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოყალიბებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დებულება, რომლის ძალითაც „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“<sup>5</sup> ეს დებულება ეხება ყველა მოქალაქეს, არის ზოგადი ხასიათის, მაგრამ ამავე დროს შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის ძირითად ნიშნებს, როგორც კონსტიტუციური, ისე პროცესუალური გაგებით. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა არა ყველა ადამიანი, არამედ ის პირი, რომელიც დაკავებულია ან რომლის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდების შესახებ.

ამრიგად, უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულზე. ის ფაქტი, რომ უკვე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავებულია პირი, გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, მიმდინარეობს გამოძიება, მტკიცებულებები შეკრებილია ბრალდებულის მიმართ, პროკურორმა სასამართლოში წარმოთქვა ბრალდების შესავალი და დასკვნითი სიტყვები, ჯერ კიდევ, არ ნიშნავს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მისი ბრალეულობის საკითხი დადგენილი და გადაწყვეტილია. ყოველივე ეს მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ გამოძიების ორგანოებმა გამოიტანეს წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, რომელიც სავალდებულო არ არის შესასრულებლად სასამართლოსათვის. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტში ნათლადაა გადმოცემული, რომ „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს.“<sup>6</sup> „სამართალწარმოების მონაწილე ყველა ბრალდებული მიიჩნევა უდანაშაულოდ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, სამართლიან სასამართლო პროცესზე.“<sup>7</sup> „იძულებითი ღონისძიების შეფარდება საბრალდებო დასკვნის გამოტანამდე, მხოლოდ სახელმწიფოს „გონივრულ ეჭვზე“ დაყრდნობით, თითქოს პირმა ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული, ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის არსს.“<sup>8</sup>

სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან საერთოდ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი ე. ი. გააქარწყლოს გამოძიების ორგანოების წინასწარი

დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ. საკითხი ბრალეულობის შესახებ წყდება როგორც წესი, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. წინასასამართლო სხდომაზე „არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს წინასასამართლო სხდომის შემაჯამებელ ნაწილს. წინასასამართლო სხდომის მთავარი დანიშნულება სწორედ პირის მიმართ წაყენებული ბრალდების მთავარ სასამართლო სხდომაზე განსახილველად დაშვების საკითხის გადაწყვეტაა. არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.“<sup>9</sup>

სასამართლო განაჩენი საბოლოო შეფასებას აძლევს მტკიცებულებებს, ბრალდებულის ქმედებასა და ყველა სხვა გარემოებებს, რაც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში.

აქედან გამომდინარე, გამოძიების დროს პრესაში არ უნდა გამოქვეყნდეს, რადიოთი და ტელევიზიით არ უნდა გადაიციეს, სოციალურ ქსელებსა და სხვა ელექტრონულ საშუალებებში არ უნდა აისახოს ის ფაქტები და გარემოებანი, რომლებმაც თავისი შეფასება უნდა ჰპოვოს სასამართლოს განაჩენში, არ უნდა შეფასდეს საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებანი, გამოითქვას მოსაზრება ბრალდებულის მკაცრად დასჯის შესახებ, სანამ სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. „ამას მოითხოვს მოქალაქეთა სახელის და რეპუტაციის ინტერესები, კონსტიტუციური პრინციპი – უდანაშაულობის პრეზუმფცია.“<sup>10</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ბრალდებული მოვალე არ არის ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ეს დავალეული აქვთ ბრალდების ორგანოებს (გამომძიებელსა და პროკურორს). საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.“<sup>11</sup> ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს ჩვენება, უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე ან მისცეს მცდარი ჩვენება, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს არის თავის დაცვის საშუალება. გამომძიებელს და პროკურორს უფლება არა აქვთ მტკიცების მოვალეობა ბრალდებულს დააკისრონ. მხოლოდ ეს პირები არიან მოვალენი ამხილონ ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენით გადაწყვიტოს პირის დამნაშავედ ცნობის საკითხი. „უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედება ვრცელდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან მთელი სამართალწარმოების პერიოდზე (res judicata), განაჩენის დადგენამდე“<sup>12</sup> მათ შორის, პირველი წარდგენის სხდომაზეც, სადაც ხდება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მსჯელობა. „სასამართლო თავის უფლებამოსილებას (მათ შორის, განაჩენის კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმებას) უნდა ახორციელებდეს ბრალდებუ-

ლის უდანაშაულობის რწმენით იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს თავის დაცვის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.<sup>43</sup>

„თუ სასამართლო განხილვისას გამოვლინდება საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი მაინც, საქმის არსებითად განხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან ერთად, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე, წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.“<sup>44</sup>

როგორც კანონის შინაარსიდან ირკვევა, თუ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძველი და მხარე არ დააყენებს შუამდგომლობას, სასამართლო საქმის განხილვას დაასრულებს და გამოიტანს შესაბამის განაჩენს ან გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით ან გამამართლებელ განაჩენს.

ჩვენი აზრით, კანონის ეს მოთხოვნა აკნინებს სასამართლოს როლს სისხლის სამართლის პროცესში და უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს არ შეესაბამება. სასამართლოს უნდა მიეცეს საშუალება საქმის არსებითი განხილვისას, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აისახოს კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთან, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.“

უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს სავარაუდო მოსაზრებებს. ყოველი ვარაუდი ნიშნავს ობიექტურად დაუდგენელ გარემოებას, სხვანაირად რომ ვთქვათ, საეჭვო ხდება ამა თუ იმ ფაქტის არსებობა თუ არარსებობა. ამიტომ ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“<sup>45</sup>

უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა.

იმისათვის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტა ამ საფუძვლით არ ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის კონსტიტუციურ პრინციპს – უდანაშაულობის პრეზუმეციას, პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები: „გაუქმდეს არასარეაბილიტაციო მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა და გადაწყდეს ეს საკითხი სასამართლო განაჩენით,“<sup>46</sup> „დაწესდეს სასამართლო კონტროლი აღნიშნული მოტივით საქმის შეწყვეტისადმი.“<sup>47</sup>

ყველა ეს წინადადება იმსახურებს ყურადღებას. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების დროს საქმის წარმოების შეწყვეტას სარეაბილიტაციო მოტივით (თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო).

ამ დროს გამოძიების ორგანოები თვლიან, რომ პირი უდანაშაულოა და ამიტომ საერთოდ არ ისმის საკითხი მათი ბრალეულობის თაობაზე.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება სარეაბილიტაციო მოტივით შეიძლება დამთავრდეს გამოძიების დროს იმით, რომ არ წყდება პირის ბრალეულობის საკითხი, არამედ დგინდება მისი უდანაშაულობა. ამ შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობაში არ არის საჭირო რაიმე ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტას გამოძიების დროს არასარეაბილიტაციო მოტივით. აქ ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის, ამნისტიის აქტის, ვითარების შეცვლის და სხვა გარემოებების გამო. ყველა ამ შემთხვევაში გამოძიების დროს წყდება პირის ბრალეულობის საკითხი, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არასარეაბილიტაციო მოტივით გამოძიების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტისადმი დაწესდეს სასამართლო კონტროლი და მასალები საქმის შეწყვეტის შესახებ განიხილოს სასამართლომ სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით და საკითხი გადაწყდეს საქმეზე განჩინების გამოტანის გზით, გამოძიების ორგანოს დადგენილების ძალაში დატოვების ან მისი გაუქმების შესახებ.<sup>48</sup>

ამის შემოღება ზედმეტია, შემდეგ გარემოებათა გამო:

1) ამ შემთხვევაში ვერ იქნება დაცული დებულება, რომ პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტს სასამართლო თავისი განაჩენით;

2) კონტროლი სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტისადმი კანონით ისედაც გათვალისწინებულია. კანონით გარანტირებულია მოცემული გადაწყვეტილება გაასაჩივროს დაზარალებულმა.

არასარეაბილიტაციო მოტივით განაჩენის გამოტანის ინსტიტუტს ცნობს საქართველოს მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობა. ასეთებია: 1) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით; 2) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად.

გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით მხოლოდ მაშინ დგინდება, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის:

- ა) გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;
- ბ) გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;
- გ) ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;
- დ) პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი;
- ე) პირმა განახორციელა ქმედითი მონანიება;
- ვ) „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა“ ან „ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება“ ჩადენილია პირის მიერ „ადამიანით ვაჭრობის“ ან/და „არასრულწლოვნით ვაჭრობის“ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაიცვალა.

თუ დაიწყო გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ საქმეზე აუცილებლად გამოტანილი იქნება განაჩენი. საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებულია გარემოებები, რომლებიც საფუძველი გახდება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისა. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველები ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში. „გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველები ძირითადად, იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალურსამართლებრივ და პროცესუალურად.“<sup>49</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო კანონმდებლობით მტკიცედაა განსაზღვრული გარემოებები, რომელთა არსებობისას გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს. ასეთი საფუძველები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში.

განვიხილოთ ეს საფუძველები ცალ-ცალკე:

ა) **თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება** – „ეს ნიშნავს, რომ პირს ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, მაგრამ გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეს ბრალად ედება, რომ ქრთამი აიღო, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თურმე მისთვის ვალი დაუბრუნებიათ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს.“<sup>20</sup>

ბ) **თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო** – ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში. „მართლსაწინააღმდეგობის დადგენა აქ ხდება გამორიცხვის მეთოდით, – წერს პროფ. ოთარ გამყრელიძე, – ნეგატიურად და არა პოზიტიურად. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოა ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება“.<sup>21</sup> მაგალითად, აბულაძემ მოკლა მებობლის – ბერიძის ძვირადღირებული ძაღლი, რომელიც ცდილობდა ბავშვის დაკბენას (უკიდურესი აუცილებლობა); მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან – „მეტყვე შევიდა ა-ის ებოში, რომ შეემოწმებინა, ჰქონდა მას თუ არა ნებართვა ხე-ტყის დასამზადებლად. აღმოჩნდა, რომ ა-ს ამის უფლება არ ჰქონია, მაშინ მეტყვემ გადაწყვიტა სათანადო აქტი შეედგინა, ხოლო უკანონოდ დამზადებული ხე-ტყე სათანადო დაწესებულებაში გადაეტანა. ა-მ წინააღმდეგობა გაუწია, ხოლო დედამისმა მეტყვეს თავში ჯოხი დაჰკრა. თავის დასაცავად მეტყვე შეეცადა დარტყმა თოფის კონდახით აეცდინა, მაგრამ ჯოხს აცდენილი კონდახი ა-ის დედას მოხვდა და იდაყვის ძვალი გაუტეხა.“<sup>22</sup> ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო (აუცილებელი მოგერიება).

გ) **თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას** – ეს ნიშნავს, რომ პირის მიერ განხორციელებული ქმედება დანაშაულს წარმოადგენდა, მაგრამ გამოვიდა ახალი კანონი, რომელმაც ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა გააუქმა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. „ასეთი ქმედების დასჯა – წერდა თ. წერეთელი – მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძველი კანონი სჯიდა, არა მართო ეწინააღმდეგება სამართლიანობის იდეას, არამედ მიზანშეწონილიც არის მართლმსაჯულების ერთიანობის თვალსაზრისით.“<sup>23</sup>

დ) **თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი** – ეს ნიშნავს, რომ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სცნო არაკონსტიტუციურად.

ე) **თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა** – ხანდაზმულობა ნიშნავს კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლას, რომლის შემდეგ დანაშაულის ჩამდენი არ შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში. ხანდაზმულობის ვადები, დანაშაულის კატეგორიების მიხედვით, დადგენილია. საქართველოს სსკ-ის 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დადგენილია სასჯელის სახით ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით 1 წლამდე. ამ დანაშაულის ჩადენისათვის პირი რომ გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ამ დანაშაულის ჩადენიდან სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა გავიდეს 2 წელი.

„ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენიდან პირის ბრალდების წაყენებამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.“<sup>24</sup>

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავეს დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

ვ) **თუ გაცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან** – ამნისტია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დავიწყებას.<sup>25</sup> ამნისტიას ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 77-ე მუხლი, რომელსაც აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად, განუსაზღვრელ პირთა მიმართ. თუ ამნისტიის აქტი ათავისუფლებს დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ასეთ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს.

ზ) **თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე** – ამ გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირი არ შეიძლება ორჯერ იქნას დასჯილი.

თ) **თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ;**

ი) **თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;**

კ) **დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი)** – დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს რამ-

დენიმი პირობას: ა) აცდენილ უნდა იქნას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება; ბ) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იქნას მიყვანილი თვით იმ პირის ნება-სურვილით, ვინც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა;<sup>26</sup> გ) დანაშაულის ჩადენაზე პირმა საბოლოოდ უნდა აილოს ხელი, დ) პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ბოლომდე მიიყვანს დანაშაულს და აქვს ამის შესაძლებლობა; ე) პირის მიერ განხორციელებული ქმედება არ უნდა შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს.<sup>27</sup> მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან – 2007 წლის 6 სექტემბერს მ.პ-მ და მ.მ-მ ერთად გადაწყვიტა ნ.ბ-ს გაუპატიურება და საკუთარი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ.პ-მ იარაღი მიაბჯინა ნ.ბ-ს, მ.მ-ს დახმარებით იძლებით გამოიყვანა 4-5 მეტრის მოცილებით ტყის მასივისკენ, წააქცია მიწაზე და დაუწყო შარვლის გახდა და შეეცადა გაუპატიურებას. ნ.ბ-მ გაუწია წინააღმდეგობა, ატეხა ყვირილი, რის შედეგადაც მ.პ-მ და მ.მ-მ მიატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით, მ. პ. და მ. მ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ე. ი. იმაში, რომ ჩაიდინა გაუპატიურების ჩადენის მცდელობა ჯგუფურად. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში გასაჩივრდა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა, სისხლის სამართლის საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

...საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენში მოტანილ მსჯავრდებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე, მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელი არ აუღიათ, რადგან მსჯავრდებულთა მხრიდან დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია არა ნებაყოფლობით, არამედ დაზარალებულის აქტიური წინააღმდეგობით, რაც ასევე, გაზიარებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, დაზარალებულ ნ.ბ-ს მხრიდან გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურ ხელისშემშლელ გარემოებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში ბრალდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რაც საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს მ.პ-ს და მ.მ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ საქართველოს სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მათ მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>28</sup>

ლ) **ქმედითი მონაწილის გამო** (საქართველოს სსკ-ის 68-ე, 322-ე, 164<sup>1</sup>-ე, 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-3, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევებში);

მ) **თუ ვითარება შეიცვალა** – ამ გარემოების გამოვლენისას, დანაშაულის ჩამდენი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდა, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო. ვითარების შეცვლა ნიშნავს გარეგანი პირობების ისეთ შეცვლას, რის გამოც ისპობა ქმედების სოციალური საშიშროება.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები ეხება როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობა იწვევს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ამ შემთხვევაში დაკავშირებულია ქმედების სუბიექტთან.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) **პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა** – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი დაწესებულია საქართველოს სსკ-ის 33-ე მუხლით, რომლის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი.

მაგალითად, ბინაში შეღწევით ქურდობა ჩაიდინა 13 წლის აბესაძემ. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, ვინაიდან პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით – მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულმა პირმა სიცოცხლე მოუსპო სხვა პირს.

გ) ბრალდებული გარდაიცვალა – ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება. არ არის გამორიცხული, ისეთი შემთხვევა, როდესაც დანაშაული ჯგუფურადაა ჩადენილი და ერთი ბრალდებული გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ წყდება, ხოლო სხვა დანარჩენი ბრალდებულების მიმართ გრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად და ერთი პირია ბრალდებული, ხოლო დანარჩენი პირები დადგენილი არ არის და ბრალდებული გარდაიცვლება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ, ხოლო საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ამრიგად, გამოძიების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ყოველთვის არ არის გამოძიების შეწყვეტის საფუძველი.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>1</sup>, 344-ე და 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაბარალეებულად ყოფნის გამო, ეს იმას ნიშნავს, რომ პირზე, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა, ასევე ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება ჩაიდინა, არ ვრცელდება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად ყოფნის გამო.

მოცემულ შემთხვევაში პირს არა აქვს სხვაგვარად მოქმედების საშუალება, რაც გამორიცხავს ბრალს.

როგორც ვხედავთ, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილია ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ბრალს და შესაბამისად, იწვევენ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება და ბრალის გამომრიცხველი სხვა კანონიკური გარემოებანი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს თუ:

ა) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33–38-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები);

ბ) ბრალდებული გარდაიცვალა.“

სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ეს ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.

ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი.

თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული განრიდების ან მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტა უნდა მოხდეს გამოძიების სტადიაზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა როგორც გამოძიებით, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

თუ გამოძიების სტადიაზე გამოვლინდა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი, პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას დადგენილებით გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. თუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა შეურაცხადმა პირმა, ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღება. ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე, პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და კანონით დადგენილი წესით შეადგინოს ოქმი. ასეთი დადგენილების გამოტანის უფლება გამომძიებელს მინიჭებული არა აქვს. მისი გასაჩივრების ერთჯერადი

უფლებით სარგებლობს დაზარალებული. მოცემული დადგენილება უნდა გასაჩივრდეს მისი გამომტანი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ თუ საქმეზე გამოძიებას ატარებს პროკურორი, იგი სარგებლობს გამომძიებლის უფლებამოსილებით და არა აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამომძიების ადგილის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება იმის გამო, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება შეურაცხადმა ჩაიდინა, პროკურორი ვალდებულია მიმართოს განსჯადობის მიხედვით შესაბამის სასამართლოს შუამდგომლობით მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სასამართლოში, მას გამოაქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა. საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს – სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატაში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ საჩივარი განხილული იყო ზეპირი მოსმენით, ასეთ შემთხვევაში მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ცხადდება.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება. პროკურორის გამოტანილი დადგენილება გამომძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

### **დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგი:**

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულზე. ის ფაქტი, რომ უკვე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავებულია პირი, გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, მიმდინარეობს გამოძიება,

მტკიცებულებები შეკრებილია ბრალდებულის მიმართ, პროკურორმა სასამართლოში წარმოთქვა ბრალდების შესავალი და დასკვნითი სიტყვები, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მისი ბრალეულობის საკითხი დადგენილი და გადაწყვეტილია. ყოველივე ეს მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ გამოძიების ორგანოებმა გამოიტანეს წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, რომელიც სავალდებულო არ არის შესასრულებლად სასამართლოსათვის;

გამოძიების დროს პრესაში არ უნდა გამოქვეყნდეს, რადიოთი და ტელევიზიით არ უნდა გადაიციეს, სოციალურ ქსელებსა და სხვა ელექტრონულ საშუალებებში არ უნდა აისახოს ის ფაქტები და გარემოებანი, რომლებმაც თავისი შეფასება უნდა ჰპოვოს სასამართლოს განაჩენში, არ უნდა შეფასდეს საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებანი, გამოითქვას მოსაზრება ბრალდებულის მკაცრად დასჯის შესახებ, ვიდრე სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;

საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლის-სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს თუ:

ა) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33–38-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები);

ბ) ბრალდებული გარდაიცვალა.“

სასამართლოს უნდა მიეცეს საშუალება საქმის არსებითი განხილვისას, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აისახოს კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთან, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.“

უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, საკითხის სწორი გარკვევა ხელს შეუწყობს პროცესუალური კანონმდებლობის დახვეწას, უზრუნველყოფს საგამოძიებო შეცდომების გამოსწორებას, მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას და ბრალდებულის უფლებათა გარანტიის განმტკიცებას.

## შენიშვნები:

- <sup>1</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 329.
- <sup>2</sup> Международное право в документах, Москва, 1982 г., ст.304.
- <sup>3</sup> ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1948 წლის 10 დეკემბერს.
- <sup>4</sup> საერთაშორისო პაქტი მოქალაქეთა და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის XXI სესიის მიერ, 1966 19 დეკემბერს.
- <sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.
- <sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.
- <sup>7</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR), მუხლი 14 (2).
- <sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR), ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება, მუხ. 84, 89.
- <sup>9</sup> ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-7 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2018, გვ. 595.
- <sup>10</sup> Ларин А., Презумпция невиновности, М., 1982, ст. 43-44.
- <sup>11</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.
- <sup>12</sup> X. v Federal Republic of Germany, ECtHR, 18/04/1964; Stefan Trechsel, Human Rights in Criminal Proceedings, OUP, 2006, 163; Imbrioscia v. Switzerland, ECtHR 24/11/ 1993, Kraska v. Switzerland, ECtHR, 19/04/1993; Hornsby v. Greece, ECtHR,19/03/1997;
- <sup>13</sup> Barbera, Messegue and Jabardo v. Spain, ECtHR, 13/06/1994, §77; Janosevic v. Sweden, ECtHR, 23/07/2002, §97.
- <sup>14</sup> ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-7 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2018, გვ. 540-541.
- <sup>15</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.
- <sup>16</sup> Савицкий В. М., Провлеми презумпция невиновности, Москва, 1978, ст.12.
- <sup>17</sup> Лабус И., Презумпция невиновности, Москва, 1981, ст.194.
- <sup>18</sup> Лабус И., Презумпция невиновности, Москва, 1981, ст.194-195.
- <sup>19</sup> სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2008, გვ.102;
- <sup>20</sup> ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-7 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, გამომც. ბონა კაუზა, თბ., 2018, გვ. 183.
- <sup>21</sup> გამყრელიძე ო. , საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 84-85.
- <sup>22</sup> შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 104.
- <sup>23</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 32.
- <sup>24</sup> ლომსაძე მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. უნივერსალი, თბ., 2011, გვ.150.
- <sup>25</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 21.
- <sup>26</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 125.
- <sup>27</sup> ლომსაძე მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. უნივერსალი, თბ., 2011, გვ. 66.
- <sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე №10, 2009 წელი, გვ. 39-47.

# THE PRESUMPTION OF INNOCENCE IN MODERN INTERNATIONAL AND DOMESTIC LAW

MALKHAZ LOMSADZE

*Doctor of Law, Professor*

*Dean of the Law Faculty*

*Samtskhe-Javakheti State University*

The issue of the presumption of innocence has never lost its theoretical or practical significance, as it is directly related to the protection of human rights. The presented paper discusses the content of the presumption of innocence and the peculiarities of its proper use in the investigation process.

The presumption of innocence must be based on an objective court decision, which implies that a court conviction cannot be based on presumptive considerations. Each assumption implies an objectively uncertain circumstance. Proper clarification of the mentioned issue as a constitutional principle will help refine procedural law, ensure the correction of investigative problems, the proper administration of justice, and strengthen the guarantee of the rights of the accused.

# სუროგაციის ხელშეკრულება და მისი დადების წესი

გიორგი გლაგოვი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის  
მკვლევარი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის დოქტორანტი*

## შესავალი

რეპროდუქციული ტექნოლოგიების განვითარებამ კაცობრიობას „აჩუქა“ კვლავწარმოების ახალი საშუალება – სუროგაცია.<sup>1</sup> სუროგაცია, როგორც კვლავწარმოების მეთოდი, რეპროდუქციის კოლაბორაციული საშუალება დაკავშირებულია რამდენიმე სუბიექტის/პირის ურთიერთთანამშრომლობასთან.<sup>2</sup> სუროგაციის მიზანი არის ახალი სიცოცხლის შექმნა და სწორედ ამ მიზნის მისაღწევად თანამშრომლობენ სუროგაციის ურთიერთობაში (პროცესში) ჩართული პირები.<sup>3</sup> სუროგაციის პროცესში ჩართული პირების თანამშრომლობითი ურთიერთობა დაკავშირებულია ბავშვის ჩასახვასთან, საშვილოსნოში მის გამოზრდასთან, შემდგომში ბავშვის გაჩენასთან და შემკვეთი წყვილისათვის/პოტენციური მშობლებისათვის ბავშვის გადაცემასთან, ორსულობისას ჩანასახზე/ბავშვზე მზრუნველობასთან, ასევე სხვა პასუხისმგებლობებთან, რისკების გადანაწილებასთან, ხარჯების გაწევის მოვალეობებთან, საბლაურის მიღების უფლებასთან და ა. შ.<sup>4</sup> აღნიშნულ და სხვა საკითხებს აწესრიგებს სუროგაციის ხელშეკრულება.<sup>5</sup> სუროგაციის ხელშეკრულება ის

დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სუროგაციის მიზნის (ახალი სიცოცხლე) მიღწევას. სუროგაციის ხელშეკრულების ბუნება, შინაარსი და არქიტექტონიკა,<sup>6</sup> ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ამ სტატიაში იქნება მიმოხილული.

### სუროგაციის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

სუროგაციის ხელშეკრულება არის მომსახურების ტიპის ხელშეკრულება,<sup>7</sup> რომელიც შეიძლება იყოს, როგორც სასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო (იშვიათ შემთხვევებში).<sup>8</sup> სუროგატული დედის მიერ კომპენსაციის (საზღაურის) მიღების შემთხვევაში, სუროგაციის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი (კომერციული), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სუროგატული დედა არ იღებს კომპენსაციას სუროგაციის ხელშეკრულება არის უსასყიდლო (ალტრუისტული).<sup>9</sup> არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კომერციული სუროგაცია განდევნის ალტრუისტულ სუროგაციას.<sup>10</sup> სუროგაციის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც ნათესავებს (ოჯახის წევრებს), ასევე უცხო პირებს შორის.<sup>11</sup> სუროგაციის ხელშეკრულება არის კონსენსუალური ხელშეკრულება,<sup>12</sup> რამეთუ დადებულად ითვლება მხარეების მიერ მის ყველა არსებით პირობაზე, საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, შეთანხმებიდან.<sup>13</sup> სუროგაციის ხელშეკრულება არის სინალაგმატური<sup>14</sup> და მიეკუთვნება განსაკუთრებულ ნდობაზე (fiducia) დაფუძნებულ გარიგებათა კატეგორიას.<sup>15</sup> სუროგაციის ხელშეკრულებით მის მხარეებს შორის წესრიგდება ქონებრივი და არაქონებრივი უფლება-მოვალეობები.<sup>16</sup> არაქონებრივი უფლება-მოვალეობები პირველ ყოვლისა, უკავშირდება ემბრიონის იმპლანტაციას, მის გამოზრდას, ბავშვის გაჩენასა და შემკვეთებისთვის გადაცემას.<sup>17</sup> ხოლო, ქონებრივი უფლება-მოვალეობები პირველ ყოვლისა, უკავშირდება სუროგატული დედის უფლებას მიიღოს საზღაური, თუ კომპენსაცია, ასევე, შემკვეთი წყვილის მოვალეობას, გაიღონ სუროგატული დედის სამედიცინო და სხვა აუცილებელი, ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები.<sup>18</sup> სუროგაციის ურთიერთობაში არაქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება არ უნდა იყოს შეუძლებელი, რამეთუ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით, ბრუნვიდან არ არის ამოღებული.<sup>19</sup> შესაბამისად, სუროგაციის ხელშეკრულების ობიექტი (ვალდებულების ობიექტი, საგანი<sup>20</sup>) ქონებრივ სიკეთესთან ერთად, შეიძლება იყოს არამატერიალური ან მატერიალური არაქონებრივი სიკეთეც.

სუროგაციის კონტრაქტი/შეთანხმება სახელშეკრულებო თავისუფლების გამოვლინებაა.<sup>21</sup> სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი იძლევა შესაძლებლობას, სუროგაციის ხელ-

შეკრულების დადების მსურველმა პირებმა თავისუფლად შეარჩიონ მათი კონტრაქტები და განსაზღვრონ სუროგაციის ხელშეკრულების შინაარსი.<sup>22</sup>

კონტრაქტების, მათ შორის, დონორების ძიებისას/შერჩევისას გასათვალისწინებელია, რომ სუროგატული დედა არ უნდა იყოს იმავდროულად კვერცხუჯრედის დონორი. საქართველოში სუროგატული დედა არ შეიძლება იყოს თავისი კვერცხუჯრედის დონორი.<sup>23</sup> ასევე, მაგალითისთვის, რუსეთის ფედერაციის და ბელარუსიის რესპუბლიკის კანონმდებლობით, სუროგატული დედა არ შეიძლება იყოს იმავდროულად კვერცხუჯრედის დონორი.<sup>24</sup>

სუროგაციის ხელშეკრულება თავისი შინაარსით საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაში არ მოდის.<sup>25</sup> თუმცა, არსებობს განსხვავებული დამოკიდებულებაც, რომლის მიხედვითაც, სუროგაციის ხელშეკრულება არის ამორალური, რადგანაც ხდება სუროგატული დედის ექსპლუატაცია, კომოდაცია და ბავშვებით ვაჭრობა.<sup>26</sup>

## სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტები / მხარეები

სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების/სუბიექტების შესახებ არსებობს განსხვავებული შეხედულებები. ერთი შეხედულების მიხედვით, სუროგაციის ხელშეკრულების მხარეებად უნდა ჩაითვალოს: სუროგატული დედა, შემკვეთი წყვილი და სამედიცინო ჩარევების განმახორციელებელი დაწესებულება.<sup>27</sup> სხვა შეხედულების მიხედვით, სუროგაციის ხელშეკრულების მხარეები არიან მხოლოდ სუროგატული დედა და შემკვეთი წყვილი – პოტენციური მშობლები.<sup>28</sup> თუმცა, ქართული მართლწესრიგის მიხედვით, სწორია ის მოსაზრება, რომლის შესაბამისადაც სუროგაციის ხელშეკრულება იდება ერთი მხრივ, მომავალ (პოტენციურ) სუროგატულ დედას და მეორე მხრივ, შემკვეთ ქალსა (მომავალ, პოტენციურ დედას) და შემკვეთ მამაკაცს (მომავალ, პოტენციურ მამას) შორის,<sup>29</sup> იმის გათვალისწინებით, რომ სუროგაციის ხელშეკრულების მონაწილე ე. წ. ფაკულტატური მხარე, შეიძლება იყოს კვერცხუჯრედის ან/და სპერმის დონორი.<sup>30</sup> დონორი ფაკულტატურ მხარედ განიხილება იმის გამო, რომ დონაციის აუცილებლობა შეიძლება არც არსებობდეს. მაგრამ, თუ არსებობს დონაციის აუცილებლობა, მაშინ დონორი უნდა იყოს სუროგაციის ხელშეკრულების მხარე.<sup>31</sup> შემკვეთი ქალი და შემკვეთი მამაკაცი არიან რა, გარიგების ერთ მხარეზე, სუროგატულ დედასთან და დონორებთან მიმართებაში გამოდიან, როგორც სოლიდარული კრედიტორები და სოლიდარული მოვალეები.<sup>32</sup>

სუროგაციის ხელშეკრულება შეიძლება იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი,<sup>33</sup> მაგრამ მიუხედავად მხარეების რაოდენობისა, სუროგაციის ხელშეკრულება წარმოშობს ორმხრივ ვალდებულებებისამართლებრივ ურთიერთობას.<sup>34</sup> ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ხელშეკრულების სხვა მონაწილეების მიმართ აქვს უფლებები და მოვალეობები.<sup>35</sup>

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას შემდეგი – სუროგაციის ხელშეკრულების პირველი მხარე არის სუროგატული დედა, მეორე მხარე არის შემკვეთი ქალი და შემკვეთი მამაკაცი (პირთა სიმრავლე ვალდებულებით ურთიერთობაში), მესამე მხარე შეიძლება იყოს კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორი (მხოლოდ კვერცხუჯრედის ან მხოლოდ სპერმის დონაციის აუცილებლობის შემთხვევაში), მეორე მხარე შეიძლება იყოს კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორი, როდესაც არსებობს კვერცხუჯრედის და სპერმის დონაციის აუცილებლობა და როდესაც მესამე მხარედ წარმოდგენილია კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორი.

სუროგაციის ხელშეკრულებით პოტენციურ მშობლებს – შემკვეთ ქალსა და შემკვეთ მამაკაცს შორისაც წარმოიშობა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.<sup>36</sup> იგულისხმება მათ შორის „შიდა“ ურთიერთობა.<sup>37</sup>

სუროგატული დედის, შემკვეთი წყვილის და დონორების დაკავშირება, როგორც წესი ხდება სუროგაციისა და დონაციის სააგენტოების დახმარებით – შუამავლობით.<sup>38</sup>

სუროგაციის „მიზნის“ მიღწევის პროცესში იდება რამდენიმე ხელშეკრულება. კერძოდ, 1) ხელშეკრულება შემკვეთ წყვილს – პოტენციურ მშობლებსა და სუროგატულ დედას შორის, 2) ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების შესახებ, პოტენციურ მშობლებსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის, 3) ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების შესახებ სამედიცინო დაწესებულებას და სუროგატულ დედას შორის,<sup>39</sup> 4) ხელშეკრულება შემკვეთ წყვილსა და სუროგაციისა და დონაციის სააგენტოს შორის,<sup>40</sup> 5) ხელშეკრულება სუროგატულ დედასა და სუროგაციისა და დონაციის სააგენტოს შორის, 6) ხელშეკრულებები დონორებთან.

### სუროგაციის ხელშეკრულების ადგილი კერძო სამართლის სისტემაში

სუროგაციის ხელშეკრულება მიიჩნევა სამოქალაქოსამართლებრივ (სხვათა აზრით საოჯახო),<sup>41</sup> პერსონალური მომსახურების ტიპის ხელშეკრულებად.<sup>42</sup> ვინაიდან სუროგაციის ხელშეკრულება არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები და განსხვავებული მოსაზრებები ამ ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით.<sup>43</sup> ლიტერატურაში გაბატონებული პოზიციის მიხედვით, სუროგაციის ხელშეკრულება არის სამოქალაქოსამართლებრივი ბუნების და მისი მიკუთვნება სწორია სახელშეკრულებო სამართლისათვის, ხოლო საოჯახო სამართლისათვის არასწორია, რამეთუ სუროგაციის ხელშეკრულების მიზანი არ მდგომარეობს იმაში, რომ მოაწესრიგოს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ სუროგაციის პროცესის მონაწილენი შეიძლება იყვნენ ოჯახის წევრებიც – ნათესავებიც.<sup>44</sup> სხვა მოსაზრების მიხედვით, სუროგაციის ხელშეკრულება დგას საოჯახო და სახელშეკრულებო სამართლის მიჯნაზე

და წარმოადგენს შერეული ტიპის სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას.<sup>45</sup> აღნიშნული პოზიციის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას შემდეგი: სუროგაციის იურიდიული ინსტიტუტი დაკავშირებულია, როგორც სახელშეკრულებო, ასევე საოჯახო სამართალთან. მაგალითად, სუროგაციის ხელშეკრულების დადება და მხარეებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი პირობების შეთანხმება სახელშეკრულებოსამართლებრივი მოვლენაა, ხოლო სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე სუროგატული დედის მიერ გაჩენილი ბავშვის მიმართ შემკვეთი წყვილის მშობლის უფლება-მოვალეობების წარმოშობა/დადგენა საოჯახოსამართლებრივი კატეგორიაა. თუმცა, სუროგაციის ინსტიტუტის აღნიშნული კავშირი საოჯახო სამართალთან, არ იძლევა სუროგაციის ხელშეკრულების საოჯახოსამართლებრივ ხელშეკრულებად კვალიფიკაციის შესაძლებლობას, რადგანაც მშობლებსა და შვილებს შორის უფლება-მოვალეობებს წარმოშობს კანონისმიერი, საოჯახოსამართლებრივი და არა სახელშეკრულებო საფუძვლები. კანონის საფუძველზე, შემკვეთ მშობლებს და ბავშვს შორის წარმოიშობა საოჯახოსამართლებრივი უფლება-მოვალეობები.<sup>46</sup>

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სუროგაციის ინსტიტუტი დაკავშირებულია ადმინისტრაციულსამართლებრივ საკითხებთანაც.<sup>47</sup> ადმინისტრაციულ სამართალთან სუროგაციის ინსტიტუტის კავშირის გამო, არასწორი იქნებოდა სუროგაციის ხელშეკრულება მიგვეჩინა ადმინისტრაციულსამართლებრივ ხელშეკრულებად.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში (სახელშეკრულებო სამართალში) აუცილებელია გაიწეროს სუროგაციის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები<sup>48</sup> და სუროგაციის ხელშეკრულება აღიარებულ იქნას დამოუკიდებელ ხელშეკრულებად.<sup>49</sup>

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საპროცესო კანონმდებლობაში შემოსაღებია სუროგაციასთან დაკავშირებული სპეციალური წარმოების წესები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება სუროგაციასთან დაკავშირებული საქმეების დაჩქარებულ ვადებში განხილვა.<sup>50</sup> სუროგაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია.

## სუროგაციის ხელშეკრულების საგანი, რეზულტატი

სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე სუროგატული დედა შემკვეთ წყვილს მომსახურებას უწევს.<sup>51</sup> სუროგაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება არ უზრუნველყოფს მოსალოდნელ შედეგს, ანუ მომსახურება ფოკუსირებულია პროცესზე და არა რეზულტატზე.<sup>52</sup> სუროგატული დედის მიერ გაწეული მომსახურების რეზულტატი, შედეგი

არის იმპლანტირებული ემბრიონის გამოზრდა – ბავშვად ქცევა და არა თვითონ ბავშვი.<sup>53</sup> სუროგაციის ხელშეკრულების საგანი არის სუროგატული დედის საშვილოსნოში იმპლანტირებული ემბრიონის გამოზრდა, განვითარება, ბავშვად ქცევა-ჩამოყალიბება, ასევე ბავშვის გაჩენა და მშობიარობის შემდეგ ბავშვის შემკვეთებისთვის გადაცემა; სუროგაციის საგანი არ არის ბავშვი.<sup>54</sup> სუროგატული დედის მიერ გაჩენილი ბავშვის განვითარების დონეს ასახავს გაწეული მომსახურების რეზულტატის ხარისხი.<sup>55</sup>

### სუროგაციის ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი

სუროგაციის ხელშეკრულება არის გარიგება<sup>56</sup> და მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის დებულებები გარიგებების (დადების, ფორმის, ბათილობის და ა. შ.) შესახებ;<sup>57</sup> ასევე, წესები ვალდებულების წარმოშობის, შესრულების, ვალდებულების დარღვევის შედეგების (მაგ., ზიანის ანაზღაურების წესები), შეწყვეტის შესახებ და ა. შ.<sup>58</sup> თუმცა, სუროგაციის სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ სათუთა „ხელშეკრულებიდან გასვლის“ / „ხელშეკრულებაზე უარის თქმის“ სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენება.<sup>59</sup> სუროგაციის ხელშეკრულების მიმართ, შეზღუდულად, შესაძლებელია „ხელშეკრულების მოშლის“ ინსტიტუტის გამოყენება.<sup>60</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონით გათვალისწინებული, აღმჭურველი უფლებაა, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი შედეგი არის ორმხრივი რესტიტუციული ურთიერთობა – მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს.<sup>61</sup> მაგ.: შემკვეთი წყვილის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სუროგატულ დედას არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და ალაღვინოს ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობა (status quo-ს აღდგენის ობიექტური შეუძლებლობა სახეზეა სუროგატული დედის ორსულობის ჟამს).

სუროგაციის ხელშეკრულებით ნაკისრი, ქონებრივი ხასიათის, მოვალეობების შეუსრულებლობისას, ცალსახად, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას ვალდებულების შესრულება.<sup>62</sup> გარდა ამისა, შესაძლებელია ქონებრივი ან არაქონებრივი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება.<sup>63</sup> ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის პირგასამტეხლოს გადახდა შეიძლება დაეკისროს, როგორც შემკვეთ წყვილს, ასევე სუროგატულ დედას. სუროგატულმა დედამ შეიძლება არ შეასრულოს ექიმის დანიშნულება, არ მიჰყვეს ცხოვრების ჯანსაღ და ხელშეკრულებით შეთანხმებულ სტილს, არ გადასცეს ბავშვი შემკვეთ წყვილს და ამით დაარღვიოს ნაკისრი მოვალეობები.<sup>64</sup>

ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი პირგასამტეხლოს მხოლოდ ქონებრივი ხასიათის ვალდებულების დარღვევისათვის არ ადგენს, უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია არაქონებრივი ვალდებულების დარღვევისთვისაც პასუხისმგებლობის ზომად პირგასამტეხლოს განსაზღვრა. შესაბამისად, სუროგატული დედის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევისათვის შესაძლებელია პირგასამტეხლოს დაწესება.<sup>65</sup> გასათვალისწინებელია პირგასამტეხლოს რომელი სახე დაეკისრება სუროგაციის ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს, კერძოდ, საურავი თუ ჯარიმა.

სუროგაციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელია ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (ასეთის არსებობის და დამტკიცების<sup>66</sup> შემთხვევაში).<sup>67</sup>

### სუროგაციის ხელშეკრულების არქიტექტონიკა

შესაბამისად შედგენილი და გაფორმებული სუროგაციის ხელშეკრულება უზრუნველყოფს სუროგაციის ურთიერთობაში ჩართული ყველა მხარის დაცვას.<sup>68</sup> კერძოდ, სუროგატული დედის, პოტენციური მშობლების და სუროგაციის გამოყენების შედეგად დაბადებული ბავშვის დაცვას.<sup>69</sup> სუროგაციის ხელშეკრულების შესწავლისას, თუ შედგენისას მნიშვნელოვანია აღიწეროს სუროგაციის ხელშეკრულების შესაძლო არქიტექტონიკა.<sup>70</sup> სუროგაციის ხელშეკრულების დადება პირობით, შეიძლება შედგებოდეს შემდეგი ეტაპებისაგან: ხელშეკრულების პირობების (ტექსტის) შედგენა, შედგენილი პირობების განხილვა, ხელშეკრულების მხარეებს შორის მოლაპარაკება, ხელშეკრულების ხელმოწერა, დამოწმება.<sup>71</sup> უმრავლეს შემთხვევაში, სუროგაციის ხელშეკრულების ტექსტი საკმაოდ ვრცელია და შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. სუროგაციის ხელშეკრულება, როგორც სხვა ხელშეკრულებები იწყება ხელშეკრულების „ქუდით“ (ხელშეკრულების ქუდში განისაზღვრება ხელშეკრულების სახელწოდება, სათაური, დადების ადგილი, თარიღი, შესაძლოა ნომერი.);<sup>72</sup>

2. ჩვეულებისამებრ, ხელშეკრულების „ქუდს“ მოჰყვება ჩანაწერი, რომლითაც განისაზღვრება ხელშეკრულების მხარეები (ხელშეკრულების ამ ნაწილში ხდება პოტენციური მშობლების, სუროგატული დედის, შესაძლოა დონორების იდენტიფიცირება, მათი პირობითი დასახელება.);<sup>73</sup>

3. სუროგაციის ხელშეკრულების შემდეგი დანაწესით განისაზღვრება ხელშეკრულების საგანი.<sup>74</sup> აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს სუროგაციის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას.<sup>75</sup> ამ დანაწესში ლაკონიურად, მაგრამ რაც შეიძლება ზუსტად, განისაზღვრება

მხარეებს შორის დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა. სუროგაციის ხელშეკრულების საგანი მოიცავს ბავშვის ჩასახვას, გამოზრდას, გაჩენასა და გადაცემას;<sup>76</sup>

4. შესაძლოა სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს მითითება, რომ მხარეებს ჰყავდათ დამოუკიდებელი იურიდიული მრჩევლები და რომ ხელშეკრულების დებულებები (იურიდიული შინაარსი, შედეგი) კონსულტაციის შედეგად მხარეებისთვის გასაგებია (სასურველია, სუროგატულ დედას და შემკვეთ წყვილს ჰყავდეს სხვადასხვა იურიდიული მრჩეველი);

5. შესაძლოა სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს მითითება სამედიცინო და ფსიქოლოგიური კონსულტირების, ასევე მხარეების ერთობლივი – ჯგუფური კონსულტაციების შესახებ (აღნიშნული კონსულტაციების მიზანია სუროგაციის მოსალოდნელი შედეგების და რისკების შესახებ მხარეების ინფორმირება და სუროგაციის პროცესის მსვლელობისას მათი მხარდაჭერა);

6. შესაძლოა სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს პირობა ბავშვის ჩასახვის შესახებ (აქ, მხარეები თანხმდებიან, თუ როგორ მოხდება ჩასახვა – დაორსულება. ეს პირობა შეიძლება განსაზღვრავდეს, თუ ვისი გამეტები ან როგორი ემბრიონი – გაყინული თუ ახლადშექმნილი იქნება გამოყენებული, ან თუ რამდენი ემბრიონი იქნება გადატანილი და ჩასახვის რამდენი მცდელობა განხორციელდება);

7. შესაძლოა სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს დებულებას სუროგატული დედის და დონორების სამედიცინო შემოწმების შესახებ, ასევე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მკურნალი ექიმისათვის მიწოდების ვალდებულების შესახებ (მაგ.: ინფორმაციის მიწოდება გადატანილი დაავადებების შესახებ და ა. შ.);

8. შესაძლოა სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს პირობა სამედიცინო ინსტრუქციების სავალდებულოდ შესრულების შესახებ. აღნიშნული დანაწესით, სუროგატულ დედას შესაძლოა შეეზღუდოს გარკვეული ქმედებების შესრულება. მაგალითად: მგზავრობა, კვება, ფიზიკური აქტივობები და ა. შ. ეს შეზღუდვები უნდა ემსახუროდეს ჯანმრთელი და უსაფრთხო ორსულობის უზრუნველყოფას. დამატებით, სუროგატულ დედას შეიძლება აეკრძალოს დონორად ყოფნა, ექსპერიმენტებში მონაწილეობა, ალკოჰოლის, ნარკოტიკების, ნიკოტინის, მომწამლავი, ტოქსიკური ნივთიერებების მიღება, ორგანიზმის გადახურება ან გადაგრილება, სხვადასხვა დასხივება, ატმოსფერული წნევის ცვალებადობას დაქვემდებარება, კონტაქტი დაინფიცირების რისკით, ექსტრემალური ვარჯიში და ა. შ. ამავე ან სხვა პირობით შეიძლება განისაზღვროს სუროგატული დედის მოვალეობა ორსულობის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ, ასევე, ორსულობის ფაქტის დაფიქსირების მომენტიდან, მთელი ორსულობის მანძილზე შესაბამისი ექიმის კონტროლზე ყოფნა, განსაზღვრული სუბიექტისგან სამედიცინო მომსახურების მიღება, მედიკამენტების ჩათვლით;<sup>77</sup>

9. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას მშობლის უფლების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული დანაწესით დგინდება, თუ როგორ მოხდება პოტენციური მშობლების ბავშვის მშობლებად აღიარება, რეგისტრაცია. ასევე, თუ როგორ მოხდება სუროგატული დედის და მისი მეუღლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბავშვთან მიმართებაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. სუროგაციის ხელშეკრულების დადებისას, პოტენციურ მშობლებს აქვთ განზრახვა შეიძინონ ბავშვთან მიმართებაში მშობლის უფლება-მოვალეობები, აღნიშნული განზრახვა არა აქვს არც სუროგატულ დედას და არც დონორებს.<sup>78</sup> საქართველოს,<sup>79</sup> ბელორუსიის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკებში სუროგატული დედის მიერ ბავშვის შემკვეთი წყვილისთვის გადაცემა დამოკიდებული არ არის სუროგატული დედის ნებაზე.<sup>80</sup> რუსეთის ფედერაციაში კი, სუროგატული დედის მიერ ბავშვის შემკვეთი წყვილისთვის გადაცემა მთლიანად დამოკიდებულია სუროგატული დედის ნებაზე.<sup>81</sup> შესაძლებელია სუროგაციის ხელშეკრულებაში აღინიშნოს, რომ „სუროგატულ დედას არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება“;<sup>82</sup>

10. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს პირობა განქორწინების ან ახალი ქორწინების შესახებ (აღნიშნული დანაწესით, განისაზღვრება პოტენციური მშობლების განქორწინების ან სხვა პირთან ქორწინების შედეგები. გასათვალისწინებელია, რომ განქორწინება ან სხვა პირთან ქორწინება არ იწვევს სუროგაციის გამოყენების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლობაზე უარის თქმის უფლებას);<sup>83</sup>

11. ასევე შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს პირობა პოტენციური მშობლების გარდაცვალების ან დაინვალიდების, შეზღუდულ-ქმედუნარიანად, ან მხარდამჭერის მიმღებად გახდომის შესახებ (შეთანხმებაში უნდა იყოს გეგმა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს სუროგატული დედა პოტენციური მშობლების გარდაცვალების თუ დაინვალიდების შემთხვევაში. ასევე, შეთანხმებაში განსაზღვრული შეიძლება იყოს ბავშვის მემკვიდრეობის საკითხი და შემკვეთის ან შემკვეთების გარდაცვალების შემთხვევაში, სუროგატული დედის წინაშე ფინანსური ვალდებულებების შესრულების საკითხი);

12. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს პირობა სამედიცინო დაზღვევისა და სამედიცინო ხარჯების გაწევის შესახებ. აღნიშნული დანაწესით შესაძლოა, განისაზღვროს პოტენციური მშობლების მოვალეობა სუროგატული დედა უზრუნველყონ სამედიცინო დაზღვევით და ამისთვის გაიღონ ყველა საჭირო ხარჯი ან პოტენციური მშობლების მოვალეობა სუროგატული დედის სამედიცინო მომსახურებისათვის გაიღონ ყველა საჭირო ხარჯი.<sup>84</sup> შემკვეთი წყვილის ძირითადი მოვალეობებია: 1) უზრუნველყონ ემბრიონის შექმნა და მოახდინონ სუროგატული დედის საშვილოსნოში ემბრიონის იმპლანტაცია (სამედიცინო დაწესებულების მეშვეობით). ამისთვის მათ უნდა გაიღონ საჭირო ხარჯები და შესაძლებლობისას, საკუთარი

გენეტიკური მასალა; 2) გაიღონ სუროგატული დედის მიერ ემბრიონის გამოზრდასთან, ბავშვის გაჩენასთან<sup>85</sup> და მშობიარობის შემდგომ ქალის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ხარჯი;

13. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება ასევე, შეიცავდეს პირობას საყოფაცხოვრებო ხარჯებისა და სუროგატული დედის მომსახურების ღირებულების, კომპენსაციის შესახებ. აღნიშნული დანაწესით განისაზღვრება სუროგატული დედის საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე პოტენციური მშობლების მიერ გასაწევი ხარჯების ოდენობა და დაფარვის ვადები. ასევე, სუროგატული დედისთვის გადასახდელი კომპენსაციის თუ საზღაურის ოდენობა, მისი გადახდის წესი, მეთოდი, ვადები. შემკვეთების მიერ გასაწევი შეიძლება იყოს შემდეგი ხარჯი: ორსულობის მანძილზე ყოველთვიური ხარჯი/საზღაური, ემბრიონის იმპლანტაციის შემდეგ, ერთჯერადი გადასახდელი, ორსულებისთვის ტანისამოსის ხარჯი. სუროგატული დედის მომსახურებისათვის საზღაურის გადახდა შემკვეთი მშობლების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა.<sup>86</sup> სუროგატული დედისთვის საზღაურის გადახდა ხდება მიუხედავად იმისა, ბავშვი ჯანმრთელი დაიბადება თუ არა.<sup>87</sup> აქვე ან სხვა დებულებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს პირობა ტყუპების გაჩენის შესახებ (აღნიშნული პირობა შეიძლება ითვალისწინებდეს, ტყუპების გაჩენის შემთხვევაში, სუროგატული დედისთვის დამატებითი საზღაურის გადახდას);

14. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას ბავშვის ნაადრევად შობის, მკვდრად შობის, შეთანხმებული ან შეუთანხმებელი აბორტის, ან ბავშვის დაღუპვის შესახებ. აღნიშნული დანაწესით შეიძლება განისაზღვროს ორსულობის ნაადრევად შეწყვეტის შემთხვევაში ახალი ორსულობის მცდელობის საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტა, როგორც წესი, სუროგატული დედის თანხმობაზეა დამოკიდებული. ბავშვის მკვდრადშობის ან დაბადებისას გარდაცვალების შემთხვევაში, ბავშვის ცხედრის გადაცემის საკითხი და ცხედრის მიმართ გასაწევი ხარჯები (დასაფლავების ხარჯი). გარდა ამისა, აღნიშნული დანაწესით შეიძლება განისაზღვროს, რომ ნაადრევი მშობიარობის გამო, ორსულობის პერიოდის შემცირების შემთხვევაში, შემცირდება სუროგატული დედის მიერ პოტენციური მშობლებისაგან მისაღები კომპენსაცია, ჰონორარი. ზოგადად, სუროგატულ დედას, შეუთანხმებლად, შეუძლია გაიკეთოს აბორტი თუ ორსულობის გაგრძელება საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას. ამავე ან სხვა დებულებაში, შეიძლება განისაზღვროს პირობა შერჩევითი აბორტის და ორსულობის შერჩევით, ნაადრევად შეწყვეტის შესახებ (შეთანხმებაში შეიძლება იყოს გაწერილი, თუ როდის და რა შემთხვევაში არის შესაძლებელი სუროგატულ დედას მოეთხოვოს შერჩევითი აბორტის გაკეთება ან ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს ზემოქმედების მექანიზმი იმ შემთხვევისათვის, როდესაც სუროგატული დედა პოტენციური მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ უარს

აცხადებს აბორტის გაკეთებაზე, გასათვალისწინებელია, რომ აბორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქალის პრეროგატივაა);<sup>88</sup>

15. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს პირობა მხარეების შესაძლო რისკების შესახებ (შეთანხმებაში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი მოსალოდნელი რისკები, ასევე, აღნიშული რისკების გადანაწილება მხარეებზე – შესაბამისი პასუხისმგებლობით). რისკებზე საუბრისას, მაგალითისთვის, გასათვალისწინებელია, რომ შეუძლებელია იმის განჭვრეტა, თუ როგორ წარიმართება ორსულობა დინამიკაში. ასევე, სუროგატული დედის მიერ გაჩენილი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის განჭვრეტა არ არის შესაძლებელი.<sup>89</sup> გარდა ამისა, სუროგატული დედის ორსულობა საფრთხის შემცველია თვითონ სუროგატული დედის ჯანმრთელობისთვისაც და ა. შ.<sup>90</sup>

16. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას მხარეების პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. შეთანხმებაში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი პოტენციური მშობლებისა და სუროგატული დედის პასუხისმგებლობები. მხარეების პასუხისმგებლობები დადგენილი უნდა იყოს იმ გაუთვალისწინებელი საფრთხეების მიმართაც, რომლებიც უკავშირდება გასაჩენ ბავშვს. პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, როგორც წესი, დგინდება ფინანსური სანქციები. მაგალითად, გადასახდელი საზღაურის შემცირება იმ შემთხვევისათვის, თუ სუროგატული დედა ეწევა ცხოვრების ისეთ სტილს, რომელიც შეიძლება უარყოფითად აისახოს ნაყოფზე და მის განვითარებაზე;<sup>91</sup>

17. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას მოსალოდნელი მშობიარობის თაობაზე შეტყობინების და ჰოსპიტალური მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ (შეთანხმებაში შეიძლება იყოს გაწერილი, თუ როგორ მოხდება პოტენციური მშობლების ინფორმირება მშობიარობის შესახებ, ასევე ის, თუ ვის ექნება უფლება დაესწროს სუროგატული დედის მშობიარობას და ვინ უზრუნველყოფს საავადმყოფოს პროცედურების მოგვარებას);

18. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება ასევე, შეიცავდეს პირობას ბავშვის გადაცემის შესახებ (ამ დანაწესით დგინდება სუროგატული დედის მოვალეობა მშობიარობის შემდეგ ბავშვი პოტენციურ მშობლებს გადასცეს);<sup>92</sup>

19. სასურველია, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას სუროგატული დედის საცხოვრებელი ადგილის და ბავშვის დაბადების ადგილის შესახებ (აღნიშნული დანაწესის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განსხვავებულ ადგილას მოქმედებს სუროგაციასთან დაკავშირებული განსხვავებული წესები – კანონები);

20. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას კონფიდენციალურობის შესახებ (აღნიშნული დანაწესით განისაზღვრება სუროგაციის ურთიერთობაში ჩართული პირების მიერ სუროგაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების წესები, მათ

შორის, ბლოგის წყევანის, სოციალურ ქსელებში განცხადებებს(პოსტებს) საკითხი და ა. შ.). კონფიდენციალურობის პირობა შეიძლება ითვალისწინებდეს სუროგაციის ხელშეკრულების დადების ფაქტის საიდუმლოდ შენახვის მოვალეობას. ასევე, მოვალეობას პოტენციური მშობლების ვინაობის საიდუმლოდ შენახვის შესახებ. ასევე, მოვალეობას ბავშვის გაჩენის და გადაცემის ფაქტის არგამხელის შესახებ;<sup>93</sup>

21. სასურველია, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას მხარეების კომუნიკაციის შესახებ. აქ უნდა განისაზღვროს კომუნიკაციის მეთოდები და საშუალებები (ტელეფონი, მეილი და ა. შ.). სასურველია, კომუნიკაციის ალტერნატიულ, სათადარიგო საშუალებებზე შეთანხმებაც;

22. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულება შეიცავდეს პირობას ხელშეკრულების ვადის, ასევე ამ ვადის გაგრძელების შესახებ.<sup>94</sup> პირობა ხელშეკრულების ვადის შესახებ განსაზღვრავს სუროგაციის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდს. ხელშეკრულების მოქმედების ვადამ უნდა მოიცვას პერიოდი იმ მომენტიდან, როდესაც მხარეებმა იკისრეს ურთიერთ-მოვალეობები და დაიწყეს მოვალეობებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულება ემბრიონის იმპლანტაციამდე. ასევე, პერიოდი ემბრიონის იმპლანტაციის მომენტიდან სუროგატული დედის ორსულობის დასრულებამდე და ბავშვის გაჩენამდე და პერიოდი სუროგატული დედის მიერ ბავშვის გაჩენის მომენტიდან იმ ვადის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც სუროგატული დედა შემკვეთი წყვილისგან საჭიროებს მატერიალურ მზრუნველობას რეაბილიტაციისთვის;<sup>95</sup>

23. შესაძლოა, სუროგაციის ხელშეკრულებაში იყოს პირობა ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი წესრიგის არჩევის შესახებ (აღნიშნული პირობით ხდება ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოსაყენებელ კანონმდებლობაზე შეთანხმება);

24. თითქმის ყველა მათ შორის, სუროგაციის ხელშეკრულებაც შეიცავს პირობას დავების განხილვის, გადაწყვეტის საშუალების შესახებ (მოლაპარაკებები, სასამართლო, მედიაცია);

25. სუროგაციის ხელშეკრულების ბირთვს წარმოადგენს მხარეთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დებულებები. მხარეების უფლება-მოვალეობები შეიძლება იყოს მოცემული ერთ მუხლში ან შინაარსის მიხედვით, შეიძლება გაბნეული იყოს სხვადასხვა მუხლებში. ხელშეკრულებაში გაწერილი მოვალეობები შეიძლება ეხებოდეს მხარეების სურვილებს, ინტერესებს, მიზნებს, რისკებს, ხარჯებს და ა. შ. აქვე შეიძლება იყოს პირობა მოვალეობათა დარღვევის შესახებ (აღნიშნული დანაწესით განისაზღვრება ის, თუ რა ჩაითვლება მოვალეობის დარღვევად და რა შეიძლება მოჰყვეს ამ დარღვევას. მოვალეობის დარღვევისას, როგორც წესი, უპირველესად ხდება დამრღვევის ინფორმირება და მისთვის ვადის მიცემა დარღვევის აღმოსაფხვრელად);

26. სუროგაციის ხელშეკრულების ერთ-ერთი დასკვნითი ნაწილი შეიძლება შეიცავდეს პირობას ხელშეკრულების მოშლის შესახებ. აქ აღწერილი უნდა იყოს ის საფუძვლები, რომელთა დადგომის შემთხვევაში, სუროგატულ დედას ან შემკვეთ მშობლებს შეეძლება მოშალონ ხელშეკრულება. მაგალითად, ემბრიონის იმპლანტაცია-განვითარებამდე საზღაურის გადაუხდელობა შეიძლება გახდეს სუროგატული დედის მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძველი. ასევე, სუროგატული დედის მიერ სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებაზე უარის თქმა ან აღნიშნული გამოკვლევების არაჯეროვანი ჩატარება შეიძლება გახდეს შემკვეთი მშობლების მიერ, ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

სუროგაციის ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულება-პირობებსაც. ხოლო პირობათა აღნიშნული ჩამონათვალი მიზნად ისახავს მკითხველს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა სუროგაციის ხელშეკრულების შინაარსისა და შესაძლო სტრუქტურის შესახებ.

### სუროგაციით სარგებლობის წინაპირობები

სუროგაცია არის დამხმარე რეპროდუქციული საშუალებების ერთ-ერთი სახე, რომელსაც მიმართავენ განსაზღვრული წინაპირობების (ჩვენებების) არსებობისას.<sup>96</sup>

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ექსტრაკორპორული (In vitro) განაყოფიერება ნებადართულია: ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა; ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის გზით, წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია.<sup>97</sup> აღნიშნული წინაპირობების დადგენით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩამოთვლილი გარემოებების არარსებობისას, სუროგაციის გამოყენება არ შეიძლება, თუმცა სასამართლო პრაქტიკა მეტყველებს საპირისპიროზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, სუროგაციის ხელშეკრულების დადების მსურველებისთვის დადგენილია დამატებითი მოთხოვნები. კერძოდ, სუროგაციის ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს ქალისა და მამაკაცისაგან შემდგარი წყვილი, რომლის მიზანს წარმოადგენს ექსტრაკორპორული გზით დაბადებული ბავშვის აღზრდა. სუროგაციის ხელშეკრულების დადება შესაძლებელია, თუ შემკვეთი მშობლები: ა) იმყოფებიან ქორწინებაში და ქორწინებიდან გასულია სულ მცირე, 1 წელი; ბ) იმყოფებიან ფაქტობრივ თანაცხოვრებაში სულ მცირე, უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში.<sup>98</sup>

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში წყვილის – ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივ თანაცხოვრებაში ყოფნის ფაქტი ნოტარიუსის წინაშე უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტებით (საინფორმაციო-სამისამართო ბარათი, რომლითაც დასტურდება ერთ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება საერთო სარგებლობისთვის გამიზნულ ქონებაზე თანამესაკუთრების ფაქტი, რელიგიური ქორწინების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა ნებისმიერი საჯარო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება წყვილის ფაქტობრივ თანაცხოვრებაში ყოფნის ფაქტი).<sup>99</sup>

შესაბამისად, სუროგაციით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ჰეტერო (heteros – სხვა) წყვილებს.

### სუროგაციის ხელშეკრულების ფორმა და დადების წესი საქართველოში

სუროგაციის განხორციელების პროცესში (მაგალითად: ფოლიკულების ასპირაცია, ემბრიონის შექმნა, საშვილოსნოში იმპლანტაცია,<sup>100</sup> ბავშვის წარმომავლობის დადგენა და ა.შ.) მნიშვნელოვანია, ნორმატიული აქტებით დადგენილი იურიდიული მოთხოვნების სწორი შესრულება და მათი შეუსრულებლობის შედეგების გათვალისწინება.

პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ სუროგაციის ხელშეკრულება უნდა დაიდოს და სანოტარო წესით დამოწმდეს ექსტრაკორპორულ (In vitro) განაყოფიერებამდე<sup>101</sup> – ემბრიონის შექმნამდე, ანუ ბიოლოგიური მასალის შერწყმის გზით ლაბორატორიის პირობებში ემბრიონის მიღებამდე.<sup>102</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტებით დასტურდება, რომ ემბრიონის შექმნის შემდეგ განხორციელდა მისი კრიოპრეზერვაცია (გაყინვა) და ემბრიონის შექმნიდან მის იმპლანტაციამდე პერიოდი არ აღემატება 10 წელს, სუროგაციის ხელშეკრულება უნდა დაიდოს და დამოწმდეს ემბრიონის იმპლანტაციამდე.<sup>103</sup>

სუროგაციის ხელშეკრულება არის ფორმასავალდებულო<sup>104</sup> ხელშეკრულება – სუროგაციის ხელშეკრულება მოწმდება საჯარო სანოტარო აქტით (რთული წერილობითი ფორმა).<sup>105</sup> ხელშეკრულების საჯარო სანოტარო აქტით დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსისა და სამართლებრივი შედეგების განმარტება, **რჩევის მიცემა**.<sup>106</sup>

სუროგაციის ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან, სუროგაციის ხელშეკრულების დადების მოთხოვნით მიმართონ ერთ ნოტარიუსს და ხელი მოაწერონ სანოტარო აქტს.<sup>107</sup> სუროგაციის ხელშეკრულების დადებისას, სუროგატული დედა ვალდებულია პირადად

გამოცხადდეს ნოტარიუსთან ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, მას არა აქვს უფლება, ასეთი გარიგება დადოს წარმომადგენლის მეშვეობით.<sup>108</sup> სუროგაციის ხელშეკრულების დადებისას და სანოტარო დამოწმებისას, დასაშვებია შემკვეთი მშობლების – წყვილის წარმომადგენლობა.<sup>109</sup>

კვერცხუჯრედის ანდა სპერმის დონაციის შემთხვევაში, სუროგაციის ხელშეკრულება უნდა დაიდოს დონორის (კვერცხუჯრედის ან სპერმის დონაციისას) ან დონორების (კვერცხუჯრედის და სპერმის დონაციისას) აუცილებელი მონაწილეობით.<sup>110</sup>

კვერცხუჯრედის ანდა სპერმის დონორი ვალდებულია ნოტარიუსს წარუდგინოს ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც ადასტურებს ფაქტს მისი დონორობის შესახებ, დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ანდა წარმოდგენის, მაგრამ ნოტარიუსის მიერ ასეთი დოკუმენტების არასარწმუნოდ მიჩნევის შემთხვევაში, ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.<sup>111</sup> შესაბამისად, დონორობის შესახებ ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ უნდა მომზადდეს სუროგაციის ხელშეკრულების დადებაამდე.

სუროგაციის ხელშეკრულების დადების წესზე და ფორმაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიმართულება, რომლის მიხედვითაც, სუროგაციის ხელშეკრულების დადების წესის დაუცველობა ყოველთვის არ შეიძლება გახდეს შემკვეთი წყვილისთვის სუროგატული დედის მიერ გაჩენილი ბავშვის, მშობლებად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>112</sup>

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ბრიფი

მოსარჩელები – შემკვეთი მშობლები მოითხოვდნენ ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული არასრულწლოვანის მშობლებად აღიარებას, არასრულწლოვანის დაბადების სააქტო ჩანაწერში შესაბამისი ცვლილების შეტანას და დაბადების მოწმობის გაცემას. ხოლო, მოპასუხე – სამოქალაქო რეესტრის სააგენტო უარს აცხადებდა მშობლებად მათ რეგისტრაციაზე ხელშეკრულების სანოტარო წესით დაგვიანებით დადასტურების გამო. კერძოდ, 2019 წლის 20 თებერვალს, მოსარჩელებსა და სუროგატულ დედას შორის დაიდო ემბრიონის სუროგატული დედის საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. 2019 წლის 23 თებერვალს მოხდა ერთი ერთეული გაყინული ემბრიონის გაღობა და სუროგატული დედის საშვილოსნოში გადატანა. აღნიშნულის შედეგად, 2019 წლის 6 ნოემბერს დაიბადა ბავშვი. სააგენტო უარს აცხადებდა მოთხოვნილი მონაცემებით დაბადების მოწმობის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ ემბრიონის სუროგატული

დედის საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შედგენილია 2019 წლის 20 თებერვალს, ხოლო მასზე ხელმოწერები დამოწმებულია ამავე წლის 29 მაისს.<sup>113</sup>

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით, განსაზღვრულ დოკუმენტთა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არასრულყოფილად წარმოუდგენლობა გახდა მოსარჩელეთათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მოსარჩელეთა უფლება კი, სააგენტოსაგან დარღვეულია იმდენად, რამდენადაც მოსარჩელებმა ვერ შეძლეს ექსტრაკორპორული განაცხადების შედეგად დაბადებული ახალშობილის დაბადების რეგისტრაცია, რაც აშკარად ხელყოფს მათ, როგორც პოტენციური მშობლების და ასევე, არასრულწლოვანის საერთაშორისო აქტებით და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებულ უფლებებსა და ინტერესებს.

გარდა ზემოთ თქმულისა, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან იმგვარი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გამოიწვევს გენეტიკური კავშირის მქონე მშობელსა და არასრულწლოვანის დაშორებას და მისი უფლებების შესაძლო ხელყოფას.<sup>114</sup>

## სუროგაციის ხელშეკრულების ფორმის დაუცველობის შედეგები

სუროგაციის ხელშეკრულების ფორმის დაუცველად დადება შედეგობრივად დაკავშირებულია ხელშეკრულების ბათილობასთან.<sup>115</sup> თუმცა, შესაძლებელია ბათილი ხელშეკრულების მათ შორის, სუროგაციის ხელშეკრულების „რეანიმირება.“ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ბათილი გარიგების „დადასტურების“ გზით ან გარიგების „კონვერსიის“ მეშვეობით.<sup>116</sup>

ზოგადი წესის მიხედვით, გარიგების ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს გარიგების საწყისი მომენტიდან ბათილობაში.<sup>117</sup> თუმცა, ფორმის დაუცველობის გამო ბათილობა მხოლოდ მაშინ დგება, როცა გარიგების ფორმას **ნამდვილობის ფუნქცია** აკისრია.<sup>118</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს და ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას არ მიიჩნევს ბათილად (ამ გამონაკლისის განზოგადება დაუშვებელია).<sup>119</sup> გარიგების ფაქტობრივმა შესრულებამ ფორმის ნაკლი მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოასწოროს, თუ ამის შესახებ უთითებს კანონი ან **ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას ან ურთიერთობის მონაწილეებს.**<sup>120</sup> ბათილი გარიგება არ ნიშნავს „განუხორციელებელ მოქმედებას.“<sup>121</sup> ბათილი გარიგების დადასტურების გზით გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ, მიაღწიონ დასახულ

მიზანს, ბათილი გარიგების დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია.<sup>122</sup> შესაბამისად, შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს სუროგაციის ხელშეკრულების „რეანიმირება“ მისი დადასტურების გზით, რომ არაფერი ვთქვათ რეანიმირების სხვა საშუალებებზე.

## სუროგაციასთან დაკავშირებული სხვა ფორმალური პროცედურები

სუროგაციის შედეგი გამოიხატება იმაში, რომ პოტენციური მშობლები, სუროგატული დედის მიერ გაჩენილი ბავშვის მიმართ, მშობლის უფლებას მოიპოვებენ.<sup>123</sup>

ექსტრაკორპორული (In vitro) განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების ჩაწერისათვის უნდა არსებობდეს ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელი ცნობა, რომელიც გაცემულია სამედიცინო დაწესებულების მიერ ემბრიონის იმპლანტაციისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს, მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული ცნობა ხელმოწერილი/შტამპდასმული უნდა იყოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.<sup>124</sup> გარდა აღნიშნულისა, თუ დასტურდება, რომ ემბრიონის შექმნის შემდეგ განხორციელდა მისი კრიოპრეზერვაცია (გაყინვა) და ემბრიონის შექმნიდან მის იმპლანტაციამდე პერიოდი არ აღემატება 10 წელს, სუროგაციის ხელშეკრულება დადებული უნდა იყოს ემბრიონის იმპლანტაციამდე. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს უნდა წარედგინოს კრიოპრეზერვაციამდე (გაყინვა) შედგენილი ცნობა, სადაც მითითებულია წყვილის ვინაობა, რომლებიც ბავშვის დაბადების შემდეგ მიეთითებიან მის მშობლებად.<sup>125</sup>

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ასევე, უნდა წარედგინოს სათანადო წესით დადებული და დამოწმებული სუროგაციის ხელშეკრულება.

## სუროგაციის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დაუსცველობის შედეგი

ბავშვის დაბადების რეგისტრაციის მიზნით, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ბავშვის დაბადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა სააგენტოს<sup>126</sup> წარუდგინოს ელექტრონული ფორმით.<sup>127</sup> შემკვეთი მშობლების, სუროგაციის გამოყენების შედეგად დაბადებული ბავშვის, მშობლებად რეგისტრაციისათვის **აუცილებელი დოკუმენტები** სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენიდან

7 კალენდარული დღის განმავლობაში.<sup>128</sup> აღნიშნულ ვადაში საბუთების წარუდგენლობის, ასევე, ამავე ვადაში მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნილი მონაცემებით დაბადების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლები არ მიეთითება, ხოლო დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის სახელი და გვარი მიეთითება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე.<sup>129</sup>

შემკვეთი მშობლების, სუროგაციის გამოყენების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად რეგისტრაციის მოთხოვნაზე სააგენტოს მიერ უარის თქმის შემთხვევაში, „სიტუაციის გამოსწორებისთვის“ და „მიზნის“ (შემკვეთი მშობლების ბავშვის მშობლებად ჩაწერა) მიღწევისთვის რჩება ერთადერთი გზა, კერძოდ, სასამართლოში სარჩელის წარდგენა.<sup>130</sup> სარჩელის ადრესატი – მოპასუხე არის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.<sup>131</sup>

## დასკვნა

სუროგაციის ხელშეკრულება ქმნის სუროგაციის მიზნის (ახალი სიცოცხლე) მიღწევის შესაძლებლობას. სუროგაციის ხელშეკრულება იცავს სუროგატული დედის, შემკვეთი წყვილის და ბავშვის ინტერესებს. სუროგაცია აქტუალურია და მოთხოვნადია. შესაბამისად, აუცილებელია კანონმდებელმა სუროგაციის ხელშეკრულება აღიაროს დამოუკიდებელ ხელშეკრულებად და შემოიღოს მისი მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები სახელშეკრულებო სამართლის იმ ნაწილში, რომელიც ეხება მომსახურების გაწევის ტიპის ხელშეკრულებებს.

სუროგაციის გამოყენების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად შემკვეთი მშობლების, „გართულების“ გარეშე, რეგისტრაციისთვის საჭიროა სუროგაციის მიმართ დადგენილი იურიდიული მოთხოვნების მკაცრი დაცვა. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნების დაუცველობისას, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია სასამართლოსადმი მიმართვის შედეგად, შემკვეთი მშობლების ბავშვის მშობლებად რეგისტრაცია. სასამართლოს პრაქტიკით დადგინდა, რომ დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან იმგვარი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გამოიწვევს გენეტიკური კავშირის მქონე მშობელსა და არასრულწლოვნის დაშორებას და მისი უფლებების შესაძლო ხელყოფას.<sup>132</sup> ზემოაღნიშნულის, ასევე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სუროგაციის მიმართ დადგენილი მოთხოვნების იმდაგვარი კორექცია, რომლის შედეგადაც, ეს მოთხოვნები თანხვედრაში მოვა სასამართლო პრაქტიკასთან.

## შენიშვნები:

- <sup>1</sup> Amrita Pande, Transnational commercial surrogacy in India: gifts for global sisters? *Reproductive BioMedicine Online*, pp. 618-626, 2011. И. А., Дёмина, ПРАВОВЫЕ ПРОБЛЕМЫ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Электронный научный журнал «Наука. Общество. Государство», №2(30), стр. 152–153, 2020. <https://southernsurrogacy.com/surrogacy-information/the-challenges-and-rewards-of-surrogacy-for-everyone-involved/> [15.10.2021].
- <sup>2</sup> Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, pp. 218–220. <https://www.researchgate.net/publication/340755352> [10.09.2021].
- <sup>3</sup> Большевская Е. С., ПРАВОВАЯ ПРИРОДА ДОГОВОРА СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ РОССИЙСКОГО ПРАВА, № 2, стр. 380–381, 2011.
- <sup>4</sup> Алборов С. В., ПРАВОВОЕ И ИНДИВИДУАЛЬНОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Диссертация, М., 2018, стр. 12–15, 43, 86–88.
- <sup>5</sup> Sharon Shakargy, Choice of law for surrogacy agreements: in the in-between of status and contract, *Journal of Private International Law*, 2020, pp.138-141. / <https://surrogate.com/intended-parents/surrogacy-laws-and-legal-information/understanding-surrogacy-contracts/> [16.09.2021]
- <sup>6</sup> Архитектоникე – კონსტრუქციული სისტემა. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=4784> [14.09.2021]
- <sup>7</sup> Барышникова А. А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 36–37.
- <sup>8</sup> Анисимов А. П., Мограбян А. С., Договор о суррогатном материнстве в России и зарубежных странах, *Актуальные проблемы российского права*, № 5, 2020, стр. 118–119.
- <sup>9</sup> Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, pp. 218–223. <https://www.researchgate.net/publication/340755352> [10.09.2021].
- <sup>10</sup> I. Glenn Cohen and Katherine L. Kraschel, *Gestational Surrogacy Agreements Enforcement and Breach*, p. 86, Cambridge University Press, 2016.
- <sup>11</sup> Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, P. 223. <https://www.researchgate.net/publication/340755352> [10.09.2021].
- <sup>12</sup> <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html> [23.09.2021], Большевская Е.С., ПРАВОВАЯ ПРИРОДА ДОГОВОРА СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ РОССИЙСКОГО ПРАВА, № 2, стр. 384, 2011.
- <sup>13</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 327, ნაწილი 1 [23.09.2021]; Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный», №48(286), 2019, стр. 196.
- <sup>14</sup> <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html> [23.09.2021].
- <sup>15</sup> გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, *სამართლის ჟურნალი* №1, გვ. 96. 2011; Колиева А. Э., Бицоева Л. Ф., СТРУКТУРА ФИДУЦИАРНЫХ ПРАВООТНОШЕНИЙ В ГРАЖДАНСКОМ ПРАВЕ, *Международный научно-исследовательский журнал*, № 4 (46), стр. 151-153.
- <sup>16</sup> Барышникова А.А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 39.
- <sup>17</sup> იქვე, გვ. 39.
- <sup>18</sup> იქვე, გვ. 39.
- <sup>19</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 7 [25.09.2021]; ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, გვ. 40–41.
- <sup>20</sup> მესხიშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2019, გვ. 355–357.
- <sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 10, ნაწილი 2, მუხლი 319, ნაწილი 1 [14.09.2021].
- <sup>22</sup> გელაშვილი ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2019, გვ. 55–60; გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, *სამართლის ჟურნალი*, №1, 2011, გვ. 97–98.


- <sup>23</sup> ბოგვერაძე ნ., სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, თბ., 2019, გვ. 45–56; გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, სამართლის ჟურნალი, №1, 2011, გვ. 94–95.
- <sup>24</sup> Анисимов А. П., Мограбян А. С., Договор о суррогатном материнстве в России и зарубежных странах, Актуальные проблемы российского права, № 5, 2020, стр. 122; Федеральный закон от 21.11.2011 # 323-ФЗ (ред. от 02.07.2021) Об основах охраны здоровья граждан в Российской Федерации (с изм. и доп., вступ. в силу с 13.07.2021), Статья 55, Часть 10.
- <sup>25</sup> Mark Hansen, Surrogacy Contract Upheld: Calif. Supreme Court says such agreements don't violate public policy, ABA Journal, p. 34, Vol. 79, No. 8, AUGUST 1993.
- <sup>26</sup> I. Glenn Cohen and Katherine L. Kraschel, Gestational Surrogacy Agreements Enforcement and Breach, pp. 86–87, Cambridge University Press 2016.
- <sup>27</sup> А. П. Анисимов, А. С. Мограбян, Договор о суррогатном материнстве в России и зарубежных странах, Актуальные проблемы российского права, № 5, С. 120. 2020. / <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnog-o-materinstva.html> [23.09.2021]
- <sup>28</sup> იქვე, გვ. 120; Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный». №48(286), 2019, стр. 198–199.
- <sup>29</sup> გელაშვილი ი., ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, გვ. 154; Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, pp. 221–222, <https://www.researchgate.net/publication/340755352> [10.09.2021]
- <sup>30</sup> ბოგვერაძე ნ., სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, თბ., 2019, გვ. 33, 39–50; Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный», №48(286), 2019, стр. 199.
- <sup>31</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 19, ნაწილი 1, პუნქტი ბ), [29.09.2021], თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2018 წლის 7 მარტის, გადაწყვეტილება, საქმე №2/28261–16. <https://ecd.court.ge/>
- <sup>32</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 455, 456, 463, 464, [03.10.2021]
- <sup>33</sup> Алборов С. В., ПРАВОВОЕ И ИНДИВИДУАЛЬНОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Диссертация, М., 2018, стр. 88–89.
- <sup>34</sup> Большечевская Е. С., ПРАВОВАЯ ПРИРОДА ДОГОВОРА СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ РАССИЙСКОГО ПРАВА, №2, стр. 384, 2011; ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2019, გვ. 34–39.
- <sup>35</sup> Collaborative reproduction - თანამშრომლობითი კვლავწარმოება.
- <sup>36</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2020 წლის 19 თებერვლის, გადაწყვეტილება, საქმე №2/15416–19, <https://ecd.court.ge/>, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 19, ნაწილი 1, პუნქტი „ბ“, [29.09.2021].
- <sup>37</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 462, 473, [03.10.2021]; რობაქიძე ი., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 462–ე მუხლის კომენტარი, გვ. 1–6. და 473–ე მუხლის კომენტარი, გვ. 1–8. ელ. რესურსი: <https://gccc.ge> [03.10.2021].
- <sup>38</sup> <http://ivftoursgeorgia.com/ge/>; <https://www.circlesurrogacy.com/>; <https://surmama-donor.ru/o-nas/>[01.10.2021].
- <sup>39</sup> Большечевская Е. С., ПРАВОВАЯ ПРИРОДА ДОГОВОРА СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ РАССИЙСКОГО ПРАВА, № 2, стр. 381, 2011.
- <sup>40</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2018 წლის 7 მარტის, გადაწყვეტილება, საქმე №2/28261–16, <https://ecd.court.ge>
- <sup>41</sup> Большечевская Е.С., ПРАВОВАЯ ПРИРОДА ДОГОВОРА СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ РАССИЙСКОГО ПРАВА, №2, стр. 382, 2011; Дёмина И. А., ПРАВОВЫЕ ПРОБЛЕМЫ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Электронный научный журнал «Наука. Общество. Государство», № 2 (30), стр. 154, 2020.

- <sup>42</sup> ახალაძე ნ., სამაგისტრო ნაშრომი: სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2019, გვ. 24; გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, სამართლის ჟურნალი №1, 2011, გვ. 96; Дёмина И. А., ПРАВОВЫЕ ПРОБЛЕМЫ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Электронный научный журнал «Наука. Общество. Государство», № 2 (30), 2020, стр. 154.
- <sup>43</sup> Барышникова А.А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 36.
- <sup>44</sup> Анисимов А. П., Мограбян А. С., Договор о суррогатном материнстве в России и зарубежных странах, Актуальные проблемы российского права, № 5, 2020, стр. 118–120.
- <sup>45</sup> Барышникова А.А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 40.
- <sup>46</sup> საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 143, [30.09.2021]; თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2020 წლის 19 თებერვლის, გადაწყვეტილება, საქმე №2/15416-19; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2020 წლის 27 მარტის, გადაწყვეტილება საქმე №2-400/20, <https://ecd.court.ge>
- <sup>47</sup> საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, მუხლი 30, [30.09.2021]; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 19, [29.09.2021]; საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 143, [30.09.2021].
- <sup>48</sup> <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html>, [23.09.2021]; Анисимов А. П., Мограбян А. С., Договор о суррогатном материнстве в России и зарубежных странах, Актуальные проблемы российского права, № 5, 2020, стр. 118–119; Барышникова А. А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 37–38.
- <sup>49</sup> Анисимов А. П., Мограбян А. С., Договор о суррогатном материнстве в России и зарубежных странах, Актуальные проблемы российского права, №5, 2020, стр. 119–120; Барышникова А. А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 37–38.
- <sup>50</sup> ბოგვერაძე ნ., სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, თბ., 2019, გვ. 431-432.
- <sup>51</sup> ახალაძე ნ., სამაგისტრო ნაშრომი: „სუროგაციის ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა“, თბ., 2019, გვ. 24; გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, სამართლის ჟურნალი №1, გვ. 96. 2011.
- <sup>52</sup> Барышникова А. А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 36.
- <sup>53</sup> Большечевская Е. С., ПРАВОВАЯ ПРИРОДА ДОГОВОРА СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ РОССИЙСКОГО ПРАВА, №2, 2011, стр. 387–388.
- <sup>54</sup> <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html>, [23.09.2021]; Барышникова А.А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 37.
- <sup>55</sup> იქვე, გვ. 37.
- <sup>56</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50, [28.09.2021].
- <sup>57</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 1-3, 290-294; Code of the District of Columbia, §16-401. Definitions (22); Федорова Г. Ю., Договор суррогатного материнства, «Молодой учёный», №51(185), стр. 252–253, Государство и право, Декабрь 2017.
- <sup>58</sup> ცერცვაძე გ., სვანაძე გ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ. 34-36, 50-67, 86-103; Федорова Г. Ю., Договор суррогатного материнства, «Молодой учёный», №51(185), Государство и право, Декабрь 2017, стр. 252-253.
- <sup>59</sup> გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, სამართლის ჟურნალი, №1, გვ. 97-98, 2011.
- <sup>60</sup> Алборов С. В., ПРАВОВОЕ И ИНДИВИДУАЛЬНОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Диссертация, М., 2018, стр. 16.

- <sup>61</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქმე №ას-362-2021, 51-59 პუნქტი.
- <sup>62</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 316, 361, [27.09.2021].
- <sup>63</sup> იქვე, მუხლი 417-420, [27.09.2021].
- <sup>64</sup> გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, სამართლის ჟურნალი №1, 2011, გვ. 98.
- <sup>65</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2019 წლის 29 ნოემბრის, გადაწყვეტილება, საქმე №2/5029-19, <https://ecd.court.ge>
- <sup>66</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. [27.09.2021]
- <sup>67</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 394, 395, 408-415, [27.09.2021]; I. Glenn Cohen and Katherine L. Kraschel, Gestational Surrogacy Agreements Enforcement and Breach, p. 89, Cambridge University Press 2016; გელაშვილი ი., სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, სამართლის ჟურნალი №1, გვ. 98. 2011.
- <sup>68</sup> <https://surrogate.com/intended-parents/surrogacy-laws-and-legal-information/understanding-surrogacy-contracts>, [16.09.2021].
- <sup>69</sup> Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, p. 224. <https://www.researchgate.net/publication/340755352>, [10.09.2021].
- <sup>70</sup> Романова Ж.А., Композиционно-структурные особенности контрактов, Институт переводоведения и многоязычия, стр. 130-131.
- <sup>71</sup> <https://adoptionart.org/assisted-reproduction/intended-parents/gestational-surrogacy/surrogacy-agreements-contract-terms>, [16.09.2021].
- <sup>72</sup> გიორგი გ. თუმანიშვილი, ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, თბ., 2012, გვ. 11-12.
- <sup>73</sup> იქვე, გვ.11-50.
- <sup>74</sup> Большечевская Е. С., ПРАВОВАЯ ПРИРОДА ДОГОВОРА СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ РАССИЙСКОГО ПРАВА, №2, 2011, стр. 388.
- <sup>75</sup> Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный», №48(286), 2019, стр. 196.
- <sup>76</sup> Дёмина И. А., ПРАВОВЫЕ ПРОБЛЕМЫ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Электронный научный журнал «Наука. Общество. Государство», №2(30), 2020, стр. 155; Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный», №48(286), 2019, стр. 196-197.
- <sup>77</sup> Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный», №48(286), 2019, стр. 196-197, <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html>, [23.09.2021].
- <sup>78</sup> Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, P. 225. <https://www.researchgate.net/publication/340755352>, [10.09.2021].
- <sup>79</sup> საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 143, ნაწილი 2, [25.09.2021]; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების №18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 19, ნაწილი 4, [24.09.2021].
- <sup>80</sup> Барышникова А. А., ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Челябинск, 2017, стр. 33.
- <sup>81</sup> Семейный кодекс Российской Федерации от 29.12.1995 №223-ФЗ (ред. от 02.07.2021), Статья 51. Запись родителей ребенка в книге записей рождений, Часть 4.
- <sup>82</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2021 წლის 20 იანვრის, გადაწყვეტილება საქმე №ას-1162-2020, პუნქტი 57.
- <sup>83</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე №2/15416-19, <https://ecd.court.ge>
- <sup>84</sup> Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, pp. 223, 225. <https://www.researchgate.net/publication/340755352>, [10.09.2021].
- <sup>85</sup> Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный», №48(286), 2019, стр. 197.
- <sup>86</sup> იქვე, გვ. 197.

- <sup>87</sup> <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html>, [23.09.2021].
- <sup>88</sup> საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 139, ნაწილი 2, „ბ“ პუნქტი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46>, [16.09.2021].
- <sup>89</sup> <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html>, [23.09.2021].
- <sup>90</sup> Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный», №48(286), 2019, стр. 197.
- <sup>91</sup> Дёмина И. А., ПРАВОВЫЕ ПРОБЛЕМЫ СУРРОГАТНОГО МАТЕРИНСТВА, Электронный научный журнал «Наука. Общество. Государство», №2(30), 2020, стр. 155–156; Aneesh V Pillai, SURROGACY CONTRACTS: ISSUES AND CHALLENGES, p. 226, <https://www.researchgate.net/publication/340755352>, [10.09.2021].
- <sup>92</sup> Федорова Г. Ю., Договор суррогатного материнства, «Молодой учёный», №51(185), Государство и право, Декабрь 2017, стр. 252.
- <sup>93</sup> Головатенко А. А., Предмет договора суррогатного материнства, «Молодой учёный». №48(286), 2019, стр. 197.
- <sup>94</sup> <https://adoptionart.org/assisted-reproduction/intended-parents/gestational-surrogacy/surrogacy-agreements-contract-terms>, [16.09.2021].
- <sup>95</sup> <https://www.eduklgd.ru/sovety/kak-sostavit-dogovor-surrogatnogo-materinstva.html>, [23.09.2021].
- <sup>96</sup> CHRISTINE STRAEHLE, Is There a Right to Surrogacy? Journal of Applied Philosophy, No. 2, May 2016, p. 146–157.
- <sup>97</sup> საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 143, [11.10.2021].
- <sup>98</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №598, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 2, [11.10.2021].
- <sup>99</sup> იქვე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №614, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, ნაწილი 4, [11.10.2021].
- <sup>100</sup> ბოგვერაძე ნ., სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, თბ., 2019, გვ. 34–46.
- <sup>101</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 19, „ბ“ პუნქტი, [01.10.2021].
- <sup>102</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №442, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, [01.10.2021], საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №448, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, [01.10.2021].
- <sup>103</sup> იქვე, მუხლი 1.
- <sup>104</sup> დარჯანია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბილისი, 2017, გვ. 388–390, 394–396, 402–403.
- <sup>105</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №614, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 6, [01.10.2021], საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №448, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, [01.10.2021].
- <sup>106</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 15, პუნქტი 1, [02.10.2021].

- 107 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №614, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 1, [01.07.2021].
- 108 იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.
- 109 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 103 -114, [02.10.2021].
- 110 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №18, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 19, ნაწილი 1, პუნქტი ბ), ბ.ა), ბ.ბ), ბ.გ), [01.10.2021].
- 111 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №614, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი 3, 5, [01.10.2021].
- 112 საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2021 წლის 20 იანვრის, გადაწყვეტილება საქმე №ას-1162-2020.
- 113 იქვე.
- 114 იქვე, პუნქტი 69.
- 115 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59, ნაწილი 1, [02.10.2021].
- 116 იქვე, მუხლი 60-61, იან კროფტოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელი: ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბ., 2014, გვ. 68.
- 117 დარჯანია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 2017, გვ. 391. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59, 1 ნაწილი და მუხლი 61, ნაწილი 1, [02.10.2021].
- 118 ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, თბ., 2017, გვ. 347.
- 119 იქვე, გვ. 348.349.
- 120 იქვე, გვ. 349.
- 121 იქვე, გვ. 361.
- 122 იქვე, გვ. 361-362, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 61, ნაწილი 2 და 4, [02.10.2021]; კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელი: ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბ., 2014, გვ. 68.
- 123 <https://surrogate.com/about-surrogacy/surrogacy-101/benefits-of-surrogacy-for-everyone-involved>, [15.10.2021], <https://southernsurrogacy.com/surrogacy-information/the-challenges-and-rewards-of-surrogacy-for-everyone-involved>, [15.10.2021].
- 124 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №598, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, პუნქტი „ა“, [03.10.2021].
- 125 იქვე, მუხლი 1, პუნქტი 3.
- 126 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.
- 127 საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, მუხლი 4, პუნქტი 1., „ბ“, მუხლი 21, მუხლი 23, მუხლი 24, [12.10.2021].
- 128 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №541, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1, [12.10.2021].
- 129 იქვე, მუხლი 1.
- 130 საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2021 წლის 20 იანვრის, გადაწყვეტილება საქმე №ას-1162-2020, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2017 წლის 25 აპრილის, გადაწყვეტილება საქმე №ბს-874-866(კ-16).
- 131 იქვე, პუნქტი 11, 42, 43, 44.
- 132 იქვე, პუნქტი 69.



# SURROGACY AGREEMENT AND THE RULES OF ITS CONCLUSION

GIORGI GLAZOVI

*Civil Law researcher of Ilia State University, Invited lecturer,  
Doctoral student of Law Faculty of Eastern European University*

The development of reproductive technologies has granted the humankind a new way of reproduction – surrogacy. Surrogacy, as a method of reproduction, collaborative means of reproduction, is linked to the mutual cooperation of several subjects/persons. The objective of the surrogacy is creation of new life and for this reason persons participating in the surrogacy relation collaborate. Collaborative relationship of the inclusive persons in the surrogacy process is linked different important issues, such as: conceiving the embryo/child, birth of child, transferring the child to the client couple/potential parents, take care of the child during the pregnancy, redistribution of risks, receiving the compensation and etc. The mentioned and other issues should be regulated by the surrogacy agreement.

# სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის კრიმინოლოგიური იდეები

მიხეილ ბაბუნია

*სამართლის დოქტორი,*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და*

*საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის*

*ასოცირებული პროფესორი*

## შესავალი

დანაშაულობისა და მის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულმა გააზრებამ სისტემატური ხასიათი მიიღო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და უკავშირდება სისხლის სამართლის კლასიკურ სკოლას. ამ სკოლას კლასიკური ეწოდება იმიტომ, რომ პირველად, სწორედ მის ფარგლებში მოხდა კრიმინოლოგიურ შეხედულებათა ფორმირება, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ნაცვლად გამოგვეყენებინა ტერმინი – კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა, ვინაიდან ის იდეები, რაც ამ სკოლის მიერ არის შემუშავებული, კრიმინოლოგიის მეცნიერებისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე სისხლის სამართლისათვის. აქ ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რაც განპირობებულია იმით, რომ კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ამ პერიოდისათვის არ ჰქონდა მიღებული თავისი დასახელება. ცნობილია, რომ ტერმინი – კრიმინოლოგია შემოვიდა და ფართოდ გავრცელდა 1885 წლიდან, მას შემდეგ, რაც იტალიელმა და ფრანგმა

მეცნიერებმა, პაოლო ტოპინარდმა და რაფაელ გაროფალომ გამოსცეს ამავე სახელწოდების მონოგრაფია. კრიმინოლოგიის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი პერიოდი, თავისი მნიშვნელობით რომ შეედრებოდეს იტალიური ალორძინების ეპოქას. ამ ეპოქის კარიბჭესთან დგას ჩეხარე ბეკარიას დიადი ფიგურა, ვისი შემოქმედებაც აგვირგვინებს შუა საუკუნეების სამართლის განვითარებას და, იმავდროულად, ახალი დროის მაუწყებლადაც გვევლინება. კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის უდიდესი წარმომადგენლები არიან: ჩეხარე ბეკარია, იტალიელი განმანათლებელი, იურისტი და პუბლიცისტი, 22 წლის ასაკში პავიის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სამართალში. მისი სწავლების მთავარი დებულებები მოცემულია მონოგრაფიაში „დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ,“ რომელიც 1764 წელს გამოქვეყნდა; იერემია ბენტამი (1748–1832, ლონდონი) – ინგლისელი სამართლისმცოდნე, სოციოლოგი, ფილოსოფოსი, უტილიტარიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი აზრით, „ადამიანის მორალური შეფასების საზომია მოქმედების სარგებლიანობა, ხოლო სასარგებლოა ის, რაც ზრდის ცალკეული ადამიანების ბედნიერებასა და ამცირებს ტანჯვას; ცხოვრების უმაღლესი პრინციპი უნდა იყოს „რაც შეიძლება მეტი ბედნიერება რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის.“ ეს იდეა თან სდევს იერემია ბენტამის მთელ შემოქმედებას, ასევე, განსაკუთრებით გამოჩენილი წარმომადგენლები სისხლის სამართლის კლასიკური სკოლისა, არიან დიდი ფრანგი განმანათლებლები მონტესკიე და ვოლტერი და ინგლისელი მეცნიერები ჰოვარდი, ბენტამი და ოუენი.

კლასიკური სკოლის ძირითადი დებულებები ფორმულირებულია ჩეხარე ბეკარიას სახელგანთქმულ მონოგრაფიაში „დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ.“ ეყრდნობოდა რა, მონტესკიესა და XVII-XVIII საუკუნეების დიდი განმანათლებლების იდეებს, ბეკარიამ ჩამოაყალიბა თავისი დროისათვის სრულიად ახალი თეორია. იმ პერიოდისათვის პოპულარული „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიის პოზიციიდან გამომდინარე, იგი ამტკიცებდა, რომ **არსებობს ხალხის მართვის მნებრივი და პოლიტიკური საწყისების სამი წყარო:** საღვთო გამოცხადება, ბუნებრივი კანონები და ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის თეორიული დებულებანი პრაქტიკაში აისახა სახელმწიფოს მიერ დამნაშავეთა მიმართ დამოკიდებულებაში, სასჯელალსრულებით დაწესებულებათა რეორგანიზაციასა და სასჯელის მიმართ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰოვარდის საქმიანობა. იგი მიიჩნევდა, რომ ადამიანს არ ძალუძს გადაიტანოს ხანგრძლივი მართობა ისე, რომ არ შეერყას ფსიქიკა. პირველად, მანვე შემოიტანა მეცნიერებაში დამნაშავეთა ვადაზე ადრე გათავისუფლების სწავლება.

თავის ცნობილ ნაშრომში „კანონთა სულის შესახებ“ შარლ მონტესკიე ყურადღებას უთმობს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მონტესკიე თვლიდა, რომ კანონთა სრულყოფაზეა დამოკიდებული კეთილდღეობა, თავი-

სუფლება და მოქალაქეთა უსაფრთხოება. დანაშაულებს მონტესკიე ჰყოფს ოთხ ჯგუფად: 1. რელიგიის წინააღმდეგ; 2. ზნეობის წინააღმდეგ; 3. მშვიდობის წინააღმდეგ; 4. უსაფრთხოების წინააღმდეგ. მხოლოდ მეოთხე ჯგუფში შემაგალი დანაშაულებისათვის უშვებს ის მკაცრ სასჯელებს. მიიჩნევდა რა, რომ დანაშაულის საფუძველს წარმოადგენს უზენოება, მონტესკიე ითხოვს სახელმწიფოსაგან გამაფრთხილებელ ზომებს, რომლის საფუძველს უნდა შეადგენდეს მოქალაქეთა კეთილდღეობისა და კეთილზნეობის ზრდა.

### სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის კრიმინოლოგიური დებულებანი დანაშაულის შესახებ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა წარმოადგენს დანაშაულისა და მასთან ბრძოლის იდეათა სისტემას, რომელიც ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ფარგლებში.

კლასიკურმა სკოლამ უარყო დანაშაულობის თეოლოგიური განსაზღვრა, რომლის მიხედვით, ცოდვა და დანაშაული ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო და **დანაშაული განსაზღვრა, როგორც ადამიანის ნების სრულ თავისუფლებაზე დაფუძნებული გაცნობიერებული არჩევანის შედეგი**. თავის მხრივ, არჩევანი დანაშაულის ჩადენასა და უდანაშაულობას შორის განისაზღვრება ადამიანთა ზნეობრივი აღზრდით. სასჯელი მოწოდებული უნდა იყოს იმისათვის, რომ შეაკავოს ადამიანები დანაშაულის ჩადენისაგან. **მთავარი არა სასჯელთა სიმკაცრე, არამედ მათი გარდაუვალობა და სამართლიანობაა**. კლასიკური სკოლის იდეები საკმაოდ აქტუალური იყო იმ პერიოდისათვის და დიდი როლი შეასრულეს კრიმინოლოგიის განვითარებაში. კლასიკური სკოლის ორი მთავარი პრინციპი: 1. **„უმჯობესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასაჯო ჩადენილი დანაშაულისათვის“** და 2. **„სასჯელი უნდა იყოს დანაშაულის პროპორციული“** – დღესაც ასახვას პოულობს ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში.

ასევე, მეტად საგულისხმოა, რომ დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კლასიფიკაციის პირველი შემთხვევები გვხვდება სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ფარგლებში. კერძოდ, კლასიკური მიმართულების იტალიელი იურისტის რომანოზის შრომებში. იგი დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებს 4 ჯგუფად ჰყოფს: 1. საარსებო საშუალებების ნაკლებობა; 2. აღზრდის ნაკლებობა; 3. წინდახედულობის ნაკლებობა; 4. მართლმსაჯულების ხარვეზი. მიზეზთა პირველი ჯგუფი ეკონომიკური ხასიათისაა, მეორე ჯგუფი – მორალური, მესამე და მეოთხე – პოლიტიკური.

დანაშაულებათა წყაროდ ბეკარია განიხილავს ადამიანური ვნებების საყოველთაო ბრძოლას, კერძო ინტერესების შეჯახებას. მისი აზრით, სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად, იზრდება სახელმწიფოს მოუწყვრისებლობაც, ამავე ხარისხით სუსტდება

ნაციონალური გრძობა, დანაშაულებრივი განზრახვა იზრდება იმ სარგებლის შესაბამისად, რომელსაც თითოეული იღებს თავისთვის საზოგადოებრივი მოუწესრიგებლობისგან.

ადამიანის დანაშაულებრივ აქტივობას ბეკარია ხსნის როგორც მთავარ მამოძრავებელ საწყისს, რომელიც მიმართვს ადამიანებს ნებისმიერი როგორც საზიანო, ისე სასარგებლო და თვით ყველაზე ამაღლებული საქციელისაკენ. ამ საწყისების საფუძვლად ის ასახელებს სიამოვნებასა და ტანჯვას. ბეკარიას კლასიკურ ნაშრომში „დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ“ განხილულია არა მხოლოდ დიალექტიკური გააზრება დანაშაულის წარმოქმნისა სოციალური წინააღმდეგობების ზემოქმედებით, არამედ ასევე, გადმოცემულია ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის ფსიქოლოგიური ახსნა-განმარტება.

ბეკარია მიიჩნევდა, რომ დანაშაულები ხდებოდა არა მხოლოდ შეთანხმების დარღვევის შედეგად, არამედ ადამიანების მხრიდან საღვთო და ბუნებრივი კანონების დამახინჯებით თუმცა, დანაშაულობის სფეროდ განსაზღვრული იყო კანონების დარღვევა.

სისხლის სამართლის კლასიკურმა სკოლამ დასაბამი მისცა სისხლის სამართლის ნეოკლასიკური სკოლის ჩამოყალიბებას, რომლის წარმომადგენელი იყო გამოჩენილი ავსტრიელი იურისტი, ფონ ლისტი. მან შეიმუშავა დანაშაულის ზოგადი და სპეციალური პრევენციის კონცეფცია, რომლის მთავარი იდეა დაფუძნებული იყო დამნაშავეთა დაშინებაზე, გამოსწორებასა და ნეიტრალიზებაზე. ამავე დროს, ფონ ლისტი დამნაშავეთა რესოციალიზაციის მთავარ ასპექტად სახელმწიფოს მხრიდან აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებას ასახელებდა. მთლიანობაში, კლასიკური სკოლისათვის დამახასიათებელია იდეალისტური რაციონალიზმი.

კლასიკური სკოლის სწავლების მიხედვით, პიროვნება, რომელიც სულიერი აშლილობის ნიადაგზე ჩაიდენდა დანაშაულს, უნდა გათავისუფლებულიყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ იმ პერიოდისათვის სწავლება ფსიქიკური აშლილობის შესახებ არ იყო სრულყოფილი და დიდწილად, ეფუძნებოდა წმინდა მეტაფიზიკურ საფუძვლებს.

ასევე, თანამედროვე კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანია ჩეზარე ბეკარიას იდეები დანაშაულობის პრევენციასთან დაკავშირებით. მისი აზრით, შეუძლებელია თავიდან აიცილო ყველა ბოროტება (დანაშაული) და მიიჩნევს, რომ დანაშაულობათა რიცხვი იზრდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად, კერძო ინტერესების შეჯახების საფუძველზე.

## სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის კრიმინოლოგიური დებულებანი სასჯელის შესახებ

განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია ბეკარიას იდეებს დანაშაულობაზე სახელმწიფოს რეაგირების მეთოდებთან მიმართებით. ეს იდეები კვლავაც დიდად აქტუალურია სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის. ამ იდეების საფუძველზე, სხვადასხვა სახელ-

მწიფოებში შეიქმნა დანაშაულობის სოციალური კონტროლის მიმართულება, როგორც სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი სახე.

სასჯელი უნდა იყოს დანაშაულის თანაბომიერი, რომლის საზომი უნდა იყოს ფაქტიური ზიანი; ყველა მოქალაქეს შეუძლია აკეთოს ყველაფერი, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს თუმცა, კანონის დარღვევა უნდა ისჯებოდეს. პროგრესული იყო კლასიკური სკოლის მიერ წამოჭრილი დებულება: არავის არ შეიძლება ეწოდოს დამნაშავე ვიდრე არ იქნება გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და მხოლოდ კანონები უნდა ადგენდნენ სასჯელს დანაშაულისათვის.

ბეკარია პრინციპულად წინააღმდეგი იყო მკაცრი სასჯელებისა. იგი მიიჩნევდა, რომ იმ სახელმწიფოებში, სადაც განსაკუთრებით მკაცრი სასჯელები მოქმედებდა, ადგილი ჰქონდა ასევე, განსაკუთრებით საშიშ, სისხლიან და არაადამიანურ ქმედებებს. ის გამოდიოდა სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ, რაც იმ პერიოდისათვის დიდ სამოქალაქო გმირობას მოითხოვდა. მისი აზრით, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება იყოს სასარგებლო, ვინაიდან იგი იძლევა სისასტიკის მაგალითს. იგი მიიჩნევს, რომ კანონები, რომლებიც კრძალავენ და სჯიან სიკვდილით, თვითონ სჩადიან მას და მოსახლეობაში მკვლელობის თავიდან აცილების მაგივრად, თვითონვე აკეთებენ ამას საჯაროდ.

კლასიკური სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა სასჯელის მიზნებს. ბეკარიას მიერ მოცემული განსაზღვრება სასჯელის მიზნისა, დღესაც აქტუალურია და ასახულია თითქმის ყველა დემოკრატიული ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კერძოდ, ბეკარიას აზრით, სასჯელის მიზანი მდგომარეობს არა ადამიანის წამებასა და ტანჯვაში, არამედ სასჯელის მიზანი არის მხოლოდ ის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს მსჯავრდებულს, ხელახლა მიაყენოს ზიანი საზოგადოებას და სხვები შეაკავოს დანაშაულის ჩადენისაგან. ამიტომ, მხოლოდ ისეთი სასჯელები უნდა გამოვიყენოთ, რომლებიც იქნება დანაშაულის თანაბომიერი და მოახდენენ ყველაზე უფრო დიდ და ყველაზე უფრო ხანგრძლივ გემოქმედებას ადამიანების სულზე და იქნებიან ყველაზე ნაკლებად მტანჯველი ადამიანის სხეულისა.

კლასიკური სკოლის მიერ ფორმულირებულია რიგი სადამსჯელო პრინციპები და უპირველეს ყოვლისა, სასჯელის დაუყოვნებლობა, მსგავსება დანაშაულის ბუნებასა და სასჯელის ბუნებას შორის, დაბოლოს, სასჯელის გარდაუვალობის პრინციპი. ბეკარიამ ეს პრინციპი განსაზღვრა შემდეგნაირად: **ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება დანაშაულის თავიდან აცილებისა, მდგომარეობს არა სასჯელთა სიმკაცრეში, არამედ მათ გარდაუვალობაში.**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კლასიკური სკოლა აკავშირებს დანაშაულობის პრევენციას თავისუფლებასთან და სწავლა-განათლებასთან. დამონებული ადამიანები ყოველთვის უფრო მეტად ავხორცი, გარყვნილი და სასტიკები არიან, ვიდრე თავისუფალი ადამიანები. კლასიკური სკოლა წინააღმდეგია მკაცრი აკრძალვებისა, სისხლის სამართლის კანონის სფეროების გაუმართლებელი გაფართოებისა. სისხლის სამართლის კლასიკური

სკოლის მიხედვით, კანონები უნდა იყოს გასაგები და მარტივი, რომ მთელი ძალა ერისა მიმართული იყოს მათ დაცვაზე და არა მათ დარღვევაზე. ყველაზე სწორ და ამავდროულად, ყველაზე რთულ საქმედ დანაშაულის პრევენციის სტრატეგიაში სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა მიიჩნევს ალბრდის სრულყოფას.

## დასკვნა

კლასიკური სკოლის კრიმინოლოგიურმა იდეებმა განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა 1810 წლის ფრანგულ სისხლის სამართლის კოდექსში (ე. წ. ნაპოლეონის კოდექსში) და ბავარიის 1813 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, ანსელმ ფოიერბახის უშუალო მონაწილეობით. ორივე ეს კოდექსი ეფუძნებოდა სისხლის სამართლის კანონით საზოგადოების მართვის იარაღის იდეას. გამოირჩეოდნენ ლაკონიურობით, კარგი იურიდიული ტექნიკით, სისხლის სამართლის კანონის ზოგადი ნაწილის ძირითადი ინსტიტუტების სიღრმისეული დამუშავებით და მისაბაძი მაგალითი გახდნენ ევროპაში სისხლის სამართლის შემდგომი კოდიფიკაციისა.

კრიმინოლოგიის კლასიკურმა სკოლამ უარყოფითი გავლენა მოახდინა შუასაუკუნეების სისხლის სამართალზე. კლასიკური სკოლის ძირითადი იდეა მდგომარეობდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციაში. მან წინ წამოწია ისეთი ფუნდამენტური იდეები, როგორცაა – არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე (*nulla poena sine lege*), არ არსებობს სასჯელი დანაშაულის გარეშე (*nulla poena sine crimine*), არ არსებობს დანაშაული კანონიერი სასჯელის გარეშე (*nullum crimen sine poena legali*), ყველა თანასწორია კანონის წინაშე. დანაშაული არის სუბიექტის თავისუფალი ნების გამოვლინების შედეგი. პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარება მხოლოდ ქმედებისათვის და არა აზრისათვის, და მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებისათვის. სასჯელი უნდა იყოს პროპორციული დანაშაულისა, იმდენად რამდენადაც ეს უკანასკნელი არის თავისუფალი ნების გამოვლინება. ინდივიდის პიროვნული თავისებურებანი გავლენას არ ახდენენ სასჯელზე, ვინაიდან სასჯელი უნდა იყოს თანაზომადი, მხოლოდ ჩადენილ ქმედებასთან. მოსამართლის შეხედულება სისხლის სამართლის ნორმების გამოყენებისას უნდა იყოს დაყვანილი მინიმუმამდე. კლასიკური სკოლა მიიჩნევდა დანაშაულსა და სასჯელს წმინდა იურიდიულ კატეგორიად.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი, 2005.
2. ე. კოდუა, სოციოლოგია, II ნაწილი, თბილისი, 1998.
3. Criminology Today An Integrative Introduction. Frank Schmalleger, Fourth edition, New Jersey. 2006.
4. Криминология, Учебник для вузов, Под. общ. ред. А. И. Долговой, 3-е изд. Перераб. И доп. М., 2008.

# CRIMINOLOGICAL IDEAS OF THE CLASSICAL SCHOOL OF CRIMINAL LAW

MIKHEIL GABUNIA

*Doctor of Law*

*Associate Professor of the Faculty of Law and International Relations*

*Georgian Technical University*

Presented article discusses the criminological ideas of the classical school of criminal law about crime and punishment. The basic provisions on crime and punishment that are formulated within the classical school of criminal law are presented in work. Attention should be paid to these ideas in regard with crime prevention, since it is impossible to control crime without taking these ideas into practice. Proper reflection of these ideas in the legislation ensures the level of crime prevention by the state.

# საგანგებო და საომარი მდგომარეობის რეგულირება შიდა- სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით

ლევან ბისელია

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი*

ნებისმიერმა ქვეყანამ შეიძლება განიცადოს ომი, შეჭრა, შეიარაღებული აჯანყებები და თავდასხმები, სტიქიური უბედურებები, სამოქალაქო ომები, ეპიდემიები და სხვა კატასტროფები. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს დემოკრატიული კონსტიტუციების უმრავლესობა მოიცავს საგანგებო დებულებებს, რომლებიც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, გადაუდებელ აუცილებლობად მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეროვნული უსაფრთხეობა, დაიცვან მოქალაქეების სიცოცხლე და ქონება, შეინარჩუნონ საზოგადოებრივი სერვისები და ზოგადად, აღადგინონ ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირება. სწორედ საგანგებო დებულებები ნებას რთავს ხელისუფლებას ქვეყანაში შეზღუდოს ან შეაჩეროს გარკვეული უფლებები და მეტიც, ახლებურად განსაზღვროს ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებებიც.<sup>1</sup>

საგანგებო და საომარი მდგომარეობა თავისი არსით, მეტად სახიფათო ვითარებაა ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში, რამეთუ ისინი მიდრეკილნი არიან ძალთა ბალანსის დარღვევისკენ. მოგეხსენებათ, რომ სამართლებრივი და დემოკრატიული

სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ძალთა ბალანსის დაცვა საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. საგანგებო მდგომარეობის დროს კი, ხდება ამ დადგენილი ბალანსის შეცვლა აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ. საგანგებო მდგომარეობის გააზრებაში არის აზრთა სხვადასხვაობა, ჯერ კიდევ, კარლ შმიდტი თავის წიგნში „პოლიტიკური თეოლოგია“ (Politische theologie) აღნიშნავდა, რომ არ არსებობს ერთიანი თეორია საგანგებო მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან ტერმინი პოლიტიკისა და სამართლის მიჯნაზე მდებარეობს, რთული ხდება მისი განსაზღვრაც კი. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საგანგებო მდგომარეობა წარმოადგენს „მიჯნას, რომელზეც საჯარო სამართალსა და პოლიტიკურ ფაქტს შორის არსებული ბალანსი ირღვევა.“<sup>2</sup>

„ცივილიზებული სახელმწიფოები მიისწრაფვიან იქითკენ, რომ ჩამოაყალიბონ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, ამისთვის აუცილებელ პირობას კი წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლება დანაწილებული იყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ხელისუფლების დანაწილება მოითხოვს შტოებს შორის გაწონასწორებისა და კონტროლის მექანიზმების არსებობას, რომელიც განმტკიცებული უნდა იქნას ქვეყნის უმაღლესი კანონით – კონსტიტუციით.“<sup>3</sup>

საგანგებო და საომარი მდგომარეობა თავისი არსით სახიფათო მოვლენაა, რადგან მისი არსებითი მახასიათებელი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებას შორის განსხვავების დროებითი გაუქმება – მმართველობის უცვლელ პარადიგმად შეიძლება ჩამოყალიბდეს.<sup>4</sup> ამ მოცემულობაში რთულია ძალთა ბალანსის დაცვა, ანუ პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.<sup>5</sup> საგანგებო მდგომარეობის სირთულეზე ასევე, საუბრობს ექსესის უნივერსიტეტის პროფესორი სკოტ პ. შირანი, თუ როგორ უნდა შეთავსდეს თეორია და პრაქტიკა, რათა უკეთ იყოს დაცული ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის რეგრესული ბუნებისგან.<sup>6</sup>

თანდათანობით საგანგებო მდგომარეობა ჩამოყალიბდა როგორც უსაფრთხოების პარადიგმად მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა 1961 წლის აპრილში, ალჟირის კრიზისის პერიოდში არ გამოიყენა მე-16 მუხლი მაშინ, როდესაც კონსტიტუცია ამის უფლებას იძლეოდა.<sup>7</sup> საგანგებო სიტუაციები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის: ერთი მხრივ, საგანგებო მდგომარეობის დაძლევა და ქვეყანაში წესრიგის აღდგენა, ამავე დროს ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა.<sup>8</sup>

კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა არის სამართალი, რომლის ძირითადი დანიშნულება საზოგადოებაში წესრიგისა და თავისუფლების ჰარმონიული თანაარსებობის უზრუნველყოფაა. ამ სოციალურ მიზანს ყველაზე მეტად ემსახურება სამართლის ის ნაწილი, რომელსაც კონსტიტუციურ სამართალს ან სახელმწიფო სამართალს უწოდებენ. შესაბამისად, საგანგებო და

საომარი მდგომარეობის სამართლებრივი რეგულირების ნაწილი სწორედ კონსტიტუციაში უნდა ვეძებოთ.<sup>9</sup>

საქართველოს კონსტიტუციასთან<sup>10</sup> ერთად, ძირითად საკანონმდებლო ჩარჩოს საგანგებო და საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ქმნის კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“,<sup>41</sup> კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“<sup>42</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი<sup>13</sup> და „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ – მე-4 მუხლი,<sup>14</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ – მე-7 მუხლი, რომელმაც საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება აღიარა საქართველოს ნორმატიულ აქტად და განსაზღვრა მისი ადგილი საქართველოს მოქმედი სამართლებრივი ნორმების იერარქიაში.<sup>15</sup> კონსტიტუციები აფუძნებენ და ბოჭავენ ხელისუფლებას, ცალკეული ორგანოების კომპეტენციების გამიჯვნისა და ურთიერთკონტროლის მექანიზმების მეშვეობით.<sup>16</sup> კონსტიტუციაა ის მთავრი მექანიზმი, რომელიც თავად უნდა იყოს ზოგადად, კონსტიტუციის იდეის, მიზნის, სულისკვეთების ადეკვატური, დაფუძნებული სწორად შერჩეულ ღირებულებათა სისტემაზე. რადგან მხოლოდ ასეთი კონსტიტუციის ერთგულებით, შესაბამისად შექმნილი სამართალი იქნება ვარგისი ინსტრუმენტი სახელმწიფოს ადამიანის თავისუფლების სამსახურში ჩასაყენებლად.<sup>17</sup> თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში ძალაუფლების დაბალანსება მიიღწევა ხელისუფლების დანაწილების გზით. ხელისუფლების დანაწილება აწონასწორებს, აბალანსებს და ურთიერთკონტროლის საშუალებას აძლევს სამივე ხელისუფლებას. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ემსახურება სახელმწიფო საქმიანობის რაციონალიზაციას. ხელისუფლების ორგანოთა გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვის მიზანს. თუ ადამიანის უფლებებს დაემუქრება საფრთხე ხელისუფლების რომელიმე შტოს მხრიდან, მაშინ უნდა ჩაერთოს კანონის უზენაესობა. კანონი და ადამიანის უფლებები თანაბარი რანგის ვერ იქნება, ამ შემთხვევაში, ადამიანის უფლებები უფრო პრიორიტეტულია.<sup>18</sup>

არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ საქართველო არ არის იზოლირებული ქვეყანა, ის ცნობს და აღიარებს საყოველთაო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. უფრო მეტიც, კონსტიტუციით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამ კონტექსტში უმჯობესი იქნება არსებული საგანგებო და საომარი მდგომარეობა განვიხილით ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით.

კონსტიტუციაში საგანგებო და საომარ დებულებებთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია კონსტიტუციის 71-ე მუხლში თუმცა, მკვეთრი დეფინიცია საგანგებო და საომარი

მდგომარეობის გამოცხადებას შორის არ არსებობს. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის განსაზღვრას ხელს უშლის მისი კავშირი სამოქალაქო ომთან, აჯანყებასა და წინააღმდეგობასთან. იმისთვის, რომ ზუსტად გავიაზროთ რა არის საომარი მდგომარეობა, უნდა განისაზღვროს თუ რა ითვლება ომად. ომი ეს არის ერთი სახელმწიფოს თავდასხმა მეორეზე, ხოლო საომარ მდგომარეობად ითვლება ქვეყანაში შექმნილი ვითარება, როდესაც ქვეყანაში შემოჭრილია უცხო სახელმწიფო ან არსებობს ამის რეალური საფრთხე. ომის მდგომარეობა მოიცავს იარაღის, სამხედრო ორგანიზაციისა და ჯარისკაცების გამოყენებას და შესაძლებელია შეიქმნას სამხედრო სასამართლოებიც. ომად ითვლება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის და შეიარაღებული კონფლიქტები მთავრობასა და გარკვეულ ჯგუფებს შორის. ამ უკანასკნელში კი, შესაძლებელია მოვიაზროთ სამოქალაქო ომიც, როგორც ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით არსებულ დაპირისპირებულ ძალებს შორის, სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. სამოქალაქო ომი დროში გაწელილი პროცესია და იგი განსხვავდება სახელმწიფო გადატრიალებისგან, რომელიც ჩვეულებრივ დროის მოკლე მონაკვეთში ხდება.<sup>19</sup> დღევანდელი მოქმედი კონსტიტუცია ასეთ მკვეთრ დეფინიციას არ იძლევა. საქართველოს კონსტიტუციით, „საომარი მდგომარეობა“ გულისხმობდა „ომის“ საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობით გაგებას და ამგვარი გაგება გამორიცხავს სამოქალაქო ომის დროს საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესაძლებლობას. კონსტიტუციით მოხსენიებული მოქმედება, რომელიც საქართველოში საომარი მდგომარეობის გამოცხადებას იწვევს, „ცალმხრივი ხასიათისა“ იმ თვალსაზრისით, რომ საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. ეს გამორიცხავს საქართველოს მიერ სხვა სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში საომარი მდგომარეობის გამოცხადებას. ხსენებული დებულების ცალმხრივი ხასიათი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, იკრძალება სხვა სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა.<sup>20</sup> მსგავსი შინაარსის დებულება დევს საქართველოს კანონში საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მის პირველ მუხლში წერია – საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. საომარი მდგომარეობა ცხადდება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონით საომარი მდგომარეობის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას თუმცა, არ არის დაზუსტებული რა იგულისხმება თავდასხმაში, უცხო სახელმწიფოს თავდასხმა თუ რომელიმე შეიარაღებული ჯგუფის. ამიტომ სასურველი იქნება, თუ მსგავსი დეფინიცია აღნიშნული იქნება კონსტიტუციაში. თანამედროვე საერთაშორისო სამართალით ომი აკრძალულია. ბოლო დროს ტერმინის „ომის“ ნაცვლად იხმარება „შეიარაღებული კონფლიქტები.“ მსგავს შეიარაღებულ კონფლიქტებს მიეკუთვნება

სამოქალაქო ომებიც.<sup>21</sup> თუ ჩვენ გადავხედავთ სხვა ქვეყნის კონსტიტუციებს, აღმოვაჩინოთ, რომ ომის დეფინიციის დაკონკრეტებას არც ერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ იძლევა, არამედ გვაქვს ზოგადი დეფინიცია. არც ერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების ვადებს. მაშინ, როდესაც თავისი არსით, როგორც საგანგებო მდგომარეობა, ასევე საომარი მდგომარეობა არის დროებითი ხასიათის, რომლის დროსაც ხდება გადახვევა ადამიანის უფლებებიდან და რომელიც უნდა იყოს ცალსახად დროებითი ხასიათის და ის არ შეიძლება მუდმივად გაგრძელდეს. ამიტომ ვენეციის კომისია მოითხოვს, რომ „საგანგებო მდგომარეობა დროებითი უნდა იყოს სახელმწიფოში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპით ხელმძღვანელობს. საგანგებო მდგომარეობა აუცილებლად უნდა იყოს შეზღუდული დროში და სივრცეში. საგანგებო მდგომარეობა კრიზისული მდგომარეობაა, რომელიც თავისი ბუნებით დროებითია.“<sup>22</sup> რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობას, საქართველოს კონსტიტუცია არ მიუთითებს საგანგებო მდგომარეობის მინიმალურ და მაქსიმალურ ვადებზე. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-6 პუნქტში გვაქვს ჩანაწერი, რომ გადაწყვეტილება საგანგებო და საომარი მდგომარეობის გაუქმების შესახებ მიიღება შესაბამისი მდგომარეობის გამოცხადებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.<sup>23</sup> მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნის კონსტიტუციებში მითითებულია ეს ვადები. მაგალითად: ესტონეთის კონსტიტუციის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს,<sup>24</sup> ესპანეთში საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადაა 30 დღე,<sup>25</sup> თურქეთის რესპუბლიკის შემთხვევაში, მაქსიმალური ვადაა 6 თვე, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ყოველ ჯერზე, მხოლოდ 4 თვის ვადით, მინისტრთა საბჭოს მოთხოვნით,<sup>26</sup> პოლონეთში საგანგებო მდგომარეობის ვადა 90 დღეა, გაგრძელება კი, შესაძლებელია ერთხელ და არა უმეტეს, 60 დღის ვადით,<sup>27</sup> ფინეთში მაქსიმალური ვადაა 6 თვე.<sup>28</sup> რაც შეეხება საომარ მდგომარეობას, რადგან ის დროში გაწეილი პროცესია, ძნელია იმის წინასწარ განსაზღვრა თუ რა ვადით შეიძლება მისი მინიმალური და მაქსიმალური ვადების წინასწარმეტყველება, თუმცა, თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში გვხვდება მსგავსი ჩანაწერი, რომ საომარი მდგომარეობა შეიძლება გამოცხადდეს არაუმეტეს, 6 თვის ვადით, მისი გაგრძელება კი, შესაძლებელია არაუმეტეს, 4 თვისა, დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებით.<sup>29</sup> ვფიქრობთ, რომ თავისი არსით, როგორც საგანგებო, ასევე საომარი მდგომარეობა ქმნის იმ საგანგებო მდგომარეობას, რომელიც მოითხოვს შექმნილი მდგომარეობის სწრაფ მოგვარებას. ამავდროულად, საგანგებო და საომარი მდგომარეობა დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა შეზღუდვასთან ან შეჩერებასთან – კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ეს საკითხი. გარდა ამისა, მინიმალური და მაქსიმალური ვადების მითითება მიიჩნევა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ კონტროლის მძლავრ მექანიზმად.

საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების საკითხი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ის ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას, შეჩერებას და განსხვავებულ საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლებიც განსხვავებულად ახდენენ

უფლებამოსილებათა დელეგირებას აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება დანაწილებულია სამ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. „ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოითხოვს ხელისუფლების შტოთა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) ერთი მხრივ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლობას, მათი კომპეტენციების მკვეთრად გამიჯვნას, როგორც უფლებამოსილების, ისე უფლებამოსილების მკაფიო განაწილებას, ხოლო მეორე მხრივ, ურთიერთკონტროლსა და გაწონასწორებას. მსაგავსი დანაწილება უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს ერთი რომელიმე ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების მითვისება, რაც გულისხმობს, რომ „ძალაუფლების მიმთვისებელი ხელისუფლება“ ავტომატურად იქცევა სხვა ხელისუფლების განშტოების ზემდგომად, რაც აუცილებლად გამოიწვევს ძალაუფლების იმგვარად გამოყენებას, რითაც შეიზღუდება დანარჩენი ხელისუფლების უფლებამოსილებები, რაც გამოიწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას და სამართლებრივი სახელმწიფოს დარღვევას.<sup>30</sup>

სისტემური თვალსაზრისით, სწორია საგანგებო და საომარი მდგომარეობის საკითხების განთავსება კონსტიტუციის მერვე თავში, რომელიც ეხება ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებას. კონსტიტუცია წარმოადგენს ძირითად წყაროს, რომელიც ქვეყანაში არეგულირებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის საკითხებს და განსაზღვრავს ხელისუფლების შტოების როლს საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, როგორც საგანგებო, ასევე საომარ მდგომარეობას პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც ხელის მოწერისთანავე წარუდგენს საქართველოს პარლამენტი დასამტკიცებლად. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ ბრძანებას ამტკიცებს შეკრებისთანავე, თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. კონსტიტუციის მიხედვით, გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ის არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ, ხოლო საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების თაობაზე პრემიერ-მინისტრის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს დასამტკიცებლად პარლამენტში.<sup>31</sup> კონსტიტუცია ასევე, გვეუბნება, რომ გადაწყვეტილებას ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ. პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შეწყვეტის თაობაზე. აქ რამდენიმე საკითხია ბუნდოვანი, პირველი ის, რომ საქართველოს კონსტიტუცია ზემოთ

ჩამოთვლილ მოვლენებს ისედაც მიაკუთვნებს საგანგებო მდგომარეობას და მიუთითებს, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენება ხდება პარლამენტის მონაწილეობით. მეორეც, თუ ზემოხსენებულ შემთხვევებში, პრემიერს ერთპიროვნულად ეძლევა თავდაცვის ძალების გამოყენების საშუალება, ის შეიძლება პრობლემური გახდეს, რამეთუ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია პარლამენტმა ვერ შეძლოს დროული შეკრება, ამან კი შესაძლოა, გაზარდოს რისკი თავდაცვის ძალების პოლიტიკური მიზნით გამოყენების, მით უმეტეს მაშინ, თუ პარლამენტი დაკომპლექტებულია მთავარი პოლიტიკური ძალის მიერ, თავდაცვის ძალების ერთპიროვნული გამოყენება კიდევ უფრო პრობლემური შეიძლება გახდეს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო პრაქტიკა იცნობს მსგავს შემთხვევებში თავდაცვის ძალების გამოყენების, მაგრამ მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ამიტომ კიდევ ერთხელ აუცილებელია დაზუსტდეს საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების არსი, მიზნები და ფარგლები.

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლში საუბარია ადამიანის უფლებების შეზღუდვაზე და ჩამოთვლილია ის მუხლები, რომლის შეზღუდვა და შეჩერება შეუძლია პრეზიდენტს, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმ მუხლებზე, რომლის შეჩერება ან შეზღუდვა დაუშვებელია. აქვე არ არსებობს დეფინიცია, თუ რომელი მუხლების შეზღუდვა შეიძლება საგანგებო მდგომარეობის დროს და რომელი უფლებების საომარი მდგომარეობის დროს. თუ არ მოხდება მსგავსი დეფინიცია, გამოდის თავისი არსით საგანგებო და საომარი მდგომარეობა ერთი და იგივეა. აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს უფლება აქვს დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციის შემდეგი ნორმების მოქმედება:

**მუხლი 13:** ადამიანის თავისუფლების უფლება

**მუხლი 14:** მიმოსვლის თავისუფლება

**მუხლი 15:** პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობისა და ინფორმაციის თვითგამორკვევის უფლებები

**მუხლი 17:** აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლებების უფლებები

**მუხლი 18:** სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები

**მუხლი 19:** საკუთრების უფლება

**მუხლი 21:** შეკრების თავისუფლება

**მუხლი 26:** შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება.

ასევე, პრეზიდენტს უფლება აქვს კონსტიტუციით შეაჩეროს შემდეგი მუხლების მოქმედება ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით:

**მუხლი 13. პუნქტები 2-6:** ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ფარგლები

**მუხლი 14. პუნქტი 2:** მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები

**მუხლი 15. პუნქტი 2:** პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების შეზღუდვის ფარგლები

**მუხლი 17, პუნქტები 3, 5, 6:** აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების შეზღუდვის ფარგლები

**მუხლი 18, პუნქტი 2:** საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის ფარგლები

**მუხლი 19. პუნქტი 3:** საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლები.<sup>32</sup>

კონსტიტუციაში ასახული ადამიანის უფლებათა ეს შეზღუდვები თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საუბრობს იმ დაცულ მუხლებზე, საიდანაც გადახვევა დაუშვებელია, როგორც საგანგებო, ასევე საომარი მდგომარეობის დროს. კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური უფლებებია: სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), წამების, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა (მე-3 მუხლი), მონობის, იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი) და სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების აკრძალვა (მე-7 მუხლი).<sup>33</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს შესაძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებების „შეჩერება“ და „შეზღუდვა“, მაგრამ შეჩერებასთან და შეზღუდვებთან დაკავშირებით, განსხვავებულ საკანონმდებლო რეგულაციებს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია. კერძოდ: დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის გამოცემისთანავე, ხოლო ნორმის შეჩერების შესახებ პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე.<sup>34</sup> ცალკე განხილვის საკითხია კონსტიტუციური ნორმა ადამიანის უფლებათა შეჩერების შესახებ რამდენად კონსტიტუციურია, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც შეჩერების მექანიზმი, ასევე შეზღუდვაც ადამიანის უფლებებში უხეში ჩარევაა, ამიტომ მართებულია, ორივე შემთხვევაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი ძალაში შევიდეს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, რაც უნდა დასაბუთდეს იმით, რომ ნორმატიული აქტების იერარქიაში პრეზიდენტის დეკრეტი და საქართველოს ორგანული კანონი თანაბარი რანგისაა.<sup>35</sup> ამავე დროს 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი.<sup>36</sup>

მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკამ აჩვენა, რომ პარლამენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საგანგებო მდგომარეობის მოხდების ან აღმასრულებელი ხელისუფლების

მიერ შესაბამისი განკარგულების გაცემის შემდეგ, მისი დამტკიცების პროცესში.<sup>37</sup> თუ თვალს გადავავლებთ სხვა ქვეყნის კონსტიტუციებს აღმოვაჩინებთ, რომ მაგალითად, უკრაინის კონსტიტუცია საერთოდ დაუშვებლად მიიჩნევს ადამიანის უფლებების შეზღუდვას,<sup>38</sup> ხოლო ლატვიის,<sup>39</sup> სომხეთის,<sup>40</sup> აზერბაიჯანის,<sup>41</sup> პოლონეთის,<sup>42</sup> ფინეთის<sup>43</sup> კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას. აღნიშნულთან ერთად, უნდა მივუთითოთ კიდევ ერთ გარემოებაზე: საკონსტიტუციო სამართალში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძირითადი უფლებები შეიძლება მხოლოდ „შეიზღუდოს.“ ამას ადასტურებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების უდიდესი უმრავლესობა. გამონაკლისია სულ რამდენიმე სახელმწიფო (მათ შორის, პორტუგალია, ესპანეთი, უნგრეთი), რომელთა კონსტიტუციები შეიცავენ ტერმინს – „შეჩერება,“ მაგრამ კონსტიტუციური სამართლის თეორიაში იქაც გაზიარებულია ძირითად უფლებათა შეზღუდვის კონცეფციის არსი – დემოკრატიულმა და სამართლებრივმა სახელმწიფომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის პირობებშიც უნდა იმოქმედოს იმ კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში, რომლის საფუძველი ძირითადი უფლებებია. დაუშვებელია სახელმწიფო გავიდეს აღნიშნული ფარგლებიდან, იურიდიულად ძალადაკარგულად მიიჩნიოს ძირითადი უფლებები და იმოქმედოს თვითნებურად, ყოველგვარი ბოჭვის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ.<sup>44</sup>

შემდეგ მნიშვნელოვან განსხვავებას საგანგებო და საომარ მდგომარეობას შორის, წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის საბჭოს საკითხი. ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელიც თავისი არსით პრეზიდენტთან არსებული დროებითი სათათბირო ორგანოა და იქმნება საგანგებო მდგომარეობის შემდგომ და მოქმედებს მის გაუქმებამდე.<sup>45</sup>

საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ პირდაპირ მიუთითებს, რომ საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სათათბირო ორგანო – ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი და წევრები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საბჭოს წევრად შეიძლება მოწვეულ იქნან საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრები.<sup>46</sup> იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტი მონაწილეობს არა მხოლოდ საომარი მდგომარეობის გამოცხადების პროცესში, არამედ ის ასევე, ჩართულია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცესში, მიზანშეწონილი იქნება ეროვნული თავდაცვის საბჭომ იფუნქციონიროს საგანგებო მდგომარეობის დროსაც, რამეთუ ის უფრო მეტად უპასუხებს ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების სწრაფ მოგვარებას.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ როგორც საგანგებო, ასევე საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრის წარდგინებითა და თანახელმოწერით, გამოსცემს ორგანული ძალის მქონე დეკრეტს, რომელიც მოქმედებს საგანგებო და საომარი

მოქმედების გაუქმებამდე. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.<sup>47</sup> კონსტიტუცია არაფერს ამბობს თუ რა ვადაში უნდა შეიკრიბოს პარლამენტი საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის დასამტკიცებლად. სიტყვა „დაუყოვნებლივ“ ძალიან ზოგადია და ის მოითხოვს მეტ დაზუსტებას, რაც ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის მოთხოვნებს. მაშინ, როდესაც კონსტიტუციის ძველ რედაქციაში გათვალისწინებული იყო საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს პარლამენტის შეკრება 48 საათში.<sup>48</sup>


დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე, რაც იწვევს მათ შეჩერებას ან შეზღუდვას, ამიტომ დაუზუსტებელი, ბუნდოვანი და დაუბალანსებელი საკანონმდებლო დებულებები ზრდის რისკს, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ადამიანის უფლებათა შესაძლო უხეში დარღვევების. ამ კონტექსტში დიდ მნიშვნელობას იძებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის სწორი დეფინიცია, მათ შორის განსხვავებების ზუსტი განსაზღვრა, რამეთუ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს სულ სხვანაირად ფუნქციონირებს როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ასევე, სასამართლო ხელისუფლება. თემაში განხილული კონსტიტუციური ხარვეზების გამოსწორება, მათი ზუსტი დეფინიცია უფრო მეტად განჭვრეტადს გახდის კონსტიტუციურ დებულებებს, რომელმაც სხვა კანონებთან ერთად უნდა შექმნას ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს საგანგებო ან საომარი მდგომარეობით შექმნილი ვითარების სწრაფ მოგვარებას.

#### შენიშვნები:

- <sup>1</sup> ხავთასი ლ., სამაგისტრო ნაშრომი, საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები, თსუ, თბ., 2019, გვ. 6.
- <sup>2</sup> ჯორჯო აგამბენი, საგანგებო მდგომარეობა, თარგმანი: ნინო მიქაშვიციძე, გვ. 1. [https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D\\_%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90\\_\\_1539857226.pdf](https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90__1539857226.pdf)
- <sup>3</sup> გულიაშვილი ბ., ხელისუფლების დანაწილების პრინციპები და საკონსტიტუციო სასამართლო, სამართლის სამაგისტრო პროგრამა, თბ., 2019, გვ. <http://openscience.ge/bitstream/1/1635/4/samagistro%20nashromi.pdf>
- <sup>4</sup> ჯორჯო აგამბენი, საგანგებო მდგომარეობა, თარგმანი: ნინო მიქაშვიციძე, გვ. 8.
- <sup>5</sup> Anna khakee, securing democracy? A comparative analysis of emergency powers in Europe, geneva centre for the democratic control of armed forces (DCAF) policy paper-N30, pg. 6.
- <sup>6</sup> Scott P. Sheeran, Reconceptualizing States of Emergency under International Human Rights Law: Theory, Legal Doctrine, and Politics—michigan journal of international law, 2013, issue 3, pg. 3. <https://repository.law.umich.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1000&context=mjil>

- <sup>7</sup> ჯორჯო აგამბენი, საგანგებო მდგომარეობა, თარგმანი: ნინო მიქაშავიძე, გვ. 15.
- <sup>8</sup> Mohamed M. EL. ZEIDY, The ECHR and States of Emergency: Article 15-A Domestic Power of Derogation from Human Rights Obligations, 2003, pg. 2. <https://digital.sandiego.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1248&context=ilj>
- <sup>9</sup> დემეტრაშვილი ა., კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, საკონსტიტუციო პრობლემათა სტრატეგიული კვლევის ცენტრი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, თბ., 2005, გვ. 13.
- <sup>10</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>, მუხლი. 71.
- <sup>11</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=7>
- <sup>12</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28336?publication=4>
- <sup>13</sup> [https://www.echr.coe.int/documents/convention\\_kat.pdf](https://www.echr.coe.int/documents/convention_kat.pdf)
- <sup>14</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>
- <sup>15</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>
- <sup>16</sup> საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში? ეკატერინე ლომთაიძე, გვ. 175. [http://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_5.pdf](http://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_5.pdf)
- <sup>17</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენხილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გამომც. მერედიანი, თბ., 2017, გვ.16.
- <sup>18</sup> საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, გია ხუბუა, ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, 2016, გვ. 105. [http://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged\\_document\\_5.pdf](http://www.osgf.ge/files/2016/Publications/merged_document_5.pdf)
- <sup>19</sup> ხავთასი ლ., სამაგისტრო ნაშრომი, საგანგებო და საომარი მდგომარეობის აქტუალური საკითხები, თსუ, თბ., 2019, გვ. 10-11.
- <sup>20</sup> კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, # 3/4, 2000, გვ. 70-71.
- <sup>21</sup> ლოზუანიძე გ., საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 2013, გვ.101-102.
- <sup>22</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებებისა და ანგარიშების კრებული, სტრასბურგი, 2020 წლის 16 აპრილი, გვ. 27. <https://rm.coe.int/compilation-venice-commission-covid19-geo-2/16809e6513>
- <sup>23</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
- <sup>24</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 272.
- <sup>25</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 196.
- <sup>26</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 353.
- <sup>27</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 625.
- <sup>28</sup> საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი GPRC, საგანგებო მდგომარეობის რეგულირების სამართლებრივი პრაქტიკა-თვალსაზრისი, 21 მარტი, 2020, N03/02, გვ.8.
- <sup>29</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 355.

- <sup>30</sup> გულიაშვილი ბ., ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო, სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 2019, გვ. 12. <http://openscience.ge/bitstream/1/1635/4/samagistro%20nashromi.pdf>
- <sup>31</sup> კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 224-225.
- <sup>32</sup> კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 223-224.
- <sup>33</sup> კორკელია კ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004 წლის თებერვალი, გვ. 40.
- <sup>34</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71, პუნქტი 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
- <sup>35</sup> საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>
- <sup>36</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 45, პუნქტი მე-2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
- <sup>37</sup> კანონის უზენაესობა სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისათვის, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰააგის ინსტიტუტი, შვედეთი, 2012, გვ. 9, ხელ:[https://issuu.com/georgianpolitics3/docs/kanonis\\_uzenaesoba](https://issuu.com/georgianpolitics3/docs/kanonis_uzenaesoba)
- <sup>38</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, გამომც. თბილისელები, თბ., 2008, გვ. 638.
- <sup>39</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, გამომც. თბილისელები, თბ., 2008, გვ. 316.
- <sup>40</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 438
- <sup>41</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 241.
- <sup>42</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 619.
- <sup>43</sup> გონაშვილი ვ., კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, გამომც. თბილისელები, თბ., 2006, გვ. 743.
- <sup>44</sup> კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები, გვ. 6, <https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/07/konstantine-kublashvili-gv.85-101.pdf>
- <sup>45</sup> აქუბარდია თ., საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: დაგეგმვა, კორდინაცია და პრაქტიკა, 2020, გვ. 6, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/135-expert-opinion-geo.pdf>.
- <sup>46</sup> საქართველოს კანონი საომარი მდგომარეობის შესახებ, მუხლი 4<sup>1</sup>, ნაწილი 1 და 2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28336?publication=4>
- <sup>47</sup> კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმწიფო მოწყობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 222.
- <sup>48</sup> გონაშვილი ვ, ერემაძე ქ, თევდორაშვილი გ, კახიანი გ, კვერენჩილაძე გ, ჭილაძე ნ, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გამომც. მერედიანი, თბ., 2017, გვ. 340.



# REGULATION OF STATE OF EMERGENCY AND WAR BY DOMESTIC AND INTERNATIONAL LAW

LEVAN BESELIA

*PhD student of Law Faculty of Caucasus International University*

The issue of legal regulation of the state of emergency and war is very important, because the declaration of mentioned leads to the restriction of basic human rights and freedoms, as well as violation of the principle of checks and balance. An increase of the powers of the executive branch may lead to the the use of this power for political purposes.

Both the state of emergency and the state of war are temporary measures aimed at quickly resolving the crisis situation in state.

Presented paper discusses both domestic and international legislation on the regulation of the state of emergency and war, on the basis of the comparative analysis of which the relevant conclusions and recommendations are made.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA  
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90, +995 599 51 97 36

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
THE SUPREME COURT OF GEORGIA  
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



917713121259002